მერაბ ბერიძე

# მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა

მეორე გამოცემა

ახალციხე
2013


უაკ
378(479.22)(066)
UDC
ს-223

პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია“ ფარგლებში, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ასოციაცია „ტოლერანტი“ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი, პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის რაიმე სახით გამოყენება ან მისი ხელახლა გამოცემა დაუშვებელია ავტორის *პროფესორ მერაბ ბერიძის* წერილობითი ნებართვის გარეშე, გარდა მცირე ციტატებისა, რომელთა ჩართვა მნიშვნელოვან სტატიებსა თუ მიმოხილვებში ნებადართულია.



პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ





ახორციელებს ასოციაცია
"ტოლერანტი"

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“

© მერაბ ბერიძე
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი, 2013

ISBN 978-9941-9278-7-4

# თეზისები მესხებზე

მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება ითავა ევროკომისიამ. დეპორტირებულ მესხთა შთამომავლებთან მუშაობა საინტერესოც არის და აუცილებელიც. არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტის“ ოფისში ბევრი ჩემი ნაცნობი და ახლობელი აღმოვაჩინე. ისინი ატარებენ ტრენინგებს მესხებისათვის. მეც მათ შორის მომიწია გარკვეული სამუშაოს შესრულება. ჩემი დამოკიდებულება მესხებისადმი საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა. ჩემმა პროფესიამ (ვსწავლობ მესხეთის ისტორიას, დიალექტს, ონომასტიკას, ეთნოგენეზისს) განსაზღვრა ამ დამოკიდებულების მთავარი პათოსი, რომ პრობლემასთან ურთიერთობა მხოლოდ კონიუქტურული არ ყოფილიყო, ამიტომ, როდესაც ქალბატონმა ცირა მესხიშვილმა შემომთავაზა, ჩამეტარებინა შეხვედრები მესხებთან მათი ისტორიის, წარმომავლობის პრობლემებზე, დაუყოვნებლივ დავთანხმდი.

უცნაურია ბედი ადამიანისა. ჩვენ ვუსხედვართ მაგიდას. ჩემს გარშემო არიან ადამიანები, რომელთაც ბევრი რამ გადაიტანეს მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან: გადასახლება, უცხო გარემოში ცხოვრება, გაჭირვება, ბრძოლა, იმედის გაცრუება და სიხარული. აქ არიან სხვადასხვა თაობის მესხები. 8-10 წლიდან დაწყებული, ასაკოვანი ხალხით დამთავრებული. ჩვენ ყველანი ვიმკით წინაპრების საქმიანობის შედეგს. ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო“.

საქართველოს ისტორია არის ბრძოლა რწმენისათვის და სარწმუნოებისათვის. მართლმადიდებლობა გაიგივებული იყო ეროვნებასთან, ქართველობასთან. ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ სარწმუნოებისათვის, რაც ნიშნავდა, რომ თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის, ქართველობისათვის. ეს თავგანწირვა ყოველთვის არ იყო შესაძლებელი. ისტორიული კატაკლიზმები გვასწავლის, რომ ბრძოლა არსებობისათვის ხშირად მაღლა დგებოდა, ვიდრე ასეთი თავის გაწირვაა. თავის გადარჩენისათვის ბრძოლა გაჭირვებულ ადამიანს, რო-

მლისთვის ლუკმა-პურის შოვნა უდიდესი შრომის ფასად იყო მხოლოდ შესაძლებელი, აიძულებდა იშვიათად, მაგრამ მაინც შეეცვალა რწმენა. ეს არ იყო არჩევანი ან მისი რელიგიური შეხედულებების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. ეს იყო დიდი ტკივილისა და ძალდატანების ნიადაგზე შეცვლილი სარწმუნოება. ასე მოხდა მესხეთშიც. მუსლიმ ქართველებს, რომელთა საცხოვრისი რთული, ისტორიული ნაგებობა იყო, როგორც ყველა მესხისა, ყველაზე მიუვალ, შემომსვლელთათვის დაფარულ ნაწილში ჰქონდათ სალოცავი ჯვრიანი ქვა, რომელზეც ჩუმად ანთებდნენ სანთელს და ლოცულობდნენ.

თუ ცოტათი გადავუხვევთ თემიდან, შეიძლება ითქვას, რომ ასე ხდება დღესაც. ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც რელიგიურ არჩევანს თავისი განათლებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე აკეთებს. დღესაც ამას ეკონომიური საფუძველი აქვს მხოლოდ და ტრადიციული სარწმუნოება იცვლება ხორცის გადარჩენაზე, რასაც შედეგად არაიშვიათად ეროვნული გაბუნდოვნება მოსდევს ხოლმე.

ისევ პირველ სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, ვიტყვი: „ტოლერანტის“ ოფისში მაგიდას ვუსხედით ერთი სისხლისა და ხორცის, ერთი ეროვნების, ერთი წარმომავლობის ადამიანები, მე, მართლმადიდებელი ქართველი და ისინი - მუსლიმი ქართველები და სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მე მათ ადგილზე ვყოფილიყავი და ისინი ჩემს ადგილზე. ჩვენი წინაპრები ხომ საუკუნეების, მთელი ისტორიის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ. ჩემმა წინაპრებმა შეძლეს სარწმუნოების შენარჩუნება, სულის გადარჩენა არჩიეს, რასაც შედეგად უდიდესი ბრძოლითა და გაჭირვებით საბოლოოდ ხორცის გადარჩენაც მოჰყვა.

მე მათ უნდა მოვუთხრო ჩვენი ისტორია, ჩვენი თავგადასავალი. ეს ისტორია ჩვენი საერთო ისტორიაა, ისეთივე მძიმე და რთული, როგორც საერთოდ საქართველოს წარსული და თუნდაც დღევანდელობა. როდესაც საქმე პატარა წიგნზე მიდგა და გადაწყდა, რომ უნდა დამეწერა შრომა მესხებზე, ვარჩიე, შემერჩია ჩემი რამდენიმე სტატია, რომელიც ამ პრობლემას შეეხება მე-20 საუკუნის ოთხმოციანი

წლებიდან მოყოლებული. ტერმინოლოგია, მაშინდელი ტონი და განწყობა იგივე დავტოვე და ისე მივაწოდე ჩემს მსმენელებს თუ მკითხველებს. პრობლემის ვრცელი ანალიზი მომავალში იქნება, ახლა კი თეზისების სახით ჩამოვაყალიბებ საკითხებს, რომელთა შესახებაც საჭიროა დაფიქრება, როდესაც მესხებზე ვწერთ:

1. დეპორტირებულ მესხთა ისტორია განუყოფელია მესხეთის და მესხთა ისტორიიდან, ე.ი. განუყოფელია საქართველოს, ქართველთა ისტორიიდან. აქედან გამომდინარე, მათი ისტორია იწყება ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან. იქიდან მოყოლებული უწყვეტია ხაზი, გენი, ეთნიკური ყოფა. ეპოქები იცვლება, ისტორიისათვის რამდენიმე საუკუნე არაფერს ნიშნავს, ამიტომ თუნდაც ნებისმიერი ძალის შედეგად რამდენიმე თაობის გაჭირვება ან ძირითადი ეროვნული ხაზიდან გადახვევა არ უნდა ცვლიდეს რადიკალურ ხაზს.

2. მესხეთი დღეს მოიცავს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთს. ისტორიულად მის შემადგენლობაში იყო გარდა სამცხე-ჯავახეთისა - კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, არტაანი, კოლა და სხვა.

სხვადასხვა ეპოქაში მესხეთს ერქვა ზემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო...

მესხეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ ამ კუთხეთა მიხედვით ერქვათ: სამცხელნი, ჯავახნი, ტაოელნი, კლარჯნი, ერუშელნი, შავშნი..., რომელთა საერთო ეთნიკური ტერმინი იყო მესხი, ე.ი. ქართველი, ისევე როგორც საქართველის სხვა კუთხეებში მცხოვრებთა აღმნიშვნელი ეთნონიმები: იმერელი, მეგრელი, კახელი, სვანი, ქართლელი, თუში, ხევსური, აჭარელი, გურული და ა.შ.

3. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის მაჰმადიან მესხთა ერთ ნაწილს უწოდეს თათრები, რადგან მათი სალაპარაკო საურთიერთობო ენა იყო თურქული ენის დიალექტი. ეს ტერმინი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა დანარჩენ მუსლიმ მესხებზე. სახელი ხელოვნური იყო და შეიქმნა საქართველოს სამხრეთ ნაწილში სარწმუნოებრივი დაპირისპირებისათვის.

4. მე-20 საუკუნის ბოლოსათვის მუსლიმ მესხთა აღსანიშნავად შეიქმნა ტერმინები: კავკასიელი თურქები, ახალციხელი თურქები, მესხი თურქები და სხვა. ყველა ეს ტერმინი არის ხელოვნური, ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და ემსახურება მესხთა შიდა დაპირისპირებას, მათი ეთნოგენეზისის გაბუნდოვნებას.

5. მესხები რომ ნამდვილად ქართველები არიან და სხვა არავინ, ამას გვიდასტურებს ქართული წყაროების გარდა, რომაული და ანტიკური მონაცემები, ხოლო ბოლო საუკუნეებში თურქული და რუსული აღწერის დავთრები, რომლებიც გამოირჩევა სანდოობით, რადგან ისინი იწერებოდა სახელმწიფო საჭიროებისათვის.

6. მუსლიმმა ქართველებმა იმისათვის, რომ გამორჩეულიყვნენ და არ აღრეულიყვნენ ქურთებსა და თარაქმებში, მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში შექმნეს ტერმინი „იერლი“, რაც ადგილობრივს ნიშნავდა და თანამედროვე ხელოვნური ტერმინისაგან გამსხვავებით ეთნო-სოციალურ საფუძვლებზე იყო აღმოცენებული.

იერლი, როგორც ტერმინი, მესხებში ცოცხალია დღესაც. იერლის, ანუ მაჰმადიან მესხთა აღრევა სხვა ტომში ბოლო დრომდე არ ხდებოდა. ისინი არ ქორწინდებიან არც ქურთებზე, არც თარაქმებზე და არც იმ ქვეყნის მცხოვრებლებზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვადასხვაობისა, ქორწინების შემთხვევები მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის მესხეთში იყო და არის დღესაც დაბრუნების შემდეგ.

7. მესხთა მეტყველებაში არის ძალიან ბევრი ქართული ლექსიკა და ის კავკასიური სპეციფიკური ბგერები, რომლებიც შეუძლებელია, რომ „თათრებში“ ან თურქულენოვან მოსახლეობაში იყოს. ასეთი ბგერების შეძენა შეუძლებელია, თუ ის ორგანული არ არის გენეტიკურად.

8. სოფელთა სახელები, საიდანაც გაასახლეს მესხები ქართულია და დარქმეულია მხოლოდ ქართველთა მიერ, ანუ მესხთა მიერ. ასევე ქართულია მათი ისტორიული სამშობლოს მიკროტოპონიმია.

განსაკუთრებით საინტერესოა მუსლიმ ქართველთა გვარები, რომელთა უმრავლესობა მე-20 საუკუნის ადმინისტრაციულ-პოლოტიკური ჩარევით დაკარგულია, მაგრამ შთამომავლებს ჯერ კიდევ ახსოვთ. ეს გვარები ქართული ანთროპონიმიის უძველეს ფენას განეკუთვნება და საჭიროა მათი დაუყოვნებლივ კვლევა.

9. მესხთა ისტორიის, ეთნოგრაფიის, დიალექტის და ონომასტიკის შესაწავლად საჭიროა, შეიქმნას ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შემადგენლობით. ამით საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მესხებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

10. რადგან მესხთა პრობლემა საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილად იქცა, გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა თქვას და ნებისმიერი გადაწყვეტილება მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ არ გამეორდეს შეცდომები.

11. მუსულმანმა მეხსებმა უპირველესად უნდა გამოიყენონ თავიანთი ისტორიული უფლება ქართული ენის სწავლისა და თუ ჯერჯერობით საქართველოს სახელმწიფო ენას მშობლიურ ენად ვერ იქცევენ, სალაპარაკოდ უნდა ისწავლონ.

12. მუსულმან მესხთა ისტორიის და ეთნოგრაფიის შესასწავლად უნდა გაფართოვდეს ტრენინგთა ქსელი, მას მასიური ხასიათი უნდა მიეცეს და მომზადდეს შესაბამისი სპეციალური წიგნები. თავისი სიტყვა ამ მიმართულებით უნდა ისევ თქვას ევროკომისიამ. უნდა გაღრმავდეს დეპორტირებულ ქართველთა განათლება.

*2005 წ.*

# ორი დღე მაჰმადიან მესხებთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარგზავნილნი ისევ ეწვივნენ მახარაძის რაიონს, კერძოდ, ნასაკირალსა და ნარუჯას. 19 მაისს ნარუჯის კულტურის სახლში შეიკრიბნენ საბჭოთა მეურნეობის მუშები. ნარუჯაში ისევე, როგორც ნასაკირალში, მოსახლეობის ეთნიკური სახე უაღრესად საინტერესოა. ჯერ ერთი, მრავალეროვანია ეს რეგიონი, მეორეც - აქ გურულებისა და აჭარლების გარდა, ცხოვრობენ გამაჰმადიანებული მესხები, ისინი, ვინც საუკუნეებს გამოვლილნი, მრავალ უბედურებას გადარჩენილნი, ძალით თუ ნებით გამაჰმადიანებულნი, 1944 წელს გაასახლეს შუა აზიაში. მერე აგორდა ბედის ბორბალი კვლავ, მესხებს გაჭირვებითა და უბედურებით რალას გააკვირვებდა ცხოვრება. შუა აზიიდან მოედვნენ დუნიას, დიდი დასახლებები შექმნეს ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში. ბოლოს, როგორც იქნა, გალღვა ყინული და თითქმის მთელი ათეული წელია, რაც მახარაძის რაიონში ჩასახლებულან, მართალია ცოტანი, მაგრამ მაინც ჩასახლებულან.

ადგილობრივი ხელმძღვანელობა მესხებს ახასიათებს, როგორც შრომისმოყვარე, პატიოსან, ერთგულ, გამტან ადამიანებს. მესხებმა, ცნობილი მიზეზის გამო, სარწმუნოებასთან ერთად სულ უკანასკნელ ხანს, მეოცე საუკუნეში, დაკარგეს ენაც. დაბრუნებულთა შვილები ქართულ სკოლაში სწავლობენ. თავიდან გაუჭირდათ მშობლიური ენის ათვისება, მაგრამ შრომისმოყვარეობის წყალობით მაინც დაძლიეს.

აი, ნასაკირალის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ულდუზ ჯემალის ასული მჭედლიშვილი (მურსალოვა) მე-5 კლასში იყო მახარაძეში რომ ჩამოიყვანეს მშობლებმა. „დედა-ენიდან“ დაიწყო. მუყაითობამ თავისი ქნა. ულდუზმა ისწავლა თავისი მშობლიური ენა. დღეს ის სკოლას ამთავრებს. მიზანი კი იცით რა აქვს? დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა, რათა შემდგომ თავის თანამოძმეებს, ახალ ჩამოსულთ თუ უკვე ჩამოსულებს, ასწავლოს ქართული ენა.

აი, იზოლდა ვარშალომიძე, ქართული ენის შემსწავლელი კურსების დამაარსებელი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უკვე წლების განმავლობაში რომ ასწვლის დაბრუნებულ მესხებს ქართულ ენას.

ბავშვებმა მაინც ადვილად ისწავლეს ქართული, მშობლებს გაუჭირდათ. ცნობილია ოდითგან, დედა ასწავლის შვილს ნაბიჯის გადადგმას, ენას, სამშობლოს სიყვარულს. აქ, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მშობლებს შვილები ეშველებიან ქართულის სწავლაში. რას იზამ, ასეც ხდება. რა არ გადახდომია მესხებს თავს. კიდევ ერთი სასიკეთო მაგალითი: მესხი არავის სხვას ქალს არ მისცემდა და არც თვითონ მოიყვანდა სხვისგან. იგულისხმება ის მაჰმადიანი გარეშო, რომლებშიც მესხები მე-20 საუკუნის ბედის ბორბალმა მოახვედრა, კერძოდ, დიდი ხნის მეზობლობისა და ერთად ცხოვრების მიუხედავად, მაჰმადიანი მესხები არც ათხოვებდნენ და არც მოჰყავდათ რძალი ქურთებისაგან, თარაქამებისაგან, აზერბაიჯანელებისაგან, ყაზახებისაგან და სხვა, აი, ახლახან ჩამოსულ მესხთა ოჯახში ქორწილია. მესხი ნასიმა ცაცანიძე გათხოვილა ადგილობრივ მერაბ ასანიძეზე ნასაკირალში, 2 შვილი ჰყავთ, კიდევ ბევრი ჰყოლოდეთ, ამრავლოს ასეთი ოჯახები.

19 მაისს საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტელები გულივერ იობაშვილი, დევი კაჭარავა, ამ სტრიქონების ავტორი და უნივერსიტეტთან არსებული ეთნოგრაფიული ანსამბლი „მესხეთი“, ვალერიან მაღრაძის ხელმძღვანელობით ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლს ესტუმრნენ.

იქ დაგვხვდნენ პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი რ. ბერიძე (მესხებზე განსაკუთრებით მზრუნველი ქალბატონი), აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ი. ნაკაიძე, თ. ხარაიშვილი, ე. ქადეიშვილი და ადგილობრივი სხვა ხელმძღვანელები.

ღელავდა ყველა. ასეთი შეხვედრა მესხებთან გურიაში პირველად ეწყობოდა. პირველად უნდა მოჰყოლოდა ტრიბუნიდან მესხების ისტორიას უნივერსიტეტის დოცენტი გულივერ იობაშვილი, ისიც საკითხავი იყო, რა ენაზე ჯობდა საუბარი, ქართულად თუ რუსულად. ბოლოს ყველამ

ერთხმად ქართულად ირჩია საღამოს ჩატარება. მესხებმა თქვეს, ჩვენ ვერ ვლაპარაკობთ, თორემ ყველაფერი გვესმისო.

დიდი ინტერესით მოისმინეს მესხების მოკლე თავგადასავალი - მწარე, სიხლიანი, ტრაგიკული, ისეთი, როგორიც მეტნაკლებად საქართველოს ყველა კუთხისაა.

მერე კითხვები... ასეთ დროს მოსულებს ხშირად შესჩივლებენ ხოლმე მატერიალურ გაჭირვებაზე, ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებზე და სხვა. მესხების სათხოვარი სხვა იყო: „მოგვეცით ჩვენი ქართული გვარი, დაგვიბრუნეთ ჩვენი ნამდვილი ეროვნება. როდემდე უნდა ვიყოთ ბაქიროვები, სულეიმანოვები, ქათიბოვები, თაზლეევები, იუსუფოვები და სხვა. არ გჯერათ ჩვენი ნამდვილი ქართველობა? აი, ჩვენი ძარღვები, ნახეთ, შეამოწმეთ სისხლი ჩვენიცა და თქვენიც, ნახეთ, რით განსხვავდება, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ძარღვებში სჩქეფს მაჰმადიანურსა თუ ქრისტიანულში, ეს სისხლი ქართულია“.

1944 წლის შემდეგ, რაც მაჰმადიანი მესხები სამშობლოდან გაასახლეს, სადაც მიჰყავდათ, იქაურ გვარსა და ეროვნებას აძლევდნენ. განა შეიძლება ადიგენელი, ახალციხელი ან ასპინძელი კაცი, თუნდაც მაჰმადიანი, აზერბაიჯანელი ყოფოლიყო ან ყაზახი? არ შეიძლებოდა, მაგრამ... სხვაგან ყველაფერი ადვილდება. აი, კიდევ ერთი შვილი შეეძინა იაშარ სულეიმანოვს, ნასაკირალში მცხოვრებ ახალგაზრდა კაცს. სამი თვის გოგონა ჰყავს და დაბადების მოწმობას არ იღებს, არ მინდაო, ამბობს, ჩემს შვილს ან ექნება მამა-პაპის გვარი ბექაძე, ან არა და სულაც ნუ ჰქონიაო.

ოფიციალურად გვარისა და ეროვნების დაბრუნება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ არქივი გასცემს ცნობას, რომ ამა თუ იმ პირის წინაპარს ნამდვილად ჰქონდა ის გვარი, რომელსაც ითხოვს. განა დღეს, თითოეულ ჩვენთაგანს ასეთი ცნობა რომ დასჭირდეს, მივიღებთ? გვაქვს ასეთი მოწესრიგებული არქივი, საიმისო კანცელარია, რომ საუკუნის წინანადელი გენიალოგია აღვადგინოთ ცალკეული გვარისა?

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ზღვარგადასული ბიუროკრატიზმია დამნაშავე და მეტი არაფერი. ადგილზევე არ უნდა გაუჭირდეს ხელმძღვანელობას ამ საქმის მოგვარება.

უნდა გენესათ, როგორი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მესხები გაზეთ „იზვესტიის" 4 მაისის პუბლიკაციაზე, სადაც ჩინგიზ აიტმატოვმა ისინი კავკასიელ თურქებად მონათლა. ვითომ არ იცოდა ავტორმა? ვითომ შემთხვევით მოხდა!

მესხების ეროვნებისა და გვარის დაბრუნება ადმინისტრაციული წესით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი „კავკასიელ თურქებად" დაგვიბრუნდნენ და თითოეული გვარისათვის საარქივო ცნობების მოთხოვნა გაგრძელდება, უაღრესად გართულდება საქმე. დღევანდელ პირობებში ლაპარაკი აღარ იქნება რამდენიმე ასეულ კაცზე, არამედ ბევრად უფრო მეტზე.

კიდევ ერთი ტენდენციის შესახებ გავამახვილებთ ყურადღებას. ნასაკირალსა და სხვაგან დამკვიდრებული მესხები კვლავ სამხრეთისაკენ იყურებიან, კვლავ მესხეთში უნდათ ჩასვლა. გვინდა იცოდნენ მათ, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების", რომ საქართველოსთვისაც, საქმისთვისაც ასე სჯობს - სადაც დამკვიდრებულან იქაურობას მიხედონ, იღვაწონ, იშრომონ...

ნარუჯის კულტურის სახლში კი დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი დიალოგი გრძელდებოდა. ასეთი საუბრები მესხობაზე, მაჰმადიანობასა და ქრისტიანობაზე სულ გასდევდა საქართველოს ისტორიას.

კვლავ ისმოდა ნარუჯის კულტურის სახლში დიდი ხნის კითხვა ქართველებისა - ვინა ვართ ჩვენ?!

ღელავდა ანსამბლი „მესხეთი" და მისი ხელმძღვანელი ვალერიან მაღრაძე. მიიღებენ მესხები ქართულ სიმღერებს? ეს სიმღერები ხომ ბეწვზე გადარჩენილა თვითონ. „საგალობლით" დაიწყეს. ბაიათებსა და, საერთოდ, აღმოსავლურ მუსიკას გაჩვეული მაჰმადიანი მესხი ვერ შეხვდა საგალობელს ისე, როგორც სხვა ქართველი შეხვდებოდა. დაეჭვება კვლავ გაიბზარა. მაგრამ აი, მესხური სახუმარო სიმღერა „ვარძიობა ძიობასა" დაიწყეს და შეინძრა დარბაზი. ნაცნობი ლექსიკა, ნაცნობი ტონები, ადგილის სახელები. ტაში ოვაციებში გადაიზარდა. ასევე მოხდა, როცა ბიჭებმა „ოქრომჭედელო", „მამლი მუხასა" და სხვა მესხური სიმღერები იმღერეს. სიმღერებს თან ახლდა ბატონ ვალერიან მაღრაძის ლექცია-განმარტებანი. „ღმერთმა

ყველანი დაგასწროთ აღდგომა ქრისტეშობასა“ ასე დააშთავრა ანსამბლმა ეს შესანიშნავი კონცერტი.

ერთი შტრიხი: შეხვედრა-კონცერტი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. დარბაზიდან გაჰყავდათ დედებს ბავშვები და ისევ შემოჰყავდათ. ერთი ბავშვი ატირდა, გაყვანა სთხოვეს, ხელი გვეშლებაო, არაფრით არ ქნა დედამ, როგორც იქნა გააჩერა პატარა და თვითონ ბოლომდე დარჩა.

მეორე დღეს ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის ა. გობრონიძის, თ. ჩხარტიშვილის, გ. ლომთათიძის, მ. თენეიშვილისა და ვ. თალაკვაძის ხელშეწყობით მოხერხდა იქ მცხოვრებ მესხთა ახალმოსახლეობისა და სკოლაში მოსწავლე ბავშვებთან შეხვედრა.

ნასაკირალის საშუალო სკოლაში 30 მესხი ბავშვი სწავლობს. ბავშვები შეთვისებიან ერთმანეთს. არ ირჩევიან სხვებისაგან. მშვენიერი პატრიოტული მონტაჟიც წარმოადგინეს. მასწავლებლები არ ჩანდნენ უკმაყოფილონი, უხაროდათ, რომ მათი დიდი შრომა ფასდებოდა.

ბერიკაცები მოვიდნენ, 70 წელს გადაცილებულნი. მათ შორის ორმა ქართული ენა საერთოდ აღარ იცოდა, თუმცა ერთ-ერთს ქართულად დაეწყო სწავლა-განათლება თავიდან, მაგრამ... მიუხედავად ამისა, ისინი კარგი ინფორმატორები აღმოჩნდნენ ტოპონიმური მასალის ჩასაწერად. ჩავიწერეთ ასპინძის რაიონის დღევანდელი ნასოფლარების - ზემო ოშორისა და ვარნეთის ტოპონიმია. ვიმეორებთ, ინფორმატორებმა ქართული არ იცოდნენ, ისე გვაწვდიდნენ ხევის, მთის, მინდვრის, სახნავ-სათესის და სხვა ადგილთა შემდეგ სახელებს: დალეწილები, მერაბაჭალა, ქვაბიხევი, ხრამი, ორთახევი, ტიბეთი, საბანებელი, ფერსათხევი, საგაროვი, კაცკალია, ჯოყოფი, ტვიტელი, დუბე, კეტალია, ერბოყანა, მეისი, ჭანჭურყანა, კიბია, კაკაველი, ოღიაური, საბიეი, ხუცური, ნალეკი, თავნები, სხანნარი და სხვა.

ზემო ოშორელი ბერიკაცი იყო სარვარ ბაქიროვი, რომლის ქართული გვარი ხოსაძეა, ხოლო ვარნეთელ ახმედ დროდვანოლლი უსეინოვს თავისი ქართული გვარი აღარ ახსოვს.

ეს დღეს... მოვიყვანთ 1939 წელს (მაშინ როდესაც მაჰმადიანები მესხეთში ცხოვრობდნენ), ჩაწერილ ახალციხის

რაიონის სოფ. ბოგის ტოპონიმიას: სანგლიათი, სანებათი, გორაული, მარემიას საწოლი, საყდარი, ხომა, აკოფავრი, აგარა, რუსიენთი, მურიხევი, უხრავანაი, საქორიაი, სანხრიხევი, ძელიაგორდა, თელათი, ნაცხვარეთი, ბრმაღელე, შაქრისერი, პანტიგვერდი, ნატბეურები, კუნტანა, ბერკნილი, ჭანათხევი (სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწ. № 100, გვ. 64-67).

განა შეიძლება ზემოჩამოთვლილი ტოპონიმების სახელმდები კაცი ქართველი არ ყოფილიყო? როდესაც სახელის სემანტიკას მოვთხოვდით, ხელებს შლიდნენ, რა ვიცით, ჩვენი წინაპრები ასე ეძახდნენ და ჩვენც ასევე ვეძახითო.

კიდევ ერთი შტრიხი: მაჰმადიანი მესხების თურქულ მეტყველებაში ჩვეულებრივია ქართული სპეციფიკური ბგერები, რომელნიც უცხოა აზერბაიჯანელების და ყაზახებისათვის. დიდი ადგილი მათს თურქულ მეტყველებაში უკავია ქართულ ლექსიკას.

ორი სამუშაო დღე დასრულდა. უნივერსიტეტელები, ანსამბლ „მესხეთის“ ბიჭები და მათი ხელმძღვანელი, რადიოს ახალგაზრდული რედაქციის კორესპოდენტი ნ. მიქელაძე უკან ვბრუნდებოდით, შთაბეჭდილებებითა და ბევრი კითხვის ნიშნით დატვირთულნი მოვდიოდით თბილისისაკენ.

*1988 წელი*

— ქართველი ხარ?
— არა!
— თურქი?
— არა!
— ყაზახი?
— არა!

ასე დაუსრულებლად... გრძელდებოდა დიალოგი ჭარმაგ, 60 წელს მიტანებულ ბრგე ვაჟკაცთან, რომელიც ნიალას, ერუშეთის მთებში დააბიჯებს და სხვაგვარად უყურებს ყველაფერს, მოწყურებული მზერა აქვს, ნაღველიც უდგას თვალებში.

ენა - თურქული.

სარწმუნოება - მაჰმადიანი.

— ეროვნება? ვინ ხარ, მაშ, საიდან მოსულხარ? აწვალებს, რაღაცა აწვალებს კაცს. იცის, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც ყველასთან. ანკეტა, კითხვარი ტრაფარეტულია და მხოლოდ უგულო, ზერელე შევსება უნდა. ამ კაცის ანკეტის შევსება გულის „სისხლს მოითხოვს საფასად“. იცის, იცის, რომ მის მაჰმადიანურ ძარღვებში გურჯის სისხლი დულს, იცის, მაგრამ არც ეგრეა საქმე. უკვე რამდენი საუკუნეა შერყეულია სული.

არის და არ არის!

— ეროვნება? სადაური ხარ?

— მე აქაური ვარ, იერლი, მესხი ვარ, მესხი!

იერლი თურქული სიტყვაა და ადგილობრივს ნიშნავს. იერლი თურქს არც ქალს მისცემდა და არც მისგან მოიყვანდა. ქრისტიანი ხომ განუდგა და განუდგა. ასე შეიქმნა სარწმუნოებრივ-ეთნიკური ტიპი მე-19, მე-20 საუკუნეში და მან „ეროვნებად“ მესხი მიიღო.

ვინ არიან მესხები?

საქართველოში ქარისტიანობა და ქართველობა დღიდან ამ რელიგიის გავრცელებისა სინონიმებად იქცა. ეს ბევრჯერ თქმულა. ისიც ბევრჯერ თქმულა, რომ ხშირად დაგვიდია თავი ქრისტიანობისათვის და ამით საქართველო გადაგვირჩე-

ნია. მაგრამ... მაგრამ საკმარისი იყო ქართველს სხვა სარწმუნოება მიეღო, რომ იგი საქართველოს მტრად გამოგვეცხადებინა, არა და... განა ყოველთვის ჩვენი ნებით ვღებულობდით სხვის რელიგიას?! გამაჰმადიანდა ქართველი და ის ქართველი აღარ იყო. რატომ? ამაზე ისტორიამ ბევრჯერ მწარედ გვატირა. მერე გვჭირდებოდა მტკიცება ქართველთა ქართველობისა. ასე იყო მუდამ. შორს რომ არ წავიდეთ, მე-19 საუკუნეც კმარა... იმის დამტკიცებას, რომ კათოლიკენი ქართველები არიან, ორი დიდი ადამიანის - ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის შემოქმედებითი ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა. იყო ადამიანი და სწირავდა სიცოცხლეს. იყვნენ კაცები და გაწირეს თავი, რისთვის? იმისთვის, რომ ქართველებისათვის მათივე ქართველობა დაემტკიცებინათ. მერედა რამდენია ასეთი, განა ერთი და ორი. გავმაჰმადიანებულვართ, გავკათოლიკებულვარ, გავგრიგორიანებულვართ და უცებ... ყველაფერი თავდაყირა დამდგარა. ეჭვქვეშ მოქცეულა ჩვენივე ეროვნება და ეს ხდება არა სადმე ცხრა მთას იქით, არამედ აგერ, შიგნიშიგან, საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში.

საიდან, საიდან და ისტორიიდან მოდის ეს ტრადიცია, შორი ისტორიიდან. ერთ მტკივნეულ მაგალითს მოვიყვანთ ახლო წარსულიდან, შ. ლომსაძის წიგნიდან „სამცხე-ჯავახეთი“: „1829 წ. მარტში, როცა დაბრუნებულმა აჰმედ ხიმშიაშვილმა ახალციხიდან უკან დაიხია, გზად სოფელ ველს (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე - მ. ბ.) მიუსია თავისი ლაშქარი და საშინლად გაძარცვა... აფორიაქებულმა ველელებმა გადაწყვიტეს ომის დამთავრებამდე გასცლოდნენ მტრიან სოფელს, იმავე 1829 წ. ზაფხულში გადმოვიდნენ ჯავახეთს და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო... სოფლებში: ბავრას, ხულგუმოს, კარტიკამს... ახალ სოფლებში ჩასახლებულ ველელებს ეკლესიაში კვლავ სომხური რიტი დაუკანონეს. ამგვარ ვითარებაში ჩაყენებული ხალხი თანდათან ივიწყებდა თავის ვინაობას, რადგან შთამომავლობა სხვა ჰქონდათ, ენა სხვა და სარწმუნოება სხვა...

1883 წელს, როცა სომეხ და ქართველ კათოლიკეთა წრეებში „ტომობრიობაზე და გვაროვნებაზე“ კამათი იტყდა,

ველიდან გადმოსახლებულთა საკითხის შესასწავლად გამოიყო კომისია, სახელმწიფო გამომძიებლის იგნატიევის თავმჯდომარეობით, რომელმაც დაკითხა სოფლის მოხუცები. მათ უპასუხეს, რომ 1841 წლამდე ქართულ ტიპიკონს ვხმარობდით და ქართულად ვგალობდითო, რომ ჩვენი მამა-პაპა მართლმადიდებელი ქართველები იყვნენო. საკითხის დაზუსტებისათვის 1885 წ. ამავე სოფლებში გაიგზავნა მეორე კომისია დონდუროვისა და კორსანოვის შემადგენლობით. მეორე კომისიამაც თითქმის იგივე გაიმეორა - ველელები წარმოშობით და ყოფაქცევით ქართველები არიან... სამწუხაროდ, ამ კომისიების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს ჯეროვანი შედეგი არ მოჰყოლია. სოფელ ველის ეს მეტად საგულისხმო თავგადასავალი სხვადასხვა ფორმით ნიშანდობლივია სამცხე-ჯავახეთისა და მთელი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის“ (გვ. 364-365).

ეს პროცესი გაგრძელდა მე-20 საუკუნეში ახლა აკად. ნ. ბერძენიშვილს მოვუსმინოთ, რომელმაც 1932 წელს იმოგზაურა ჯავახეთში: „ხულგუმოში თუქრულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობაა. ასეთივეა ბავრა, კარტიკამი და, როგორც გადმომცეს, ტურცხი. სომხურს ესენი ახლა ითვისებენ. მათ თავიანთი ეროვნული ვინაობისა არა იციან რა. ხულგუმოდან 35-ოდე ყმაწვილი ახალქალაქის ქართულ შვიდწლედში სწავლობს და ამიტომაც თავის თავს ქართველს უწოდებს. სოფელში სომხური სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღიარებენ...“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, 1964, გვ. 55).

მერე თანდათან გადაძალა არაქართულობამ. ტანჯვიტა და წვით მე-19 საუკუნეში სამშობლოში დაბრუნებულმა ქრისტიანებმა დაკარგეს ეროვნება, ენა, სარწმუნოება. და რაც მთავარია, საქართველომ დაკარგა თავისსავე მიწაზე ქართული მოსახლეობა.

მაინც ვინ არიან მესხები?

მესხობა და მესხობის საკითხი ლოკალური, ვიწრო ეთნიკური საკითხი არ არის. ეს არის საკითხი ქართველებისა და ქართველობისა. მესხების თავგადასავალი მეტნაკლებად

ნიშანდობლივია საქართველოს ყველა კუთხისათვის, მთლად საქართველოსათვის. მესხებიო და გაგვახსენდება მუშქები, მოსხები, უძველესი ქართული ტომები... გაგვახსენდება ათონელები, ოპიზრები, ჩახრუხაძეები, რუსთაველები... გაგვახსენდება: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“, „მესხი სწავლითა ქებული“ და მრავალი სხვა. მესხეთის სინონიმებია: ზემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო.

...მაგრამ გვიანდელობით დავიწყოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს ოსმალეთმა საბოლოოდ დაიპყრო მესხეთი და იგი იქცა იმპერიის შემადგენელ ნაწილად, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთი ეწოდა. 1595 წელს თურქებმა სოფელ-სოფელ, ოჯახ-ოჯახ აღწერეს სამხრეთ საქართველო. აღურიცხავი არ დატოვეს კომლის არცერთი მეთაური. მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოსათვის მესხეთის მოსახლეობა (სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, ერუშეთი, კლარჯეთი) მთლიანად ქართულია (ს. ჯიქია).

მალე ჩნდებიან, თუ უკვე გამოჩენილან რჯულისა და ქვეყნის შემცვლელნი. სარწმუნოების შეცვლა ხომ დიდ შეღავათებს ჰპირდებოდა თავიდან ყველას. რენეგატობა მაღალ საზოგადოებრივ წრეს ახასიათებდა ოდითგანვე. ეს პროცესი შესანიშნავად ჩანს „გურჯისთანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით (თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი II, 1941 წ.):

თავიდან დაყვავებით, შელავათებით, თავის მოქონვით იცვლიდა რწმენას აზნაურობა, თავადობა, - მაღალი წრე. ეს ძველი მეთოდია, ასე იწყებდნენ დამპყრობლები ყოველთვის დაპყრობილი ქვეყნის ასიმილაციას. მერე გადიან გლეხობაში. აქ კი უკვე მეჩეთ-მედრესეში აკეთებენ თავის საქმეს. ამ პროცესს, მაღალი წრის მიქცევას, საუკუნეზე მეტი დასჭირდა.

სარწმუნოებრივი სხვაობა უკვე გარკვეულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას ქმნიდა ქართველებს შორის. ამას ემატებოდა ისიც, რომ გამაჰმადიანდებოდნენ „წარჩინებულნი“, ხოლო გლეხობა ქრისტიანი იყო. კლასობრივ წინააღმდეგობას დაემატა სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა და გაღრმავდა მტრობა. მისაბაძ საქმედ თანდათანობით არაქართველობა იქცა, მაგრამ ეს პროცესი ადვილი, უცებ დასამთავრებელი

არ იყო და ასე უკვე შერყეულმა სულმა მოატანა მე-19 საუკუნემდე.

მე-19 საუკუნე იყო ერთი მხრივ მესხეთის ხსნის საუკუნე. ასრულდა დედა საქართველოს დიდი ხნის ოცნება, დაუბრუნდა მისი უძველესი და დაწინაურებული კუთხე, მაგრამ... მოხდა სხვა რამეც. მე-19 საუკუნეში ქართველები სამი ძირითადი რელიგიის მიმდევრები იყვნენ: მართლმადიდებლობის, კათოლიკობისა და მაჰმადიანობის. დაპირისპირებულობა ღრმავდებოდა. განსაკუთრებით მძლავრობდა მაჰმადიანობა. „უფრო გაცხოველდა მუსლიმანური ეკლესიის საქმიანობა, რომლისთვისაც სასულიერო მოძღვრებს, მოლებს, სპეციალურად ანატოლიიდან იწვევდნენ. მოლები ადრე გაშლილ დიდ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ, საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ხალხს და მედრესეების ფართო ქსელში გამუდმებითა და გამალებით ასწავლიდნენ ადგილობრივ ახალგაზრდობას თურქულ ენას... ე. ი. ის, რაც ვერ ვაკეთდა თურქთა 200-წლიანი ბატონობის დროს, სამწუხაროდ, ახლა, XIX საუკუნეში, ე. ი. შემოერთების შემდეგ სრულდებოდა. ქართველი მაჰმადიანები საბოლოოდ „თათრდებოდნენ" (შ. ლომსაძე, გვ. 309). საოცრება ხდება მე-19 საუკუნის საქართველოში. ქართულად მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი ითვლება. სარწმუნოებას და ეროვნებას ვერ არჩევენო მეფის რუსეთის მოხელეები, ვერ იტყვი. ცალ-ცალკე არის აღწერილი სომეხი კათოლიკენი და გრიგორი-ანები. მაჰმადიანები, სუნიტები და სხვა (იხ. Сводъ статистическихъ данныхъ о населенjй Закавказского края. 1893 წ.). ქართველები კი რატომღაც მხოლოდ მართლმადიდებლებად არიან წარმოდგენილნი. სარწმუნოებისა და ეროვნების ასეთმა დაპირისპირებამ გამოიწვია ქართველებში წინააღმდეგობის გაღრმავება, მტრად გადაკიდება. ქართველი, როგორც კი სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, უპირისპირდებოდა მართლმადიდებელ თანამემამულეს არა მხოლოდ სარწმუნოებრივად, არამედ ეროვნულად. ამას გრძნობდნენ ერის მოჭირნახულენი, გრძნობდნენ და ცდილობდნენ, ამტკიცებდნენ ქართველთა ქართველობას. რა თქმა უნდა, მესხებს ეთნიკური სახე ერთნაირი ჰქონდათ, რა სარწმუნოებისაც არ უნდა ყოფილიყვნენ

ისინი. საერთო ჰქონდათ ცხოვრების წესი, გენეტიკა და, რაც მთავარია, ენა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) წერდა მესხეთის მოსახლეობის შესახებ: „მემკვიდრენი არიან მართლ-მადიდებელნი, კათოლიკენი, მაგრამ ყოველთაგან უფრო შემცირებულნი; სომეხნი, მაჰმადიანნი, თარაქამნი, ქურთნი, ბოშანი და მისთანა შემორეულნი გვარნი ძირითად მცხოვრებთ ბევრით სჭარბობენ. როგორც ძველნი მცხოვრებნი ყოველნაირად ზნეობაში თუ ჩვეულებით ქართველთაგან არ განირჩევიან და ხანდისხან აღმოაჩენენ უაღრესობასაც. აგრეთვე გარეშე შერეულნი ყოვლითურთ განსხვავებულ არიან მათგან დღე-ღამესავით. **ქართული ენა პირველ პატივებაში მიღებულია კიდევ.** შემდგომ: თათრული, სომხური, ქურთული, ჭანური“.

მე-19 საუკუნეში კიდევ ერთი სინონიმი გაუჩნდა მესხეთს – „ოსმალეთის საქართველო“. ეს ტერმინი დატრიალდა ქართულ ინტელიგენციაში. ვის, ვის და ილიას უნდა ეთქვა თავისი სეფე სიტყვა ოსმალეთის საქართველოზე, მაჰმადიანობაზე და ქრისტიანობაზე. იმაზე, რომ ისტორიის ერთიანობა ფუძეთა ფუძეა ერისა, რომ წარსულმა უნდა უკარნახოს თითოეულ ერს, თუკი ის ენას დაკარგავს, სარწმუნოებას შეიცვლის და იწყებს ასიმილაციას, მისი მომავალი, სწორი და ერთადერთი მომავალი: „თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალობა, მიმხედველობა იმდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენა და ოსმალეთის საქართველო... გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია“. ილიას დროს 1877 წელს „იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ... რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმლად აღიარებს ქარისტიანობასო“...

ილიასთვის რაც იყო სარწმუნოება, საყოველთაოდ ცნობილია. ასევე დიდ პატივს სცემდა იგი სჩვის რწმენას. მესხეთის მაჰმადიანებს ძმებს უწოდებს და მათს სარწმუნოებას პატივით მოიხსენიებს. მესხები „ძლუნად თავსა თ;ესსა“ არ სწირავდნენ ოსმალეთს. ისტორია იყო ამის თავდები და ილიაც გულისტკივილით წერდა: „მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი“.

მთელი თავისი ისტორიით ქრისტიანობისთვის „სისხლდანთხეული“ საქართველო დიდ მსხვერპლს იღებს სხვა სარწმუნოებისთვისაც. ასეულ ათასები მაჰმადიანდებიან და საბოლოოდ... საბოლოოდ მწარედ უბრუნდება ქვეყანას რწმენაშეცვლილი საკუთარი სისხლი. ყველა გვერჩოდა და გვაყვედრიდა ჩვენს ქრისტიანობას, თითქოს ქართველობის მტერი არ კმაროდა და ქრისტიანობის მტერიც საქარ;ველოს მოსისხლედ იქცა. ასე გადაგვემტერა მთელი დანარჩენი სამყარო. კიდევ კარგად გადავრჩენილვართ. არა და... „ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებოდეს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში პოულიბდნენ მშვიდობის სამყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას“ (ილია).

მესხეთის მაჰმადიანობა ადვილად არ ელეკა დაკარგულ რწმენას, არ ითქვიფება დანარჩენ ერთმორწმუნე, მაგრამ სხვა თესლში, არ მისცემს ქალს და თვითონაც არ მოიყვანს. ერთად ყოფნა და ერთად ცხოვრება ისევ თანამოძმესთან ურჩევნია. ამის ნათელი მაგალითია მეოცე საუკუნის დასაწყისის შესანიშნავი ძეგლი — სოფელ უდის ტაძარი, რომელიც მთელ ხეობაში შორიდანვე მოჩანს, გამოირჩევა მასშტაბურობით. ძეგლი ძეგლად, და 1909 წელს აშენებული ეს ტაძარი მაშინდელი მესხების, მაჰმადიანი და კათოლიკე მესხების ერთობის, შინაგანი ძახილის, სულის ზეობის ნაღდი ძეგლიც არის. ძე-

გლის ძეგლი კი ტაძრის ორი წარწერაა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე. აი, ისინიც. სამხრეთის წარწერა:

„უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელნი ამა საყდრისა. მაჰმადიანები — 520 სული, ტომით ქართველნი“.

ჩრდილოეთის წარწერა:

„1901 წ. აღშენდა 1909 წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ-ქართველებმა 272 მოსახ. კათოლიკებმა“.

ქრისტიანულ საყდარს აშენებს მაჰმადიანი მე-20 საუკუნის დასაწყისში. ჩვენი ერთობის ნატვრის ტაძარიც ეს არის. ასეთი ტაძრები კვლავ უნდა აშენონ ერთად მაჰმადიანებმა და ქრისტიანებმა.

...მაგრამ, კვლავ მაგრამ, ისევ ისტორიული სისხლი და მტრობა. კვლავ აირია ქვეყანა. 1918 წელს ღვთის ანაბარად მიტოვებულ მესხეთს მოაწყდა ოსმალეთი. აიშალა ადგილობრივი მაჰმადიანობა, ამოუდგა მოძალადეს მხარში, იფეთქა კარის მეზობლობის, ღობის იქითა წყენის მცირე ღვარძლმა და დაერივნენ ერთმანეთს ქრისტიანი და მაჰმადიანი. სისხლი ღვარად დიოდა. გაიქცა ქრისტიანი მოსახლეობა. ბევრი მწარე მაგალითი გაახსენდება ამ ამბის ჯერ კიდევ ცოცხალ მომსწრეს. რამდენმა დედამ შვილი დააგდო იმისათვის, რომ მეორე მაინც გადაერჩინა. რამდენია 1918 წელს ბაკურიანის ტყეში დაბადებული, საკუთარ პერანგში რომ გაუხვევია დედას. იყო კალო და ადამიანთა ლეწვა, იყო საბძელში დაწვა ხალხისა, ბევრი რამ იყო...

იმ დროს მარტო მტრობა არ ყოფილა, ბევრი სიკეთეც ახსოვთ ძველებს. რამდენმა მაჰმადიანმა შეიფარა ქრისტიანი თანამოძმის ოჯახი, საქონელი, ნივთები. რამდენს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს თავგანწირვა.

მერე კი... მერე ისევ ერთად ყოფნა, ნაკერალზე დაბრუნება. ისევ დოსტობა და ნათლიობა. როცა ეგონათ, ახლა მაინც დაიჯერებენ ჩვენს ქართველობასო, ყველაზე მძიმე რამ მაშინ მოხდა. ქართველ მაჰმადიანებს მისცეს არაქართული სკოლები. სარწმუნოებრივი წინააღმდეგობა ენობრივში გადაიზარდა.

მეოცე საუკუნე ახალ გამოცდას უმზადებდა მესხებს. მაჰმადიანთა ფანატიკურად განწყობილ ნაწილს და განსაკუთრე-

ბით არაქართველებს, რომლებშიც აურიეს ქართველებიც, ბრალად სამხრეთის საზღვრების ღალატი დაედო. ეს მთლად „ღალატი“ არც იყო. ჯავახისათვის ან, ვთქვათ სამცხელისათვის არტაანში წასვლა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ახალციხეში სტუმრობა. ტრადიციულად, სამხრეთ საქართველო განუყოფელი იყო. მექანიკურად დაშორიშორებულმა მესხეთის პროვინციებმა (ჩვენს საზღვრებში დარჩა სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთის ნაწილი, ხოლო დანარჩენი — კლარჯეთი, სავშეთი, ტაონი და სხვა თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა) არალეგალურად გააგრძელეს კავშირი. ალბათ, ეს შეიქნა საბაბი იმისა, რომ მესხეთის მაჰმადიანები გაასახლეს შუა აზიაში 1944 წელს. ეს ისტორიული კავშირი ერთი მხრივ და XIX, XX საუკუნის არასწორი აგიტაცია მაჰმადიანთა „თათრობაზე“ განსაზღვრავდა თვით მესხთა შორის არაქართული მიმართულების ჩამოყალიბებას. ერუშეთის (ნიალა-ბუზმარეთი-საყევარი) ზონის მაჰმადიანებმა ბევრად ადრე დაკარგეს ქარისტიანული სარწმუნოება, ვიდრე ბარის - ქვაბლიან-მტკვრის ხეობათა მკვიდრებმა. ამიტომ მათთვის ეროვნული თვითშეგნება ნულამდე დაეცა. მაინც ფეთქავდა რაღაც და ამ რაღაცის რეალიზაცია იყო „მესხობა“.

მაჰმადიანთა გასახლებას მოჰყვა ერთი შედეგი. ისინი უფრო მეტად გაერკვნენ საკუთარ სულში, ცხოვრების წესში. სხვა ეროვნებების გვერდით ცხოვრებამ მათთვის ნათელი გახადა, რომ სარწმუნოების ერთობა არ ნიშნავს ეროვნების ერთობას.

კვლავ ილიას დავიმოწმებ:

— „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატრიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი“.

*1988 წელი.*

# კავკასიელი თურქები?

1988 წლის 4 მაისის გაზეთ „იზვესტიაში“ ჩინგიზ აითმათოვმა გამოაქვეყნა წერილი "Подрываются ли основы?.." რომელიც მრავალხრივაა მნიშვნელოვანი.

ჩინგიზ აითმათოვი ამ წერილში ისეთ პრობლემებს წარმოაჩენს სტალინთან დაკავშირებით და ისეთი მწერლური არგუმენტაციით გამოირჩევა, რომ შემთხვევით, რა თქმა უნდა, არაფერი გაეპარება. ავტორი გამოყოფს „ისტრიბიტელურ“ სტალინურ გადასახლებებს ომის ბოლო წლებში ისეთი ხალხებისას, როგორნიც არიან: ჩეჩნები, ინგუშები, კალმიკები, ყარაჩაელები, ყირიმელი თათრები, ქურთები და, მათ შორის, *კავკასიელი თურქები.*

ყველა ჩამითვლილი ეროვნება ცნობილია. ვიცით, ვინ არიან ჩეჩნები, ინგუშები და სხვანი, ვინც გადაასახლეს ომის ბოლო წლებში. ხალხთა ყოველგვარი გასახლება, არაბუნებრივი მიგრაცია მიუღებელი, არაადამიანური აქციაა. ქართველებს ამით ვერავინ გაგვაკვირვებს. მთელი ჩვენი ისტორია მაგალითია, თუ როგორ გაასახლებდნენ ხოლმე ქართველებს და მათ ადგილზე ჩამოასახლებდნენ სხვა ტომის ხალხს.

ვინ არიან ეს კავკასიელი თურქები, რომელთაც გამოესარჩლა აითმათივი და შემდეგ სხვებიც. თურქები თურქეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. თურქთა რელეგია ისლამია (სუნიტური).

ახლა მოკლედ ე.წ. კავკასიელი თურქების შესახებ:

1893 წელს გამოვიდა ამიერკავკასიის მოსახლეობის სტატისტიკური დავთარი 1886 წლის მონაცემების მიხედვით- "Сводъ статистическихъ данныхъ о населеніи Закавказского края узлеченныхъ из посемейных списковъ 1886 г"

გამოცემა სანდო და კომპეტენტურია изданъ по распоряженію Главноначальствущаго гражданскою частю на Кавказъ закавказскимъ статистическимъ комитетомъ. Тифлисъ, 1893 г.

ეს დოკუმენტი იმითაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მასში აღრიცხულია კომლების რაოდენობა, ცალცალკეა

აღწერილი ქალები და მამაკაცები. მითითებულია ეროვნება, სარწმუნოება...

1893 წლის დოკუმენტის მიხედვით, ჯერ კიდევ არ არის სარწმუნოება გადამწყვეტი და მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ქართველებად აღიწერება.

დღევანდელი ადიგენის რაიონის ისეთი სოფლები, საიდანაც შემდეგში გაასახლეს მოსახლეობა, როგორც „თათრები“, 1893 წელს ქართველებია. აი ეს სოფლები თუ ნასოფლარები: აფიეთი, არძნე, ბოლაჟური, ღაღვი, გოდერძი, გორთუბანი, გუგუნაური, დერცელი, ზანავი, ზარზმა, ზედუბანი, კეხოვანი, მლაშე, მოხე, ნამნიაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უტყუსუბანი, ციხისუბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი.

ახალციხის სოფლები და ნასოფლარები: სოფ. ვალე, კოპაძე, ორფოლა, საკირე, საყუნეთი, ტაძრისი, თისელი, ტყემლანა, წინუბანი, წოხტევი, წრიოხი, ბოგა, გიორგიწმინდა, ზეუბანი, კლდე, მიქელწმინდა, მუგარეთი, ფერსა, სვირი, წნისი, ჩოხტა, შურდო, აბი, ზიკილია. ამას დაემატა ზედა და ქვედა ოშორა, ხერთვისი, შვიდრევანტა ასპინძის რაიონიდან და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი სურათია ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოსათვის. ეს ის სოფლებია, რომელთა შთამომავლებს უწოდებს ჩინგიზ აითმათოვი კავკასიელ თურქებს, რითაც უპირისპირებს ერთი წარმომავლობის, გენის, ეთნოსის, მაგრამ სარწმუნოებრივად განსხვავებულ ქართველებს ერთმანეთს.

ზემოთ დასახელებული დოკუმენტის მიხედვით ქართველები, რომლებიც მაჰმადიანები არიან, შეუყვანიათ სარწმუნოების მიხედვით „სხვა სარწმუნოების“ გრაფაში, რადგანაც ისინი აღარ იყვნენ მართლმადიდებლები (საამისო გრაფა, რა თქმა უნდა, ცალკეა), მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან „თათრები“.

ნაწილი მესხეთის ქართველობისა ადრე გამუსლიმდა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო გზისპირა ცენტრებს, შედარებით ოსმალეთთან ახლო მდებარე პროვინციებს. მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე რენეგატი ფეოდალების პირად ინ-

იციატივას. ხშირად ისინიც აჩქარებდნენ კუთვნილ მამულში მცხოვრებთა გამაჰმადიანება – „გათათრებას“.

წარმოვადგენთ გასახლებისდროინდელ სურათს ასპინძის რაიონში. ზემოთ დასახელებული 1893 წლის დოკუმენტის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, ნაწილი მაჰმადიანი ქართველებისა ჯერ კიდევ ქართველებია, ნაწილი კი, დანარჩენი გამაჰმადიანებული ქართველებისა, შეტანილია გრაფაში “Татары“. ამავე გრაფაში მოქცეულია თარაქმები, რადგან ისინი ცალკე არ გაუმიჯნავთ. ქურთები აღწერილია მირაშხანსა და ნაქალაქევში.

ასპინძის რაიონში 1944 წლისათვის, ე.ი მაშინ, როდესაც მაჰმადიანები გადაასახლეს, მაჰმადიანთა შემდეგი ეთნიკური სახე შეიძლება წარმოვადგინოთ. უკვე აღარც ზემო და ქვემო ოშორის, აღარც ხერთვისის და შვიდრევანტის მოსახლეობა ქართველებად აღარ ითვლება, განსხვავებით ზემოთ დასახელებული 1893 წლის გამოცემისგან. ისინიც შეუერთდნენ ადრე გამაჰმადიანებულ ქართველებს და იწოდებიან ერთი საერთო ტერმინით „იერლი“. იერლი ადგილობრივის მნიშვნელობით მიჯნავდა ქართველ მაჰმადიანს სხვა დანარჩენებისაგან.

იერლი (გამაჰმადიანებული ქართველი) ცხოვრობდა ასპინძის რაიონის შემდეგ სოფლებში: აგარას (მართლმადიდებლების გვერდით), ნიალას, გავეთს, ვარნეთს, ქუნცას (ქრისტიანებთან ერთად), აწყვიტას, ტოლოშში (ქრისტიანებთან ერთად), ნარმანში, გელსუნდაში, მარგასტანში (დღევანდელ თმოგვში), ხერთვისში, შვიდრევანტას, ალჯვაში, კვარშაში, თოკში, ერკოტაში (ქრისტიანებთან ერთად), ზედა ვარნეთში, საყუდაბელში, ორგორაში, ახაშენში (ქრისტიანებთან ერთად), ღობიეთში, ზველში (ქრისტიანებთან ერთად) ჭობარეთში (ქრისტიანებთან ერთად), იდუმალაში, ლაშხევში, ყამზაში, ინდუსაში, ზედა და ქვედა ოშორაში, ასპინძაში.

1893 წლისათვის ასპინძის რაიონში ქურთები სახლობენ ორ სოფელში – მირაშხანსა და ნაქალაქევში. 1944 წლისათვის ისინი სხვაგანაც დასახლებულან, კერძოდ ანაკეთში, ზედა ვარძიას და თმოგვში. ეს დღევანდელი თმოგვი არ არის. ქურთების სოფელი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა

ნაპირზე, თმოგვის ციხის ძირას. ნასოფლარი დღესაც ემჩნევა. ანაკეთიც ზედა ვარძიაც და თმოგვიც მცირე მიწიანი ადგილებია და იქ მხოლოდ რამდენიმე კომლი სახლობდა. როგორც ჩანს, ისინი ნაქალაქევიდან და მირშხანიდან გავიდნენ ცალკე.

ღირს ალბათ აღნიშვნა იმისა, რომ ზედა ვარძიაში მე-10 საუკუნის ტაძარი დგას, რომ დღევანდელი ვარძია მემატიანის თქმით ზედა ვარძიის „მიცვალებით“ (ნაცვლად) აშენდა და ა.შ ესეც ისტირიული ნონსენსია...

ასევე ნაქალაქევი ანტიკური ქალაქის წუნდის ადგილზე წარმოიქმნა VIII საუკუნეში. სახელიც სწორედ ამიტომ ეწოდა - ნაქალაქევი. აქ ქურთები გამოჩენილან მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ქურთები რომ თურქები არ არიან, გასაგებია. ასე რომ, კავკასიელ თურქებად ქურთების ჩათვლა მიზანშეუწონელია. ენობრივად ქურთები ირანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ქურთები, რომლებიც მესხეთში ცხოვრობდნენ კარგი ცხოვრების გამო არ მოსულან. ისინი ლტოლვილთა ჯგუფებად მოევლინენ საქართველოს. მესხეთშიც ჩნდებიან მომთაბარე ქურთები და თანდათან ემკვიდრებიან. ქურთები და იერლი მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ, გამიჯნული იყვნენ, სარწმუნოების ერთიანობა ეროვნების ერთიანობას არ ნიშნავდა არასოდეს.

თარაქმები ცხოვრობდნენ ფანაქეთში, ქარზამეთში, არდახში, ვანში, ბუზმარეთში, ალანძიაში, ოთაში, ყოინდარში, მოიდოღლში, ბაზირხანში. როგორც ვხედავთ, ისინიც აფსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ სოფელთა უმრავლესობა ტრადიციული სოფელი არ არის და მისი მოსახლეობა მეტად მცირე იყო. მაგალითად, იმავე 1893 წლის დოკუმენტის მიხედვით ალანძიაში 7 კომლი ცხოვრობს, ბაზირხანაში – 14, ბუზმარეთში – 13, ვანში 16 , გავეთში 16 და სხვა. მაშინ, როდესაც იერლი ზედა ოშორაში 83 კომლი ცხოვრობს, ქვედაში – 56. ხერთვისში – 224 და სხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბაზირხანა, მოიდოღლი, ყოინდერა ახალმოსულთა დარქმეული ახალი სახელებია, ხოლო

ბუზმარეთი, ვანი და გავეთი უძველესი ქართული სოფლებია, ქართული სახელებით და ეკლესია-მონასტრებით, რომლებიც ძველ დოკუმენტებსა და წყაროებში მოიხსენებიან.

ვფიქრობთ, სურათი ნათელია. ასპინძის რაიონის მაგალითი ნიშანდობლივია დანარჩენი რაიონებისათვის.

სულ ახლახან კი საკავშირო ტელევიზიამ სადირექტივო მითითებები გასცა ამ „თურქთა“ ცხოვრების მოწესრიგების თაობაზე, მათი სამშობლო - მესხეთში უკან ჩასახლებაზე. საკავშირო ტელევიზიის წამყვანის მოლჩანოვისათვის მესხეთი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ უბრალო სახელია საქართველოს ერთი კუთხისა, სადაც შეიძლება შეასახლო, ვინც გინდა და თუ საჭირო იქნება, გამოასახლო, ვინც მოგესურვრბა. ასეთი მიდგომა საქართველოს ამ კუთხისადმი „არ ახალია, ძველია“. ვინ არიან ის „თურქები“, რომელნიც ოსტანკინოს შემოჰხვევიან და თავიანთ „საუკუნის წინანდელ სამშობლოს“ ითხოვენ. მამა-პაპათა ნაოფლარს ითხოვენ? რომელი თურქის აშენებულია ჭულევი, ზარზმა, საფარა, აწყური, ხერთვისი, თმოგვი, ვარძია, ვანის ქვაბები, კუმურდო, გავეთი, ხოსპიო, განძა, საღამო, სამსარი და მრავალი სხვა ისეთი ძეგლი, ნებისმიერი ქვეყნის კულტურას რომ დაამშვენებდა. მესხეთის (სამცხე — ჯავახეთის) კულტურის ძეგლები რამდენიმე ასეულს აჭარბებს.

მაშ ვინ არიან და სად არიან თურქები? ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული 1893 წელს გამოსული დოკუმენტი კიდევ ერთი რამით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში მესხეთის მოსახლეობის აღწერის დროს მითითებული არ არის არც ერთი თურქი. როგორ ვიფიქროთ, რუს მოხელეებს გამორჩათ თურქები, თუ ურევდნენ ერთმანეთში თათრებსა და თურქებს? ასეთი რამ გამორიცხულია. ე. ი. ეს იმას ნიშნავს, რომ მესხეთში თურქები არ ცხოვრობენ. ყოველგვარი ადმინისტრაციული მმართველობა ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ქართველებზე იყო დამყარებული. აი, ეს მაჰმადიანი ქართველები და მათთან ერთად რამდენიმე ქურთი ან თარაქმა თურქობენ დღეს. რამ მიიყვანა ისინი აქამდე?

ვინ არის დაჩაგრული, დარბეული და საით მიექანება ეს აგიტაცია, საითკენ არის გამიზნული ყოველივე, რამაც შექმ-

ნა არარსებული ტერმინი „კავკასიელი თურქი“. რამ გამოიწვია ჯერ მე-19 საუკუნის ბოლოს და 1944 წლისათვის მესხეთის იმ სახის ჩამოყალიბება, რომელიც ჩვენ დავხატეთ?

მე-16 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაფორმდა სამცხე-საათაბაგო გურჯისტანის ვილაიეთად, მესხეთის მოსახლეობა მთლიანად ქართულია. მოვიყვანთ დოკუმენტს. 1595 წელს იმ სოფლებში, სადაც მე-20 საუკუნისათვის „იერელი“ ცხოვრობდა, ცხოვრობენ ოჯახთა შემდეგი უფროსები: სოფ. ყამზა: ოქრო, ლომინა, ბაინდურ, ბადურა, დავითა, იოსებ, საძარა, იანვარა, ხახუტა, გოგოლა, ვარძელი, ლომსა, თევდორე, ხარება, მაცაცა, გიორგი, პავლე, თარალა, ლონგულა და სხვა (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, თარგმ. ს. ჯიქიასი, წიგნი II, 1941, გვ. 139).

სოფელი იდუმალა: ბადუჩა, კოჭლა, პაპუნა, იარალი, მამუკა, ბატატა, გრიგოლ, მახარა, აღდგომელა, პავლია, თევდორე, ნოდარა და სხვა.

სოფელი ინდუსა: ვარძელ, შოთა, ბედანა, შივაშ, გრიგოლ, მახარობელ, აღობა და სხვა (იქვე, გვ. 140).

სოფელი ვარნეთი: სამაგულა, ჯიმშერი, პაპუნა, ვარძელ, გოგოლა, მირზა, მასურა, პავლია და სხვა (იქვე, გვ. 141.

სოფელი ზემო ოშორა: რომანოზ, ფარნაოზ, კაკა, მაზანა, ზალია, გალობელი, გოგიჩა, ელია, ამზია, მაცაცა, მიქელა და სხვა... (იქვე, გვ. 143).

სოფელი ქვემო ოშორა: იოსებ, მახარა, მახარებელ, ვარძელ, ნათენა, მამისა, კვირიკა, ბადრი, ხელა და სხვ...(იქვე, გვ. 144).

...და ასე შემდეგ, დაუსრულებლად შეგვიძლია მოვიაროთ მე-16 საუკუნის მესხეთი და ამოვწეროთ ის წინაპრები, ვინც სისხლითა და ოფლით მოიტანეს სამშობლო. სხვათა შორის, დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მივუთითეთ, ოსმალების მიერ არის შედგენილი. ოსმალო მოხელე თავისი მიზნისთვის, საგადასახადო საქმის უკეთ მოგვარებისათვის აღწერდა მესხეთს და შთამომავ-ლობას ძვირფასი წყარო დაუტოვა მაშინდელი ქართველების შესახებ. ჯერ არც ქურთები ჩანან, არც თარაქმები, ისინი მოგვიანებით მოვლენ

მე-18 საუკუნე... კვლავ ქრისტიანია მესხეთი. გამუსლიმებულია მხოლოდ მაღალი წრე (ვახუშტი), რენეგატი ქართველობა, რომლისთვისაც სულ ერთი შექმნილა ენა, რჯული, სარწმუნოება.

იქნება ღირდეს გასახსენებლად ერთი ფაქტიც: სულხან-საბა ორბელიანს მეორე ცოლად მოჰყავს ათაბაგის ასული. ორბელიანი, რომ სხვა სარწმუნოების მეუღლეს არ შეირთავდა, ნათელია. როგორც ჩანს XVII საუკუნის ბოლოს თვით ფაშის კარიც კი არ არის ბოლომდე გამუსლიმებული.

ოსმალეთმა დაიწყო მესხეთის ქართული სახელმწიფო მმართველობის მოშლა-გამაჰმადიანება. მეფის რუსეთმა დასრულებული სახე მისცა ამ პროცესს და მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების პოლიტიკა მესხების მიმართ კვლავ მათ წინააღმდეგ გამიზნული აღმოჩნდა. ქართველ მაჰმადიანებს არ მიეცათ ქართული სკოლა. პროცესი დასრულდა.

აი, ვიან არიან ე.წ. *კავკასიელი თურქები!*

უფრო კონკრეტულად: სარწმუნოების შეცვლას ზოგ შემთხვევაში გვარის შეცვლა არ მოჰყვებოდა ხოლმე. ამიტომაც არის, რომ მაჰმადიან მესხთა შორის ჯერაც არიან ქართული გვარის მატარებელნი.

დღეს სწორდება სტალინის შეცდომები. გასახლებულთა ნაწილი უკან ბრუნდება. არის კი ეს მხოლოდ სტალინის შეცდომები, თუ ისტორიის ტიპური გამიზნული „შეცდომებია". ვინ გაასწოროს მეფის რუსეთის „შეცდომა", როდესაც სამხრეთ საქართველოში არაერთი სხვა ტომი შემოასახლეს ქართველთა აყრა-გადასახლების შემდეგ, რამაც გამოიწვია ამ მხარის ეთნიკური სიჭრელე?!

დღეს ისინი ჩვენი მეზობლები და მეგობრები არიან, მაგრამ ხომ არის ისტორია, ისტორიული სიმართლე, რაც ჩვენც უნდა ვიცოდეთ და იმათაც და დღეს ხომ ის დრო დადგა, როცა სიმართლის მოურიდებლად და ბოლომდე თქმა შეიძლება.

ვინ გაასწოროს სპარსეთისა თუ ოსმალეთის „შეცდომები", როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მომთაბარე ტომებს შემოასახლებდნენ და დღეს მათი შთამომავალნი იზრდებიან და მრავლდებიან საქართველოში. იქმიან ისტორიას,

ლამის წარმართობის დროს მოსულად გამოაცხადონ თავი. ვინ გამოასწოროს ქვემო ქართლის დაღუპული თუ გასახლებული ქართველობის ადგილას ჩამოსახლების „შეცდომები“.

ასე „შეცდომით“ მოსული შესაბამისადაც უნდა იქცეოდეს, პრეტენზიებიც იმაზე მეტი არ უნდა ჰქონდეს, რაც ბედუკულმართობის გამო სხვის სამშობლოში დამკვიდრებულს ეკადრება. არც ამა თუ იმ რეგიონში მკვიდრი ერის რაოდენობრივი სიმცირე უნდა აძლევდეს ვინმეს საბაბს ზედმეტი, ზოგჯერ გამაღიზიანებელი ამბიციებისათვის.

რა ქნას ქართველობამ. ვინ გაასწორებს იმ დიდ შეცდომებს, რომელიც სულ უფრო და უფრო ხშირდება ამ ორასი წლის განმავლობაში და ფიზიკურ გადარჩენას კი ყოველ წუთს ვამადლით ჩვენს საკუთარ თავსა და მიწას?

დღეს მაჰმადიან მესხებს მთლიანად თურქულ-აზერბაიჯანული სახელები ჰქვიათ, მაგრამ ეს პროცესი ახალია. „ეთნიკური პროცესების თვალსაზრისით საყურადღებო უნდა იყოს ამონაწერი სოფ. კლდის საოჯახო სიებიდან (მე-19 საუკუნის ბოლო მ. ბ.) აქ გვხვდებიან: „რაჯამ ბიძინ ოღლი ტატიძე“ და „ხალილ ბიძინ ოღლი ტატიძე“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ მაჰმადიანებში ჯერ კიდევ იყო ტრადიცია ქართული სახელების დარქმევისა. ჩანს სოფ. კლდეში გამაჰმადიანება-გათურქების პროცესი შედარებით ახალი დაწყებული იყო“ (რ. თოფჩიშვილი).

გვარსახელოშეცვლილი კი არა ენადაკარგული მესხისთვისაც სამშობლოს განცდა და შეცნობა კვლავ ქართული იყო. ენას შეელია მაჰმადიანი მესხი, სარწმუნოებას შეელია, ყველაფერს შეელია, ოღონდ ისტორიას ვერ შეელია, *რუსთაველს* ვერ შეელია. იმდენად იყო გაღმერთებული რუსთაველი მესხეთისათვის, რომ მასზე ქართული ლოცვა თურქული სიმღერით შეიცვალა. ამის ნათელი მაგალითია ილია მაისურაძის მიერ ახალციხეში 1937 წელს ჩაწერილი თურქულ ენაზე ნამღერი ლექსი, რომელიც სერგი მაკალათიამ 1938 წელს გამოაქვეყნა წიგნში „მესხეთ-ჯავახეთი“. თურქულენოვანი მესხებისთვისაც და სხვა მესხებისთვისაც მოვიყვან ამ ლექსს ორივე – თურქულ და ქართულ ენაზე. თარგმანიც,

რადგან იგი იმავე წიგნშია დაბეჭდილი, როგორც ჩანს, მთქმელს ეკუთვნის, ჯავახ გედევან (გეთმან) ყარელიშვილს:

„ბირ ზამანდა ვარიდი შაჰმაზ,
ყოინიმუზდა ბულუნმიერ შაიმეზე,
ბირ ზამანდა ვარიდი ფადიშაამიზ,
ბუაქსი გურჯისტან ერეკლე ხანა და ყალმადი
ყალხ, იუხიდან, ოან რუსთაველი შოთა
ალიმიზიდან გეთტი ასპინძა, ოთა,
ბირ დრამ დარდიმიზ ჩიხტირინგუნა
დუენოულ ასირ ბირ ზამანა ყალმადი...“

თარგმანი:

„ერთხელაც გვყავდა მეფე,
უბეში არ გვქონდა სიმდიდრე,
ერთხელაც გვყავდა მეფე,
ძველი საქართველო ერეკლე მეფესაც არ შერჩა.
ადექ, გამოფხიზლდი, რუსთაველო შოთა,
ხელიდან წაგვივიდა ასპინძა, ოთა,
ერთი წვეთი დარდი გახდა ათასი ფუთი,
შეტრიალდა ხანა, ერთ დროებაზე არ დარჩა“.

ვფიქრობთ, მართლაც საჭირო არ არის კომენტარი. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მაჰმადიან მესხებს ამოცლილი ბოლომდე ეროვნული სული, რომელიც ბოლოსდაბოლოს ამოაცალეს.

ახალციხის მაშინდელმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა სამეცნიერო ექსპედიციები მოაწყო მესხეთში 1937-1940 წლებში. ამ ექსპედიციათა ანგარიშებში ნათლად არის ასახული მაჰმადიან მესხთა ყოფა. მათი ენა ქართული ენის მესხური დიალექტია. სარწმუნოებით განსხვავებულ ქართველთა მეზობლობა ბევრგან ენობრივში არ იყო გადაზრდილი.

„ქართველი მაჰმადიანი“ ჩვეულებრივი ტერმინია სამუშაოდ მეცნიერთათვის. „ამ ხეობის მარცხენა ფერდზე, ე.ი. ზველის ძირში, მტკვრის უშუალო ნაპირზე ორი სოფელია გაშენებული, ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული - ონღორა და სახუდაბელი“ (ხელნაწერი № 100, გვ. 116). „სოფ. შურდოში ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები. გვარები: ჭარელიენი, გორელიენი, ცაცალიერნი, კატუნიენი (კატუნაშვილი), გუჯარიელნი (=გუჯარელი) და სხვა“ (იქვე, გვ. 71).

ან კიდევ: სოფ. ბოგა. „აქ ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 96 კომლი. შენახული აქვთ ქართული ენა. გვარები: ზაუტაძე, სარალიძე, ჩიხლაძე, ჩომაყიძე, ლოლაძე, ცევაძე, კოჭოძე, მეწყარიძე და სხვა“ (იქვე).

ერთ ამონაწერსაც მოვიყვანთ: „სოფ. სვირში ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები (ლაპარაკობენ ორ ენაზე თათრულ-ქართულზე): ვარდიაშვილები, კავთელაშვილები, ყაყუნაშვილები, ბერძენიშვილები, ბახტაძეები, ყელღერაშვილები, პაპლოშვილები, პაპიაშვილები, მჭედლიშვილები“ (ხელნაწერი № 4443).

აი, ესენი იქცნენ შემდეგ „თურქებად“ და დღეისათვის იმაზე გაბრაზებულები, თითქოს ქართველებმა დააკარგვინეს სამშობლო, თითქოს ქართველებმა გაასახლეს თავიანთი მიწებიდან, აღარ ქართველობენ. ჩვენივე საკუთარი სისხლი გვიბრუნდება „თურქად“.

მოვიყვანთ დოკუმენტს, რომელიც 1976 წელს შეუდგენია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მაშინდელ დირექტორს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ს. ხოსიტაშვილს. ქვემოთ ჩამოთვლილ მაჰმადიან ქართველთა გვარების შესახებ მასალები დაცულია ახალციხის სარაიონთაშორისო არქივსა და ახალციხის რაი სამხედრო კომისარიატის საბუთებში. სია სრული სულაც არა არის. მისი შევსება დღესაც შეიძლება თვით მუზეუმსა და რესპუბლიკის არქივში დაცული მასალებით. აი, ერთი ნაწილი ქართველი მაჰმადიანებისა, რომელნიც სამხრეთის შემდეგ რაიონებში ცხოვრობდნენ:

ადიგენის რაიონში: სოფელ მოხეში წულუკიძეები; ვარხანში ვახრამიშვილები; ბოლაჯურში სარაშვილები, ბალდოშვილები; ბენარაში - მღებრიშვილები; აბასთუმანში ულარჯიშვილები; ჭეჭლაში ერისთავები; ღორთუბანში გურგენიძეები, ერისთავები, უდეში - მოლოზნიშვილები, ხერხეულიძეები, ჩატყურაშვილები, აბულაძეები, პეტაშვილები, ბარათაშვილები.

ასპინძის რაიონში: სოფელ ასპინძაში დიასამიძეები, ზუბალაშვილები. ტოლოშში - თუთაძეები, წითლანაძეები. შალოშეთში - მაჩაბლები, ბერიძეები. ხერთვისში - აბაშიძეები, ვაჩნაძეები, ორბელიანები, ბალადაშვილები, შაქარა-

შვილები, წითურაშვილები. თოკში აბაშიძეები. რუსთავში ღარიბაშვილები. გელსუნდაში - ვაჩნაძეები. ოშორაში - ავალიშვილები, გონიაშვილები, ჭეჭოშვილები.

ახალქალაქის რაიონში: სოფელ გოკიოში სულაძეები, ვარძელაშვილები. ქილდაში - ხარშილაძეები, გოგალაძეები. ხოსპიოში ფალავანდიშვილები.

ახალციხის რაიონში: სოფელ აწყურში გოგოლაძეები, კოკოლაშვილები, ლომიძეები, მესხიძეები, მიქელაძეები, მამუკაძეები, ხმალაძეები, მურტაძეები, რუხაძეები, დოზიძეები, აბაშიძეები. წრიოხში გურგენიძეები. ტყემლანაში - ჩიკაძეები, კახიძეები, ტარანაძეები, ფუტკარაძეები. აგარაში კოპაძეები. წინუბანში გელაძეები, ქოცარაძეები, კუკუაძეები, ქოცაძეები;.გურკელში - გუმბერიძეები, ჩახაძეები. ზიკილიაში - ბუკურაძეები, ხეირაძეები, ხმალაძეები, გოგოლაძეები, ზურაბაძეები, კოტაძეები, მორაძეები, ნადირაძეები, გვარამაძეები, ჭინჭარაძეები. ფერსაში გელაძეები, სვანიძეები, ოქროაძეები, ზამთარაძეები, სვარაძეები, ჭალიძეები, ჩახალიძეები, რევაზიძეები, რევაზიშვილები, ასპანიძეები, ზასკაიძეები. მუგარეთში ბერიძეები, გემჩაძეები, გამარაძეები, ქოჩორაძეები, მამუკაძეები. წოხტევში - პაპალაძეები, ლომიძეები, ჩხეიძეები. ჩოხტაში კორკოტაძეები, სუდაძეები, კოტაძეები. გიორგიწმინდაში გოგოლაძეები, მაზმანიძეები, მეხბორაძეები, ჩილაძეები, მეხრიძეები, კვირიკაძეები, კოპალაძეები, ინასარიძეები, ჭონქაძეები, გვარამაძეები. შურდოში კოტანაძეები, ხარშილაძეები, ხმალაძეები, შუბლაძეები, მურადაშვილები. წნისში ბექოძეები, მეხრიშვილები. კლდეში - ბიძინაშვილები, გვარამაძეები, ტატიძეები, დიასამიძეები. ბოგაში გოგოლაძეები, კიჩუაძეები, მეცკორიძეები, სალარიძეები, ზაუტაძეები, ჩუჩულაძეები, ჩომახიძეები, ლოლაძეები, ჭიქიაშვილები, კისერბურდაშვილები, ძეხვიაშვილები, ზეთიაშვილები. ტატანისში წულუკიძეები, ბლიაძეები, მურადაშვილები, ჭუტაძეები, მეფურხიაშვილები. სვირში - ბახტაძეები, ბეთიაშვილები, ყუყუნაშვილები, მაისურაძეები, ბერძენიშვილები, კავთელაძეები, კორკოტაშვილები, გოგოლაძეები, ხიზანიშვილები, ვარდიაშვილები, კორიაძეები, ქიტუნაშვილები, კოკოლაშვილები, ყელღერაშვილები, ზეთიაშვილები, მოლიძეები, ცქვიტაძეები,

ფირიაძეები, ყორიაშვილები, ფოთოლაშვილები, ჩილაძეები, ჯულაძეები, პაპაშვილები. ჭვინთაში - მეგორაშვილები, თეთრაძეები, მელორიშვილები, გურაშვილები. ვალეში - აბულაძეები, ჩილაძეები, გოზალიშვილები, გელაძეები, დელაძეები, მერიოძეები, ბოჭორიშვილები, წურდაძეები.

წყორძაში - მახარაძეები. ტობაში თამარაძეები, ვარსკნელიძეები, ბებნაძეები, ნორღუაშვილები. ახალ სოფელში - ჩიკაძეები. თელვანაში - სეხნიაშვილები. ურაველში - ლურსმანაშვილები, ოქროპირიძეები, ხერხეულიძეები, ერემაშვილები.

კანტიეთში თაფლაშვილები. გიორგიწმინდაში (ურავლის ხეობაში) კაპანაძეები. ენთელში ანთაძეები, ხურციძეები.

მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ვასო ლომსაძის გადმოცემით ახალციხის ბევრ სოფელში ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართულ გვარებსაც ატარებდნენ. ეს სოფლებია: სვირი, ბოგა, ტატანისი, კლდე, შერდო, გიორგიწმინდა, ფერსა, მუგარეთი, წოხტები, ზიკილია, საყუნეთი, ჭვინთა და სხვა.

ტოპონიმები და გვარები მეტყველებენ, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ქრიატიანი იყო თუ მუსლიმი. ადგილის უძველესი სახელიც ქართველის დარქმეულია და ასევე საუკუნეების სიღრმეშია შექმნილი მათი ქართული გვარები.

გვარი ადამიანის ეროვნების ერთი აუცილებელი ნიშანია. ამიტომ ეგრე დაჟინებით აიძულებდა მეფის რუსეთი ქართველებს ჩამოეცილებინათ ტრადიციული ქართული დაბოლოებანი და დაემატებინათ რუსული -ოვ-ი. ბევრმა ეს გააკეთა, საამისო მაგალითების ჩამითვლა შორს წაგვიყვანს. ქართველი მაჰმადიანები მეფის რუსეთის ამ დაწოლას ძირითადად გადაურჩნენ, მაგრამ ვეღარსად გაექცნენ მე-20 საუკუნის, 20-30-იანი წლების არასწორ ეროვნულ პოლიტიკას. იერიშები ქართულ გვარებზე ასევე „არაბალია“. ამ გამიზნული პოლიტიკის მაგალითების დაძებნა არ გაგვიჭირდება. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გვარის ევოლუცია, თუ როგორ ხდება ქართული გვარის თანდათანობით ჩამოცილება. 1930-

იანი წლების ბოლოსათვის ტიპურია ასეთი გვარსახელები: მუხაშვილი მაკლუდ ალიოღლი, ომარაშვილი ალალია ასრათოღლი, ცეკვიაშვილი შაქირ საფარ ოღლი (ხელნაწერი № 1082). საინტერესო შემთხვევაა. გვარი, როგორც ვხედავთ, ქართულია, სახელი ჩვეულებრივ თურქული და მამის სახელი უკვე თურქული კონსტრუქციით არის წარმოდგენილი. თანდათან ჩამოსცილდა შემდეგ ქართული გვარი და დარჩა ასრათოღლი, საფაროღლი, ალიოღლი და ა.შ. ზოგმა ასე დაიტოვა, ზოგმა კი ოღლი ჩამოაცილა და გაიკეთა -ოვ-ინი დაბოლოება. ასე და ამგვარად თურქობენ დღეს ასრათოვები, საფაროვები, ალიევები და სხვანი.

იყო შემთხვევები, რომ ოთხ ძმათაგანს, ოთხივეს სხვადასხვა ეროვნება და გვარი ეწერა საპასპორტო მონაცემების მიხედვით.

დღეს არავისთვის, ვინც მაჰმადიან მესხებს იცნობს, მათთან ურთიერთობა ჰქონია, დამალული არ არის, რომ მათს პასპორტებში დიდი ამბით უწერიათ ყაზახი, აზერბაიჯანელი, თურქი, ყირგიზი, ზოგს - ქართველიც და თქვენ წარმოიდგინეთ - კავკასიელი (?).

სადაც მივიდნენ იქაური ეროვნება ჩაუწერეს მათ, ეროვნებით კი ისინი, ძირითადი ნაწილი გასახლებული მაჰმადიანებისა, ქართველები არიან.

ასეთი პასპორტიზაცია არანაკლები დანაშაულია, ვიდრე გადასახლება. კითხვა შეიძლება სხვაგვარად დაგვესვა. კი მაგრამ, თუ ყაზახია, აზერბაიჯანელი, ყირგიზი და სხვა, კავკასიელი თურქები როგორღა არიან, როგორღა აქვთ უფლება, დაბრუნდნენ უკან და იქცნენ თურქებად?

ყოველივე კი იმან გამოიწვია, რომ მაჰმადიან ქართველებზე, კერძედ მესხებზე წერა ჩვენში ტაბუდადებული იყო. სამაგიეროდ ძალიან აქტიურად მუშაობდა სხვა ქვეყნების რადიო, პრესა, მეცნიერები. სამწუხაროდ, საკავშირო ტელევიზიის წამყვანს მხარში ამოუდგა პრესაც. 8 სექტემბრის გაზეთ „ტრუდში“ კიდევ გაიელვა, რომ „კავკასიელ თურქებს“ შორის ქართველებიც ყოფილან. პიპინაძის წინაპრები ქართველები იყვნენ და შთამომავალმაც ამოიღო ხმა მორიდებით, ქართველი ვარო. თუმცა ეს მორიდებული ხმა მაშინვე

ცინიკურად ჩააკმენდინა ავტორმა. უფრო შორს წავიდა 14 სექტემბრის გაზეთი „იზვესტია“, სოლიდური, სერიოზული გაზეთი, ასევე სერიოზული პრეტენზიის სტატიით, რომ კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ დაკარგულ ეროვნებებს და აღვადგინოთ. სტატიის ავტორი რ. ლინევი მოითხოვს, რომ მესხ თურქებს ნუ მიაწერენ სხვა ეროვნებებს, რომ ყაზახისტანში თურმე დღეს მხოლოდ მესამედს უწერია პასპორტში თურქი და საჭიროა ყველას ეწეროს. ავტორს, რა თქმა უნდა, არ ესმის საკითხის ნამდვილი არსი და კვლავ საკითხის გაბუნდოვნების გზას ადგას. ასე გამიზნულად ადამიანის ისტორიულ სულში მძიმე ხელის ფათურით სრულდება საბოლოოდ ჩვენს თვალწინ პროცესი.

როგორც უკვე ითქვა, „კავკასიელ თურქთა“ აბსოლიტური უმრავლესობა მაჰმადიანი ქართველები არიან. იმის დადგენაც არ არის ძნელი ვინ არის ქართველი და ვინ არა. ალბათ ხელმისაწვდომი გახდება საარქივო სიები ყველასათვის. მეცნიერებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ თითოეული ოჯახისა და გვარის ისტორია. უნდა დაიხატოს რეალური სურათი, დაიწეროს ნამდვილი ისტორია. გაირკვეს მტყუანმართალი და მაჰმადიანი ქართველები, ანუ მაჰმადიანი მესხები არ უნდა იქცნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს მტრებად.

*1989 წ.*

# ხელოვნური ტერმინი - «ახალციხელი თურქები»

იძულებული ვარ ჩემი სტატია ციტატით დავიწყო: „1988 წ. ქართულ პრესაში ახალციხელი თურქების დაბრუნებისათვის ნებართვის თაობაზე დაიბეჭდა ინფორმაცია. „ლიტერტურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი მერაბ ბერიძე საუბრობს რა ახალციხელ თურქებზე, აღნიშნავს, რომ ისინი არიან ძალით გამუსლიმანებული ქართველები, ამასთანავე ამტკიცებს, რომ მათში კიდევ არსებობს ქართული ენა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს არის დიდი ტყუილი კონკრეტულად (ალბათ, დანამდვილებით — მ. ბ.) ვიცით, რომ ახალციხელ თურქებს ქართველობასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქართველები ძალით გაამუსლიმეს, მაშინ იქაური ბერიძეც უნდა გამუსლიმებულიყო, ამასთანავე ოსმალური ხელისუფლება არა მხოლოდ ახალციხეში, არამედ თბილისშიც ვრცელდებოდა... ოსმალებს ასე რომ სდომებოდათ, მთელი საქართველო გამუსლიმებული, გათურქებული იქნებოდა, ის ხომ ერთი მუჭისოდენაა. იქ ყველაზე საშინელი ტყუილია ის, რომ თითქოს მათში დაცულია ქართული ენა. ბერიძეებმა უნდა იცოდნენ, რომ ამგვარი ტყუილებით მხოლოდ თავიანთნაირებს, ქრისტიანული ფანატიზმით დაბინდულ ზოგიერთ დასავლელ ავტორებს თუ მოატყუებენ, საჭიროა საღი აზროვნება. თუმცა თვითონაც კარგად იცის, რომ ახალციხეში არასოდეს საუბრობდნენ ქართულად, არც იყო ამისი საჭიროება...“[1].

...ბატონი ბერიძე აგრძელებს რა თავის არაჰუმანურ აზრებს, ამბობს“...

ალბათ თავის შეკავება შეიძლებოდა, ბატონი იუნუს ზეირექი მხოლოდ პირადი შეურაცხოფით რომ დაკმაყოფილიყო და მთელ ქართველ მეცნიერებზე არ გამოეთქვა უცნაური აზრი: „ეს პროპაგანდისტები, რომლებსაც მეცნიერების არაფერი გაეგებათ და რომლებიც გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მათი სურათების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მედოლეებისა და მეზურნეებისაგან შედგებიან, თავიანთი

მტკიცებით „ეს სახელები ქართულია, ეს ძეგლები ქართულია“, საკითხში გაურკვეველ ხალხს გონებას უბნევენ“[2].

ჩემი აზრით, ამ სტილის სამეცნიერო ურთიერთობანი ჩვენ არ გამოგვადგება, ამიტომ ვეცდები ზოგიერთი გამარტებანი და დოკუმენტი შევთავაზო პატივცემულ მეცნიერს. ე.ი. საბოლოო ჭეშმარიტებისათვის აუცილებელია ორივე მხარის ნააზრევის გათვალისწინება.

მთავარია, რომ ბატონმა იუნუს ზეირექმა, რომელიც წერს მესხეთზე, როგორც თავად ამბობს, არის ამ მხარის შვილი, არ იცის, რა არის მესხეთი. საამისოდ მან მოიარა მეზობლები, ახლობლები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც „მხარის მოსახლეობას შორის გაუგია ვინმეს“, ამიტომ იძულებული შეიქმნა მიწერ-მოწერის საშუალებით გაერკვია ზოგი რამ მესხეთზე და მესხებზე. მივიდა პატივცემული მეცნიერი იმ დასკვნამდე, რომ ეს სიტყვა გამოგონილია და მასში რაღაც აზრი და მიზანია ჩადებული ახალციხელთა საზიანოდ და საწინააღმდეგოდ.

ამ გარკვევაში მას დაეხმარა პატივცემული პროფესორი კირზოღლუ მეჰმედეთ ფაჰრედინი, რომელმაც მოკითხვის წერილთან ერთად გამოუგზავნა თავისი რამდენიმე სტატიის ქსეროასლი და უკვე საკითხში „გარკვეულმა“ პატივცემულმა იუნუს ზეირექმა დაასკვნა: „არც მესხი, არც მესხეთი, ახალციხელი თურქები“.

ზემოთქმულის გამო, იძულებული ვარ ზოგიერთი ასეთ ფაქტებზე მივუთითო, რომელიც საყოველთაოდ არის ცნობილი და შევეხო მესხეთის ისტორიას და ახალციხეს. დავარწმუნო პატივცემული მეცნიერი, რომ მესხეთი და ახალციხე არ გამორიცხავს ერთმანეთს.

ჯერ კიდევ ძვ. წ. XII საუკუნის ასურული ლურსმნულ ტექსტებში მოხსენებული „მუშქების“ ქართული წყაროების „მესხების“ ბერძნულ-რომაული ტექსტების „მოსხების“ და ბიბლის „მოსოხ-მეშეხ“ სახელწოდებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და საერთოა მათი ეთნოგენეზისი[3]. ამ საკითხების შესახებ მეზობლებში გაკითხვა არაფერს მისცემს მეცნიერს, საჭიროა სხვა დონის კვლავაძიება. უძველესი დროის მესხები და მათი წინაპრები ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, სა-

დაც პატივცემული მეცნიერი იუნუზ ზეირექი და მეც ვცხოვრობდით. XIX საუკუნიდან მოყოლებული უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ბიბლიური მოსოხ-მეშეხი (მოსოხ-მეშეხი ნოეს სამ ვაჟთაგან ერთ-ერთის იაფეტის შთამომავალი იყო) იდენტურია ქართული მოსხებ-მესხებისა[4].

პატივცემულ მეცნიერს შევახსენებთ, რომ მესხთა შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ ჰეკატე მილეტელი (ძვ. წ. VI ს.), ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.), ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.), პალეფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IV ს.) სტრაბონი (ძვ. წ. I ახ. წ. I სს.) და მრავალი სხვანი.

აქედან მოყოლებული მესხები უდიდეს როლს თამაშობდნენ საქართველოს ისტორიაში.

პატივცემული მეცნიერი საერთოდ უგულვებელყოფს ქართულ წყაროებს, უფრო სწორად, არ იყენებს არავითარ ქართულ ცნობას ახალციხის შესახებ. იგი ბრძანებს, რომ ახალციხე „დედე ქორქუთში“ ნახსენები აკ-რიკა, აკ-ყალეა. არ იძლევა ქალაქის და „დედე ქორქუთში“ დადასტურებული სახელის ლოკალიზაციას. არ ითვალისწინებს იმას, რომ ქართულ ისტორიულ გეოგრაფიაში ახალციხე შედარებით ახალი სახელი ჩანს და იგი XI-XII საუკუნეებში ჩნდება. მანამდე მას ლომსია ერქვა ეს დადასტურებულია წყაროებით[5]. ახალი სახელის შერქმევა დაკავშირებულია ახალი ციხის მშენებლობასთან. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საქართველოში ახალციხე არ არის ერთადერთი ობიექტის სახელი. ახალციხე ჰქვია სამ დასახლებულ პუნქტს საქართველოს ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში. რაც პრინციპულად აყენებს ეჭვქვეშ აკ-სიკას, აკ-ყალესა და ახალციხის იდენტურობას. რაც შეეხება ახალციხისაგან მისი თურქული ვარიანტის ახსსკა‖ახისკა‖ახისხას მიღებას, ამის შესახებ ს. ჯიქიას დიდი ხანია აქვს თავისი მოსაზრება გამოთქმული[6], ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება ტერმინს — „თურქი მესხი“, ასეთი სახელის ეთნიკური ჯგუფი არ არსებობდა. იგი სულ ახალი წარმონაქმნია და შექმნილია მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან. მანამდე მათ უწოდებდნენ მაჰმადიან ქართველებს. ჩემი

გაოცება გამოიწვია იმან, რომ ბატონი იუნუზ ზეირექი იბრძვის მუსლიმი ქართველების წინააღმდეგ. რატომ არ უნდა პატივცემულ მეცნიერს, რომ ქართველებიც იყვნენ მუსლიმები. მე, სხვათაშორის, ქართველთა სიმდიდრედ მიმაჩნია, რომ არსებობენ როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკე, მუსლიმი და მრავალი სხვა აღმსარებლობის ქართველები. მუსლიმები ცხოვრობენ დღეს ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში და მის ფარგლებს გარეთ. ასევე მუსლიმი ქართველები იყვნენ დღევანდელი ტერმინოლოგიით „თურქი მესხები“.

მუსლიმ ქართველებთან ერთად მესხეთში ცხოვრობდნენ თარაქმები და ქურთები. მუსლიმი ქართველები მათში არ აირეოდნენ და ისინი თურქად კი არ იწოდებოდნენ, არამედ თავიანთ თავს იერლის ანუ ადგილობრივს უწოდებდნენ. იერლისა და ქრისტიანებს ერთნაირი ცხოვრების წესი ჰქონდათ. იყო სოფელი მაგალითად ახაშენი (ასპინძის რაიონი), სადაც მხოლოდ ხმალაძეთა გვარი სახლობდა. ნახევარი იყო მუსლიმი, ნახევარი ქრიასტიანი. ისინი ბიძაშვილები იყვნენ. როდესაც მუსლიმები გაასახლეს, მართლმადიდებლები თავიანთი ნებით გაიფანტნენ სხვა სოფლებში. რომ მუსლიმი ქართველები ნამდვილად არსებობდნენ, რომ „თურქი მესხები“ ქართველები ანუ მესხები არიან, ამას გვიდასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც, როგორც ოფიციალური საგადასახადო დოკუმენტი შეადგინეს ოსმალებმა. აღწერეს 1595 წელს მთელი მესხეთი და ამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები არიან, რაც კარგად ჩანს მოსახლეობის სახელებში, მამის სახელებსა და გვარებში. სახელის შერქმევის ქართული მოდელში.

აღნიშნულ დოკუმენტებში გვხვდება გარდა ქართული სახელებისა სხვაც, სომხური, არაბული, ებრაული, სპარსული და თურქულიც კი, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის, გარდა ამისა, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე კარგად ჩანს, რომ ქართველებს ჰქონდათ როგორც კანონიკური ნათლობის სახელები და ისინი ძირითადად ქართულ-ებრაულ-ბერძნული იყო, მაგრამ, ამასთან ერთად ქართველებს ერქვათ და ჰქვიათ არაბული, თურქული, სომხური,

დასავლეთ ევროპული რუსული და ა. შ. სახელები, რითაც არ გამოირჩეოდა ოსმალური ანთროპონომია.

მე-16 საუკუნეში იწყება მესხეთში ანუ სამცხე-საათაბაგოში მაღალი წრის მიერ საკუთარი სახელების შეცვლა, რასაც წინ უსწრებდა მუსლიმური სარწმუნოების მიღებაც. ეს ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება ამისათვის დიდ საგადასახადო შეღავათებს აწესებდა.

მოვიყვანთ საამისოდ კვლავ რამდენიმე მაგალითს:

„ვენახი ყანდუ და დამიანესი 2 ნაკვეთი და სახელად სიმონა აზნაურისა 1 ნაკვეთი, აწ ხერთვისის ციხისთავის ყალი-ალას მფლობელობაში მყოფი“.

„ვენახი მეჰრაბ-აზნაურის ძისა პაპუნასი – 1 ნაკვეთი, ბაღი ერთი ნაკვეთი, საწისქვილე და საკალოე მიწა და ყანა ჩაირითურთ აწ მურად ჩავუშის მფლობელობაში მყოფი“.

„ვენახი აღდგომელ გულიჯანისძისა 3 ნაკვეთი, აწ ხერთვისის ლივის მირალაის პუსეინის მფლობელობაში“[7] და ა. შ.

სურათი რომ ნათელი იყოს მოვიყვანთ კიდევ ერთ დოკუმენტს. ეს არის ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც გამოირჩევა სანდოობით განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორი მისივე თანამედროვე საქართველოს შესახებ წერს. აი, რას წერს 1745 წელს ვახუშტი ბატონიშვილი მაშინდელი მესხეთის შესახებ:

„ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მკნენი, შემმართებულნი, შეუნიერნი, ცოდნა-ჭელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისადმე ქრისტესა... სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყესელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთჳს. ამისთჳს უეფისკოპოზონი და

უხუცონი არიან, თვინიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან. ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი და გულისკმა ჰყავ, ეგრეთვე ქალნიცა მათნი“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973 წ. გვ. 660-661)[15].

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის შუა წლებში მესხეთის მოსახლეობა, დაბალი ფენა არის ჯერ კიდევ ქრისტიანი და ქართულად ლაპარაკობს.

მე-19 საუკუნის ცნობილ ომებსა და მოვლენებს მე არ შევეხები, მხოლოდ ენისა და სარწმუნოების შესახებ მოვიყვან დოკუმენტს.

1886 წელს ჩატარდა ამიერკავკასიაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგები გამოქვეყნდა 1893 წელს. ამ დოკუმენტის მიხედვით ახალციხესა და საერთოდ სამცხე-ჯავახეთში მე-19 საუკუნის ბოლოსათვის საკმაოდ დიდი რაოდენობაა ქართველი მაჰმადიანებისა. სწორედ ეს ხალხი აღმოჩნდა შემდეგ გასახლებული და მათ ეწოდათ „მესხი თურქები“.

დასახლებული დოკუმენტის მიხედვით ქართველები, რომლებიც მაჰმადიანები არიან შეუყვანიათ სარწმუნოების მიხედვით „სხვა სარწმუნოების“ გრაფაში (Прочія вероисп.), ხოლო ქართველები, რომლებმაც ადრე მიიღეს ისლამი, შეყვანილი არიან გრაფაში “Татары“. თათრები. 1893 წელს გამოცემულ ამ დოკუმენტში აღწერილი არ არის ცალკე თურქები. რუსი მოხელეები, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თათრებსა და თურქებს არ ურევდნენ ერთმანეთში.

როგორც ვხედავთ, დღევანდელი „თურქი მესხების“ წინაპრები მე-19 საუკუნის ბოლომდე ქართველებია.

ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე მინდა კიდევ მივუთითო ღრმად პატივცემულ მეცნიერს. მე-20 საუკუნის დასაწყისში მუსლიმი ქართველები მართალია რწმენას იცვლიან, მაგრამ

ქრისტიანობის მტრები არ არიან, ისინი პატივს სცემენ ქრისტიანობას, ამის ნათელი მაგალითია მეოცე საუკუნის დასაწყისის შესანიშნავი ძეგლი სოფ. უდის ტაძარი. ტაძარს აქვს ორი წარწერა გუმბათზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე. ამ წარწერის მიხედვით ქრისტიანებთან ერთად ტაძარს მუსლიმებიც აშენებდნენ.

მუსლიმი ქართველები თავიანთ თანამოძმეებთან ერთად აშენებენ ტაძარს. მათ აქვთ ეროი ენა, ეროვნება, მხოლოდ სარწმუნოება აქვთ განსხვავებული, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ იცხოვრონ ერთად.

აქვე არ შემიძლია არა ვთქვა, თუ რა შეუძლია პოლიტიკას, სულ რაღაც 9 წლის შემდეგ ეს მხარე ჩათრეულ იქნა სარწმუნოებრივ ომში და სწორედ ეს სოფელი აღმოჩნდა ამ ომის ეპიცენტრში.

პატივცემული მეცნიერი გაღიზიანებული წერს: „ბერიძეებმა უნდა იცოდნენ, რომ ამგვარი ტყუილებით მხოლოდ თავიანთნაირებს მოატყუებენ“.

ასე წერა მთელ გვარზე შეურაცხყოფაა გვარისა. სხვათა შორის ბერიძეები მხოლოდ ქრიატიანები არ არიან. ბევრი მუსლიმი ბერიძეა როგორც „მაჰმადიან მესხებში“, ასევე აჭარაში. ჩვენი გვარი, სარწმუნოების სხვადასხვაობის მიუხედავად, საერთო წარმომავლობისაა, ერთი ძირიდან და ფესვიდან მოდის და ვნათესაობთ, ამიტომ, როდესაც პატივცემული იუნუს ზეირექი ირონიით საუბრობს ჩემს გვარზე, ის შეურაცხყოფას აყენებს ბევრ მუსლიმს.

მთელი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა ტერმინები მაჰმადიან მესხთა ეთნო-გენეზისის გასაბუნდოვნებლად. მათ შორის ჩვენს პატივცემულ მეცნიერს განსაკუთრებით მოსწონს „თურქი მესხი“ და „ახალციხელი თურქები“. ერთიც და მეორეც მხოლოდ დღევანდელი მიდგომაა ისტორიისადმი. მხოლოდ ზოგიერთი ხალხის თუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილის სურვილია, თურქებად წარმოაჩინონ მესხები, რაც მსუბუქად რომ ვთქვათ, უხერხულია.

მორწმუნეებს, როგორც ქრისტიანებს, ისე მუსლიმებს მიტევება შეუძლიათ. მე მივუტევებ პატივცემულ მეცნიერს აგრესიულ ტონსა და შეურაცხმყოფელ სიტყვებს ერთი პი-

რობით: შევქმნათ ერთობლივი პროგრამა, შეიქმნას ჯგუფი, როგორც თურქი ისე ქართველი მეცნიერებისაგან და ერთად ვიკვლიოთ მაჰმადიან მესხთა გენეალოგია, ისტორია, გვარი, ონომასტიკა. ამით პირველ რიგში დავეხმარებით დეპორტირებულთ, გავარკვევთ მათ წარმომავლობასა და შესაბამისად სამომავლო ორიენტაციაში.

*2002 წ.*

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Yunus Zeyrek, Ahiska bölgesi ve Ahiska Türkuri, Ankara, 2001.
2. იუნუს ზეირექი, ერთი ჟურნალის საზიანო ქმედებანი.
3. გრიგოლ გიორგაძე, „მუშქაია“, „მუშქი“ და „დაიაენი“, „დაიანი“ ასურულ ლურსმულ ტექსტებში, მესხეთი 2000 წ.
4. ნ. ხაზარაძე, ბიბლია და მესხების ძველი ისტორია, მესხეთი, 2000წ.
5. დ. კოჟორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი, 1969
6. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, 1958.
7. ს. ჯიქია, გურჯისტანის ველაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941.

# რატომ აყალბებენ ქართულ ტერმინებს?

## ვინ არიან „ახალციხელი თურქები?“

1999 წელს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა Центральная Азия и Кавказ[1] I (2), რომელიც გამოდის შვეციაში, დაბეჭდა არიფ იუნუსოვის სტატია "Ахалцихские (Месхетинские) турки: дваджы депортированный народ".

შეიძლება არც არაფერი თქმულიყო ამ შრომის შესახებ, მით უმეტეს, რომ დროც საკმაოდ გავიდა, მაგრამ იდეები, რომელიც მასში არის განვითარებული, თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენი მეზობელი მეცნიერების კვლევებში, ამიტომ გადავწყვიტე, მესაუბრა აშკარა სიყალბის შესახებ გაანალიზებული ტოპონიმებისა და ეთნონიმების თაობაზე.

არიფ იუნოსოვი სინონიმებად ხმარობს ახალციხელ, «Ахыскинские» და „მესხ თურქებს“.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ტოპონომს შეიძლება ერქვას ძირითადი სახელი, ანუ ის სახელი, რომელიც იმ ხალხმა შეარქვა, ვინც იქ ცხოვრობდა და ცხოვრობს და ის სახელი, რომელსაც მეზობელი უწოდებს, საკუთარი ფონეტიკური ბაზისის ფარგლებში და შესაძლებლობებში. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვან ქართულ-აზერბაიჯანულ-თურქული ტოპონომური ურთიერთობის ცნობილ მაგალითს. საქართველოს დედაქალაქის სახელი, რომელიც მთელი ისტორიის მანზილზე იწოდებოდა *ტფილისად,* შემდეგ *თბილისად* (ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ დოკუმენტების მითითება არ არის საჭირო. გამჭვირვალეა მისი ეტიმოლოგია, რომელიც ტფილს უკავშირდება). თურქულ-აზერბაიჯანულ ენებზე გამოითქმის *ტიფლის-ად,* ასევე გამოითქმის სხვა აღმოსავლურ ენებზე, რადგან, ქართული როგორც კავკასიური ენა, გამოირჩევა ბგერათა სხვაგვარი დისტრიბუციით, ვიდრე ის ენები, რომლებიც მის ტიფლის ფორმას ხმარობენ. ამიტომ არასოდეს უთქვამთ ქართველებს, გინდა, თუ არა, დაუძახეთ აზერბაიჯანელებმა და თურქებმა თბილისი და არა ტიფლისიო. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ამ ქვეყნის წარმომადგენ-

ლები მაინც ვერ მოახერხებენ საქართველოს დედაქალაქის სახელის „ქართულ" წარმოთქმას მათი საარტიკულაციო საშუალებების გამო, ამიტომ, რა თქმა უნდა ტიფლის - ფორმიდან ტფილისი//თბილისის სახელის ახსნის უფლება არა აქვს არავის. ეს ურთიერთობა არ არის ცალმხრივი. ასევე განსხვავებულად უწოდებს აზერბაიჯანის დედაქალაქს ქართველი სახელს. აზერბაიჯანულად იგი გამოითქმის Bakú, ხოლო ქართულად – ბაქო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა მეცნიერებმა ამტკიცონონ ქართული სახელწოდების პირველადობა. იგივე ითქმის თურქეთის ქალაქის Ýstanbul-ის შესახებ, რომელსაც ქართველები სტამბოლს უწოდებენ.

ასეა **ახალციხის** შემთხვევაში, რომელსაც აბსოლუტურად გამჭირვალე ეტიმოლოგია აქვს და ის არის ახალი ციხე. ასეთი ახალი ციხეები მთელ მსოფლიოში იქმნე-ბოდა იმ ენაზე, რომლის ტერიტორიაზე ახალი ციხეები შენდებოდა *ნიუკასლი, ნოვგოროდი* და სხვა მრავალი. ახალციხე კიდევ სამ დასახელებულ ობიაქტს ჰქვია საქართველოს ცენტრალურ და ჩრდილო აღმოსავლურ ნაწილში. ამდენად – Ахыска არის თურქულ-აზერბაიჯანული წოდება ახალციხისა, ქართული სიტყვის, სხვაენოვანი ფონეტიკური ვარიანტი და არა პირიქით. ამისათვის ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ახალციხე XII XIII საუკუნეში, როგორც ადგილის სახლი, დასტურდება წყაროებით, თორემ მას მანამდე სხვა ქართული სახელი – ლომსია ერქვა.

ამგვარად, ახალციხე ახალი სახელია, მაგრამ ახალი საქართველოსთვის, თორემ იმ დროს სტამბოლსაც და ბაქოსაც სხვა სახელები ერქვათ, ქვეყანაც სხვა იყო იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს აზერბაიჯანი და თურქეთია. აი, როდინდელი სახელია ახალციხე, რომელიც Ахыска-დ უქცევია პატივცემულ არიფ იუნუსოვს. ამდენად **ახალციხელი** თურქები არ არსებობენ. ეს არის ხელოვნური ტერმინი და გვიან შექმნილი. ამავე ბედისაა მეორე ტერმინი Месхетинские, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მესხეთში მცხოვრებ თურქებს. არაფერს ახალს არ ვიტყვი, ოღონდ გავიმეორებ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ არასოდეს არ ყოფილა მესხეთი არცეროი

ქვეყნის ეთნიკური და ენობრივი დიალექტის აღმნიშვნელი, გარდა საქართველოსი, *მესხეთში* მცხოვრები *მესხები* არიან ისეთივე ქართველები, როგორც იმერეთში მცხოვრები იმერლები, კახეთში მცხოვრები კახელები, სამეგრელოში მცხოვრები მეგრელები და ასე შემდეგ.

მესხეთში მას შემდეგ, რაც სტრაბონმა აღწერა საქართველოს ეს კუთხე, ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ მესხები, თუმცა მათ გვერდით ასევე ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროს სომხებიც, მაგრამ არავის უთქვამს მესხი ან Месхетинские სომხები, Месхетинские ბერძნები, Месхетинские დუხობორები და სხვა. ეს უხერხულობა რომ უგრძვნია, ამიტომ შემოუტანია ეს ტერმინი ა. იუნოსოვის, თორემ სხვა შემთხვევაში დაწერდა Турки Месхи როგორც ბევრი წერს და უწოდებს ამ ხალხს.

კიდევ ერთი ონომატიკური ფაქტზე შევაჩერებ ჩვენი პატივცემული მეცნიერის ყურადღებას. მესხეთი ქართველის დარქმეული სახელია. ა. იუნუსოვის სტატია მაძლევს იმის უფლებას, რომ ისეთ ელემენტალურ რამეზე მივუთითო ავტორს, როგორიცაა ქართულ ეთნოტერმინ მესხეთში -ეთ სუფიქსის გამოყოფა. დიახ, მესხეთი ისეთივე წარმოებით არის მიღებული, როგორც *იმერ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, ქობულ-ეთ-ი, ჯავახ-ეთ-ი* და სხვა. ათასობით შეიძლება მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითები.

ასე რომ, ქართველის მიერ აშენებულ ახალციხეში მცხოვრებნი, მესხები, თუნდაც მაჰმადიანები როგორღა არიან თურქები. მე აღარაფერს ვიტყვი იმ ოსმალურ დოკუმენტზე, რომელიც მე-16 საუკუნის ბოლოს შეიქმნა და სადაც აღწერილია მოსახლეობა მთელი მესხეთისა. ისინი გურჯისტანის მცხოვრებნი არიან და ქართველებია. ასევე რუსული დოკუმენტები, რომლებიც მე-19 საუკუნეში იქმნებოდა, მიუთითებენ ქართველებზე მხოლოდ და იქ თურქები არ არის დასახელებული. ამგვარად Ахыскинские და Месхетинские ერთადერთი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქართველი, მესხი, მაჰმადიანი, მართლმადიდებელი თუ კათოლიკე.

აქ კიდევ ერთი საკითხი დგება. ავტორი არსად არ გამიჯნავს Ахыска-სა და Ахалцихе-ს. აშკარაა რომ ეს ორი

სახელი ერთი ობიექტის აღმნიშვნელია, მაგრამ ერთ გაუგებრო-ბაში მაინც აგდებს ავტორს. ის იძულებულია, რაიონის აღმნიშველად Ахалцихе მიუთითოს, მაშინ როდესაც „თურქები" ყოფილან Ахыскинские.

«...они жили на юге страны в трех районах Месхетии-Ахалцихском, Адигенском, Аспиндзском,-а также частично в Джавахетии» (გვ. 161)

Ахыск-ელი „თურქები" აუცილებლად არიან Ахалцихელი „თურქები". მაშინ ვინ არიან ასპინძელი, ახალქალაქი, ადიგნელი „თურქები"? ამიტომაც იძულებულია ავტორმა შემოიტანოს ახალციხელთა გვერდის სინონიმი Месхетинские. ამდენი წვალება არ დასჭირდებოდა მას, რომ დაეწერა სინამდვილე, ისტორიული სიმართლე და ეთქვა *მუსლიმი ქართველები*. ეს ტერმინოლოგიური ტრიუკები – ახალციხელი თურქები, მესხეთელი თურქები, მესხი თურქები, კავკასიელი თურქები და სხვა მოგონილია მხოლოდ ერთი რამისთვის, დაიფაროს ეთნოგენეზისი იმ ხალხისა, რომელთა ეთნოტერმინიც ისევე ქართულია, როგორც ისტორიული, ტოპონიმური, ეთნოლოგიური გარემო, ოღონდ ყოველივე შემოტრიალებულია მათსავე საწინააღმდეგოდ.

ზემოთქმული რომ უფრო ნათელი იყოს, უფრო ვრცლად შევეხებით ახალციხის ისტორიას.

ახალქალაქების წარმოქმნასთან ერთად, იმავე სტრუქტურით იქნება *ახალციხეც*. მსაზღვრელი *ახალი* მიგვითითებს ამის შესახებ. ვიდრე ახალი ციხე შეიქმნებოდა, მას რაღაც სხვა სახელი ერქმეოდა. ე. ი. ციხიდან, ახალი *ციხიდან* სახელი ეწოდა მთელ დასახლებას, ქალაქს. ახალი ციხეები ყოველთვის იქნებოდა და შენდებოდა, ამიტომაცაა, რომ, როგორც უკვე ითქვა, *ახალციხე* გვაქვს სხვაგანაც საქართველოში, კერძოდ: დუშეთის, კასპისა და ყაზბეგის რაიონებში სოფელთა სახელად.

ახალციხე იყო დედაქალაქი მესხეთისა დიდი ხნის განმავლობაში, ამიტომ როდესაც საუბარი იყო ახალციხეზე, ხშირად უცხო ავტორებთან იგულისხმებოდა მთელი მხარე[1].

ქალაქი გაშენებულია მდინარე ფოცხოვის ორივე ნაპირზე. იქვე, ქალაქის ბოლოს, უერთდება ფოცხოვი საქართველოს დედა მდინარეს მტკვარს. ორი მდინარის შესართავთან, ბუნებრივია, უძველესი დროიდან იქნებოდა დასახლება. ამ გეოგრაფიული გარემოს გამო კიდევ უფრო იზრდება ახალციხის მნიშვნელობა, იგი ქმნის მიკროგეოგრაფიულ არეალს და ამიტომ მას გეოგრაფები *ახალციხის ქვაბულს* უწოდებენ.

ვიდრე ახალციხეს უწოდებდნენ, მას *ლომსია* რქმევია. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „აქა არს *ახალციხე, ქალაქი*, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქს თავს (ამას ვგონებ *ლომსიად*, ვინაითგან ისახელების რა *ახალციხე* ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენიების მერმე *ლომსია*“[2]

სხვადასხვა ადგილზე ვახუშტი *ლომსიას* გარდა ამავე ადგილს მოიხსენიებს როგორც *ლომსიათი* და *„ციხე ლომსიასა*“.

ვახუშტი ბატონიშვილზე დაყრდნობით უკვე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ *ლომსიას, ლომსიანთას* და ამით არაპირდაპირი ცნობებით, ვიმსჯელოთ ქალაქის მოხსენიების შესახებ. ეს ხდება მე-9 საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. „მატიანე ქართლისა ს“ ცნობით IX საუკუნეში აფხაზთა მეფის ბაგრატის ცოლის ძმამ „ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჴე, ჯუარის-ციხე და *ლომსიანთა. გუარამისეე* აშენებული“. გუარამი ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებლის აშოტ I კურაპალატის უმცროსი შვილი იყო. მოღვაწეობდა იმავე საუკუნის მეორე ნახევარში“. მის მიერ აშენებული ზემოთ ჩამოთვლილი ციხეებიდან *„ლომსიანთა“ ახალციხის* ძველი სახელწოდებაა“[3]. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამიტომ ახალციხის როგორც ციხის და ასევე ქალაქის მოხსენიების დროდაც მე-9 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

ერთი რამ აშკარაა, რომ ახალციხე საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქია. წყაროებში პირველად XII საუკუნიდან იხსენიება. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ციხე-ქალაქი სამცხის ათაბაგ *ჯაყელს* ეკუთვნოდა და XVII სა-

კუნებდე ამ საგვარეულოს სამფლობელოში იყო. ახალციხესთან არიან დაკავშირებული *ახალციხელები,* სამხ-რეთ საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა საგვარეულო თო-რელთაგან გამოყოფილი შტო, რომლის სახელოვანი წარმო-მადგენლები შალვა და ივანე ახალციხელები კარგად არიან ცნობილი ჩვენს ისტორიაში. 1676 წლიდან ოსმალებმა დაი-პყრეს ახალციხე, ხოლო 1628 წლიდან ახალციხის საფა-შოს ცენტრი გახდა. XVII-XVIII საუკუნეებში ლეკი ფეო-დალების მიერ ტყვე ქრისტიანებით ვაჭრობის მთავარი ბუდე იყო. 1829 წელს პასკევიჩის ჯარებმა აიღეს და რუსეთის იმპერიას დაუქვემდებარდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ეს ბრძოლა, როდესაც გააფრთებით იბრძვის ქართველთა ბატა-ლიონი და ქართველი ოფიცრობა: სპირიდონ, რომან და გრი-გოლ ჭავჭავაძეები, თავადები ანდრონიკაშვილი, ვახვახიშვი-ლი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, მაიორი წინამძღვრიშვილი და სხვანი[4].

ახალციხის მთავარი, დამახასიათებელი და სიმბოლო, გა-მომრჩეველი სხვა ადგილთაგან *ციხეა,* საერთო ქართველური სიტყვა[5], რომელიც უძველეს ქართულ ტექსტებში დასტურ-დება: „განაშენა ყოველი იგი *ციხე* სულიერთა მით ქნარითა“ („შუშანიკის წამება“) „ექუსი წელი *ციხესა* მას შინა აღა-სრულა“ „განუმაგრდეს ზედა მრავალთა ევთა და ციხეთა“[6]. ასევე უძველეს ტექსტებში დასტურდება მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები: *ციხექალაქი, ციხისთავი, ციხის-ციხე, ციხ-ოვანი, დედაციხე* და სხვა.

ციხე იყო სიმბოლო ქალაქის პატრონობისა. ციხეს და მის გარშემო დასახლებას სხვადასხვა ენოვანი კონკურენტები გამოუჩნდა. თურქული *კალე//კალა* და არაბული *რაბათი.* ახალციხის შემთხვევაში, რადგან *ციხე* იქცა ქალაქის აღმნი-შვნელი სახელის შემადგენელი ნაწილად, ამიტომ ციხეს და მის გარშემო დასახლებას არაბობის შემდეგ *რაბათი* ეწოდა. რაბათი დღევანდლამდე ჰქვია ახალციხის ერთ-ერთ უბანს.

ოსმალობის პერიოდში ბევრი ციხის სახელი ითარგმნა. ასე მაგალითად: *ოქროს ციხე* იქცა *ალთუნყალად, მგელციხე კურდკალად, თეთრიციხე აღჯაყალად* და სხვ.

მე-16 საუკუნიდან, მართალია, ოსმალებს ახალციხე არ უთარგმნიათ, მაგრამ იგი იმდენად დაამახინჯეს, რომ ამ მეტად გამჭვირვალე სიტყვას საეჭვო შინაარსი შესძინეს და ასევე საჭვო გახადეს მისი ეტიმოლოგია. იგი თურქულად მოიხსენიება ორი ძირითადი ვარიანტით *აბსხა* და *აბსკა* გვხვდება აგრეთვე: *აბელცხა, აბასკა, აბალსიკ*[7] და სხვა ფორმები. ადმინისტრაციული ფაქტორი ტოპონიმთა ცხოვრებაში გადამწყვეტია. ამიტომ როდესაც ახალციხე ადმინისტრაციულად საქართველოს შემადგენლობაში აღარ იყო, მას რომ დამახინჯებული სახელი უწოდეს მეზობლებმა, ჩვენი გაუნათლებლობის და ზოგ შემთხვევაში ისტორიის უცოდინარობის გამო ამ მცდარ ფორმებს ქართველებიც კი იმეორებდნენ. „*ივ. ჯავახიშვილი*, მაგალითად, ეხება *ომან მდივან ბეგი ხერხეულიძის* თხზულებებში „მეფობა ირაკლი მეორისა“ უცხო ენობრივ ელემენტებს და შენიშნავს: „გასაოცარია აგრეთვე, რომ ომან მდივანბეგი ახალციხის მაგიერ „*ალსიხას*“-ს წერს. ამიტომ ადამიანს შეიძლება ეფიქრა კიდეც, იქნებ ჩვენი მემატიანე ამ შემთხ-ვევებში სპარსული, ან ოსმალური წყაროებით სარგებლობდაო, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია: თუმცა გასაკვირველი კია, მაგრამ ომან ხერხეულიძე ახალციხეს ისევე უძახდა, როგორც თურქები უძახდნენ, ჩანს, ქართული „*ახალციხე*“ სახელწოდების გადათურქულებული „*აბსხა*“ ფორმა ისევ გადმოუქართულებიათ და „აღსიხა ფორმით უხმარიათ“[8].

ასევე ბევრ ვარიანტს გვთავაზობენ სომეხი ტოპონიმისტები ახალციხესთან დაკავშირებით. მათ მიერ მითითებულია, რომ *ახალცხა –ც, ახალციხ, ახლცხა, ახლცხა, სამცხე* – მაზრა თბილისის გუბერნიაში, 1828 წლამდე შედიოდა ახალციხის საფაშოში, შემდეგ რუსეთის სახელმწიფოში. ქართველები აგრეთვე უწოდებენ სამცხეს[9] ახალციხე მხარის სახელად შემდეგ არის გამეორებული და ჩამოთვლილ ვარიანტებს დამატებული აქვს *ახალციხე, სამციხე, სამცხე, ოძრჯე ახალციხი, ახასხა, ახლცხე, აკესე, აჰლჰა, ალსიხა. ხალციხე, სამციხე, სამცხე* და *სხვა*[10].

სომეხი ტოპონიმისტები ახალციხის მდებარეობის განსაზ-ღვრისათვის მიუთითებენ *არარატის* მიმართულებას შემდეგნაირად, რომ *ახალციხე (ახალცხა)* ქალაქი საქართველოში. ახალციხის რაიონი. ფაზისის რაიონის ქვაბულიდან *ზეკარის* გადასასვლელიდან შირაქისაკენ და *არარატის* გზაზე, რაბათად წოდებულ კლდიან მთაზე ერისთავმა *გუარამმა* დაარსა ლომსიანთა ციხე-ქალაქი, რომელიც ძველად შედიოდა გუგარქის გუბერნიაში. მე-12 საუკუნეში ციხე დაიპყრო *თამარ მეფემ*, განაახლა და უწოდა *ახალციხე*, რომელიც ქართულად ნიშნავს *ახალ ციხეს*[11]. რა თქმა უნდა, ნამდვილად არ სჭირდებოდა თამარ მეფეს ახალციხის დაპყრობა მე-12 საუკუნეში. როდესაც საუბარია ახალციხის გუგარქის მხარეში მოქცევასთან დაკავშირებით (იგულისხმება II საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ახალციხე გაიგივებულია სამცხესთან (ოძრხესთან), ან კლარჯეთის ერთ ნაწილთან[12], რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის. *ახალციხე*, როგორც ქალაქის სახელი, ან მისი ყოფილი სახელი *ლომსიანთა*, მაშინ დადასტურებული უნდა იყოს იმავე პერიოდის წყაროებში. აუცილებელია გამიჯვნა, როდის იგულისხმებოდა *ახალციხეში სამცხე*. მე-12 ან მე-9 საუკუნეში (შესაბამისად ახალციხისა და ლომსიანთას მოხსენიების პერიოდი) სამცხეს უნდა ენაცვლებოდეს ახალციხე, ასევე დგება საკითხი მესხეთისა და *მესხების*. ახალციხე უნდა ჩანაცვლებოდა არა მარტო *სამცხეს*, არამედ მესხეთს, რაც, არ მომხდარა და არ მოხდებოდა, რადგან ახალციხე ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც მხარის აღმნიშვნელად გვიან საუკუნეებში გვხვდება, ისიც ძირითადად არაქართულ წყაროებში.

შეიძლება ვიფიქროთ, იქნებ არც ღირდა ამდენი საუბარი *ახალციხის* დამახინჯებულ ფორმებზე. რა მნიშვნელობა აქვს ვინ, რომელი ქვეყანა რას დაუძახებს მესხეთის დედაქალაქს, მთავარ ქალაქს, როგორც ისტორიულად, ისევე დღეს, მაგრამ ნამდვილად არ იქნებოდა სწორი ასეთი მიდგომა საკითხისადმი, რადგან მცდარ, უფრო სწორად, დამახინჯებულ ფორმას, მოჰყვება მცდარი, დამახინჯებული ეტიმოლოგია, ისტორია და გაყალბებული ფორმები, და შესაბამისად ისეთი

„*დასკვნები*“, რაც ძალიან საზიანოა ქართული ისტორიისათვის, დღევანდელი ცნობიერებისათვის, ჩვენი მომავლისათვის.

*ახალციხე* და *მესხეთი* იქცა სადაო ქართულ სახელებად. ბოლო დროს გაავებული სტატია დაიბეჭდა ახალციხის თაობაზე და ეს იმიტომ, რომ ითქვა *ახალციხე* ქართული სახელია, მესხური ტომები (უძველესი ტომები) ქართველი, ქართველური ტომებია და სხვ. *ახალციხე* „დედე ქორქუთში“ ნახსენები *აკ-სიკა, აკ-ყალეა*[13] ამას თურქი მეცნიერი ყოველგვარი მტკიცების გარეშე გვამცნობს, იგი არ იძლევა ქალაქის და „დედე ქორქუთში“ დადასტურებული სახელის ლოკალიზაციას, არ ითვალისწინებს იმას, რომ ქართულ ისტორიულ გეოგრაფიაში ახალციხე შედარებით ახალი სახელია და იგი XII საუკუნიდან ჩნდება, მანამდე მას, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ლომსია ერქვა. მხოლოდ სამხრეთ საქართველოში არა გვაქვს ახალციხე.

ერთია, როდესაც უარყოფენ ქართულ წყაროებს, საერთოდ და მეორეა, იმ წყაროთა გაყალბება, სადაც დაცულია რეალური ცნობები ახალციხის შესახებ. ასეა გაყალბებული ქართული წყარო „*ქართლის ცხოვრება*“, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ იგი თავდაპირველად დაიწერა ბერძნულად და შემდეგ ითარგმნა ქართულად[14], სხვა შემთხვევაში კი „ქართლის ცხოვრება“ ყოფილა *აფხაზურ-ქართული* წყარო[15].

გაოცებას იწვევს თურქ მეცნიერთა განცხადება, რომ მათთვის საეჭვოა „მესხეთი, რომელსაც ეს სახელი დაერქვა ახალციხის მხარეში მცხოვრები მესხი ტომებისაგან, მოიცავს არტაანს, შავშეთს, ჩილდირს, ფოსოფს და ახალციხეს“[16]. ეს ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ არის საეჭვო, მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი მეცნიერების განცხადება, რომ „ჩვენ არ გვაქვს ხელთ მესხების ქართველებად დამადასტურებელი რაიმე ისტორიული საბუთი. შესაძლებელია, რომ *მესხად* წოდებული ზემოაღნიშნული ტომი თურქული წარმოშობის *მასაგლარის* ტომია“[17]. რადგან მათ ხელთ არა აქვთ დამადასტურებელი საბუთი, ეს მათი პრობლემაა, სამწუხაროდ თითოეული ტოპონიმის, ეთნონიმის, რაც არ უნდა გამჭვირვალე იყოს იგი, დაცვა გვიწევს და უნდა დავიცვათ.

სხვაგვარად შემოგვეპარება ყალბი ეტიმოლოგია და დაიდებს სათავეს ახალი ტრადიცია, რაც შემდეგ შეიძლება პოლიტიკაშიც კი გადაიზარდოს. სხვაგვარად უკვე აშკარად გაჩნდა „მტკიცებანი“, რომ სამხრეთ საქართველოში თურქები გამოჩდნენ პრეისტორიულ ხანაში, რომ ისინი არიან შუმერების ერთ-ერთი განშტოება, *რომ კოლხები შუაზიური მოდგმის ტომია* და ე.ი. *თურქული* მოდგმა და რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 720 წელს სკვითების მიერ გამოდევნილი *ქერა, მრგვალსახიანი, ცისფერთვალება ყუმანები* ანუ *ყივჩაღები* სწორედ სამხრეთ საქართველოში დასახლდნენ[18] და რატომღაც ასეთი აღწერილობის ხალხი მხოლოდ იქ შემოგვრჩა, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ. საერთოდ ცისფერთვალებასა და თეთრ ფერზე გართულება აქვთ მათ. აი, სადამდე მიგვიყვანა ერთი უბრალო ქართული სახელის *ახალციხის* კვლევამ და მისმა ტოპონიმიურმა შესწავლამ.

ორი მეზობელი სხვადასხვაგვარად აყალიბებს ახალციხის სახელს. მათგან თურქულ-აზერბაიჯანული გაყალბება მიმართულია იქითკენ, რომ ამტკიცონ ქართველ მაჰმადიანთა არაქართული წარმოშობა.

## სარკინე

პატივცემული ა. იუნუსოვი გატაცებულია ტოპონიმური ეტიმოლოგიებით, ამიტომაც ბგერათა ზოგადი მსგავსება საფუძველია ხოლმე მისთვის სასურველი ეტიმოლოგიის გამოცხობისა. ამასთან ერთად ა. იუნუსოვი არის მეცნიერი, რომელიც მუშაობს ქართულ, თუნდაც საქართველოს ტოპონიმებზე და ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს ქართუ-ლი ენის შესახებ. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი ისტორიული სახელი სარკინე, რომლის გამჭვირვალობა და ეტიმოლოგია ეჭვს არასოდეს იწვევდა. სარკინე წარმოქმ-ნილი სახელია სა-ე მაწარმოებლით, ყველასთვის ნათელია „*რკინა*“ რასაც ნიშნავს ქართულად. სა-ე დანიშნულების აფიქსებია. ამგვარად, *სარკინე* არის რკინის ადგილი. რკინის დასამზადებელი ან მოსაპოვებელი ადგილი. ისევე როგორც *საკირე,*

კირის დასამზადებელი ადგილი, *სათიბე,* თიხის მოსაპოვებელი და დასამზადებელი ადგილი და სხვა.

სარკინე ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილია სხვაგვარი სა-ეთ აფიქსებითაც ნაწარმოები, არც ეს არის ცნობილი პატივცემული მეცნიერისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ *სარკინე* მხოლოდ მცხეთასთან ახლოს არ იყო ადგილის სახელად. დმანისის რაიონში დღესაც არის სოფლის სახელი *სარკინე.*

პატივცემული მეცნიერისათვის, რადგან მას ქართული ენის შესახებ წარმოდგენა არა აქვს, ასეთი ეტიმოლოგია უცნობია, თანაც მისთვის არასასურველია, ამიტომაც იძლევა სახელის ასეთ ახსნას: "Судя по названию города Саркине (искаженное туркское Сарыкан, т.е. крепость саров»), которое явно связано с именем племени сарагур или сары (досл: желтые светлые»), именно их грузинские летописцы именуют «бунтурками», что вполне закономерно: они давно стали для населения Грузии «коренными турками» (А. Юнусов, Ахискинские (Месхетинские турки: дважды депортированный народ, Центральная азия и Кавказ, 1 (2) 1999 წ. გვ. 163).

სარკინე რატომ გამოითქმის თურქულად Сарыкам–ად, არა აქვს ამის მტკიცება პატივცემულ მეცნიერს და არც შეიძ-ლება ჰქონდეს, რადგან არასოდეს სარკინეს არ რქმევია *სარიკამი,* როგორც ჩანს სარიკამისაკენ ავტორს უბიძგა „ქართლის ცხოვრების" იმ ადგილებმა, სადაც ლაპარაკია თურქთა ჩამოსახლებაზე, მათთვის ადგილის მიცემაზე და რომ „ეწოდა მას ადგისა *სარკინე*" (ქ/ც/ I, გვ. 15).

პატივცემულ მეცნიერს სურს ეს ადგილი გაიგოს ისე, რომ თურქმება უწოდეს ადგილს სახელი. სინამდვილეში აქ წერია, რომ „ეწოდა მას ადგილსა"... რაც ნიშნავს შემდეგს: მცხეთის მამასახლისმა, როგორც თხოვნა დააკმაყოფილა მოსული თურქებისა, შეიფარა და ადგილი გამოუყო, ასევე უწოდა ადგილს სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა „უწოდეს თურქთა სახელი"...

აქვე ჩნდება მარტივი კითხვა, თურქთა გამო რომ დარქმეოდა ადგილს სახელი, რატომ დაერქმეოდა сарагур–ს ან

сары–ს, მაშინ როდესაც ასეთ ტომს ქართული მემატიანე არ იცნობს და მან იცის მხოლოდ ერთი სახელი – თურქი.

ლეონტი მროველის ამავე თხზულებაში არის არაერთგზის ნათქვამი ხაზართა შესახებ, ასე რომ *სარაგურთა* ან *სართა* მითითება თუ უნდოდა, პირდაპირ მიუთითებდა ამ ტომებზე და არა თურქებზე.

თურქული ტოპონიმები საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ არის, რადგან თურქეთთან ისტორიული ურთიერთობა, ბუნებრივია, აისახებოდა ტოპონიმებშიც, მაგრამ თითოეული ტოპონიმის ისტორია შესასწავლია და დასკვნა შემდეგ უნდა გაკეთდეს, თუნდაც ისეთი დასკვნები, რომელიც ეთნოტერმინებსა და ეთნოგენეზისს ეხება.

პატივცემულ მეცნიერს თხრობა იქით მიჰყავს, რომ სარები ქერა ხალხია, ამიტომ *სარკინელი* ბინთურქები, სწორედ სარები იყვნენ. და ისინი არიან წინაპრები დღევანდელი მუსლიმი ქართველებისა (მესხებისა), ამიტომ ცოტა უფრო დეტალურად მივყვებით ამ საკითხს. კერძოდ, როგორ ახასიათებენ ბუნთურქებს, სარკინეში ჩასახლებულ თურქებს, ქართველი მემატიანეები.

სპარსთაგან „ოტებული“ თურქები მოადგნენ ქართველებს, სთხოვეს მცხეთის მამასახლისს შეფარება, სამაგიეროდ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდნენ. სპარსთაგან აყრილი და გამოქცეულნი საბერძნეთიდან, სირიიდან, ხაზარეთიდან, თურქების მსგავსად მოადგნენ მცხეთას, საქართველოს დედაქალაქს, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში შველას ჰპირდებოდნენ ქართველთ, სამაგიეროდ ადგილს ღებულობდნენ საცხოვრებლად, მოვიდნენ „ურიანიც“.

ამასობაში, სპარსეთთან ომის მომლოდინე საქართველოს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი შემოესია. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბუნთურქთა ისტორია ქართული მატიანის მიხედვით ასე გრძელდება: „ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი, და ვედრება მათი არ შეიწყალა, და რქუა მათ: „ვინაითგან მაგინეთ მე, ესე არს ნაცვალი თქუენი, რათა დაგპოცნე ყოველი“. და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერა სადეთ განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა,

რამეთუ ჰბრძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განჰურიტეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჰურეტელი. და განკრბეს ჰურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეილტოდეს კავკასიად, და დაუტევეს ცარიელად ქალაქი“ (ქ/ც/. I, გვ. 18).

ბუნთურქთა მოსვლის თაობაზე კი ამბობს ბატონი ა. იუნუსოვი, მაგრამ ალარაფერს ამბობს მათს წასვლაზე კავკასიაში. უფრო დეტალურად აღგვიწერს და გვიხასიათებს ბუნთურქებს და მათ შთამომავლებს ჩრდილოეთ კავკასიაში ვახუშტი ბატო-ნიშვილი.

პირველ რიგში ყურადღება მისაქცევია, რომ ბუნთურქნი აღარ დაბრუნებულან უკან: „ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავ-ლით, სადაც აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა და, მოსვლასა ალექსანდრე მაკედონელისასა, განხურიტეს მთა ესე სხალ-ტბისაკენ და ივლტოდნენ კავკასეთად... არს აქა მონასტერი დიდი გუმბათიანი და მღვიმე მის შინა, რომელსა შინა სცხოვრობდა წმინდა შიო“ (ვახუშტი, ქ/ც/ ტ. IV, გვ. 350).

ჩრდილოეთ კავკასიაში დიდოეთში დაემკვიდრდნენ ბუნთურქნი, რომელთა შესახებ მე-18 საუკუნეში წერს ვახუშტი ბატონიშვილი: „გარნა ესენი უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა, ენა აქუსთ თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი, რამეთუ იტყ ან, ოდეს დიდმან ალექსანდრემან შემუსრა სარკინეთი, გან ურიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა; და მიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა, ვითარცა ჩანს ქცევა-ზნითა მთითა, რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგურის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდებოდეს ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანაეყოფის აღრევითა დედა-კაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა“... (ვახუშტი, ქ/ც/ ტ. IV, გვ. 552-553).

ბუნთურქთა შთამომავლები ისე დაკნინდებიან, რომ მათთვის ცივილიზაციის სხივიც კი არ კრთის. არ ასხვავებენ დედაშვილობას და მამაშვილობას, აღრეული აქვთ სისხლი, ერთ დროს სპარსთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველთა კარზე შეფარებულნი, კავკასიაში „ბრძოლასა შინა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავად მოსილნი, ავმოიარაღენი“... (ვახუშტი, გვ. 553).

აი, ამ ხალხის შთამომავლებად აცხადებს ა. იუნუსოვი მუსლიმ მესხებს. იმავე მე-18 საუკუნეში მესხების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგს წერს: „ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჭნენი, შემმართებულნი, შეურნიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი, არამედ აწ მაჰმადიანობის გამო, არღარა... ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთის გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული, გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობითა შინა იტყჳან ქართულსავე“ (ვახუშტი, გვ. 660-661).

სამწუხაროდ ა. იუნუსოვს სურს მკვიდრი მესხები, ის ხალხი, ვინც ნამდვილად ამ მესხთა შთამომავლები არიან, რომელთა წინაპრები, კერძოდ, მალალი წრე, მხოლოდ მე-18 საუკუნეში გამუსლიმებულა, გლეხთა სარწმუნოების შეცვლა ძირითადად მე-19-მე-20 საუკუნეებში მოხდა, აქციოს ბუნთურქთა შთამომავლებად. ეს არის რეალობა, არჩევანი კი, რა თქმა უნდა მესხებზეა, მთავარია, შინაგანად რომელ ზემოთმოხმობილი ხალხის შთამომავლებად გრძნობენ თავს!

დღევანდელი ზოგიერთი მეცნიერი მესხების მიმართ ადრე ჩადენილ ცოდვებს უმატებს ახალს, უნდათ რომ ქართული გენეტიკის და კულტურის მატარებელთა შთამომავალნი მექანიკურად მოგლიჯონ ძირებს და საბოლოოდ მიაწებონ სულ სხვა კულტურას, გენს, ცივილიზაციას.

იმდენად დიდია ა. იუნუსოვის სურვილი მუსლიმი ქართველები დაუკავშიროს მაინცდამაინც ბუნთურქებს, რომ ერევა არა მხოლოდ ეპოქები, არამედ ადგილის სახელები, გვაძლევს მცდარ ლოკალიზაციას. "Власть их в Грузии была столь сильна, что прибывшие позже в страну и воинственные племена хонов (гунов – А.Ю.) и спросили у владыка бунтурков место, под условием платить дань и поселились в Занаве (населенный пункт в Месхети, ныне село в Адигенском районе – А.Ю.)» (А. Юпусов, გვ. 163).

ზანავი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქართული ეთნონიმია, ნაწარმოებია –ავ დაბოლოებით ისევე, როგორც *ტყვიავი, ბოდავი* და სხვა. „*ზან-*" ფუძე სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება, კერძოდ თერჯოლის რაიონში სა-ზანო, სენაკში – ზანა, აბაშის რაიონში ზან-ათ-ი (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 493).

ლეონტი მროველის თხზულებებში ზანავი იხსენიება ორჯერ. პირველად, როდესაც იერუსალიმიდან „ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან *ზანავი*". (ქ. ც. ტ. I, გვ. 16).

მეორედ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან დაკავშირებით: „შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთუსი მტკურისა, ოძრჴე მოკიდებული კლდესა ღადოსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქჳან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და *ზანავი*, უბანი ურიათა და რუსთავი..." (ქ. ც. I, გვ. 17-18).

მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი *ზანავი* არის არაგვის ხეობაში წყაროს სახელი, სადაც მცხეთელ მამასახლისს ჩაუსახლებია ურიანი, ხოლო მეორე უბანია

მცხეთისა. ამათ გარდა ზანავი კიდევ ორი იყო და არის საქართველოში ბორჯომისა და ადიგენის რაიონებში. შედარებით მეტ ყურადღებას დავუთმობ ადიგენის რაიონის *ზანავს,* რომელიც ჰგონია ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენიებული ზანავი ა. იუსუფოვის და მიანიშნებს, რომ სწორედ ზანაველები, მუსლიმი ქართველები, რომლებიც ზანავში ცხოვრობდნენ მაინცდამაინც ბუნთურქთა შთამომავლები არიან.

ადიგენის რაიონის ზანავი, რომელიც სამცხეში მდებარეობს მოხსენიებულია IX საუკუნეში ბასილ ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისაჲ“.

მაშინდელ ზანავში იყო რეზიდენცია სამცხის მთავრისა. იქ ბუნთურქები ნამდვილად არ ცხოვრობდნენ, რის დამადასტურებელიც არის ბასილ ზარზმელის თხზულება, რომელშიც გიორგი ჩორჩანელზე ვკითხულობთ შემდეგს: „ესევითარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ – ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი მუნ იყვნეს სანახებსა *ჩორჩანისა* და *ზანავისა*“ (ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, 1975, გვ. 157).

გიორგი ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში და ის ისევეა *ჩორჩანელი,* როგორც *ზანაველი,* რადგან მისი სასახლეები სწორედ ჩორჩანსა და ზანავში იყო. იმავე ზანავში გიორგის სურვილით აშენდა მონასტერიც და დიდი მთავარიც იქ დაიკრძალა გარდაცვალების შემდეგ.

სერაპიონ ზარზმელი, ზარზმის მონასტრის მშენებელი და წინამძღვარი გვიან შეიტყობს გიორგის გარდაცვალების ამბავს, მწარედ დაიტირებს მას, რადგან გიორგი დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია-მონასტერთა მშენებელ ბერებს. სერაპიონმა „დიდად იგლოვა, ცრემლოოდა, ვითარცა მჴსნელი ლაზარეს ზედა და უმეტეს, რომელ არა თანადახუდა სიკუდილსა მისსა, ვინაჲცა ჰრქუა იკონომოსსა და სუცესთა და ძმათა ყოველთა, რა თა ხვალის დღე მივიდენ საფლავსა მისსა, ადგილსა მას *ზანავისასა,* სადა იგი მონასტერი შუ-

ენიერი მუნ არს, რომლისა – იგი იყვნეს პირველი აღმაშენებელი ამასპო და ქურდია“ (ნ. ვაჩნაძე, გვ. 176).

მეცხრე საუკუნეში არც ბუნთურქები და არც მათი შთამომავლები არ ცხოვრობდნენ მესხეთში, კერძოდ, *ზანავში, ჩორჩანში, უნწაში* და ა.შ., როგორც ამას ქართული წყარო ადასტურებს. ახლა გვიანდელი პერიოდიც ვნახოთ. მე-16 საუკუნის ბოლოს თავად ოსმალთა მიერ შედგენილი დოკუმენტის მიხედვით ზანავი რამდენიმეა: *ზემო ზანავი*, შუა ანუ *წინ ზანავი* და *ქვემო ზანავი*. ოსმალო მოხელის მიერ აღწერილი ზემო და შუა ზანავში მე-16 საუკუნის ბოლოს ქართველები ცხოვრობენ და ზემო ზანავს გარდა სასოფლო გადასახადისა შეწერილი აქვთ საეკლესიო გადასახადიც. როგორც ჩანს, ისინი ქრისტიანები არიან და მე-9 საუკუნეში ამასპოსა და ქურდიას მიერ გიორგი ჩორჩანელის ბრძანებით აშენებული ტაძრისთვის იხდიან ხარკს.

ოსმალო მოხელის წყალობით შემოგვრჩა მაშინდელი ოჯახის უფროსების სახელები, მამის სახელები, ზოგჯერ გვარებიც: *გრიგოლ ჯალიასძე, ბეჟან* ძმა მისი, *მახარობელ გრიგოლისძე, მახარობელ ხიზანისძე, გულბათ* ძმა მისი, *გოგორა* ძე მისი, *გოგიჩა მიქელისძე, თაბუკა ივანესძე, ენუქა, ბატატა* ძე მისი, *მელიქ იონასძე, ივანე* ძე მისი, *გოგინას* შვილიშვილი, *ვარძელა გიორგისძე, დემეტრე კაკალასძე, ასვატურ ხაჩატურისძე, იოსებ იასასძე, ბასილა* ძმა მისი, *ტუტუნა მიქელასძე* (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, 1941, გვ. 52-63).

როგორც ვხედავთ, ზანავის მცხოვრებნი მე-16 საუკუნის ბოლოს არ არიან არც ბუნთურქნი და არც მათი შთამომავალნი, როგორც ეს უნდა რომ დახატოს პატივცემულმა ა. იუნუსოვმა.

სხვათაშორის დღევანდელ ზანავში მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ და უფრთხილდებიან საკუთარ ისტორიასა და ტრადიციას, რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური რელიგიებიდან არის აღმოცენებული.

Там же в Месхетии имя одного из гуно-булгарских племен уди отразились в названии с. Уде (Адигенский район). О широкой миграции в далекой древности этого племени говорит наличие большего числа топонимов и этнонимов на большом пространстве о Кавказа и центральных районов России до Дальнего Востока: реки Уд, Уда, Удон; населенные пункты: Уде, Удинск и др.» (А. Юнусов, გვ. 164).

მხოლოდ გარეგნული მსგავსება სახელისა ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული ქართველურ ენათა მონაცემები, ვერ გადაწყვეტს ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა და სოფ. *უდის* სახელის იდენტურობას. ქართულ ტოპონიმიაში ნებისმიერი ეთნონიმის საფუძველზე მიღებული ტოპონიმი აუცილებლად გაფორმებული უნდა იყოს ან მრავლობითი რიცხვის ნიშნით, ან რომელიმე მაწარმოებლით.

ორი სოფლის სახელს დუშეთის რაიონში ეთნიკური საფუძველი აქვს. *ძველი ოსები* და *ახალი ოსები* სოფლებს ჰქვია. მრავლობითის –ებ მაწარმოებლის გარდა ძველი და ახალი მსაზღვრელიც აქვთ მათ თანდართული.

*ბერძენა* შეიძლება ბერძნობის გამო შერქმეოდა ადამიანს, ხოლო სოფელს როდესაც დაერქვა ეს სახელი ორმაგი მაწარ-მოებლით გაფორმდა, ასე მივიღეთ სოფლის სახელი ქარელის რაიონში – *ბერძენ-ა-ულ-ი.*

ადრე სომეხს უცხოვრია, ამიტომ გარდაბნის რაიონში სოფელს დაერქვა სახელად *ნა-სომხ-არ-ი.* აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში რუსული სუფიქსით გაფორმდა სოფლის სახელი, სადაც ესტონელები ცხოვრობდნენ – *ესტონ-კა.*

ლაგოდეხის რაიონში ჩასახლდნენ რაჭველები, ამიტომ მათ სოფელს *რაჭის უბანი* დაერქვა. სამტრედიაში ეთნიკურმა ტერმინმა – *ჯავახი* დაუდო სათავე სოფლის სახელს *საჯავახ-ო,* ხოლო გვარად ქცეულმა ეთნიკურმა ტერმინმა – *მესხია* მოგვცა სოფლის სახელი *სა-მესხი-ო* და ა.შ.

ამგვარად, თუ *უდე* თურქული მოდგმის სატომო სახელი იყო, მაშინ ის აუცილებლად მაწარმოებლით უნდა გაფორმებულიყო.

ამ სოფლის სახელი ძლიერი შემართვით წარმოითქმის. იგი ერთ-ერთი უძველესი ქართული ძირია. შემორჩენილია მისი სრული ქართული ვარიანტი ყუდ- სიტყვაში სა-ყუდ-არი, სა-ყდ-არ-ი, საბას განმარტებით: „საყდარი – ტახტი, საყუდელი – სამყოფი“. „ყუდ- ფუძე მეგრულშიცა გვაქვს ყუდე – და სახლს ნიშნავს. სემასიოლოგიურად მიყება საყუდ-ელ-ს. ამ ფუძემ გამოდევნა მეგრული მეტყველებიდან ოხ-ორ-ი“ (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში, 1942, გვ. 85).

მესხეთში ზანური ტოპონიმიის დიდი ფენაა, ამიტომ ყ-ს რომ მოეცა ჯერ ც, რომელიც შემდეგ ხმოვნის წინ დაიკარგა, ძნელი ასახსნელი არ არის.

სახლის, თავშესაფარის მნიშვნელობით შერქმეული სახელები სხვაც ბევრია საქართველოში. მაგ.: *სენაკი* – ცნობილი ტოპონიმი დასავლეთ საქართველოში. *კარავი* მოხსენებული აქვს ს. ჯიქიას „სოფლის სახელად მესხეთის ტერიტორიაზე“. *ვანი* („სადგომი“, „სახლი“, „დაბა“, „საცხოვრებელი“, „მონასტერი“, „საყოფელი“ - ილია აბულაძე) მრავალია საქართველოში და სხვა.

ა. იუნუსოვისებრ ეტიმოლოგებს რომ მივყვეთ, *უდეს* სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს. იგი ზმნა არის ნამყო წყვეტილის მეორე პირში, მაგრამ, რადგან ზმნური ფორმები ან არ გვხვდება ქართულ ტოპონიმიაში ან ძალზედ იშვიათად, თანაც ჭეშმარიტებისაგან, რადგან ასეთი ახსნა შორს არის, ამაზე სერიოზული ფიქრიც კი არ შეიძლება.

სოფელი *უდე* ბევრი რამით არის გამორჩეული, პირველ რიგში დიდი ქართული სულით. ამ სოფელში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ მართლმადიდებლები, კათოლიკები და მუსლიმები. 1909-1914 წლებში სოფელში აშენდა ქრისტიანული ტაძარი, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაგებობა მე-20 საუკუნის მესხეთში. *ამ ტაძარს ერთად აშენებდნენ ქრისტიანები და მუსლიმები.* გუმბათის ყელზე არის წარწერებით დაფიქსირებული მათი ერთობლივი

მშენებლობის ამბავი. ასეთი ქართველები ცხოვრობდნენ სარწმუნოების მიუხედავად ამ სოფელში მარადჟამს

## უბანი, ტობა

ა. იუნუსოვისათვის არ არსებობს სიტყვის რეალური, ნამდვილი ეტიმოლოგია. ვფიქრობ ეს მას მოსდის უცოდინრობით, თორემ, როგორ შეიძლება სულ სხვა წარმომავლობისა და ეტომოლოგიის ლექსიკური ერთეულები აურიო ერთმანეთში. აშკარად გამოყო-ფილი ძირისა და აფიქსების საზღვრის გაურჩევლობით, მხოლოდ აკვიატებული თურქული მოდგმის ტომთა სახელები დაინახო ყველაფერში, მათ შორის თვით თურქულ-ქართული კომპოზიტის ფარგლებშიც.

«Очень много топонимов Грузии, в том числе Месхетии связано с различными племенами Тюркского каганата. Судя по грузинской топонимике, в VI в. здесь в основном осели племена толос (иногда в источниках – тулус или телес/теле) и туба (тубо/тоба). Известные в источниках с III в. до н.э., они проживали в начале в Центральной Азии, но постепенно в раннем средневековье часть из них оказалась на Кавказе.

В Месхетии имя племени толос отразилось в названии с. Толош (Аспиндский район). Но существует большое количество топонимов (В Месхетии), связанных с племенем тоба/туба: села ***Тоба, Схалтубо*** и ***Гурутгбани*** в Ахалцихском районе и села ***Каратубан, Кортубан, Зедубан, Абастуман*** в Адигенском районе. Зафиксирован этноним «туба» и в других районах Грузии. С Тобахчи (севернее Ахалцихского района), ***хетубани*** (у г. Гори), г. Цхалтубо".(А. Юнусов, გვ. 164-165).

გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილ სახელებში არც ერთში თურქული ტომების სახელი არ არის ამოსავალი, აღრეულია ერთმანეთში სხვადასხვა სახის კომპოზიტები. ძალიან მარტივი ეტიმოლოგიის ფონზე, საფიქრებელია, რომ ადგილი

გვაქვს შეგნებულ გაყალბებასთან. სხვას რომ თავი დავანებოთ, პატივცემული მეცნიერი იმას მაინც უნდა დაეჭვებინა, რომ ტოპონიმურ სახელებში განმეორებადი ელემენტები გვაქვს. ეს არის *უბანი,* რაც თურქულ mahale-ს ნიშნავს. უბან კომპონენტის წინ რომ т შეხვდა პატივცემულ მეცნიერს ეს მხოლოდ რუსული ტრანსკრიფციის ბრალია. სინამდვილეში აქ ყველგან არის თ ($t^h$) და არა ტ ($t_{,,}$). ამ თს აქვს თავისი მორფოლოგიური დატვირთვა და გამოხატავს ნათესაობოთ ბრუნვას მრავლობით რიცხვში.

ამ ტიპის კომპოზიტური სახელები, რომლებიც შერქმეული აქვს ორონიმებს, ბევრია ქართულ ტოპონიმიაში. მათი სიმრავლის მიუხედავად, მე მათ ჩამოვწერ თვალსაჩინოებისათვის, ოღონდ არ მივუთითებ რაიონს, პატივცემულ მეცნიერს შეუძლია გადაამოწმოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ნებისმიერ გამოცემაში: *ჩალაუბანი* (*ჩალა*-უბანი) *ჩალა* შეიძლება ადამიანის საკუთარი სახელი იყოს), *უკანაუბანი* (*უკანა*-უბანი), *ზედუბანი* (*ზედ*-უბანი). ამ სახე-ლით 6 სოფელია საქართველოში. გუდათუბანი (გუდა-თ-უბან-ი, გუდა საკუთარი სახელია), შემდეგში ზედმეტი განმარტებებისაგან რომ შევიკავოთ თავი, მხოლოდ სახელებს ჩამოვწერ: *გოლათუბანი, ბეყათუბანი, ყარათუბანი, ბაქათუბანი, ქველეთუბანი, სარქველეთუბანი, ხელთუბანი, მთიულთუბანი, გულიკაანთუბანი, ყველაანთუბანი, ჭეჭელაანთუბანი, თათანაანთუბანი, სუქანაანთუბანი, ქომესაანთუბანი, მამისანთუბანი, თუსაანთუბანი, გაიჩანთუბანი, ყოფიანთუბანი, გაგლუაანთუბანი, წყაროთუბანი, მოხოროთუბანი, მარტოთუბანი, ორეთუბანი, გორთუბანი, ჯიქთუბანი, ახალუბანი* (ხუთი ახალ-უბანია სოფლის სახელად საქართველოში), *წითელუბანი* და მრავალი სხვა. ეს მხოლოდ მაკროტოპონიმებში და თუ მიკროტოპონიმიის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ასობით ასეთი სახელის ჩამოწერა მოგვიწევს.

უბან კომპონენტიანი სახელების სიმრავლე ქართულ ტოპონიმიაში სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში იგი დაკავშირებულია ქართული გვარსახელების სტრუქტურასთან, რომელიც განსხავებულია

აზერბაიჯანულ-თურქული გვარსახელებისაგან და ისეთ დიდ ეთნოპროცესებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა დიდი ოჯახების გაყოფა და ახალი ოჯახების შექმნა, რაც დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოსათვის.

პატივცემულ მეცნიერს მაგალითები მოჰყავს მესხეთის ტოპო-ნიმიიდან. მე მის ყურადღებას მივაქცევ ოსმალო მოხელეთა მიერ დაფიქსირებულ –უბან კომპონენტიან ტოპონიმებზე მე-16 საუკუნის მიწურულს: *ალათუბანი, არჩათუბანი, გორგეთუბანი, ბერაკათუბანი, გელათუბანი, გოგეთუბანი, გოგოსუბანი, გომრილისუბანი, გორგეთუბანი, ხაჩათუბანი, გულუსუბანი, დავითასუბანი, ზიქეთუბანი, თევდორიათუბანი, ანანკათუბანი, კალთუბანი, კახათუბანი, კურდღელათუბანი, ლალათუბანი, ლომსათუბანი, მალაჩათუბანი, მარჩვალათუბანი, მახასათუბანი, მახალთუბანი, მელქუათუბანი, მემშვილდეთუბანი, მასხარაანთუბანი, მოლართუბანი, ნათენათუბანი, ნახუცართუბანი, ღორათუბანი, სომეხთუბანი, ლოლათუბანი, ყურათუბანი, ყარალათუბანი, ყარათუბანი, შოლლათუბანი, ცირეკაანთუბანი, წამალათუბანი, წარბასთუბანი, ჯაჯანათუბანი, ჭუკათუბანი* და სხვა.

ჩამოთვლილთაგან ყველა სახელს გააჩნია ეტიმოლოგია. რა თქმა უნდა, რუსული ანბანით დაწერის შემთხვევაში სიტყვის შუაგულში გვექნება туб ნაწილი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან გაუგებარი იქნება დანარჩენი მნიშვნელობა სიტყვისა. ვთქვათ წამალათუბანში ა. იუსუნოვის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ *-туб-* თუ სიტყვას ასე დავშლით Цамала-т-убан-и. მაშინ თურქული მოდგმის *туб*-ებთან რა უნდა Цамала–ს ან რაშია საჭირო -ани ელემენტი, ხოლო სიტყვის რეალური ეტიმოლოგიის მიხედვით სიტყვა იშლება ასე Цамал-а-т-убан-и. თითოეულ ელემენტს თავისი ახსნა ეძებნება მარტივად.

პატივცემულ მეცნიერს მოხმობილი აქვს – უბან კომპონენტიანი შემდეგი სახელები: *გურუთუბანი, ყარათუბანი, კორთუბანი, ზედუბანი, აბასთუბანი, ხელთუბანი.* აქედან ორ სახელში გამოყენებულია აღმოსავლური სახელები. ყარათურქული სახელი, რომელიც მეტსახელად არის შემოსული

მესხურ დიალექტში, შავ კაცს შეერქმევა ხოლმე, ხოლო მისი შთამომავლებით დასახლებულ სოფლის ნაწილს ეწოდა ყარათუბანი.

ასე მივიღეთ *ყარათუბანი* და *აბასთუბანი.* ამ უკანასკნელმა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების საფიძველზე მოგვცა *აბასთუმანი*, ცნობილი კურორტის სახელი სამხრეთ საქართველოში.

*ზედუბანი* რაში დასჭირდა პატივცემულ მეცნიერს, გაუგე-ბარია, რადგან თვით მისეულ ორიგინალურ ეტიმოლოგიაშიც კი არ ჯდება ეს სიტყვა და ვერ ვღებულობთ მისთვის სასურველ *-ოუნ-* სატომო სახელს. ეს სიტყვაც გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და ზედა უბანს ნიშნავს. სოფლები, ვიდრე თანამედროვე სახეს მიიღებდა და დაყოფილი იყო საგვარეულო უბნების გარდა რელიეფის მიხედვით განაწილებულ უბნებად, გეოგრაფიულად ზევით იყო ზედა, ქვევით – ქვედა, გვქონდა *შუაუბანი* და სხვა.

ასევე საკუთარი სახელიდან უნდა მომდინარეობდეს *გურეთუბანი* თუ რაიმე დამახინჯებასთან არა გვაქვს საქმე, რადგან ეს სახელი ახალციხის რაიონში ვერ დავადასტურე. *კორთუბანი*, ვფიქრობ იგივე *ლორთუბანია* და სემანტიკაც გამჭვირვალე იქნება, თუმცა არც კორ-კომპონენტია უცხო ქართული ტოპონიმიისათვის და ისიც საკუთარ სახელს უკავშირდება.

*ხელთუბანი*, სიტყვასიტყვით გიჟების უბანს ნიშნავს. ხელი ძველ ქართულში გიჟს ნიშნავდა.

-უბან კომპონენტებიან ტოპონიმებს თუ გამოვაკლებთ ბატონი ა. იუნუსოვის მიერ მოხმობილ სახელთაგან დაგვრჩება *ტობა, ტობახჩი და წყალტუბო*, რომლებშიც მართლაც გამოიყოფა ტობ||ტუბ კომპონენტი. ამათგან ტობახჩი სად არის დაფიქსირებული, როგორც ავტორი ამბობს, ,,*ახალციხის ჩრდილოეთით*“, ვერ მივაკვლიე. *ტობისა* და *წყალტუბოს* ისტორია-ეტიმოლოგია ცნობილია და ისინი საერთო ქართველურ დონეზე განიხილება. მათ რიგში ჩადგება *ტაბისყური, ტაბახმელა, ტბეთი, ტებათი* და სხვა და უკაშირდება ტბის ეტიმოლოგიას. არსებობს შესაბამისი ლიტერატურა* *ტაბ* ფუძის შესატყვისია მეგრული *ტობ*, რომ-

ლითაც უკავშირდება *ტბ* და სამივეს ერთი წინარექართველური წარმომავლობა აქვს. ვიდრე VI საუკუნეში тулус, телес/теле და туба (тубо\тоба) თურქული ტომები მოვიდოდნენ საქართველოში, IV საუკუნეში წერილობით შეიძლება დათარიღდეს (ა. შანიძე) ტბის მოხსენიებაც. ამგვარად, უხერხულია, როდესაც მეცნიერი „სერიოზულ“ დასკვნებს აკეთებს და არ ითვალისწინებს შესაბამის ქართულ ლიტერატურასა და მასალას.

მე მაინც ვთვლი, რომ ჩამონათვალთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სოფ. ტობა და მის შესახებ ცოტა მეტხანს შევჩერდებით.

*ტობა* დღეს ნასოფლარია, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ მის მდებარეობს აღვწერთ ვახტანგ სუდაძის მიხედვით.

ვ. სუდაძემ ტობა აღწერა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, მაშინ, როდესაც იქ სოფელი იყო, ამასთან ერთად, ეს აღწერა გამოქვეყნებული არ არის და ჩვენ მიერ მოყვანილი ტექსტის საშუალებით გაეცნობა მას დაინტერესებული მკითხველი: „სოფელი *ტობა* ახალციხიდან 10 კილომეტრის დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. სოფელი შემოზღუდულია ირგვლივ მაღალ კლდიანი მთებით და გორებით.

*ტობას* აღმოსავლეთით საზღვრავს სოფელ *რუსთავის* მიწა-წყალი, სახელდობრ *თელათი ყანები.*

სამხრეთით საზღვრავს მდინარე მტკვარი. დასავლეთით საზღვრავს სოფელ *მინაძის* მიწაწყალი. სახელდობრ: *ჩოქქები, ლელურები, სერები.* ჩრდილოეთით საზღვრავს სოფ. *კვალთაზვის* და *ორფოლის* მიწაწყალი, სახელდობრ: *სადაო, სამარილოები, სამარილოების გვერდები.* თვით სოფელი *ტობა* მდებარეობს პატარა ტაფობში. ტაფობის ფართობი ორ კვადრატულ კილომეტრს უდრის, დანარჩენი ადგილები მთაგორიანია და მწირმოსავლიანი ნიადაგისაგან შესდგება“19

ნასოფლარს თუ უფრო ზემოდან დავხედავთ, უკეთესად გამოჩნდება მისი რელიეფი, *ძველი ღრელის* გადასახედიდან, კერძოდ, *კლდისთავებიდან,* რომელსაც *მახარაული* ჰქვია, კარგად მოჩანს ნასოფლარი *ტობა,* რომელიც მოქცეულია მთებში და მტკვრის მხარეს აქვს გამოსასვლელი ყელი. *ტო-*

*ბის* ეს ადგილი ტაფობია, რომელიც ერთ დროს ადგილი მთლიანად წყალს ჰქონდა დაფარული, იყო ტბა, რომლის დაშრობის შემდეგ დაგვრჩა ტობა.

სახელი მესხეთის უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება და მისი ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულიდან უნდა დაიწყოს. მანამდე კი მოვუსმინოთ ხალხურ ეტიმოლოგიას: „სოფ. *ტობიდან* მომავალი ღრმა ხევით პატარა წყალი (ნაკადული) ერთვის მტკვარს, თურმე ერთხელ მებადურებმა ნახეს, რომ ამ პატარა წყალს ნაფოტი მოაქვს. ეს წყალი იმ დროს არც ისე პატარა იქნება. მებადურები დაინტერესდნენ, ალბათ აქ ვინმე ცხოვრობსო და ხევზე შეჰყვებიან წყალში *ტოპატოპით*, ავლენ ჩვენ სოფელში, ნახავენ, რომ სამი კომლი ცხოვრობს. ამათგანი ერთი კომლი სახლს აკეთებს. ის ნაფოტი იყო, წყალმა რომ წაიღო. იმ მებადურების შემდეგ დარქმევია *ტოპა* და ახლაც ეძახიან *ტობას*“[21] წყალს, „*ტოპას*“ და თევზის სიმრავლეს უკავშირდება მესხეთში გავრცელე-ბული ხალხური ლექსი: „...თევზი მე მთხოვე *ტობასა*“[22].

ბევრი ენათმეცნიერი შეეხო ტობის ეტიმოლოგიას, მიჩნეული, რომ იგი ტბას უკავშირდება (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) და *ტობა* ზანიზმია (ი. სიხარულიძე, ნ. ნორაკიძე, გ. თოფურია) მესხეთის ტოპონიმიაში. არის სხვა მოსაზრებაც: „სამხრეთ საქართველოში ადგილის სახელებად გვხვდება *ტაბისყური, ტობა, ტებეთი, ტბეთი. ტაბისყური* ისტორიული *თრიალეთის* ტბაა, მაგრამ *თრიალეთი* არაიშვიათად იგულისხმებოდა ადმინისტრაციულად ჯავახეთში. იგი ტოპონიმიურად „მესხური“ რეგიონია. *ტობა* სამცხის ტოპონიმია... *ტებეთი* ისტორიული პროვინციის — *შავშეთის* ტერიტორიაზე მდებარეობდა... ხოლო *ტბეთი* მდებარეობდა *შავშეთსა* და *კოლას* შორის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი ისტორიული მესხეთის ფარგლებშია...

შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა ეს სახელი ერთ ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი“[23].

მიუხედავად ტოპონიმის სახელის სიძველის დადასტურებისა, ცნობები იქ მცხოვრებთა შესახებ, შედარებით გვიან-

დელია და მე-16 საუკუნეს განეკუთვნება. ოსმალეთის მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ მე-16 საუკუნის ბოლოს ტობაში ქართველები ცხოვრობდნენ; *საბია გრიგოლისძე, სორაზან, მახარებელ საბიასძე, ლომგელი დავითასძე, კაკია გიორგისძე, იასონ, გოგიჩა, აბისონ გოჩასძე, მახარა იასონისძე, ზაალა, ზაალა სოხასძე, გრიგოლ გოგიჩასძე, არაქელა ანანიასძე*[24]. ესენი ოჯახის უფროსები არიან. თუ გავითვალისწინებთ, ტრადიციულად, მესხთა მრავალ-სულიან ოჯახებს, ბევრი ბავშვი, ქალი და რძალი იქნებოდა ზემოთჩამოთვლილთა გარდა. სოფელში იყო ერთთვლიანი ზეთის სახდელი, რომელიც საბიას ეკუთვნოდა. მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, საქონლის საკვებად ცალკე იღებდნენ თივას და ცალკე იონჯას. ჰქონდათ სოფლის მთა და იალაღები, თესავდნენ ბოსტნეულს მოჰყავდათ საუკეთესო ხილი. ჰყავდათ ფუტკარი, ღორი, საქონელი მრავალი...

მრავალჯერ დანგრეულა და მოშენებულა სოფელი. „უწინდელ დროს ჩევნ სოფლის ადგილას ყოფილა ნასოფლარი. მტრების შემოსევით ხალხი გაერანებულა. ჩვენი სოფელი და მთლიანად მიდამოები განხდარა ურანი ტყეთ“[25].

მას შემდეგ ამ ნასოფლარში პირველად დასახლებულა სამი კომლი. 1. *თამარაძე*, 2. *სუდაძე*, 3. *ვარსკნელიძე*. „ეს სოფელი მოშენებულა ამ სამი კომლისაგან, მხოლოდ შემდეგ ჩაჰმატებია რამდენიმე გვარი“[26].

როგორც ჩანს, *სუდაძეც* მისულია ტობაში: „სოფელი *ორელი* რომ აუოხრებიათ, იქიდან გამოქცეულ *სუდაძეს* თავი შეუფარებია *ტობას*... იქიდან მოშენებულა ჩვენი სოფლის ქართველობა“[27]. ე. ი. ადგილობრივნი *თამარაძეები* და *ვარსკნელიძეები* ჩანან. ასევე მოგვიანებით ჩანს მოსული ტობაში *ასპანიძე*. სოფლის ტერიტორიაზე აღმოსავლეთით ნახევარ კილომეტრზე იყო ნაეკლესიარი *წმ. მარიამის* სახელობისა, ხოლო ჩრდილოეთით – *წმ. გიორგის* სახელობისა.

სოფელში იდგა *წმ. ნინოს* სახელობის ეკლესია, რომელიც აშენდა 1882 წელს და ნიში გადმოიტანეს *ობერის* ეკლესიიდან.

1944 წლამდე ტობაში ცხოვრობდა 45 კომლი გალმა და გამოღმა უბნებში. 22 კომლი–მაჰმადიანი და 23 კომლი – ქრისტიანი.

*ვ. სუდაძის* მიერ აღწერილია *ტობის* მიკროტოპონიმია. ჩამწერს დაყოფილი აქვს ტერიტორია მხარეებად და მითითებული აქვს, თუ რამდენ კილომეტრზეა დაცილებული ესა თუ ის სახელი სოფელს. არა აქვს ახსნილი სიტყვის მნიშვნელობა და არ არის მითითებული, თუ რა რის სახელია. მოვიყვანთ მის მიერ ჩაწერილ მასალას.

სოფლის აღმოსავლეთი მხარე: *ზვარიები, ლექთიები, უნაგირები, ორთაყუზიები, სატრაწავები.*

სამხრეთი: *ზეუბნები, სარჩუკიები, გობიათალი, ბებნაძიკატრები, ფილტაგვერდი, ფაგები, ვენახები, საცურავი.*

დასავლეთი: *ფაშაფუარი, ლოდრანა, კურდღუალა ვაკე, ქარხნები, კაპნები, ყიმიშლიდარა.*

ჩრდილოეთი: *ლოლნაშო თარაგი, სიფირგაიათალი, კლდეკარი, სერები, ქალთაყანები, ჩოქაქები, შუასერები, ყაიაყაიები, შორალები, სადაოები, სამარილიები, ავრიოლები, ჩიტოღელე, სანგლითავი, თელათი თავები. ჩოქაქების წყაროები, შორალების წყაროები.*

მაჰმადიან მესხთა გადასახლების შემდეგ, სადაც მართლმადიდებელი ქართველობა აღარ ცხოვრობდა, ტოპონიმია ქრებოდა სპონტანურად. *ტობა* ამ შემთხვევაში საბედნიერო გამონაკლისია, რადგან იქ ქართველობი ცხოვრობდნენ, ისინი *წყორძაში* გადავიდნენ და მათ იციან ადგილის სახელები. ამასთანავე ჩვენ გვქონდა საშუალება ჩაგვეწერა სახელები *ტობიდან* გადასახლებული მაჰმადიანი ქართველისაგან 70 წლის იასერ ვარსკნელიძისაგან. მისი თქმით *ტობაში* ცხოვრობდნენ მაჰმადიანთა შემდეგი გვარები: *ვარსკნელიძე, გაგნიძე, დავხარიძე, თამარაძე, ლაზიშვილი.* იყო ორი ეკლესია, რომლებიც მუსულმანთა უბანში იდგა. მუსულმანებსა და ქრისტიანებს ჰყოფდა *ტობის ხევი.* მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდნენ მუსულმანები, მარცხენაზე ქრისტიანები. ბავშვები ერთად დადიოდნენ ჭონაზე, ანთებდნენ ჭიაკოკონას, ღებავდნენ სააღდგომოდ კვერცხს. მან გაიხსენა თამაში ჯოხით.

ორი მოთამაშე დაიჭერდა ჯოხს თითო ხელგამოტოვებით ჩასჭიდებდნენ ხელს და ამბობდნენ:

„ჩემო ჯოხო შინდისაო, მე ვერ მოგცემ მინდისაო, უბედურო, ბედიანო, უბედურო, ბედიანიო... თან გადაადგილებდნენ ხელს და ვისთანაც გათავდებოდა, ის წააგებდა. *ი. ვარსკნელიძისაგან* ჩაწერილ მიკროტოპონიმებში თითქმის არ გვხვდება თურქული სახელები, ზოგი მათგანი, რომელიც ჩაუწერია *ვ. სუდაძესაც*, განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი, ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება: *კაპანი* — აღმართი, სამანქანე გზა, რომელიც ადის სახელმწიფო გზიდან, მიდიოდა ვიწრო ბილიკის სახით. იქვეა *დავითის ლოდი*. ღვარცოფი მოვარდნილა და ვინმე დავითო ზედ ასულა, თავი გადაურჩენია.

*ტობის ხევი*—იწყება *ტობიდან*, ადგილიდან, რომელსაც ჰქვია *სანგლია თავი* (პატარა გორაკი) და ერთვის სახელმწიო გზის ქვეშ მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან. *გუდანკი/გუდანკე—ტობის ხევის* შესართავი მარჯვენა მხრიდან, გზიდანვე. *ტობის ხევის* მარჯვენა ნაპირზე, ვიდრე ავალთ ტობაში, არის კარგი წყარო *კურდღელა*. სოფელში შესასვლელშივე იყო წყარო, რომელსაც ერქვა *აქავრა*. *ჭანჭახა*—სოფლის თავში კეტავდნენ ჭაობიან ადგილს, ღამე აგროვებდნენ წყალს, რომ დღე რიგრიგობით მოერწყოთ პატარა ბაღები. *ნაფუზარი* — სოფლის აღმოსავლეთით, თავზე, სათესები. *შუაკარები‖შუაკარი* — სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით კლდიანები. გადის ბილიკი შუაში, მიდის *კვუალთისხევის/კუალთახევისა* და *ორფოლისაკენ*. *სამარლე‖სამარილე* — ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრტყელი ქვები, სადაც მარილს აძლევდნენ საქონელს. *ჩიტღელა* — რუსთავის საზღვარზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სათავეს იღებს *სამარლედან* და მიდის *რუსთავის მიწებამდე*. *უნაგირა* — სოფლის სამხრეთით *მუსხის* საზღვრამდე.

ასევე ჩავიწერეთ მიკროტოპონიმია ნოდარ დავითის ძე ასპანიძისაგან. 61 წლის, ყოფილი მეტყევე ინჟინერი. ნ. ასპანიძის მასალაც გარკვეულ დამატებით ინფორმაციას და განსხვავებულ ვარიანტებს გვაწვდის, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ მისი აქ წარმოდგენა: *კურდღელა* — წყარო, მინა-

ძიდან 4 კმ-ზე. გზის მარჯვენა მხარეს, კლდეში გამოკვეთილი, გზის პირზევე. შუაში გახვრეტილი ქვაა დაცობილი ხით (ლულუტა). ივსებოდა და აქედან ეზიდებოდნენ წყალს სოფელში.

*კურდღელას* მოპირდაპირე მხარეს ფიქლნარი ქვიანი, გრაკლიანი ადგილია, *საკაკაბე* ჰქვია. *საკაკაბეში* მარილსა და ქატოს ჰყრიდნენ, რომ კაკაბი მოშენებულიყო კოლექტივის დროს. *აქუარა* — სოფლის შესასვლელშივე ავაზნები დგას, ჩადის ღელის წყალი წვიმის დროს. *ტობის წყალი|ტობის ღელე* — „რუსეთის შემოსვლის შემდეგ, წყალი რომ მოდიოდა, *ტოპით*, ტოპით მოდიოდაო“. *დიდი უნაგირიდან* იღებს სათავეს (სერია რუსთავსა და ორფოლას შორის), ნაწრეტ-ნაწრეტი წყალი მოდის შრება ხოლმე, ჩამოივლის *პატარა უნაგირას, აქაურას, კურდღელას* და უერთდება მტკვრს მარჯვენა ნაპირიდან. *ზეუბნები|უბანი* — ტობის თავზე ბაღები იყო და იქვე იყო პატარა ტბაც. იყო საბოსტნეც, ირწყვოდა *დიდი გუბიდან* ნაწრეტი წყლით.

*კატრები* — ტყე, ფიჭვნარი 12 ჰექტარამდე. მზადდებოდა კუწუწი, გირჩებს სოფლელები საზამთროდ კრეფდნენ. რუსთავის გადასახედია. აქედან ჩანს *ძველი მუსხი. ძველი მუსხის* ეკლესიის ქონგური და კატრები ერთ ხაზზეა. 1998 წელს დაწვეს კატრები.

*გრაკლიანი — რუსთავი მუსხის* მხარეს ქვიანი ბუჩქნარი ფერდობია. გრაკლს მოსახლეობა ზამთრობით თონისთავს იყენებდა.

*ჭანჭახები* — სოფლის სამხრეთ-დასავლეთ წვრილი წყაროები გამოდიოდა, იყო ვენახები, ხვიარა ვენახი (ხვიარა ყურძენი) მხოლოდ მაღლარი.

*გოგონას წყარო* — სოფლის ჩრდილო-დასავლეთით *ორფოლის* მხარეს, უერთდება *ტობის ღელეს* მარჯვენა ნაპირიდან. *სატრაწეო* — მრგვალისერია გაცრეცილი ნაშალი მიწით, რო ატალახდება ძალიან თხელი მასა მოდის, ფეხზე რო მოგეკრება, აღარ შორდება. *საჩხუკიები* — სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით *ორფოლის* გადასახედი სერი, პანტანი. პანტა ჩხიკვს უყვარს. *ფიქლნარი* — სერი სოფლის თავზე, *ტობის ღელის* მარცხენა მხარეს. აქ მზადდებოდა ფიქალი სამშე-

ნებლოდ. *საკურდღლე სერი* უერთდება აქაურას. *სარეკელა* — სერი ნაეკლესიარით სოფლის თავზე *რუსთაველის* მხარეს.

*ტობის* ზოგიერთი ტოპონიმი დააფიქსირა *ს. ბოსიტაშვილმა*: „*ძველი მუსხი* მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობა და მტკვრის მარჯვენა ნაპირის მიდამოებშიც მასვე ეკუთვნოდა... აქ გვხვდება შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებები: *ტობური ვენახები, ორძმაკლდეები, ქვაბის კარები* (გამოქვაბულები), *ქვაბის თავები* (აქ ქვემოდან თაღებია, ხოლო ზემოდან კარები. *ლელების ხევი, საცურავი* (ძველად ხე-ტყეს აცურებდნენ) *ზედა და ქვედა ერხონა* (საძოვრებია), *ლეკის ხევი*“[28].

მუსხს ტობის მიდამოები მიეკუთვნება მას შემდეგ, რაც მოსახლეობისაგან დაიცალა (1944 წლის შემდეგ), რასაც ადასტურებს თუნდაც *ტობური ვენახები*, რომელიც *ტობის ვენახებს* ნიშნავს, ვიდრე ტობელებისა იყო ეს ადგილი, მანამდე უბრალოდ *ვენახები* ერქვა.

ზემოთმოყვანილმა ტოპონიმიურმა მასალამ გვიჩვენა, რომ *ტობის* მიკროტოპონიმია ძირითადად ისეთივეა, როგორც დანაჩენი საქართველოს მიკროტოპონიმია. ამასთან ერთად, გარდა ზემოთჩამოთვლილი გვარებისა, სხვა გვარსაც, კერძოდ, ბებნაძეს, უნდა ეცხოვრა *ტობაში*, რასაც გვაფიქრებინებს *ვ. სულაძის* მიერ ჩაწერილი *ბებნაძიკატრები*, რომელსაც შემდეგში ჩამოსცილდა გვარის აღმნიშვნელი ნაწილი და *ნ. ასპანიძესთან* გვხვდება უკვე მხოლოდ *კატრები*. დღეს *ტობაში* ვაზი აღარ გვხვდება, მაგრამ ადგილის სახელი *ვენახები* მიუთითებს, რომ აქ ვაზი ყოფილა, რასაც ადასტურებს *ნ. ასპანიძის* ხვიარა ყურძენი და აგრეთვე: „უწინ ჩვენ სოფლის ყურძენი მთელ მხარეში განთქმული ყოფილა. პავლე პაპას ცოლი იტყოდა: *ვენახებს* რო ვეძახით, ის მზიგული მთლად ვენახებით იყო დაფარული, ისეთი ვენახი, რომ ტოტიდან ტოტზე დავდიოდით და ხშირად ვიკარგებოდითო.

შემდეგ, როცა ეს სახელმწიფო გზა გაიყვანეს ნიკოლოზის დროიდან, ვენახები გაჩეხეს, მხოლოდ ახლა დარჩენილა ერთი ძირი სოფლის ბაღებში. *სულაძე მათეს* აქვს ვენახი, ინახავს კარგად და კარგადაც მწიფდება. წელს ოც ფუთამდის ესხმოდა“[29] *ტობის ვენახების* შესახებ საინტერესო

ცნობას გვაწვდის ს. ხოსიტაშვილი: „ნასოფლარი *ტობა* მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ძველად განთქმული იყო ვენახებით. ჩვენამდე აქ შემორჩენილია მარანი, ვენახის ტერასები და რამდენიმე ძირი ძველთაძველი ვაზი“30.

ვ. სუდაძესთან სჭარბობს თურქული სახელები, რომლებიც ყველა გამჭვირვალე და რომელთაგან საინტერესო ჩანს *ყაიაყაიები* (კლდეკლდეები). ამასთან აღსანიშნავია, რომ თურქული ლექსიკა შემოსულია დიალექტში და გაფორმებულია - ებ სუფიქსით. ერთი და იგივე ობიექტს უნდა აღნიშნავდეს *კლდეკარი (ვ. სუდაძე), შუაკარი (ი. ვარსკნელიძე). და ორძმაკლდეები (ს. ხოსიტაშვილი)* სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს გვაძლევენ *ი. ვარსკნელიძე (აქავრა) და ნ. ასპანიძე (აქაურა)*, რომელთაგან პირველი უცხო ჩანს მესხეთის ტოპონიმიისათვის, მაგრამ ჩვეულებრივი მოვლენაა მთიან აჭარაში.

საინტერესო ფონეტიკურ ფორმებად მიგვაჩნია *ზვარიები, ლექთიები, უნაგირიები. ზვარიებში* ამოსავალი უნდა იყოს *ზვარე* (მზის გული) წინაალმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა *ზვრები||ზვრიები.* ლექთიების შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს ლეკთა, რომელიც იგივეა, რაც *გრაკლიანი* (ნ. ასპანიძე) და მისგან უნდა იყოს ნაწარმოები *ლეკის ბევი.* ასევე ა დაბოლოება უნდა ჰქონდეს ამოსავლად უნაგირიებს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც *დიდი და პატარა უნაგირა ან უნაგირას* გარშემო სათესების სიმრავლის აღმნიშვნელი.

ამგვარად, ნასოფლარი ტობა საინტერესოა, როგორც სახელით, ისე მიკროტოპონიმიით, როგორც *ტობაში* იკითხებოდა ტბის უძველესი ფორმა, ასევე მიკროტოპონიმია გვაძლევს ძვირფას ცნობებს სოფლის ისტორიული თუ სამეურნეო ყოფის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მივიღოთ ა. იუნუსოვის დასკვნები.

ქართულ საისტორიო მწერლობასა და ლიტერატურაში ცნობილია *ჰონნი, ჰუნები,* თათრული წარმოშობის ტომები, რომლებიც ცენტრალურ აზიაში ბინადრობდნენ. II ს-ში ისინი აღმოსავლეთ ევროპაში გაჩნდნენ, სადაც მათ თითქმის ორი საუკუნე დაჰყვეს. IV საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთისკენ აიღეს გეზი. ბრძოლა გაუმართეს ოსტგუთებსა და ვესტგუთებს. დაიპყრეს ევროპის მრავალი ტომი და გაანადგურეს მათი ქალაქები. ჰუნების ცნობილი მეთაური V საუკუნეში გახლდათ ატილა, რომლის წინამძღოლობით შეიჭრნენ ისინი გალიაში. აქ მათ დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ რომაელების, ვესტგუთებისა და ფრანკების გაერთიანებული ლაშქრის სახით და დამარცხებაც იწვნიეს 451 წელს კატალაუნის ბრძოლებში. ატილას გარდაცვალების შემდეგ ჰუნების ტომობრივი გაერთიანება დაიშალა (ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002, გვ. 788).

დავიწყებ იქიდან, რომ სულ ერთი არ არის სხვადასხვა ენათა ოჯახების ფონეტიკური შესაძლებლობანი. ქართული ჰ, რომელიც ფონემაა და მას სიტყვათგან მასხვავებელი ფუნქცია აქვს, ისევე უპირისპირდება ხ-ს, როგორც ნებისმიერ დანარჩენ ბგერას.

მე-5 საუკუნის ქართველი მწერლის იაკობ ხუცესის ერთი პერსონაჟი ამბობს: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარველ *ჰონთა* ზედა“. ეს პერსონაჟი ქართლის პიტიახში ვარსქენია, რომელიც *ჰონების* წინააღმდგ საბრძოლველად მიდის. პიტიახშს რომ ეთქვა ხუცესისათვის, მე ბრძოლად წავალ *ხონთა* ზედაო, ხუცესი ნამდვილად ვერ მიხვდებოდა, სად მიდიოდა ვარსქენი, რადგან ხონი სხვა სიტყვაა და ჰონი სხვა.

შეიძლება პატივცემული ა. იუნუსოვი შემოგვედაოს, მოხდა ფონეტიკური ცვლილება და ჰ-მ მოგვცა ხ ბგერა. ამას მტკიცება უნდა. ჰ რომ სიტყვის შუაში იყოს და შესაბამის ბგერათა გარემო ჰქონდეს, სხვა არის. სიტყვის თავში ჰ – შეიძლება დაიკარგოს, თუ მას ფონეტიკური ან მორფოლოგიური ფუნქცია არ ექნება. ჩვენ გვაქვს ქართული ეთ-

ნოტერმინი *ჰერეთი, ჰერები, ჰერნი,* იუნუსოვის მიხედვით უნდა გვქონდეს ხერეთი, ხერები და ა.შ. ამგვარად, *ხონა, ხონი, ხუნანი* ვერ დაუკავშირდება *ჰუნებს.* აქვე დავძენთ, რომ მეცნიერის მიერ ადიგენის რაიონში მითითებული სოფელი *ხონა* არ არსებობს. არის მხოლოდ ნასოფლარი, რომელსაც აქვს თავისი ფონეტიკური ვარიანტი *ხვანა,* რომელიც უფრო ძველი და სწორი უნდა იყოს. ქართულში ვა კომპლექსისაგან ო-ს მიღება ცნობილი ფაქტია: თქვა→თქო (დიალექტ.), ცხვარი→ცხორი და ა.შ. ასევე ქართული ვა კომპლექსი შეიძლება თურქულ ენობრივ გარემოში გადადის ო-დ. ამის კარგი მაგალითია იმავე სამცხეში ცნობილი ქართული სახელი *ქვაბლიანი,* რომელმაც თურქულად მოგვცა *ქობლიანი* (ს. ჯიქია, „დავთარი", III, გვ. 95).

ვა კომპლექსიანი ვარიანტი დადასტურებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ბოცოს წყლის შესახებ საუბრისას ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „ეს გამოდის გურიისა და აჭარის მთასა, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ამ ბოცოს წყალს *ხვანას* ზეით ერთვის სხუა ხევი" (ვახუშტი, გვ. 664). აგრეთვე: „ბოცის წყალსა და *ქუაბლოვანის* წყალს შორის, *ხვანასა* და უდეს შორის არს მთა, წარსრული გურიის მთიდამ აღმოსავლეთით" (ვახუშტი, 665).

როგორც ვხედავთ, ჰონ- ფუძესთან ხონა-ს დაკავშირება სერიოზულ ფონეტიკურ წინააღმდეგობას აწყდება. დასამტკიცებელია, როგორ და რატომ მოგვცა თავკიდურმა ჰ ბგერამ ხ. –ო-სა და ვა კომპლექსის ურთიერთობა ასახსნელია. ასევე გასარკვევია, ხონ-ა-ში თუ ჰონი იყო თავიდან, რა ფუნქცია აქვს ა ბგერას, რომელიც ეთნოტერმინებს არ აფორმებს საერთოდ.

სერიოზულად დგება ნ ბგერის საკოთხიც, რადგან ამ ტოპონიმს იმავე არეალში აქვს სეხნია სახელი, რომელიც მხოლოდ მ ბგერით განსხვავდება. ეს არის *ხომა.* პატივცემულ მეცნიერს ეს ყველაფერი არ აინტერესებს, მისთვის მთავარია, თუნდაც ერთი ბგერა ემსგავსებოდეს, რომელიმე მისთვის *მისაღებ* და *სასურველ* სიტყვას და ეტიმოლოგიაც გამომცხვარია.

*ხონაში* მე-16 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდნენ ქართველები: *ონანა ივანესძე, მახარებელ სარგიზისძე, ალდგომელას* შვილიშვილი, *გოგიჩა დავითის ძე, რომანა გულიასძე, გოჩა* ძე მისი, *ზაქარას* შვილიშვილი, *იასა* ძმა მისი, *ყურა იაზასძე, ბადურა* ძე მისი, *გოგიჩა ადიკასძე, გოგიჩას* შვილიშვილი, *ივანეს* შვილიშვილი, *ივანე აბესალომისძე, დათუნა გიორგისძე, გულა გიორგისძე, რომანა, აბესალომ ზაქარასძე. უზანა,* სახელად *მამისა, მახაროპელ* ძმა მისი, *გოჩა მამიასძე, ტატუნა ბესელისძე,* სახელად *იოსებ, გულისადებ* ძე მისი (ს. ჯიქია, დავთარი, II, 1941, გვ. 80).

ერთი ნაკვეთი მამული შეუძენია უკვე ჰუსეინ ზა იმს, შეიძლება ის ერთ-ერთი პირველთაგანი სარწმუნოება შეცვლილი ქრისტიანია. იქვე ჩამოთვლილია გადასახადები, რომელიც მძიმედ აწევს *ხონაში* მცხოვრებთ. ეს არის გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ცერცვზე, სელის თესლზე, თივაზე, ცხვარზე, ღორზე, ფუტკარზე ბოსტანზე, იალაღზე, წისქვილზე და ქორწილზეც კი. წელში გამწყვეტი გადასახადებისაგან გათავისუფლების ფასად ზოგი ქრისტიანი გამუსლიმანდა.

ეს ყველაფერი არ აინტერესებს პატივცემულ ა. იუნუსოვს. მისთვის მთავარია მუსლიმ ქართველებს როგორიმე მოუძებნოს არ არსებული თურქული წარმომავლობა.

ა. იუნუსოვის სტატიისთვის ნიშანდობრივია მხოლოდ რუსულენოვან წყაროზე ან ლიტერატურაზე დაყრდნობა, რაც ხშირად სერიოზული შეცდომების სათავე ხდება. შეიმჩნევა რომ პატივცემული მეცნიერი ხშირად მხოლოდ რუსული რუკებით სარგებლობს.ამის კარგი მაგალითია აწყურის ავტორისეული ეტიმოლოგია: «Также с гурами свиазаны названиа сел Азгур (но-грузю. Ацкури) в Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г. Телави Именно в этом регионе в IV-VI вв. действовали и проживали упоминавшиеся саоиры » (А. Юнусов გვ. 164)

მეცნიერი Азгур –ს ყოფს ორ ნაწილად: Аз-гур, სადაც _гур უკავშირდება гур– ებს, ხოლო Аз -ის შესახებ არაფერს ამბობს. ეტყობა გულისხმობს Азербаиджан–ს, ეს ხომ

ცნობილი შემოკლებაა. ასეთ დაკავშირებებს ბევრი წინააღმდეგობა ახლავს.

როდესაც ავტორი ამბობს «по-груз.Ацкури», აღარაფერს ამბობს აზერბაიჯანელი «Азгури» როდინდელია და რომელ წყაროებშია დაფიქსირებული. როგორ მივიღოთ ქართული Ацкури Азгури-საგან.

ქართულ ენას აქვს ფონეტიკური შესაძლებლობა, სრული სიზუსტით გამოხატოს თურქულ –აზერბაიჯანული ფორმები, რაც შეუძლებელია, რომ მოხდეს პირუქით. დავძენთ, რომ Ацкури არ არის ქართული, არამედ არის რუსული ანბანით გადმოცემული ქართული სიტყვა. მართლაც, რომ თავდაპირველად გვქონოდა Азгури ქართულად რატომ მივიღებდით ან Ацкур-ს ან აწყურს? ქართულში გადმოვიდოდა აზგურად, რადგან ყველა ფონემა, რომელიც Азгур-შია, გვაქვს ქართულში, რაიმე ფონეტიკური ცვლილება აუცილებელი არ შეიქმნებოდა, მაგრამ საქმე სხვა რამეშია. ამოსავალი, რა თქმა უნდა, არის აწყური. ეს არის ერთ-ერთი უძველესი სახელი მესხეთში, როგორც ციტატიდან ჩანს Азгури დაერქვა ადგილს IV-VI საუკუნეებში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ცხოვრობდნენ საბირები ამ რეგიონში, სადაც ცხოვრობდნენ მუსლიმი ქართველებიც და რა თქმა უნდა, სწორედ მათი თურქული წარმომავლობის „მტკიცებას" ემსახურება ეს აკვიატებული აზრი, რომ აწყური მაშინ ჩნდება და თურქული მოდგმის ხალხის დარქმეულია.

იმედია, პატივცემული მეცნიერი, რომელიც სხვა შემთხვევაში იმოწმებს, ქართულ მატიანეებს, ამ შემთხვევაში ეჭქვეშ არ დააყენებს საქართველოში ანდრია მოციქულის შემოსვლის ამბავს, მით უმეტეს, რომ ეს თვით უფლის და ღვთისმშობლის ნება იყო. უფლის ამაღლების შემდეგ ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველოს მოქცევის, გაქრისტიანების საქმე. "ე ჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: მ დედაო ჩემო, არაუგულებელვყო ერთი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია, ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა. და თანა წარატანე ხატი

შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკუდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.38).

უფლის სურვილი და ბრძანება გადასცა ღვთისმშობელმა ანდრიას, რომელმაც სიხარულით მიიღო უფლის ბრძანება. „მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თჳისსა. და გამოისახა ხატი ესევითარი, რომელიც წიაღთა თჳისთა ეტჳრთა განხორციელებული ჩჩჳილი, ყოვლად სახიერი სიტყუა ღრმთისა, რომელიც აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლადწმიდისა აწყუერისა ღვთისმშობელისა" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 38)

როგორც ხედავთ, აწყურის ხვთისმშობლის ხატი პირველ საუკუნეში შეიქმნა, თვით ღვთისმშობლის სახიდან, მისი ხელიდან მოდის. თავისივე ხელით ხვთისმშობელმა გამოიტანა ანდრიას.

ანდრიამ გამოიარა ტრაპიზონი, შემდეგ მოაქცია აჭარა და გადმოვიდა სამცხეში. „ხოლო წმიდა მოციქული წამოემართა და მოიწია აწყვერს" აწყურში მაშინ კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ. მთავარი იყო ქვრივი ქალბატონი სამძივარი, რომელსაც შვილი მოკვდომოდა და გლოვობდა. „და ღამესა მას იხილეს ციხითგან ნათელი დიდი, სადა ესვენა ხატი ყოვლად წმიდისა." ეს ამბავი მოახსენეს ქვრივ, დამწუხრებულ მთავარს აწყურისას, რომ მოსულნი ქადაგებენ ქრისტეს რჯულსა და ქრისტეს სასწაულებს. ღვთისმსობლის ხატმა ანდრიას ხელით მოახდინა სასწაული და სამძივარს გაუცოცხლდა შვილი. სასწაული იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ", ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკჳირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოველით -კერძო" მესხები შეიკრიბნენ და პირველი ქრისტიანები გახდნენ. ანდრიას წასვლის წინ" კუალად ევედრნეს ქურივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი, რათა არა განეშოროს მათგან" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 41)

სამცხე და მესხეთი სინონიმური ეთნოტერმინებია. მუსლიმი მესხები არიან სამცხელნიც და მესხნიც, ეს ერთი და

იგივეა. ისინი, მართალია, პირველნი გამაჰმადიანდნენ ქართველთა შორის, მაგრამ ასევე პირველნი იყვნენ მათი წინაპრები ქრისტიანთა შორისაც. და ეს ხდებოდა თვით ღვთისმშობლის ნებით. ,,ვითარ იგი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა წილხუდა ქუეყანა ესე სამცხისა და მის მიერ წარმოგზავნილი არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილჰდომილთათვისდა ჯერეოცა ეგრეთ არს, რათა დაესვენოს აქა მკდ᾿ვრად უკუნისამდე ჟამთა'' (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 42) "ვითარცა ესმა ესე მოციქულისაგან ქურივსა მას და მესხთა უმეტესითა სიხარულითაჲ აღივსნეს ...და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველეკლესიად სახელ-სდებენ"(ქართლის ცხოვრება, I, გვ.42)

აწყურის სასწაულმოქმედი ხატი მცირე ეკლესიიდან გადაასვენა ჰერაკლემ მისთვის აშენებულ ტაძარში, უფრო მოგვი-ანებით კი შენდება აწყურში საქართველოში ერთ-ერთ მასშტაბური ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე.

ეს ვრცელი ექსკურსი დამჭირდა იმისათვის, რომ მეჩვენებინა, აწყური ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აზგურ-ები მოვიდოდნენ მესხეთში. და რომ აწყური არ არის თურქული წარმოშობის ტოპონიმი. პირველი საუკუნიდან და მანამდე ვიდრე ანდრია მოვიდოდა აწყურს, აქ ქართველები ცხოვრობდნენ.

აწყურის საეპისკოპოსო, რომელიც არსებობს არაუგვიანეს VI საუკუნის დასაწყისისა ქართველების სასულიერო ცენტრი იყო. მას მაღალი ადგილი ეკავა სასულიერო იერარქიაში. 36 ეპისკოპოსს შორის მაწყვერელს (ასე ეწოდებოდა აწყურის ეპისკოპოსს) მე-5 ადგილი ეკავა კათალიკოსის მარჯვნივ. მე-9 საუკუნეში აწყურის ეპისკოპოსმა ეფრემ დიდმა იერუსალიმის პატრიარქის სერგი I დროს მირონის დამზადების უფლება მოიპოვა.

აწყურის ეპისკოპოსები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. **(Православная энциклопедия, IV. 2002წ. გვ. 221-223)**

აწყური, როგორც სასულიერო ცენტრი, მნიშვნელოვანი იყო თავისი სტრატეგიული დანიშნულებითაც, ამიტომაც ის იყო საერო ხელისუფლების დასაყრდენიც. აწყურში იყო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რომელიც მთელ ხეობას აკონტროლებდა, ამიტომაც ოსმალებმა, როდესაც დაიპყრეს ეს მხარე, რაიონის ცენტრად იქცა ახალციხის ლივაში. ციხეს ჰქონდა თავისი დასახლება, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ: *კუპრა, კასაძე, მანველ* ძმა მისი, *ყვავილა კუპრასძე, სალათა* ძმა მისი, *დავითა დედისეულისძე, მანველ ალაჯანასძე, გიორგი* ძმა მისი *ტერ-აკოფასძე, ველიჯან ბოჯაბანისძე, ალექსი ბერიძისძე, ევლოგია ონაფრისძე, ჭრელა* ძმა მისი, *მჭედელი მჭედლისაშვილი, გიორგი შავდავითასძე, ელისა მოროსძე, რევაზის* შვილიშვილი, სიმამრი მისი, *ვარძელის* შვილიშვილი, *ზამუკა ანდუმარისძე, ვარძელი თავაშერისძე, მაზმან გიორგი, აზარია მღვდელი, გიორგი მღვდელი, ელია მღვდელი, ყურდღელასძე, მოშიას ძე, ფირცხალასძე, ქაბულასზე, ყაურ ნარუმის ძე, ყაყარ ოქრომჭედლისშვილი, მღვდელი* მკლავის შვილი, *ვარძელ* თერძი, მღვდელი *ნოდარისძე როსთანასძე, დოვლათხათუნასძე, ტერსიმონ*'.(ს. ჯიქია, II, 1941, გვ. 89, 90)

აწყურის რაბათის მკვიდრთა შორის უკვე არიან ისეთები, რომელთაც სარწმუნოება შეუცვლიათ, თორემ გაუგებარი იქნებოდა მანველ ალაჯანის ძის ძმა გიორგი.

მაღალი წრის ფეოდალებს უკვე შეუცვლიათ სახელი, ამიტომ მათთვის მამულები დაუტოვებიათ. ვენახი *დედის იმედისა* და მაწყვერელი ბერისა, აწ ხალი-ბეგ ჰაიდარ ფაშის ძის მფლობაში მყოფი.

„ვენახი *დედისიმედისა* 2 ქილიანი- 1, ნაკვეთი და ვენახი *მაწყვერელისა* 1 ნაკვეთი ...აწ ზახიმი ელიას მფლობელობაში" (ს. ჯიქია, II, გვ. 90). დედის იმედი ჯაყელთა საგვარეულოში გავრცელებული სახელი იყო, ხოლო მაწყვერელი ეკლესიის მსახურთა წოდება.

В Месхетии имя племени толос отразилось в названии с. Толош (Аспиндский район) (А. Юнусов. gv. 165)

ქართული ტოპონიმების ფუძის სახით წარმოდგენა ბრუნვის ნიშნის გარეშე, ან უვიცობის ბრალია, ან მე-19 საუკუნის რუსული რუკებისა. Толош – ასეთი ფორმით სოფელი არ არსებობს. არის ტოლოში. პატივცემული მეცნიერი ბოლოში რომ შ არის და არა ს ამაზე არაფერს ამბობს. *ტოლოში, დადეში, ჩიბორიში, ხვილიშა* მესხეთში ასპინძის რაიონის ახლო-მახლო მდებარე სოფლები და ნასოფლარებია, რომლებიც განიხილება ზანურ ფენად მესხეთში, ამიტომ ხელოვნურად ტოლოშის ტოლოსად ქცევა და მისი ტობასთან დაკავშირება არასწორი იქნება, თანაც კვლავ მოგვიწევს გამეორება უკვე ნათქვამისა, რომ ქართულ ტოპონიმიაში სატომო სახელები, ეთნონიმები ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე არ შეიძლება რომ შეგვხვდეს.

ტოლოშიდან სამიოდე კილომეტრზეა *ხეთვისი*, ისტორიული ციხე და სოფელი. როგორ მოხდა, რომ გვერდიგვერდ მდებარე სოფლები ორივე ბოლოვდებოდა ს სპირანტზე (ტოლოსი, ხერთვისი) და თუ სახელობითი ბრუნვის ნიშანსაც გავითვალისწინებთ, ორივე სახელი ერთნაირი ფონეტიკური დისტრიბუციის პირობებშია მოქცეული ინტერვოკალურ პოზიციაში. პატივცემული მეცნიერის აზრს თუ მივიღებთ, მაშინ სისინა რიგის სპირანტი იქცა შიშინა რიგის სპირანტად იმავე ლინგვისტურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოში მხოლოდ ტოლოსის დროს და არ იქცა ხერთვისის შემთხვევაში. ამის ახსნა შეუძლებელია, რადგან, უბრალოდ სიყალბეა და იმიტომ. მსგავსი კითხვები დაისმის იმავე არეალის სხვა სახელის, კერძოდ *სხვილისის* მიმართ. თავი რომ დავანებოთ საერთოდ ქართულ ტოპონიმიაში ცნობილ – ის დაბოლოებიან ტოპონიმებს: მანგლისი, თბილისი, რუისი, ქუთაისი და მრავალი სხვა. ადვილი წარმოსადგენია რა ცვლილებები უნდა განეცადა ა. იუნუსოვის მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს.

მე-16 საუკუნის ბოლოს ტოლოშში ცხოვრობდნენ: *კაკუტა მღვდლისძე, ბარდია ლაზარესძე, სტეფანე, იოსებ მღვდლისძე, მახარობელ* ძე მისი, *ყანდურალი მინდოდასძე, ლონენა, კირაკოს მღვდელი, მახარობელ ვეფხიასძე, ივანე ორსოლასძე, იორდანე მღვდელი, ქეჩია,* სახელად *ბადურა, მახარას* შვილიშვილი, სახელად *გოზალ* (ს. ჯიქია, დავთარი, II, 1941, გვ. 178-179).

როგორც ჩანს, თურქულენოვანი სახელები შემოდის თანდათან მოდაში. *მინდოდა* გავრცელებული სახელი იყო საქართველოში და მისი სემანტიკა გამჭვირვალე და ნათელია, ამიტომ, როდესაც მინდოდა თავის შვილს *ყანდურალის* დაარქმევს, მოდის ბრალია, ან შეიძლება, უკვე პირველს შეუცვლია სარწმუნოება, რომ მძიმე გადასახადებს აარიდოს თავი. ასევე გამოჩენილა უკვე სახელად გოზალი, რომელიც შემდეგ სათავეს დაუდებს გოზალიშვილთა გვარს მესხეთში. ერთ-ერთ გავრცელებულ სახელად იქცევა როგორც მაჰმადიანებში, ისე კათოლიკებსა და მართლმადიდებლებში. ასევე გავრცელდა ეს სახელი სომხებში. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გოზალიშვილი, გოზალიანი ან გოზალოვი, თურქია ისევე, როგორც ყანდურაშვილი, ყანდაროვი ან ყანდურიანი არის თურქი. სახელი, სიტყვები ისტორიული კონტაქების, ენათა კონტაქტების გზით შემოდის და ერქმევა შემდეგ ადგილობრივს.

ასევე ბოლომოკვეცილ სახელს გვთავაზობს პატივცემული მეცნიერი Онгор- ფორმის სახით.

«Еще больше топонимов Южного Кавказа, в том числе грузии связано с оногурами. Так, в Месхетии (Аспиндский район) и поныне есть с. Онгор (в некоторых документах – Онгора). очень вероятно, что именно об этой крепости оногур писал Агафий» (А. Юнусов, გვ. 164).

ჯერ ერთი ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამ სოფელს *ორგორაც* ჰქვია, გარდა ამისა *ონგორა* ფორმა მხოლოდდამხოლოდ რუსული დაწერილობის ბრალია და მას *ონღორას* უწოდებდნენ ქარისტიანებიც და მუსლიმი ქართველებიც. ს. ჯიქია მხარს უჭერს *ონღორად* და არა

*ორგორად* წაკითხვას, რადგან ოსმალების მიერ 1595 წელს შედგენილი „დავთრის“ მიხედვით ტრანსკრიპციით ასე იკითხება, თანაც სხვა დოკუმენტებთანაც აქვს ქართველ მეცნიერის ეს სახელი შეჯერებული, ამიტომ გაუგებარია, როდესაც პატივცემულ ა. იუნუსოვს ძირითად ფორმად გამოაქვს Онӧог და Онгора-ს კი ზოგიერთ დოკუმენტში დამოწმებულად მიიჩნევს: *ონღორაში* გამოიყოფა ღორ- ფუძე და ასე დაიშლება ეს სახელი: ო(ნ)-ღორ-ა, სადაც ზანური სუფიქსი ო დაერთვის ღორ- ფუძეს, ა არის ტოპომაწარმოებელი. ონღორა სიტყვასიტყვით ნიშნავს საღორე ადგილს. თუ პატივცემული მეცნიერი მოიხილავს ონღორას, მიხვდება, რომ ამ მიდამოებში უხსოვარ დროს კი არა დღესაც ბევრია გარეული ღორი.

მოვიყვანთ შესაბამის მასალას მეგრული არეალიდან, როდესაც ნ ჩნდება: *ონდღე* (შუადღე), *ონკირე* (საკირე), *ონიორე*. (სანიორე), *ონტკა* (საოტკე), *ონჯილე* (ჯილეს ადგილი) (ო. ჯიქია, მეგრულ-ართული ლექსიკონი, II, 2002).

ამავე ტიპის წარმოებაა ისტორიული სოფლის *ოლოდის* შემთხვევაში (ო-ლოდ-ა), ოღონდ ნ-ს გარეშე.

სამწუხაროდ პატივცემულ მეცნიერს არ სურს ქართულ ტოპონიმიაში სერიოზულად ჩახედვა, თორემ მისთვის აუცილებლად დადგებოდა საკითხი იმისა, რომ თუ ონღორა მართლაც მოდის ონოგურ- ფორმისაგან, რამ განაპირობა ნ-სა და გ-ს შორის ო-ს დაკარგვა, საჭიროა შესაბამისი პარალელის დაძებნა, ისევე, როგორც ასახსნელია ონოგურის ონღორად ქცევა და უ-სგან ო-ს მიღება.

ონღორაშიც, მე-16 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდნენ, რა თქმა უნდა, ქართველები. მაშინდელი მოსახლეობის თავკაცები ასე გამოიყურებიან: *შამილა, მაზარებელ რომასძე, ბატატა* ძმა მისი, *ბაინდურისძე, ელიასძე, სოსია ცხადაბერისძე, გოგიჩა სოსიასძე, ზოსიმას* შვილიშვილი, *ბაცაცა ზაფარასძე, ზაალისძე, მაზარებლის* შვილიშვილი, ქერა *გოგიჩა* (ს. ჯიქია, II, გვ. 135). ისინი ოსმალებს გადასახადს უხდიან. ბოლო მოსახლე ქერა გოგიჩა ოსმალო მოხელისთვის აუცი-

ლებლად იქნებოდა *სარი* გოგიჩა, ოღონდ მას სარების მოდგმასთან არავითარი კავშირი არ ექნებოდა.

მესხურ დიალექტში შემოსულია ზედსართავი სახელი Sari, რომლისგანაც მიღებულია მეტსახელი *სარია*. სარია შეერქმევა ხილმე ქერა ადამიანს ან ძროხას ან ძაღლს, ისევე, როგორც რუსულიდან არის შემოსული рыжий და სარიას, უეჭველად, *რიჟაც* აქვს მეტსახელად. მესხეთის ტოპონიმიაში ბევრ სოფელში გვაქვს სათიბის სახელად *სარიჩარი*. სიტყვასიტყვით ნიშნავს *ქერა სათიბს* (sari çayýr). ყვითელი ბალახის გამო, რომელიც სჭარბობს სათიბში. ა. იუნუსოვისათვის ეს სახელები *სარების* ტომთა მიერ იქნება დარქმეული, რადგან საერთოდ მას და ბევრ ყალბისმქმნელ "მეცნიერს" განსაკუთრებული გართულება აქვთ ქერა და ცისფერთვალება მოდგმაზე, რომლებიც მაინდამაინც ქართველებში შემორჩენილან.

*2006 წელი*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Թ. Խ. Հակոբյան, Ստ.Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան, Հայաստանի Հարակից շրջանների տեղանունների բառարան, Հ, 1, 1986, გვ.107

2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973.

3. დ. კოჟორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი, ახალციხის ისტორიიდან, თბ., 1969,

4. В. Потто, История 44-го Драгунского Нижегородского полка, t. 3. с.П. 1894 წ.

5. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000,

6. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973

7. ს. ჯიქია, გურჯისტანის ველაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, 1958.

8. Yunus zeyrek, Ahúska Tórli, არკარა, 2000.

9. А. Шанидзе, К этимологии названия «Т опада», ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937;

10. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ, 1942.

11. ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

12. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სინანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

13 ბ. ჯორბენაძე, ტბ||ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 79, №2, თბ, 1975.

14. ს. ჯ. ი. მ. ფ. ვ. სუდაძის ხელნაწერი, № 104

15. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1938

16. მ. ბერიძე, ტერმინი „ტბა“ მესხეთის ტოპონიმიაში, ტოპონიმიკური კრებული, თბ. 1993

17. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941

18. ხოსიტაშვილი, სოფელ მუსხის ტოპონიმები

# ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში

## გვარის შეცვლის ფონა პიროვნები

*მესხეთი,* სამცხე-ჯავახეთის გარდა, ისტორიულად მოიცავდა შავშეთს, ერუშეთს, არტაანს, კოლას, ტაოს, კლარჯეთს... რომელიმე კუთხის გაძლიერების გამო მესხეთი სხვადასხვა დროს იწოდებოდა ტაო-კლარჯეთად, ზემო ქართლად, სამცხე-საათაბაგოდ... მესხეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ ამ კუთხეთა მიხედვით ერქვათ: *სამცხელნი, ჯავახნი, ტაოელნი, კლარჯნი, ერუშელნი, შავშნი.* რომელთა საერთო ეთნიკური სახელი იყო მესხი, ე.ი. ქართველი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებთა აღმნიშვნელი ეთნონიმები: იმერელი, მეგრელი, კახელი, სვანი, ქართლელი, აჭარელი, თუში, ხევსური, გურული...

ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა *შ. ლომსაძემ.* „მესხი" კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა. ვახუშტი ბატონიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ეთნიკურად ჯავახეთის „მოსახლენიც არიან მესხნი" ისევე, როგორც სამცხისა და ზემო ქართლის სხვა რაიონთა მცხოვრებნი, რომ ამ ეთნიკურმა ტერმინმა წარმოშვა ტოპო-ნიმური ტერმინი (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 280)

ისტორიულად ჯავახობა ან კლარჯობა მესხობას არ გამო-რიცხავდა. *ვახუშტი* ჯავახ-შავშ-კლარჯთ ასახელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მესხეთის შიდა ამბებზე ლაპარაკობს, მაგრამ, როდესაც საუბარი უფრო ფართო მასშტაბის მოვლე-ნებს ეხება, მაშინ ყველას მესხს უწოდებს.

მაგალითად: *სარგის ჯაყელის* დროს მოვიდნენ „კურთხევასა მისსა ჯავახნი, ტაოელნი, შავშნი, და კლარჯნი", ხოლო *იაყუბ ყენის* ლაშქრობის ამბებს ასე აღწერს: „ყენემა მცირე ხანსა შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყვანა მუნით მესხნი წარჩინებულნი". ახალქალაქი ჯავახეთის ქალაქია.

მე-19 საუკუნეში შემოვიდა ტერმინი მესხეთ-ჯავახეთი, რომლის მიხედვით მესხეთი გაიგივებულია სამცხესთან, თუმცა სამცხის მოსახლეობა ტომობრივად მესხებად იწოდებოდნენ ყოველთვის.

ტერმინ მესხის „საზოგადო მნიშვნელობის აღსანიშნავად წყაროებში გვხვდება გამოთქმა „ყოველთა მესხთა“, ან „ყოველი მესხეთი“ ან კიდევ „მესხნი დიდნი და მცირენი ყოველნივე“. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ზოგად და კონკრეტულ სახელებთან - „დიდნი და მცირენი“. კერძოდ, სახელი ჯავახი, კლარჯი (თემობრივი დანაყოფი) უდრის მესხს (ტომობრივ დანაყოფს) და ორივე ეს უდრის ქართველს (ერთ ეროვნულ ერთეულს)“ (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 281).

რაც შეეხება მესხეთის სინონიმებს – ტაო-კლარჯეთი, ზემო ქართლი, სამცხე-საათაბაგო, ვერ ჩამოყალიბდნენ ეთნოტერ-მინებად და მხოლოდ ადმინისტრაციული ტერმინის ფუნქცია იტვირთეს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში.

მესხეთის მრავალკომფესიურობა განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა. ეთნიკურმა კატაკლიზმებმა განსაზღვრა გრიგორი-ანთა მომრავლება მესხეთში, რასაც ისტორიული საფუძველი ჰქონდა მის ზოგიერთ პროვინციაში. ოსმალეთი და ევროპა კი ყოველნაირად ცდილებდნენ თავიანთი გავლენის გაძლიერებას რელიგიური ექსპანსიის გზით.

ისტორიული მესხეთი, როგორც ერთი შეკრული ორგანიზმი და ძალა საქართველოში, ყოველთვის დიდი ბრძოლების ეპი-ცენტრი იყო. მან გადაიტანა არაბობა, მონღოლობა, სპარსელები ისე, რომ მესხეთის, როგორც ერთი ეთნიკურ-პოლიტკური ერთეულის საკითხი საეჭვოდ არ დამდგარა. თვით *ჯაყელთა* სეპარატისტული საქმიანობის დროს ეს პრობლემა წინა პლანზე იყო წამოწეული და მესხეთი, როგორც ერთიანი ძლიერი ორგანიზმი ისე უპირისპირდებოდა საქართველოს სახელმწიფო-ებრიობას.

„საუკუნის განმავლობაში სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო და ძლიერი ტრადიციების ქართულ მხარეში თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღებას შეუდგა... მესხეთის ხალხი დიდხანს იბრძოდა, თავს არ უდებდა დამპყრობლებს,

მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და მშობლიური მიწიდან რომ სულ არ ამოვარდნილიყო, გამაჰმადიანდა“ (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 284).

გამაჰმადიანება არ იყო რელიგიური ექსპანსიის ერთადერთი გზა, მას თან ახლდა სხვა რელიგიებიც, რომლებიც სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით იბრძოდნენ გაბა-ტონებული მდგომარეობის მოპოვებისათვის მესხეთში.

„ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გვიანფეოდალურ პერიოდში ქართველ ხალხში სხვადასხვა რელიგიები გავრცელდა. ხდებოდა დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული ერთიანობის დასუსტება. მაჰმადიანობის დანერგვას ქართველ ხალხში იარაღის საშუალებით ახერხებდნენ, ხოლო ქრისტიანობის შტო-რელიგიების – კათოლიკობისა და გრიგორიანობის გავრცელებას მშვიდობინი გზით აღწევდნენ“ (რ. თოფჩიშვილი, 2005, გვ. 154).

მესხეთის ბრძოლით დაპყრობას ბევრად ცოტა დრო დასჭირ-და, ვიდრე მის დაქუცმაცებას. ოსმალეთმა ისტორიული მესხე-თის დაშლას საუკუნეები მოანდომა.

ოსმალეთის პარალელურად არც ერთმორწმუნე რუსეთმა გაამართლა მესიანური პირობა, რის გამოც მძიმე დღეში ჩავარდნილი ქართველი ხალხი თანდათან შორდებოდა საკუთარ ფესვებს.

ოსმალეთი ორმხრივ ახერხებდა ბრძოლას. უპირველესი იყო სამხედრო ექსპანსია, ხოლო ეკონომიური წახალისება, რაც რჯულის შეცვლით მიღებულ პრივილეგიებში მდგომარეობდა, აძლევდა მას საშუალებას, რომ „გაეთათრებინა“, ე.ი. სახელიც კი შეეცვალა ქართველისათვის, რასაც ბუნებრივად მოსდევდა შემდეგ საკუთარი გვარისა და ეროვნების შეცვლა. „გათათრება“ პირველი დიდი კრახი იყო მესხეთის მოსახ-ლეობისა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაწერილია მასალა, რომელიც კარგად ასახავს მთელ ამ პროცესს.

„დღევანდელი *მუსხის* მიჯნაში (მიჯნაში – მ.ბ.) ყოფილა ექვსი სოფელი: *1. მუსხი, 2. ძველა მუსხაი, 3. ზეფენიაი, 4. თელავანაი, 5. პატრაშენი, 6. ძველი წითელკლდე.* ამ დროს შემოსულან იენგიჩარები, დაბანაკებულან ძველი მუსხის

გვერდით, რომელსაც დღესაც ეწოდება *იენგიჩარების ყანები.* ამ იენგიჩარებს აუოხრებიათ ეს ექვსი სოფელი, ქვა ქვაზე აღარ გაუჩერებიათ, მხოლოდ ვინც გადარჩენილან ამ ექვსი სოფლიდან, მოგროვილან დღევანდელ მუსხში. მუსხში მოშენების შემდეგ, რაც ყველი-ერბო და თუ ფული გვქონდა, იანგიჩარებისთვის ვინახავდით. იანგიჩარები რომ მოვიდოდნენ, სულ ერბოანი ფლავი და გვეჭმია. ცხენებისთვის – ბლომათ ქერი. მერე იტყოდნენ, თქვენი პური რომ ვჭამეთ, კბილები დაგცვივდაო, ცხენებს კბილები გაუცვდათო, აბა ამის ფულიო და შიშით იმავე წუთს ვაძლევდით. ხალხს ძალიან გაუჭირდა სხვა გადასახადებისგანაც. ოჯახში თითეულ კაცს უნდა გადაე-ხადა 35 ყურუში (შაური) და წელიწადში მთლიანათ ოჯახი ამდენ ფულს ძლივს იშოვიდა. თუ ორი-სამი ძმა იქნებოდა, რა უნდა ექნათ, ვინც გათათრდებოდა, ის გადასახადებისაგან თავისუფალი იყო.

ასეთი პოლიტიკის წყალობით სოფ. *მუსხში,* რომლის მოსახლეობა მართმადიდებელი იყო ბოლომდე და მათთან მაჰმადიანებს არ უცხოვრიათ, მისგან ორიოდე კილომეტრის მოშორებით შეიქმნა სრულიად ახალი სოფელი *„ენგი ქვე-ვი“ (ახალი სოფელი),* სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ეს იყო მუსხის ტერიტორია, ფაქტიურად მისი უბანი, მაგრამ 1939 წლისათვის აქ უკვე ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, 75 კომლი, რომლებმაც „ქართული სრულებით არ იციან“. მათი გვარებია: *ჩაკიძე, ჩოლალიანი, ასრათიანი, კუტიაანი, ჩობრაშიენი.* დანარჩენებს ქართული გვარები არა აქვთ შენახული. მათ მიდამოებს უმთავრესად ქართული სახელები ჰქვია: *თელავანები, კენჭიყანები, მაჭიხეთი, მლაშე, საწირნიები, ტალაურები* (ი. მაისურაძე, ს. ჯ. ი. მ. ფ. ხელნაწერი №100, გვ. 47).

აი, რას წერენ 1940 წელს სოფელ *შურდოში* მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველები: „ჩვენ ჩვენს თავს ვუწოდებთ ეროვნულად თათრებს“.

ჩვენი სოფელი უძველესი დროიდან არსებობს. სულ წინათ აქ ცხოვრობდნენ *ომარიენი (ომარაშვილები).* პირველი კაცი *ომარაშვილი* მოსულა ამ სოფელში რუსების შემოსვლის დროს ქ. ახალციხიდან. მერე მოსულან *კატუნა-*

*შვილები* ახალციხიდან... ამჟამად ცხოვრობენ: *ომარა-შვილები, კატუნაშვილები, გორიშვილები, უსაშვილები, ჭრელაშვილები, გუჯალიენი"*... (ი. პაპისიმედოვი, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 1082, გვ. 1-2).

შურდოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის „გათათრებული" მიუხედავად იმისა, რომ ისინი, რადგან სარწმუნოებით მუსლიმები არიან, თავიანთ თავს „თათრებად" მოიხსენიებენ. არა მარტო ახსოვთ საკუთარი ქართული გვარი, ამ გვარით ცხოვრობენ ჯერაც.

მე-20 საუკუნის ბოლოს ბევრ ჭირგამოვლილი კაცი *იასონ ვარსკვლავიძე (ბასანოვი),* რომელიც დაიბადა ახალციხის რაიონის სოფ. *ტობაში,* გადაასახლეს, მოიარა შუა აზია, აზერბაიჯანი, ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში, წერს: „ჩვენი სოფელი პატარა იყო. ჩვენ არც თურქებს გვეძახდნენ, არც „მუსულმანებს". „თათრებს" გვიწოდებდნენ. თურქული ენა გაბატონებული იყო ჩვენს რეგიონში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე *მაქსიმე სუდაძე,* თვითონ ქართველი ქრისტიანი, კრებებს თურქულ ენაზე ატარებდა. მინდორში სამუშაოდ ერთად გავდიოდით, ერთად ვსადილობდით და არასოდეს გამიგია ასეთი ლაპარაკი – შენ ქრისტიანი ხარ, შენ – მუსულმანი. ალაჰს ვფიცავარ, ასეთი რამ არ ყოფილა! ერთმანეთს არ ვასხვავებდით" (ი. ვარსკვლავიძე, 2000, გვ. 10).

„გათათრება" თავიდან თითქოს არაფერს ცვლიდა ადამიანის ცხოვრებაში, უბრალოდ, ის მოინათლებოდა მაჰმადიანად, მი-ღებდა შეღავათს გადასახადებში, მაგრამ ძმა ძმად, ქართველად რჩებოდა, ენა ქართული ჰქონდა, ურთიერთობები ძველებური რჩებოდა. ბოლომდე არავინ უშლიდა, ქრისტიანული სარწმუნოების დღესასწაულებში მიეღო მონაწილეობა, ოღონდ დღესასწაულის იმ ნაწილში, როდესაც სუფრა იმართებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველად სხვა სერიო-ზული მოთხოვნები არ იყო საჭირო, რამაც განაპირობა პრო-ცესის შედარებით უმტკივნეულობა. მთავარი მოვლენები შემდეგ ვითარდებოდა, როდესაც მის შვილს გვარის ოსმა-ლურ ან აზერბაიჯანულ

დაბოლოებას მოსთხოვდნენ და თურქული ენის ცოდნაც აუცილებელი შეიქმნებოდა. პროტეს-ტის დროს გარკვეული საფეხური გავლილი იყო და პროცესი შეუქცევადი ხდებოდა.

1917-1919 წლები მესხეთის ისტორიაში სისხლიანი წლებია. ალბათ დამოუკიდებელი საქართველოს მოკლე ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ მესხეთის ბრძოლები იყო.

სამწუხაროდ ტრადიციული მტრებითა და ომებით მაშინ-დელი მსოფლიო პოლიტიკის არეალში მაშინვე მოექცა საქართველო. სარწმუნოებრივ საფარქვეშ ატეხილი ბრძოლები მეზობელი სახელმწიფოებისა თუ ეთნიკური მტრების ფარულ ზრახვებს ისახავდა მიზნად. შედეგი გამოუსწორებელი და სავალალო აღმოჩნდა. ერთი სისხლის, ერთი ეროვნების სხვადასხვა სარწმუნოების ქართველები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. მე ამ პერიოდის შეფასების პრეტენზია არა მაქვს, მოვიყვან მხოლოდ მაშინდელი პრესის, საზოგადოების ზოგი-ერთი წარმომადგენლის ზოგიერთ მოსაზრებას, რაც იმდრო-ინდელ განწყობას გამოხატავს. დასკვნების გაკეთება მკითხვე-ლისთვის მიმინდვია.

1920 წლის 20 მაისს გაზეთი ,,ერთობა“ №112 წერდა ახალ-ციხის შესახებ: ,,ყველგან ქართული სიმღერები ისმის, ქართული ლაპარაკი. ჯარი, გვარდია, მოხელეები, მათი ცოლ-შვილი – ყველა ეს შესამჩნევათ სცვლის ახალციხის მცხოვრებთა შემადგენლობას.

საზოგადოებრივ ცხოვრებას ქართველი ინტელიგენცია უდგება სათავეში.

ქართველი მაჰმადიანობაც ლამობს ასპარეზზე გამოსვლას. ჩვენ მოვისმინეთ მათი ლამაზი და მხატვრული ქართული ენა საერობო ყრილობაზე. მათი ქრისტიანი ძმები სცდილობენ ჩააბან ინისი საზოგადობრივ აღმშენებლობის საქმეში და ამის ნაყოფი სჩანს კიდეც“.

მიუხედავად მძიმე სარწმუნოებრივი შეჯახებისა, რომელიც სულ ახალი გადატანილი აქვთ ქართველ მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს, ისინი საერთო ქართულ საქმეს აკეთებენ, რადგან ამისი პოლიტიკური ნება არსებობს და დამოუკიდებელი საქართველო ცდილობს სწორი

მიმართულება მის-ცეს სარწმუნოებრივ თანაცხოვრებას. სამწუხაროდ ყველა-ფერი გამრუდდება კომუნისტების მოსვლის შემდეგ.

1918 წლის ამბები პირველ რიგში პრობლემებს უქმნიდა დამოუკიდებელ საქართველოს, ემუქრებოდა მის სახელმწიფოებრიობას, რომლის განადგურებით დაინტერესებული იყვნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოები.

1919 წელს გაზეთმა „სახალხო საქმემ“ №499 გამოაქვეყნა დამფუძნებელი კრების ანგარიში, სადაც გაანალი-ზებულია ახალციხის ამბები და შეფასება აქვს მიცემული 1918 წლის მოვლენებს. მომხსენებელია *გ. ანჯაფარიძე.* დღეისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მაშინდელი მოვ-ლენების შესახებ სამთავრობო პოზიცია, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს თანამედროვე თვალსაზრისის შემუშავებაში: „ახალციხის ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობდნენ, ეს არის აჯანყება ადგილობრივ მცხოვრებლებისა, რომელნიც თავისთვის თვითგამორკვევის უფლებას მოით-ხოვენ. მათ სურთ საკუთარი სახელმწიფოებრივი სხეული ჩამოაყალიბონ, ხოლო საქართველო ამას ხელს უშლისო. ასეთი იყო ხმები, რომელსაც ავრცელებენ დაინტერესებულნი წრეები და აი, ამ ამბების ნამდვილ ვითარების გამო-სარკვევად იქნა არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ კომისია, რომლის სახელით მე მაქვს პატივი გადაგიშალოთ საქმის ნამდვილი სურათი.

ოსმალეთი პანთურქულ აზრებს ავრცელებდა საქართველოს სამუსლიმანო ნაწილში. იყო აგიტაცია, რომელსაც აზერბაიჯანელებიც ემხრობოდნენ, მიმართული იყო საქარ-თველოს წინააღმდეგ. ამ აგიტაციის მეთაური ექიმი *სულთა-ნოვი* თქვენთვის ცნობილია. ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, ყარსის ოლქი, აი, ის ადგილები, სადაც პან-თურქისტები მუშაობდნენ. ადგილობრივი ხალხი გულ-გრილად ერიდებოდა ასეთ აგიტაციას, მაგრამ აქაც მოიძებნა ზოგიერთი გადაგვარებული ელემენტი. პანთურქისტებმა ფართოდ ისარგებლეს იმ მდგომარეობით, რომელიც ბოლ-შევიკური მოძრაობის დროს დაიწყო. მიწის საკითხი ახალ-ციხეში მწვავედ სდგას: როდესაც ხალხმა დაინახა, რომ მას

შეეძლო მიწები მიელო და ბეგების ბატონობისათვის თავი დაეღწია, ის მიემხრო რევოლუციას, მაგრამ, როდესაც დადგა საფრთხე ბოლშევიკობისა და დაიწყო ძარცვა-გლეჯა და არევ-დარევა, ამ გარემოებით ისარგებლეს პანთურქისტებმა. 1917 წლის ნოემბერში მოხდა ახალციხეში კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანთა ყრილობა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოსთან ყველამ კავშირი შევწყვიტოთ, ბორჯომის გზები გავანადგუროთ ისე, რომ არავითარი მიმოსვლა არ გვქონდეს ქართველებთან და შემდეგ შევქმნათ სახელმწიფო".

ეს იდეა ითვალისწინებს ყარსის, არტაანის ბათუმისა და ახალციხის მოწყვეტას საქართველოსაგან. ცენტრი უნდა ყოფილიყო („ტფილისის მაგიერი") ბათუმი, ამ ტერიტორიას უნდა მოეპოვებინა ავტონომია ოსმალეთის ფარგლებში.

ასეთმა აგიტაცია-პროპაგანდამ საკმაოდ შედეგი მოუტანა ქართულ ეთნოსს მესხეთში. დაიღვარა ძმათა სისხლი.

ამ დოკუმენტს აქვს თავისი ღირებულება დღესაც, რადგან ზოგიერთს მსგავსი იდეები დღესაც აწუხებს, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია და მისი დაშვება არ შეიძლება.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ერთადგომის სწორი გზების გამონახვას. დარღვეული ურთიერთობების, ეროვნული შეგნების აღდგენას, მაგრამ ამის გაკეთება მეზობელი დიდი სახელმწი-ფოების გამო შეუძლებელი ხდება და იმპერიათა ინტერესებს ემსხვერპლება სარწმუნოებრივ ნიადაგზე გახლეჩილი მესხეთის ქართველობა. გაზეთმა „ერთობამ" 1918 წლის 28 დეკემბერს №282 გამოაქვეყნა მიმართვა „მუსლიმან ქართველებისადმი". ამ მიმართვაში ჩამოყალიბებულია რელიგიური თავისუფლების კონცეფცია ერთიანი საქართველოს ფარგლებში. ეს იყო ის იდეა, რომლითაც უნდა გაძლიერებულიყო მესხეთი საქართველოს გასაძლიერებლად. სამწუხაროდ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. აი, მიმართვის ტექსტი: „ძმებო, მუსილმანო ქართველებო! თურქების უღელი, ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ, მოგხსნათ კისრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა. ოსმალთაგან

დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლათ. ხალხის მტრები, ოსმალეთის მოსყიდული აგენტები, თქვენ გაქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, ისინი გაგონებდნენ, თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდნენ თქვენს გასანადგურებლად და ასაოხრებლად, მაგრამ დღეს თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრის-ტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა როგორც თანასწორუფ-ლებიან ძმებს, ამყარებს წესრიგს და მომავალში ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენ ცხოვრებას. ექვსი თვის ბატონობის დროს თურქებმა ნათლად დაგვანახეს თუ რა სურდათ მათ ჩვენგან, ძმებათ მოვიდნენ ჩვენთან თუ მტრებათ?

ძმებო, მუსილმანებო, ქართველებო! ვერც ერთი მტერი ვერ გვიზამდა მას, რაც ჩვენ თურქებმა და მოყიდულმა პირებმა გვიყვეს: შებილწეს ჩვენი წმინდა სჯული და პატიოსნება. სოფლის მეჩეთები ააესეს ნაპარავი და ნაძარცვი საქონლით, მთელი თვეებით ხალხს მოუსპეს საშუალება, აესრულებია თავისი ლოცვის საქმე, განა ამის მსგავს რაიმეს სჩადის საქართველოს მთავრობა? არა, ძმებო მოსულმანებო, საქართ-ველოს მთავრობა ჩვენი სინდისის, სჯულის საქმეში არ ერევა. ...გზააბნეული ოსმალეთი, რომელიც დამარცხდა ბრძოლაში, ჩვენში ცდილობს ეხლა მომხრეების შოვნას და იბრიყვებს ხალხს... დღეს თქვენ ახალციხის მუსლიმანებო, თავისუფალი ხართ, მაგრამ თქვენი ვალია, დაეხმაროთ უბედურ აჭარა-ქობულეთს მონობის უღელის მოხსნის საქმეში, მთელი სამუსლიმანო საქართველო თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა იყრიდნენ ერთ ოჯახში თავს.

გაუმარჯოს თავისუფალ სამუსლიმანო საქართველოს დამოუკიდებელ საქართველოში.

გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის განთავისუფლებას!

გაუმარჯოს ახალციხის მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმობას.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს *განთავისუფ-ლებულ* კომიტეტს!

სამუსლიმანო საქართველოს *განთავისუფლებულ* კომიტეტის რწმუნებული ახალციხეში *ყადირ შერვაშიძე*“

თავად მუსლიმი ქართველის ყადირ შერვაშიძის ამ მგზნებარე მოწოდებას სამწუხაროდ მესხეთში აღსრულება არ ეწერა, თუმცა მის მოწოდებებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ისლამის გავრცელებით მესხეთში მოხდა რელიგიური დაპირიაპირება ერთი ეთნოსის (ქართველთა) შიგნით. ამ პროცესმა ყველაზე მწვავე ხასიათი მიიღო მე-19 – მე-20 საუ-კუნეებში. ისლამური სარწმუნოების გავრცელებას და ამის გამო მესხეთის ეთნიკურ დაპირისპირება-დაშლას საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთმა და საბოლოო სახე მისცა რუსეთმა. ამ დაპირისპირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ის ხე-ლოვნური ტერმინები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა ოსმალეთი და, განსაკუთრებით რუსეთი, მაჰმადიანი მესხები გაემიჯნათ ქართული ეთნიკური სფეროდან. *ალ. ფრონელს* გულუბრყვილოდ შეცდომა ჰგონია, როდესაც რუსეთი ქართული ეთნოსის გათიშვისათვის შემოიტანს ტერმინს – „თათარი“. ეს მხოლოდ ენობრივი ან სარწმუნოებრივი შეფასება არ არის ზოგიერთი ქართველისა. ეს ღებულობს კანონის ძალას და შიდა დაპირისპირებაც სახეზეა. „შარშან და შარშანწინ მთავრობამ მოახდინა რეფორმა ადგილობრივი მართვა-გამგეობისა აჭარაში, სადაც დღესაც წმინდად ლაპარაკო-ბენ ქართულს გურული კილოთი. განმეორდა ბედშავი *შეცდომა*. აჭარლების სამშობლო ენად აღიარეს ოსმალურ-თათრული, სწორედ ისე, როგორც პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ მესხეთისა და ჯავახეთის ქართველ მაჰმადი-ანებს უწოდეს თათრები“ (ალ. ფრონელი, 1991, გვ. 58).

სამწუხაროდ ტაოსა და კლარჯეთში ახდა *ალ. ფრონელის* წინასწარმეტყველება, რაც მოჰყვებოდა შედეგად ასეთ „შეცდომებს“, ასევე ახდა მესხეთშიც. როგორც კი ქართულ საზოგადოებაში გაჩნდება რელიგიურად განსხვავებული ჯგუფი, ხშირად ეს ეროვნულ დაპირისპირებად გაიგება ხოლმე და ქართველთა ეს ნაწილი მოინათლება არაქართველად. ხშირად თვით ქართველებში წარმოიშვება

არა მხოლოდ ასეთი დამოკიდებულიბა სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, არამედ ტერმინიც.

ასე იყო აჭარის მაგალითზე, როდესაც ისინი მონათლეს „თათრებად“. „თათარი“ დაუძახეს იმ ქართველს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის გურჯი ერქვა. „თათარი“ ოსმალებსაც კი არ შეურქმევიათ, ამ ხნის განმავლობაში ქართული იყო მისი „ნენეს ენა“... რუს მოხელეებსაც ეს უნდოდათ, გააჩაღეს აგიტაცია-პროპაგანდა - „თქვენ თათრები ხართ და სათათრეთში გადასახლდეთ გირჩევნიათო“. ამასვე აკეთებდნენ ოსმალეთის იმპერიის ემისრებიც. ასეთ საქმიანობას შორს გამიზნული პოლიტიკა ჰკვებავდა. მტერი ცდილობდა საქართველოს დასუსტებას, მათი მთავარი მიზანი იყო *ქობულეთ-ბათუმის სანაპიროების დასაკუთრება, აქ პოლიტიკური დასაყრდენის* შექმნა. მტერმა თავის საწადელს ამ რეგიონში სულ მალე მიაღწია. ჯერ კიდევ პირველი მუჰაჯირობის დროს, *1879 წლისათვის, ქობულეთ-ჩაქვი და ბათუმის გარეუბნები თითქმის დაიცალა ძირძველი მოსახლეობისაგან. დაცარიელებულ მიწებზე შემდგომში რუსები, სომხები, ბერძნები დაასახლეს“* (შ. ფუტკარაძე, გვ. 14).

„გათათრება“ მხოლოდ ეკონომიკური ზეწოლით არ ხდებო-და. იყო ძალადობაც, მუქარაც, რომელსაც ასრულებდნენ. ამის დამადასტურებელი მასალა აქვს ჩაწერილი *მარინე ბერიძეს.* თხრობა ეხება დღევენდელ სოფელ *ნიჯგორს,* რომელსაც *ორმოცსაც* უწოდებდნენ. ორმოცი დღეს ნიჯგორის ნაწილია, შემორჩენილია *ორმოცის ციხე,* საუბარია მეჩეთზე, რომლის კედლები დღესაც დგას ნიჯგორში. „ფაშამ გამოაგზავნა მოლა. აუკრძალა ამ ნოჯგორის ხალხს, ორმოცში მაცხოვრებელ ხალხს, თავეთ ეკლესია აქვთ, წმინდა გიორგია, საყდარია, კარები გადაუკეტა, რო ეკლესიაში არ შესულიყვნენ, ლოცვა არ აღედგინათ და დაავალეს რომ ამ მეჩეთში შესულიყვნენ და თათრულად ელოცათ“ (მარინე ბერიძე, გვ. 139). შემდეგ მოთხრობილია ახალციხის ფაშის მიერ სარწმუნოების შეცვლის დროს ჩადე-ნელი სისასტიკის თაობაზე.

ნაცნობი სურათია, ნაცნობი ხელწერა, ორმაგი სტანდარტი და ორმაგი თამაში გარე სახელმწიფოებისაგან საქართველოს მიმართ დამღუპველი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ასე აყარეს და გაასახლეს ჯავახეთიდან მუსლიმი ქართველები მე-19 საუკუნის 20-ინ წლებში და მათ ადგილზე სომეხი, რუსი (დუხობორები), ბერძენი მოსახლეობა შემოასახლეს.

აჭარის ზემოთ მოთხრობილი მაგალითი მესხეთზეც ვრცელ-დება. ფაქტიურად ეპოქას და საუკუნეს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ტრადიციული მეზობლების დამოკიდებულება და სტრატეგია საქართველოს მიმართ არ იცვლება. აი, ამი-ტომაც მოინათლა „თათრებად“ მესხეთის მაჰმადიანი მოსახ-ლეობა.

გამაჰმადიანების თაობაზე დიალოგი, პოლემიკა ხშირად იმართებოდა ხოლმე. განიხილავდნენ პრობლემის არსს. სარწ-მუნოებაგამოცვლილი ქართველობა ფიქრობდა იმ მიზეზებზე, რამაც მათი ასეთი ყოფა მოიტანა. ზოგნი ამტყუნებდნენ არა მხოლოდ მტერს. მართლაც, მხოლოდ მომხდურობით და ძალადობით არ ხდებოდა რწმენის შეცვლა. ქრისტიანობის მსახურთაც მიუძღოდათ ზოგჯერ ამაში ბრალი, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ სიმტკიცეს, ეროვნულ ხაზს და იმ მთავარი მისიის ტვირთვას, რასაც სარწმუნოებისა და ეროვნების ერთიანობა ერქვა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მესხი საზოგადო მოღვაწე მღვდელი *ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)* მიდის სტამ-ბოლში, გზად გაივლის აჭარაში და ღამეს გაათევს დანდალოში „ერთი ალა აჭარელისას“. ვინმე მესხი აღწერს საუბარს, რომე-ლიც მგზავრსა და ადგილობრივებს შორის გაიმართება სარწმუნოებასთან დაკავშირებით,

„ჩვენს გარდა 15 სტუმარი სხვა ჰყავდა ქობულეთელები და კახაბრელები, ახალციხისკენ მიმავალნი. იმ ღამეს შემოვიდნენ მისი მეზობელნი და ყველანი მომეშვიდობნენ კარგის კაცთმოყვარებით. მასპინძელი, 80 წლის კაცი მოდიოდა ნავახშმევს, მოჰყვა ქრისტიანობაზედ და მაჰმადიანობაზედ ლაპარაკსა, ისე გამოიყვანა სიტყვაში, რომ ქრისტიანობა აჯობინა მაჰმადიანობასა. მე ვკითხე, რომ

ქრისტიანმა მღვდლებმა რა დაუშავეს ნეტა თქვენს წინაპართა ისეთი, რომ ერთობ გასდევნეს და მათ მაგიერ მოლა-იმამები შემოიყვანეს და დათათრდნენ მეთქი. მითხრა: არა, ყმაწვილო ჩვენთ წინაპართ მაგაში ბრალი არა აქვთ, ბაბუაჩემისგან ასე გამიგონია, რომ პირველში, როცა შემოსულან მოლები საქადაგოდ აჭარას, მაშინვე ერთპირად უკანვე გაურეკიან. ხელახლივ ალაგალაგ რომ დაუწყვიათ ისევ შემოსვლა, დაუპირებიათ მათი აწყვეტა. ამასობაში მთელ აჭარას, ზემო-ქვემოს მღვდლობას პირი ერთი უქნიათ, გაუცარცვავთ ეკლესიები და გარდაცვევნილან საიმერეთო-გურიაში. რა ხუცებს ეს ყოფა მოუწყვიათ ხალხზედ, არ იცი, ზოგთ ჯავ-რით, ზოგთ გულმოსულობით დაუწყვიათ დათათრება. რა მო-ლებს კბილი შეუდგიათ, ნელნელა მოუპირებიათ უმრავლესნი მოლები და ასე ზოგნი ტკბილობით და ზოგნიცა ძალით გაუმაჰმადიანებიათ მთელი აჭარა. ამ სიტყვებზედ დავეცილე და ვუთხარი: ,,ეგ მიზეზია, თვარა განა უღვდლოდ არ შეეძლოთ ქრისტიანობის დაცვა?“ დამიბრუნდა და ასე მითხრა: ,,ერთი მეცხვარე კი ათას თავ ცხვარს მოარჩენს მგლისაგან, მაგრამ ათას ცხვრებში უმეცხვაროდ ვერც ერთ ცხვარს შეუძლიანთ თავის მორჩენა მგლისაგანო“. რაღა უნდა მეთქვა?“ (ივ. გვარამაძე, მოგზაურობა... ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი, გვ.8).

აჭარაში 80 წლის მოხუცი, რომელიც კეთილგანწყობილია თავისი წინაპრების რელიგიის მიმართ, საერთოდ გამოირჩევა ჰუმანურობით, იგრძნობა, რომ მას განსაკუთრებით შესტკივა გული თავის სამშობლოზე. მე-20 საუკუნეშიც გრძელდება ასეთი პოლემიკა, ოღონდ ის ტრადიციული დამოკიდებულება აღარ არის შენარჩუნებული. მხარეები საერთო უბედურებაზე გულისტკივილით აღარ საუბრობენ. მიზეზს აღარ ეძებენ. ისინი დაპირისპირებული მხარეებია და იცავენ თავიანთ სარწმუნოებას.

ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების ამბავია მოთხრობილი მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენებთან დაკავშირებით. ,,როცა სოფელ მუსხის ხიდი კეთდებოდა ნაჩალნიკ ლევან ანდრონიკოვის თაოსნობით, დიდძალი მრევლი იყო შეკრეფილი სამუშაოთ როგორც ქართველები, ისე თათრები.

შუადღის დასვენებისას ლაპარაკი წამოვარდა რჯულის შესახებ. ერთმა თათარმა მითხრა“... შემდეგ გრძელდება საკმაოდ უხერხული საუბარი სისუფთავეზე, სალოცავებზე და ა.შ., რასაც მოჰყვება ქართველის პასუხი: „ძაღლს რომ მიხედო, სუფთაა, მაგრამ ცხვარი მთლათ ატურტლულია, ძაღლი, ძაღლია და ცხვარი კი სპეტაკი, სუფთა ყურბანი (საღვთო – მ. ბ.) ამ სიტყვაზე მთელი თათრები წამოიშალნენ საჩხუბრათო, მაგრამ როგორც ისინი დამნაშავე, ისევ გაჩერდნენო“. (ვ. სუდაძე, . ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწე-რი № 4001, გვ. 2).

ამ შემთხვევაში ქართველობაზე აღარავინ ფიქრობს. სარწმუნოებრივი დაპირისპირება, რომელიც უფრო მოხერხებული და დამაჯერებელი მაგალითებით არის შემაგრებული, ყოველდღიურ ცხოვრებაშია გადასული და მათი თანაცხოვრება ამ დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს, თუმცა ერთმანეთის სარწმუნოებას პატივს სცემენ. ამასთანავე გამაჰმადიანებული ქართველები ხშირად ძველ ტრადიციებს სალოცავებთან დაკავშირებით ინარჩუნებენ. „სოფელ *წნისის* ორმოცდაათი საკენის დაშორებით ჩრდილო მხარეს არის ნაეკლესიევი. ეკლესია საფუძვლამდის დანგრეულია, გარდა ეკლესიის აღმოსავლეთ მხარისა. მაშ, როგორ ვამბობთ, ეკლესიას შერჩენია სამლოცველოს აღმოსავლეთი ნაწილი.

დღევანდელი გადმოცემებიდან როგორც ჩანს, ეკლესია სახელგანთქმული ყოფილა სასწაულმოქმედებით. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეშინიათ სასწაულმოქმედების და ამიტომ ვერ ეკარებიან ნანგრევ ქვების გატაცებას. ნასალდრევს დღესაც საკმაო *მლოცველი ჰყავს, განურჩევლად ყველა ტომისა*“ (ვ. სუდაძის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 1082, გვ. 1).

მოსახლეობა არ უფრთხის ქრისტიანულ სიმბოლიკას, არ ებრძვის მას. *„ბოგის* ჩრდილოეთით რვა კილომეტრის მანძილზე არის ნასოფლარი ცხევარა. იმ ნასოფლარში მცხოვრებლებს აუშენებიათ უბრალო სახლები და ხმარობენ მთათ. *ერთ გლეხის სახლში არის ჯვრიანი ერთი ქვა.* ეს ქვა ბუხართან ოჯახშია ამართული“ (ვ. სუდაძის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 1082).

საინტერესო სურათს ხატავს სოფ. *ტობის* მაგალითზე *ი. ვარსკნელიძე:* „ჩვენი სოფელი ხეობაშია განლაგებული. ერთ მხარეს ქრისტიანები ცხოვრობდნენ, მეორე მხარეს – მუსულმანები. ჩვენ სახლის უკან ორი ეკლესია იყო – ერთი ძველი... მეორე ახალი, მოქმედი. ქრისტიანულ დღესასწაულებზე ყველა ჩვენი ჭიშკრის წინ ჩაივლიდა, სახლს უკან კი ზარები რეკავდნენ“ (ი. ვარსკნელიძე, გვ. 10-11).

*ანდრიაწმინდაში* არის წმ. ელიას სახელობის მთა – *ელია,* რომლის შესახებ *ი. მაისურაძე* წერს: „მთა არის (ტყის თავი) ზედ ეკლესიის ნანგრევია. წმინდა ადგილია, სალოცავათ მიდიან ელიას დღეობაზე. მიდიან აქაური თათრებიც *(ქისათბი, ლროშა, ანდა),* საღთოს დაკლებენ, თათრები იტყვიან ხოლმე, როდის მოვა ელიობა, რო ყანები არ დასეტყოსო. ამ დღეობას თათრები ეძახიან „დალიგიუან“ (გიჟი დღე). ელიას ძალა სეტყვის ასაცილებლად არის, როგორც თათრებისთვის. ისე ქართველებისთვის“. (ი. მაისურაძე, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1451, გვ. 21).

სოფელ *წნისის* საყდარში 1940 წელს „მოდიან ქალები სანთელს უნთებენ, რო რძე მოუვიდეთ. მოდიან მუსხიდან, ქვაბლიანიდან, აწყვერიდან. აქ რომ ნახოთ კვირა დღეს, საინ-ტერესო სანახავია. ქალებს მოაქვთ ლობიო, ხილი. დაურიგებენ ბავშვებს. ბავშვებიც დაიყვირებენ, ღმერთო, რძე მიეციო. შემდეგ შეწირავენ სანთელს. შესაწირავად ყველა რჯულის ხალხი მოდის“ (შ. ტაბიძე, „ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. ხელ-ნაწერი №1082, გვ. 1).

გამაჰმადიანებიდან დიდხანს ფარულად ქრისტიანდებოდა ბევრი: „სოფ. ანდრიაწმინდას ცხადათ თათრები ვიყავით, გულით კი ქართველები. ზაფხულში ვითომ რამაზანი გვეჭირა. ბუნუ-ლებში შევძვრებოდით, პურს ვჭამდით და წყალს ვსვამდით.

ერთხელ აღდგომათ ბნელი ღამე იყო და ვთქვით: ჩავიდეთ, ლიტონია შემოვუარო ეკლესიასო. ლიტონიას რომ უვლიდით და „ქრისტე აღდგა“ ვსთქვით, უცებ იქიდან დამალულ თათრებმა თავი ამოყვეს სთქვეს: აგერ ავსდექითო. მოგვთოფლეს მთელი ხალხი და ახალციხეს ფაშასთან ჩაგვრეკესო. ფაშამ გაგვანთავისუფლა, ზიარათში ულოციათ,

მერე რა არის მაგითაო“ (ვ. სუდაძე, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., ხელნაწერი № 89, გვ. 5).

გადმოცემა ჩაწერილია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მონათხრობი ეხება რუსეთის შემოსვლამდელ ამბავს, როდესაც ახალციხეში ჯერ კიდევ ფაშა იჯდა. ორივე მხარეს ქართველები არიან ფარულად მლოცველებიც და ჩასაფრებული „თათრებიც“, რომლებიც „ქრისტე აღდგას“ ეხმაურებიან და აგერ აღვდექითო, ამბობენ. გადმოცემა პაპის თუ არა პაპის პაპის პირიდან მაინც მოდის და ცოცხალ სურათს ხატავს. მართალია ფაშა ჰუმანურად იქცევა, მაგრამ ყოველთვის ასეთი დაბეზღებები ასე კეთილად არ მთავრდებოდა.

კომუნისტების დროს ერთი ტენდეცია იჩენს თავს: „თათრები“ უფრო მეტად *მორწმუნეები* არიან, ვიდრე ქრისტიანები, რაც კიდევ უფრო აღრმავებს დაშორებას. „ქართველების ეკლესია აღარ მუშაობს, დაკეტილია, თათრები კი ყოველთვის ლოცულობენ სახლში. ქართველები მარხვას აღარ იჭერენ და აღარც სარწმუნოებას მისდევენ, თათრებს კი რამაზანი (მარხვა) ახლაც მაგრათ უჭირავთ... სოფელში უძველესი გვარები თათრებისაა, სჩანს, როცა აქავრობა აუოხრებიათ, ესენი გათათრებულან და ვინც არ გათათრებულან, ისინი გაუწყვეტიათ“. წერს *ვ. სუდაძე* მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს (ვ. სუდაძე, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. ხელნაწერი №104, გვ. 11-12.)

იყო საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც ეკლესიებს ანგრევდნენ და სამშენებლოდ იყენებდნენ: მაგ. სოფ. *ელიაწმინდის* შესახებ ნათქვამია, რომ „ეკლესია თლილი ქვისგან ყოფილა აგებული. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკლესიის გარე კედლის ქვები მთლად ჩამოუყრიათ და წაუღიათ“ (ვ. სუდაძის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 1082).

ამრიგად, მე-19 საუკუნეში უკვე მაჰმადიან მესხთა ნაწილს უწოდეს „თათრები“, რადგან მათი სალაპარაკო, საურთიერთობო ენა იყო თურქული ენის დიალექტი. ეს ტერმინი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა დანარჩენ მუსლიმ მესხებზე. სახელი ხელოვნური იყო და შეიქმნა საქართველოს სამხრეთ ნაწილში სარწმუნოებრივი დაპირისპირებისათვის.

1828 წელს რუსეთმა შემოიერთა მესხეთი. რუსეთი ფორმალურად გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიის დამცველად. ოსმალეთი თავის გავლენას არ თმობდა, რაც განსაკუთრებით ენობრივ-სარწმუნოებრივ აქტიურობაში გამოიხატებოდა. მესხეთის გამუსლიმება კიდევ უფრო გაძლიერდა მე-19 საუკუნეში. მოსახლეობის ენობრივ-რელიგიური შეგნება გაორების გარდა დაბნეულობამაც მოიცვა. ერთმანეთში აღრეული ეროვნება და სარწმუნოება კიდევ უფრო გაბუნდოვანებისკენ მიდიოდა, რადგან რუსეთმა არ გაატარა რადიკალური რელიგიური პოლიტიკა, არ დაუბრუნა ქრისტიანობას ჯერ კიდევ ბოლომდე გაუმაჰმადიანებელი მოსახლეობა. ეს მის ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მთელი მესხეთი (ტაო-კლარჯეთი), ქრისტიანობის დაბრუნებისთანავე „ქართველობას“ უბრუნდებოდა. მათი რელიგიური ცნობიერება ეროვნულ ცნობიერებას გაუტოლდებოდა. ეს რუსეთის მიზანს არ წარმოადგენდა. საქართველოს დაშლა გრძელდებოდა. იყო მეორე მიზეზიც. რუსეთის იმპერიაში ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა. ასეთი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მაჰმადიანთა უკმაყოფილება არ აძლევდა ხელს რუსეთის ხელისუფლებას.

1886 წლის აღწერის მიხედვით, რომელიც 1893 წელს გამოქვეყნდა, ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი უკვე აღიარებს „თათრობას“, მაგრამ დიდი ნაწილი ისევ ქართველია (Сводъ Статистическихъ даныхъ О населеніи Закавказского Края, Тиф., 1893 г.).

ქართველი მაჰმადიანები რომლებიც ითვლებიან ჯერ კიდევ ქართველებად ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: *ადიგენი, აფიეთი, არძე, ბოლაჯური, ღალვი, გოდერძი, ღორთუბანი, გუგუნაური, დერცელი, ზანავი, ზარზმა, ზედაუბანი, კეხროვანი, მლაშე, მობე, ნამნიაური, ოსიაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უტყუსუბანი, ციხისუბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი, არალი, აგარა, აწყური, ზიკილია, კოპაძე, ორფოლა, საკირე, საყუნეთი, ტყემლანა, წინუბანი, წობტევი, წრიობი, ზემო ოშორა, ქვემო ოშორა, ბოგა, გიორგიწმინდა, კლდე, მიქელწმინდა, მუგარეთი, ფერსა, სვირი, წნისი, ჩობტა, შურდო, აბი* და სხვ.

არის ბევრი სარწმუნოებრივად შერეული სოფელი, რომლებშიც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, ოღონდ ზოგნი ქართველებად იწოდებიან და ზოგნი თათრებად. ასეთებია მაგალითად: *ერკოტა, ჭობარეთი, წყალთუბანი, ტობა, აწყვიტა, აგარა, ახაშენი, მარელი, კახარეთი, ხახალო, შოლაყერი, წახანი, აბასთუმანი, ჭარალი, ვალე, ზველი, ენგიქევი, ლრელი, გიორგიწმინდა, ტოლოში, როკეთი, ქუნცა* და სხვ.

სხვა ბევრ სოფელში კი უკვე „თათრობენ", ოღონდ არც ერთი თურქი არ არის, ის ცოტა ადრე სარწმუნოებაშეცვლილი ქართველია. ამიტომ გასაგებია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული მუშაობა მიდის იმ სოფლებში, რომელთა „გათათრება" ვერ მოხერხდა და ისინი კვლავ ქართველობენ. *ალ. ფრონელი* მოგვითხრობს იმ მოლების შესახებ, რომელნიც ინტენსიურად მუშაობენ სწორედ სარწმუნოებაშეცვლილ, მაგრამ ჯერ კიდევ ქართულ სოფლებში.

სოფ. *საყუნეთი* დიდი და ქართული სოფელია მე-20 საუკუნის დასაწყისში. „მთელი სოფელი დღესაც, დიდი და პატარა წმინდად და სუფთად ლაპარაკობს ქართულად. ძველი ქართული გვარები ისევეა კარგად შემონახული, როგორც შუაგულ ქართლსა და იმერეთში" (ალ. ფრონელი, გვ. 54), ამიტომაც სწორედ ამ სოფლიდან არის „მოძღვარი მოლა, ახალგაზრდა, სანდომიანი, წმინდა ქართველური სახის მეტყველებით" (ალ. ფრონელი, გვ. 54-55), რომელიც თორმეტი წლისა გააგზავნეს სტამბოლში სწავლის მისაღებად, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არც საცხოვრებელი ჰქონდა იქ, არც სხვა სახსარი არსებობისა, მაგრამ იქაურმა სასულიერო პირებმა მოამზადეს და გამოაგზავნეს ერთ-ერთ ყველაზე ქართულ სოფელში. სტამბოლში ის იდეურად არის დამუშავებული, რწმენით აღტაცებული და როდესაც სტამბოლის შესახებ მას როგორც უცხოეთზე ისე ეტყვიან, პასუხობს: „როგორ თუ უცხოეთი? განა იქ სულ ჩვენები არ არიან? ქვეყანა დიდია, ძლიერი, მდიდარი, განა ფუხარებს (ღარიბებს) ჰგვანან? მაჰმადიანი იქ მშიერი როგორ მოკვდება?

ამას რომ ამბობდა, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მოლას სახე ისე გაუბრწყინდებოდა სიამაყითა და ამპარტავნებით"... (ალ ფრონელი, გვ. 55). ასევე იყო მოლა სოფ. *ბო-*

*გიდან*, სადაც აგრეთვე ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ და ქართველობა ჰქონდათ შენარჩუნებული. მოლები დასპეციალე-ბულნი არიან არაბულ წერა-კითხვაში, მაგრამ ქართული მათ უკვე აღარ აინტერესებთ „რად მინდა, ბატონო, ქართული, რაში უნდა გამოვიყენო?“ ... (ალ ფრონელი, გვ. 58). ეს არის მათი პასუხი კითხვაზე ქართული წერა-კითხვის ცოდნის შესახებ.

მეოცე საუკუნის ბოლომდე მოაღწია თურქეთში გასახლების ფაქტებმა. „როგორც მამა ამბობდა, ნიკოლოზის დროს გვაიძულებდნენ თურქეთში გადავსახლებულიყავით – თურქები ხართ და თურქეთში წადითო. ბევრი მათგანი მართლაც გადავიდა მესხეთის საზღვრის იქითა მიწაზე“. (ი. ვარსკნელიძე, გვ. 11).

სამშობლოდან უცხოეთში გაქცევის სხვადასხვა ფორმა არსებობდა მესხეთის დიდი ტრაგედიების ფონზე, ერთი მათგანი იყო მუჰარაჯობა (ტ. ფუტკარაძე, გვ. 16), თუმცა არა ერთადერთი.

სამშობლოდან გადახვეწის ბევრი მაგალითი გვქონდა მე-19 საუკუნეში. იყო შემთხვევები, როდესაც წავიდოდნენ მოივ-ლიდნენ ტრაპიზონს, სამსუნს, ბურსას, ვერ იპოვიდნენ ადგილს სამუდამოდ დასასახლებლად და ბრუნდებოდენ უკან.

1894 წ. „ივერია“ № 114 ბეჭდავს ილია ალხაზიშვილის წერილს „ქართველ მაჰმადიან მესხების დაბრუნება ოსმალეთიდან (მესხი რაჯაბას ნაამბობი)“, რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ გაყიდა 60-მდე მაჰმადიანმა ყველაფერი, რაც კი ჰქონდათ, დაიტირეს წინაპრთა საფლავები და წავიდნენ ოსმალეთში საუკეთესო ცხოვრების საძებნელად, მაგრამ არაფერი გამოუდიდათ. ბოლოს გაჭირვებით ბრუნდებიან სამშობლოში „შინ მოვედით თუ არა, სიხარულით ყველანი ბავშვებივით ვსტიროდით“.

წერილის ავტორი მონათხრობის შემდეგ წერს: „ღმერთმა ჰბრძანოს, რომ ჩვენმა მოძმე ქართველმაჰმადიანებმა თავი დაანებონ ათასნაირი ჭორების აყოლას და თავის მამაპაპისეულს ადილზედ გული დაამყარონ და აღარ მოშორდნენ“.

გულის ადგილზე დამყარების ნაცვლად, როგორც ჩანს, ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რაშიც განსაკუთრე-

ბული როლი ოსმალეთში განსწავლულ ადამიანებს მიუძღოდათ.

საბჭოთა პერიოდში ქართველ მაჰმადიანთა საბოლოო გაუცხოურობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა არაქარ-თულმა სკოლამ. თურქულ-აზერბაიჯანული განათლების მიცე-მამ საბოლოოდ მოათავა დაწყებული საქმე. მანამდე თუ მხო-ლოდ მოლა-იმამაები აკეთებდნენ ამ საქმეს, ახლა უფრო მასიური ხასიათი მიიღო ენის დაკარგვის დაჩქარებამ.

ცნობილმა მოღვაწემ *გ. ბოჭორიძემ* მოიარა სამცხე-ჯავახეთი, აღწერა მრავალი სიძველე, მაგრამ არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება ერთი განცხადება, რომელიც დათა-რი-ღებულია 1932 წლის 20 ოქტომბრით და რომელიც გა-ნათლების კომისარიატის სასკოლო სექტორის გამგის სახ-ელზეა დაწე-რილი.

განათლების ენის საკითხი საბჭოთა პერიოდის სამცხე-ჯავახეთში ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ საერთო სურა-თის წარმოსაჩენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ეს განცხადება, ამი-ტომ მოვიყვანთ მთლიანად:

„წარსულ თვეებში არქეოლოგიური მიზნით მოვიარე მესხეთი (ახალციხის მხარე): ავწერე ისტორიული ძეგლები, გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები, მოვაგროვე უძველესი წარწერიან-ქანდაკებიანი ქვები, ხელნაწერი წიგნები, გავეცანი ხალხის ზნე-ჩვეულებებს და სხვ.

ხსენებული კუთხის მთავარი მემკვიდრენი არიან ქართველნი (მესხნი). მათი ერთი ნაწილი ქართველებად იწოდება (ქართველი ქრისტიანები), ხოლო მეორე ნაწილი, სარწმუნოების გამო – თათრებად (ქართველი მაჰმადიანები).

ამ უკანასკნელთა უდიდეს ნაწილს დროთა ვითარებაში ქართული ენა დაუკარგავს, ხოლო მეორე ნაწილს კი დღე-ვანდ-ლამდე შეუნახავს. აქ მინდა შევეხო ამ მეორე ნაწილს.

დღეს არის მთელი სოფლები, რომელთაც ქართული ენა თავის საოჯახო ენად აქვთ; თორმეტი ასეთი სოფელი ერთ ჯგუფად სახლობს, სხვა ცალ-ცალკე; ამ ჯგუფ სოფლებში *თურქული ენა იციან, ეს მხოლოდ კაცებმა, მანდი-ლოსნებმა და ბავშვებმა კი ეს ენა სრულებით არ იციან.*

ეს სოფლებია: *სვირი* – 200 კომლი, *ბოგა* – 90 კომლი, *შურდო* – 70, *გიორგიწმინდა* – 80, *ჭოხტა* – 28, *ფერსა* – 10, *წოხტევი* – 60, *მუგარეთი* – 80, *ზიკილია* – 280, *აგარა* – 25, *საყუნეთი* – 150, *ინდუსა* – 100, *ყამზა* – 100 კომლი.

გარდა ამისა, არის სოფლები, რომლის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ქართულადვე ლაპარაკობს, ესენია: *ზემო ოშორა* – 230 კომლი, *უდე* – 150, *ვალე* – 90 კომლი.

აქვე აღვნიშნავ ზემოხსენებულ სოფლებში მოსახლე პირთა გვარებს: სვირი – *ყაყუნაშვილი* და სხვ. შურდო – *ხმალაძე, გორიშვილი;* წოხტევი – *ლომიძე, კაპანაძე, პაპალაძე, ჩხეიძე;* ზიკილია – *გვარამაძე, ნადირაძე, ხაბუტაშვილი, გოგალაძე, ზურაბაძე, კაპანაძე, ცქიფოძე, ჩიტაძე, ბიძინაშვილი. აგარა – გვარაძე, ტულუშაძე, კოტაძე;* საყუნეთი – *იორდანაშვილი, ფოცხვერაშვილი, მჭედლიშვილი, ფუტურიძე, ჭყონიძე, კახიშვილი;* ინდუსა – *შარავანდიძე, ქოსაშვილი, ქორიმოშვილი, ყორჩაშვილი, ოქროპირიძე, გელაშვილი, ხალოშვილი, სათოშვილი, რამოშვილი;* ყამზა – *ონიაშვილი (ონიაძე), გოჩაშვილი (გოჩაძე), ჩაჩმოშვილი, მახარაშვილი (მახარაძე), ჭეჭილაშვილი (ჭეჭელიძე), კოკოშვილი, ქუმელაშვილი, ამოშვილი, წულუკიძე;* ზემო ოშორა – *ლონიაშვილი (ლონიაძე), კუჭაიძე, ზანდარიანი, ავალიშვილი;* უდე – *ბარათაშვილი, კანჭაძე (კანჭათი), ჩელაშვილი, ბერიძე (ბეროთი), აბულაძე, ჰეტაშვილი (ჰეტათი), ელაშვილი (ელათი), ბაქრაძე (მოლოზნიანთი);* ვალე – *ჭავჭავაძე, ამილახვარი, ბოჭოშვილი, ჩიტაძე, ილარიონიძე, გოზალიშვილი, ნიჟარაძე, ბერიძე, ნადირაძე (ტირალათი), კაპანაძე;* აწყური – *ვარშაველი, ლომიძე, ორჯონიკიძე, ჩხეიძე, სამსონიძე, ყიფიანი, ბაქარიძე, ახნაურიძე, დვალიშვილი, ლეკიძე, მესხიძე.*

ზემოხსენებულ სოფლებში, სადაც კი სკოლა არსებობს, ყველგან თურქულია (სვირი, ბოგა, შურდო, ზიკილია, ინდუსა და სხვ.) და სადაც გახსნას აპირობენ (მაგ. საყუნეთი) იქაც თურქულის. რამოდენიმე სოფელს ქართული სკოლის გახსნა სდომებია, უთხოვნიათ ახალციხის რაიალმასკომისათვის, მაგრამ უარი უთქვამთ. *სვირს, შურდოს* და *გიორგიწმინდას* მითხრეს: მივმართეთ ახალციხის მთავრობას, ქარ-

თული სკოლა გაგვიხსენითო, მაგრამ უარი გვითხრეს, თქვენ თურქული სკოლა გეკუთვნით და გაქვთ, ქართული სკოლა არ იქნებაო. მე ვურჩიე, განცხადება გამოეგზავნათ განათლების კომისარიატის სახელზე.

ქართულად მოლაპარაკე სოფლებს, მათი სურვილისამებრ, ვგონებ, ქართული სკოლები უნდა გაეხსნას. ამას მოითხოვს საღი პედაგოგიკა.

ცენტრარქივის თანამშრომელი გ. ბოჭორიძე

1932 წ. ოქტომბრის 20

(კ. კეკელიძის სახ, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი № 2950)[1]

განცხადებაში კარგად არის დასაბუთებული ჩამოთვლილ სოფელთა მაჰმადიანი მოსახლეობის ქართველობა. ისინი ლაპა-რაკობენ ქართულად, აქვთ ქართული გვარები, მათი ტრადიცია ქართულია, რომ მიეთითებინა *გ. ბოჭორიძეს*, სოფლების ტოპონიმიაც, ქართული იქნებოდა, მაგრამ განცხადების ფორმატი ამის საშუალებას არ იძლეოდა. სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში არ ისმინეს საქართველოს ხელისუფლებაში მსგავსი თხოვნები. გაგრძელდა ოსმალურ-რუსული პოლიტიკა ბოლომდე.

ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები უკვე მცირე ნაწილია 1886 წელს ქართველებად აღწერილ სოფლებთან შედარებით. ისევე, როგორც 1886 წელს აღწერილი სოფლები მცირეა 1828 წელთან შედარებით, როდესაც რუსეთმა „დაგვიბრუნა" ეს მხარე. ერთი საუკუნე და ცოტა მეტი გაუძლო მუსულმანმა ქართველობამ დიდ ზეწოლებს, ხოლო გადასახლების შემდეგ, სართოდ ნულამდე დაეცა ენის ცოდნის ხარისხი, რადგან შუა აზიასა, აზერმაიჯანსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართულ სკოლებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ასეთმა დამოკიდებლებამ მიიყვანა მაჰმადიანები გათათრებამდე. ეს დამოკიდებულება კი შექმნა ჩვენი ქვეყნის უსუსურმა პოლიტიკამ (თუ ამას პოლიტიკა შეიძლება ეწოდოს, რუსეთის „მფარველობის" ქვეშ და მეზობელი სახელმწიფოების აქტიურმა ანტიქართულმა მუშაობამ).

პოლიტიკა პოლიტიკად, მაგრამ ხალხი მაინც სხვანაირად უყურებდა ენის საკითხს. მშობლიურ ქართულთან განშორება

ძნელი შეიქმნა. ხშირად მოსახლეობა აშარჟებდა მდგომარეობას. დასცინოდნენ რენეგატებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც საკუთარ ენას დააგდებდა და თურქულში გაიწაფებოდა. უცხო ენის სწავლას ბევრად მეტი დრო სჭირდებოდა, ვირდე სარწმუ-ნოების შეცვლას.

მესხეთი და აჭარა ერთი ბედისა და უბედობის შვილები იყვნენ საქართველოსი. მშობლიური ენის პრობლემა ორივეს თითქმის ერთნაირად უდგა. საინტერესო მოთხრობა აქვს ჩაწე-რილი ი. მაისურაძეს მაჰმადიანი ქართველებისგან ტატა-ნი-სელი *ბერძენიშვილი ყოჩი საფაროლლისაგან* 1937 წელს, როგორ „ყიდიან“ და „ყიდულობენ“ მესხები და აჭარლები ერთმანეთში „თათრულს“: „აჭარლებმა თქვეს, რო კაცო, ჩვენ თათრები ვართ და თათრული არ ვიცით, მოდი შევაგროვოთ ოთხ-ოთხი მანეთი, ამოვირჩიოთ ერთი ჭკვიანი კაცი და გავგზავნოთ ადიგენში თათრულის საყიდლათ. შეაგროვეს ფული და გამოგზავნეს ერთი კაცი. ეს კაცი ჩავიდა ადიგენში და იკითხა: თათრული ვის გაქვთ გასაყიდიო. მას შეხვდა ერთი ჭკვიანი კაცი და თქვა: ეს კაი ბატი ვნახეო. წაიყვანა სახში და უთხრა: ამაღამ აქ დაიძინე, ათას მანეთის თათრულსაც ზედმეტ გაგატან, ოღონდაც სულ ჩემთან იყიდეო. რო გათენდა დილა, გაუბერა მას ერთი კაი გუდა და დააბარა: პირი არ წაუხსნა სოფელში გადასვლამდე, თვარა გაგექცევაო. ეს აჭარელი რო ავიდა მთაში, მაშინ თქვა: იქიდან აქ ვზიდე, მოდი წავხსნი პირს და კარგ თათრულს მე ამოვირჩევო. რომ წახსნა პირი, დაიცალა ფუქით გუდა. დაიწყო ყვირილი: უი, დედა, მიშველეთ, თათრული გამექცაო. გამოცვინდა თელი სოფელი და დაუწყეს თათრულს ძებნა ნაშხნარებში. ნახეს დათვის ნაფეხური: აი, ჩვენი თათრულის ნაფეხურიაო და წაჰყვნენ ნაფეხურს. მივიდნენ სოროსთან, ადგა ერთი, გექანა, იქნებ კარგი თათრული წამოვიღოო, როცა შევიდა, დაიგვიანა გამოსვლა, მეორემ უთხრა: ეე, ბიძია გამოდი, ფული მეც მიმიციაო. ის არ გამოვიდა, გამოსწიეს ფეხებიდან და თავი არ ჰქონდა. ამათ თქვეს: ე, მახმედ, ამას თავი ჰქონდაო? – ე, ბიჭო, წავიდეთ და მის ცოლს შევეკითხოთო, იმას ეცოდინებაო. ცოლს ჰკითხეს: თავი ჰქონდა თუ არა შენს ქმარსო. იმან უპასუხა: არ ვიციო. იმათ

დასკვნა გამოიტანეს, თავი არ ჰქონიაო (ი. მაისურაძე, მესხური სიტყვიერების მასალები, 1943 წ. ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 3067).

საკუთარი ენის დაგდება, მიუხედავად სარწმუნოების სხვადასხვაობისა, ყველაზე დიდი „უთავობაა“. ეს არის მონათხრობის აზრი, გუდით „შეძენილი“ თათრული საბოლოოდ ვერ იკაფავს გზას აჭარაში, სამაგიეროდ განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მყოფი მესხისათვის დამღუპველი აღმოჩნდებოდა. აჭარისგან განსხვავებით, არ აღმოჩნდა მესხეთში ისეთი მორწმუნე მუსლიმი, რომელიც ლიდერობას გასწევდა და რწმენაშეცვლილ ქართველობას ეროვნებას არ დააკარგვინებდა.

„ბოლოსდაბოლოს მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები ერთიმეორისაგან ველარ არჩევდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. ქართველი მათთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი სიტყვა გახდა. ამის საპირისპიროდ თავიანთ თავს ეძახდნენ მუსლიმანს ან თათარს. რა თქმა უნდა, ეს „თათრობა“, რომელიც გამორიცხავდა „ქართველობას“, არ ნიშნავდა „თურქობას“, მაგრამ ტერმინ „თათრის“ ქვეშ შეიძლება გვეგულისხმა აგრეთვე აქ მცხოვრები მუსლიმი ხალხები: ყარაფაფაზელები, ქურთები და სხვ. მაჰმადიანი ქართველობა, რაღა თქმა უნდა, არ იყო მათთან ალრევის მომხრე და თავის ვინაობის გამოსაცალკევებლად გამონახა კიდევ უფრო დაკონკრეტებული ცნება „იერლი“ - ადგილობრივი ან „ბინალი“, ამ ქვეყნის ბინადარი. მისი თათრობა შეზღუდული იყო გარკვეული ადათებითა და ისტორიული ზნეჩვეულებებით – იერლობით. „იერლი“ ზოგად თათარს ქალს არ მიათხოვებდა, ისევე, როგორც ქრისტიანს“ (შ. ლომსაძე, 208).

იერლის დაპირისპირება თათრობასთან გრძელდებოდა მე-20 საუკუნეში, როდესაც კიდევ უფრო გაბუნდოვნდა მაჰმადიან მესხთა წარმომავლობის საკითხი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თათრობა იქცა ეროვნებად, რომელსაც დაემატა „აზერბაიჯანლობა“.

მე-19 საუკუნეში აზერბაიჯანლობაზე საერთოდ საუბარიც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ ქართველი კომუნისტების არა-

ქართული, არაეროვნული პოლიტიკის წყალობით, „თათრობას“ და „თურქობას“ თანდათან ენაცვლებოდა „აზერბაიჯანელობა“, რაც ბევრი რამით იყო ხელსაყრელი ანტიქართული საქმიანობისათვის.

„სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ცარიზმი ქართველებად მიიჩნევდა, საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ თურქულ და აზერბაიჯანელ ეროვნებებს მიეკუთვნენ იმის გამო, რომ მაჰმადიანები იყვნენ. ანგარიში არ გაეწია ბევრი მათგანის თვითშეგნებას, ქართულ სამეტყველო ენას და მათ მიერ შემონახულ ქართულ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტრადიციებს, ქართულ გვარებს“ (რ. თუფჩიშვილი, I, 2005, გვ. 155).

თურქული ენის დიალექტი, რომელზეც საუბრობდნენ მესხები უფრო ახლოს იყო აზერბაიჯანულ ენასთან. თავად აზერბაიჯანის სიახლოვეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რადგან საბჭოთა პერიოდში კავშირი თურქეთთან შეწყდა და თურქეთის ადგილი დაიკავა აზერბაიჯანმა, ამიტომ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში მაჰმადიან მესხებს მასიურად მისცეს აზერბაიჯანული სკოლები.

ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს ყველაფერი შეამჩნიეს, ოღონდ გვიან. აი, რას წერს ახალციხის რაიკომის მდივანი გ. კირვალიძე ხელმძღვანელობას თავის მოხსენებით ბარათში 1944 წელს: „საზოგადოდ ჩემის აზრით საჭიროა და დროულად მიმაჩნია, რომ იწერებოდეს ყველა ქართული გვარები, რომლებიც დღემდე შენარჩუნებულია გამაჰმადიანებულ ქართველებში, ამასთანავე *ეროვნება იწერებოდეს „ქართველი“, „თათრის“ ან „აზერბაიჯანელის“ მაგივრად და აღნიშნული ღონისძიება ჩატარდეს არა მარტო ახალციხის რაიონში,* არამედ ყველა მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში“ (გ. კირვალიძე, გვ. 61).

ნიშანდობლივია, რომ გ. კირვალიძე არ წერს, ეროვნება ქართველი მიეცით ქურთებს ან თარაქმებსო, რადგან ისინი არც არიან ქართველები. ქართველია მხოლოდ იერლი, რომელიც იწოდება თათრად ან აზერბაიჯანელად. მაგრამ ამ იდეას რეალიზაცია არ ეწერა, რადგან 1944 წელს მაჰმადია-

ნი მესხები და ყველა დანარჩენი მუსლიმური მოსახლეობა გასახლდა მესხეთიდან.

ვიდრე ისინი ცხოვრობდნენ მესხეთში იერლი, როგორც ითქვა, უპირისპირდებოდა სხვა მაჰმადიან მოსახლეობას, მაგრამ, როდესაც გავიდა დრო და მათი გადასახლებაში ყოფნა გაგრძელდა, ამ ტერმინმა გაიფართოვა თავისი მნიშვნელობა. იერლი ანუ ადგილობრივი დღეს შეიძლება ეწოდოს არა მხოლოდ წარმოშობით ქართველს, არამედ ყველას, ვინც გასახლდა მესხეთიდან საერთოდ. ამ ტერმინის ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დაადასტურეს იანეთში მცხოვრებმა მესხებმა. მათი თქმით, ყველა გასახლებული არის იერლი, რადგან ისინი არიან ერთი სამშობლოდან გასახლებული. ამგვარად დღეს ტერმინი, რომელიც თავისი მნიშვნელობით თავის დროზე აღნიშნავდა ქართველს, რითაც უპირისპირდებოდა ის არაქართველობას (თურქი, თარაქამა, აზერმაიჯანელი, ქურთი), იძენს საპირისპირო დატვირთვას და აერთიანებს დეპორტირებულთ ერთი ნიშნის მიხედვით. ეს ნიშანი არის ადგილობრივი, ოღონდ არა ქართველი, ზოგადად მუსლიმი.

იერლი დაუახლოვდა ეროვნულობას და მის პარალელურად ოღონდ გვარის აღსანიშნავად იხმარებოდა და იხმარება ტერ-მინი *„განაყოფი“*. - „ქიმ განაყოფ?“ (ვისი განაყოფი ხარ?) – საგინაათი! ახალი საბჭოთა გვარების მიღების მიუხედავად მესხები გადასახლებაშიც ძირითადად განაყოფებით სცნობენ და იხსენიებენ ერთმანეთს.

ტერმინი რომ ქართულია, ამას განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება. ის არის *ყოფ* ზმნისაგან მიღებული ნამყო დროის მიმღეობა. ამასთანავე განაყოფი, როგორც ეთნო სოციალური ტერმინი, ცნობილია.

მესხეთში „განაყოფს“ უწოდებდნენ ოჯახიშვილს, რომელიც გაიყრებოდა, გაიყოფოდა. *ი. მაისურაძე* განმარტავს: განაყოფი – ბიძაშვილი, საერთო ძირეული ოჯახიდან გამოყოფილი მოსახლე, „იმას, ვინც ეყოლებოდა ბიძაშვილი თუ განაყოფი“ (ი. მაისურაძე, მესხური დიალექტოლოგიური ლექსიკონი, 1944, ხელნაწერი ს.ჯ.ი.მ.ფ № 3066).

ქართული ენის წიაღში წარმოშობილი ქართველობის შესანარჩუნებელი ტერმინები თანდათან ან იკარგება, ან საპი-

რისპირო მნიშვნელობას იძენენ, ან იცვლება სხვა ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინად.

ეს არ ეხება მხოლოდ ტერმინებს. დიდმა პოლიტიკამ დააბნია მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო. ყველა მოვლენა მის საზიანოდ განვითარდა. ზოგიერთი ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები, მაგალითად, აზერბაიჯანულ-თურქული და ქურთული წარმომავლობის მოსახლეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში დაპირისპირებულია, საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველთა შემწყნალებლური დემოკრატიული პრინციპების წყალობით, გაერთიანდნენ და დაუპირისპირდნენ საქართველოს.

ეს პროცესი გრძელდება დღესაც. ამის ნიშნები არის ბოლო დროის მოვლენებიდან გამომდინარე, როდესაც მასმედიის წარმომადგენლებთან წალკის რაიონის აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქართველები გვიშლიან ხელს, თორემ ჩვენ ერთმანეთში კარგად ვართო. მათი განწყობა გადამდებია წალკის რაიონის ბერძნულ მოსახლეობაზეც.

ამ ხალხს როდესაც ყველაზე ძალიან უჭირდათ, მაშინ შეიფარეს ქართველებმა. ასევე შეიფარეს თავის დროზე ქურთები და თარაქმები.

## მაჰმადიან მესხთა გვარები

მესხების ტრაგიკული ისტორია გრძელდება. ვიდრე მათი თვითიდენტიფიკაცია მოხდება ბუნებრივად თუ ხელოვნურად, საჭიროა საკუთარ წარმომავლობაში სერიოზული გარკვევა. საამისოდ ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს თითოეული პიროვნების თუ ოჯახის გვარისა და წარმომავლობის კვლევა. მართალია ამას დრო დასჭირდება, მაგრამ საქმე დასაწყებია, რადგან პრობლემების ცალმხრივი წარმოჩენა, ე. ი. ისეთი კვლევა, როდესაც ქართველი მეცნიერები ან არ მონაწილეობენ მასში ან, უსახსრობის გამო, ძალიან შეზღუდულია მათი როლი. ეს კი ქმნის იმის საშიშროებას, რომ მე-20 საუკუნის ისედაც გაბუნდოვნებული ისტორია კიდევ უფრო

გაუარესდება, განსხვავებული გენეტიკის, ჰაბიტუსის, ეთნოსის, კულტურის, ეროვნების მატარებელი ადამიანები ხელოვნურად მიერთებული აღმოჩნდებიან სულ სხვა წარმომავლობის ხალხს და წარსულის ბუნებრივი რეაბილიტაციის ნაცვლად, მივიღებთ უსამშობლო, უკულ-ტურო, სხვაზე მიტმასნებულ საზოგადოებას, რაც, რა თქმა უნდა, ახალი ტრაგედიების საფუძველი შეიქმნება.

დღევანდელი გლობალიზაციების პირობებში ეს აზრი ზოგისთვის შეიძლება მიულებელიც იყოს, მაგრამ ყველაზე დიდი კოსმოპოლიტებიც კი საბოლოოდ ეძებენ საკუთარ ფესვებს, უფრთხილდებიან საკუთარ კულტურას, გენეტიკას, კოსმოპოლიტიზმსა და უსამშობლო, უტრადიციო საბურველში ხვევენ სხვა ხალხებს.

ჩემი მიზანია მესხეთში და იმერეთში, კერძოდ, *ახალციხის* რაიონში, *ახასთუმანსა* და იმერეთში სოფ. *იანეთში* დაბრუნებულ მესხთა გვარების კვლევა. ახალ-ციხეში მცხოვრები 12 ოჯახის და იანეთში მცხოვრები 30 ოჯახის გვარები.

ქართული გვარის ისტორია ჩვენი ეთნო-სოციალური ყოფის აუცილებელი ნაწილია. სხვადასხვა აზრი არსებობს ქართული გვარის წარმოშობის თარიღის შესახებ. ზოგნი მას უძველეს დროს შექმნილად მიიჩნევენ, ზოგნი კი შედარებით გვიანდელ ეპოქაში წარმოქმნილად თვლიან. ერთში კი შეიძლება შევთანხმდეთ, რომ თუ სადმე საქართველოს რომელიმე კუთხეში უნდა შექმნილიყო გვარი, ეს იყო მესხეთი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომელიც დაწინაურებული იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ამიტომ ჩვენი საკვლევი ობიექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უნდა აღმოჩნდეს ქართული ისტორიული გვარები, ცნობილი გვარები, რომელნიც შეიძლება მესხეთში აღარც კი მოიძებნოს, რადგან ისინი მხოლოდ მუსლიმ ქართველებს ჰქონდათ, ამას თავისი ახსნა აქვს. ცნობილია, რომ სარწმუნოება პირველ რიგში შეიცვალა მაღალმა წრემ, ე.ი. მესხეთის მაჰმადიანობა გამორჩეული ნაწილიც იყო საზოგადოებისა.

ქრისტიანები და მაჰმადიანები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. მათი გვარების ჩამოყალიბება ერთნაირად მოხდა. ეს

გვარები საერთოა ქრისტიანებთან და, ბუნებრივია, მათ საერთო ძირი, წარმომავლობა აქვთ.

ქართულ გვარს, ისევე როგორც ყველა ეროვნების ხალხის გვარს, თავისი სემანტიკა და ენობრივი სტრუქტურა აქვს, გააჩნია საკუთარი, გვარისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა და ქართული ენის ლექსიკოლოგიის სფერო-ში განიხილება. სწორედ ამიტომაც ქართული გვარის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ბრძოლა ქართველობის წინააღმდეგ, რაც აისახა მესხთა გვარებზეც.

სარწმუნოებისა და გვარის შეცვლა ურთიერთკავშირში იყო.

უმთავრესი იყო ეკონომიკური ფაქტორი. საგადასახადო სისტემა ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, რომელც ითვალისწინებდა შელავათს თუ სარწმუნოებას შეიცვლიდა ქრისტიანი კაცი. გადასახადისგან გათავისუფლდებოდა იგი და ამასთან ერთად, საჭირო იყო სახელის შეცვლა. მთავარი იყო სახელი, რადგან გვარის პრობლემა თავიდან საერთოდ არ იდგა. სამომავლოდ მამის სახელით, უკვე თურქული სახელით მოიხსენიებდნენ მასაც და მის შთამომავალსაც. გამაჰმადიანებულ თაობას მამის სახელს არ სთხოვდნენ, რადგან ასეთ შემთხვევაში მამის სახელად ქართული სახელი იქნებოდა, რაც არ აძლევდა ხელს ოსმალეთის ხელისუფლებას, მხოლოდ სახელითაც იოლად გადიოდნენ, ვიდრე მისი შთამომავალი არ მიიღებდა მამის სახელად „თათრულ“ ვარიანტს. აი, საამისო დოკუმენტი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმიდან: „მუსხიდან გათათრდენენ *თომაანთ თორომანი, სიმონ მაისურაძეს* დაარქვეს *უსეინაი,* ხოლო ქურდაძეს [დაარქვეს] *სვილეიმანაი,* ისიდორ ქურდაძეს – *ალიაი,* ქიტე ქურდაძეს *იბოი* და ასე სხვა“. გვარს არ ეხებიან, რადგან ამის საჭიროება პირველ ეტაპზე არ დგას. ჯერ ერთი უფრო კარგად გრძნობს თავს „გათათრებული“, მას ისევ თავისი გვარი აქვს, მაგრამ ეს გვარი საშიანო მოხმარებისთვისაა. მისი შვილისათვის შეიძლება ეს გვარი აღარ შეიქმნას საჭირო. ქიტე ქურდაძეს კი დაარქვეს *იბრაგიმი,* მაგრამ ქართული ტრადიციის მიხედვით მოხდა სახელის

„გაქართულება“ და მას კნინობით-მოფერებითი ფორმით მოიხსენიებდნენ.

გამაჰმადიანება და სახელის შეცვლა იწვევდა ორსახელიანობას. 1937 წელს მაჰმადიანი მესხი ჰყვება პაპის მონათხრობს: „პაპაჩემი და მამა-ბიძაჩემი დასვინათებული (წინდაცვეთილები – მ.ბ.) იყვნენ. პაპაჩემს *ხიზაი* ერქვა, ბებიაჩემს *ხვარამზაი*. მამაჩემს ქართული სახელი *პაკლეი* ერქვა და თათრული სახელი *ბადალაი* ერქვაო. ბიძაჩემს ქართული სახელი *ალექსო* ერქვა, თათრული სახელი *მურადაი* ერქვაო“ (ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 4002, გვ. 8).

ორსახელიანობის პარალელურად შემდეგ თავს იჩენს ორი გვარიც „თათრული“ და ქართული. „თათრული“ იცვლება მამიშვილობის მიხედვით, ქართული – უცვლელია.

ქიტე ქურდაძე იქცა იბრაგიმად. მას მამის სახელს ვერ შეუცვლიდნენ, ამიტომ მისთვის ახალი მამისსახელობითი გვარის მიცემას აზრი არ ჰქონდა. სამაგიეროდ მისი შვილი ხდებოდა *იბრაგიმ-ოღლი* და მასთან გაწყდებოდა ქართული გვარიანობა. სახელი *ქიტე*, რომელიც *ქრისტესაგან* მოდიოდა, *ქურდაძე*, რომელიც ასევე საკუთარი სახელი *ქურდასაგან* მიღებული იყო, ადგილს უთმობდა იმრაგიმს, ალიას, საფარს და სხვა...

საბჭოთა პერიოდში, როდესაც გადასახადების პრობლემა აღარ იდგა და გამაჰმადიანებას გამოეცალა ეკონომიკური საფუძველი, იქ, სადაც მკაცრი ადმინისტრაციული ზეწოლა არ ხორციელდებოდა, ხდებოდა პირუკუ პროცესი. ერთი პერიოდი შეეცადა მაჰმადიანი ქართველობა, რომ საკუთარ ბუნებრივ გვარს მიბრუნებოდა.

„1921-1926 წლამდე ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები (გამაჰმადიანებული ქართველები) თავის და შვილის გვარს მმაჩში – რეგისტრაციის დროს სწერდნენ ქართული გვარით. მაგალითად: *გვარამაძე, ორჯონიკიძე, ჩხეიძე, ჩაკიძე, ნადირაძე, ლომიძე* და სხვა. ამის შემდეგ კი ქართულ გვარებს აღარ სწერდნენ, ახლა კი შენარჩუნებულია მხოლოდ ქართული სახელების დარქმევა ბავშვებზე: *ნათელა, ციალა, თამარა, ნინა, ვასილი* და სხვა“ (გ. კირვალიძე, გვ. 61)

გამაჰმადიანების პროცესი რომ გვარებს განსაკუთრებით შეეხო, ამის კარგი მაგალითი მოჰყავს 1886 წლის საოჯახო სიებზე დაკვირვებისასა რ. თოფჩიშვილს: *„ზემო ოშორაში,* რომელიც მთლიანად ქართველი მაჰმადიანებით იყო დასახლებული (1886 წელს – მ.ბ.) მკვიდრობდა ასეთი პიროვნება: *„ისმაილ გოგია ოღლი,* იგივე *მირზა ოღლი,* ე.ი. *ისმაილ გოგიას ძე,* იგივე *მირზას ძე.* აქედან ჩანს, რომ ისმაილის მამა ქრისტიანი ყოფილა, მას გოგია რქმევია და გამაჰმადიანების შემდეგ მეორე, მაჰმადიანური სახელი (მირზა) უწოდებიათ. ამავე სოფელში ნახსენებია *„კიულ ახმედ-ოსმან ოღლი,* იგივე *ტატო ოღლი,* ე.ი. კიულის მამას ახმედ-ოსმანს გამაჰმადიანებამდე სხვა სახელი – ტატო უტარებია. სოფელ კლდეში ჩაწერილი იყვნენ *„რაჯაბ ბიძინ ოღლი ტატიძე* და *ხალილ ბიძინ ოღლი ტატიძე“* ე.ი. რაჯებ და ხალილ ტატიძეების მამას ქართული სახელი ბიძინა რქმევია და ის გამაჰმადიანებული არ ყოფილა“. (რ. თოფჩიშვილი, გვ. 157-158)

ამ შემთხვევაში რუსმა მოხელემ, რომელიც აღწერდა მოსახლეობას, თავისდაუნებურად შემოგვინახა მამის სახელები და მეორე, ქართული სახელები ახლად გამაჰმადიანებული კაცისა. რუს მოხელეს არ აინტერესებს გვარი ზემო ოშორელი მაჰმადიანისა, მაშინ, როდესაც კლდეში მცხოვრები ტატიძეების შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის გვარს, რადგან ის „გამაჰმადიანებული არ ყოფილა“.

მთავარი იყო ქართული სახელი, რომლის გვარი არ აინტერესებდა ადმინისტრატორს, რადგან თურქული სისტემა ქართულს არ ემთხვეოდა. შთამომავლობით მიღებული თურქული ერთთაობიანი გვარები უპირისპირდებოდა ქართველობას არა მხოლოდ სარწმუნოებრივად, არამედ ტრადიციულადაც, გვარითაც.

მაჰმადიან მესხთათვის სახელის შეცვლა და შემდეგ გვარის შეცვლა იწვევდა ქართული ცნობიერების რღვევას. ერთი კულტურიდან (გარდა სარწმუნოების შეცვლისა) მეორე კულტურაში გადაბარგებას. გვართა ქართული სტრუქტურიდან აღმოსავლურ ოსმალურ-აზერბაიჯანულ სტრუქტურაზე გადასვლას, რაც რადიკალური სხვაობის წინაშე აყენებდა მესხებს. გვარის შეცვლა ადმინისტრაციული გზით ხდებოდა.

„თაობიდან თაობაზე ერთი და იგივე გვარი კი არ გადადიოდა, არამედ იცვლებოდა მამის სახელების მიხედვით... გვარების ასეთი ცვლა ბევრ სიძნელესა და უხერხულობას ქმნის. ეს დაახლოებით იგივეა, რომ იცოდეთ კაცის სახელი და მამის სახელი, გვარი კი – არა (ზ. ჭუმბურიძე, გვ. 70).

მესხი კი შეჩვეული იყო გვარს, ახალი სისტემა ვერ აკმაყოფილებდა გვარის ქონის მოთხოვნას. ძველი ქართული გვარი აეკრძალა მას, მისი მოხმარების უფლება წაერთვა. გამოსავალი მოიძებნა სხვაგვარად. მაჰმადიანმა მესხებმა ნამდვილი გვარები დაკარგეს, მაგრამ არ დაკარგეს *გვაროვნული სახელები* ანუ *მეტგვარები* და *შტოგვარები*. რადგან ახალი გვარის მიხედვით მთლიანად ირღვეოდა ის ნათესაური პრინციპები და კავშირები, რომელიც გვართან იყო დაკავშირებული.

უნდა შევთანხმდეთ, რომ ადამიანის მარკირების უძველესი ფორმა არის მისი სახელი, მისი უპირველესი საკუთრება. სახელის შერქმევა ბევრად უფრო ბუნებრივად ხდებოდა, რა თქმა უნდა, ბევრად „ეროვნულად“ იმ ენაზე, რომელი ენის წარმომადგენელიც იყო ახალდაბადებული, ვიდრე რელიგიურ-რიტუალური შერქმევა სახელისა. მეორე საფეხური იყო სახელი და მამისსახელი, რომელიც მიუხედავად იმისა, რაიმე ფონეტიკურცვილებაგავლილი იყო თუ არა, ასრულებდა გვარსახელის ფუნქციას, ერთიდაიმავე ფუნქციას ასრულებდა როგორც *გიორგი ბერის ძე*, ისე *გიორგი ბერიძე*. ეს პროცესი ჩვენს სინამდვილესა და ჩვენს მეზობლებში სხვადასხვა სახით განვითარდა და დროის სხვადასხვა მონაკვეთში მოხდა.

გვარის მაგივრობას მამის სახელი თურქულენოვან სამყაროში დიდ ხანს ასრულებდა და ხდებოდა ცვლილება ყოველ თაობაში.

თურქეთში მხოლოდ „ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებში სპეციალური დეკრეტებით შემოღებულ იქნა სტაბულირი გვარები“ (ი. მაისურაძე, გვ. 14)

საერთოდ მუსლიმანურ სამყაროში გვიან ხდება გვარის ჩამოყალიბება. „ირანში... XX საუკუნის 20-იანი წლების რეზა-შაჰის რეფერენდუმამდე გვარი არ არსებობდა“...

ეგვიპტემ მიიღო გვარი 1950 წელს, ტუნისმა – 1959 წელს, „მაგრამ დღემდე იქ გვარი მაინც მყარად ვერ არის დამკვიდრებული“ (გ. ხორნაული, 2003 წ. გვ. 245).

გვარის პრობლემის განხილვისას მნიშვნელობა აქვს ქართულ და სხვა ქვეყნის მცხოვრებთა გვარების შესწავლას.

მართალია განსხვავებული სტრუქტურისა და სემანტიკისა არის აღმოსავლური და ქართული გვარები, მაგრამ ერთი საერთო თვისება მაინც შეინიშნება – მამის სახელისაგან ნაწარმოები გვარები, განსხვავებით ზოგიერთი ევროპული გვარისაგან, აუცილებლად ქართულში *შვილ* ან *ძე* კომპონენტიანია, ხოლო არაბულში არის – *იბნ,* სპარსულში *ზადე,* თათრულ-აზერბაიჯანულში – *ოღლი* (ზ. ჭუმბურიძე, გვ. 71).

ონომასტიკის ერთ-ერთი განშტოება არის ანთროპონიმიკა, რომელიც სწავლობს ადამიანთა გვარებსა და სახელებს. „ანთროპოს“ (ბერძ.) ადამიანი და „ონიმა“ - სახელი. გვარს-სახელებს შეისწავლის ენათმეცნიერება, მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ ლონგვისტური ანალიზის საფუძველზე მივიღოთ სერიოზული შედეგი თუ გათვალისწინებული არ იქნება ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები.

ქართული გვარ-სახელები ძირითადად ინარჩუნებენ ტრადიციულ ხაზს. გვარი დღეისათვის ყველაზე კონსერვატიული ფორმაა ცალკეული ადამიანის სოციალური და ეროვნული განსაზღვრისათვის, ამიტომ მიუხედავად ზოგიერთი მცდელობისა, რომ თანამედროვე სიტუაციის შესაბამისად მოირგონ ადამიანებმა გვარი, ადვილი არ არის ტრადიციული საკუთარი გვარის მოცილება და ახლის დაკანონება. ეს ხშირად სხვა ეროვნების გვართა წარმომადგენლებს ეხება, რომლებიც მართალია აქართულებენ თავიანთ გვარებს, მაგრამ ოჯახისათვის ცნობილია ნამდვილი გვარი. თითოეული გვარის ისტორიის კვლევა მიგვიყვანს მისი მატარებლის წარმომავლობის გარკვევამდე, რადგან გვარში დევს არა მხოლოდ სოციალური კოდი მისი მატარებლისა, საერთოდ პიროვნების დახასიათება იწყება გვარიდან. გვარი კი ძირითადად ადამიანთა სახელიდან მოდის. საქართველოში, როდე-

საც ოფიციალურ ნათლობის სახელზე მიდგებოდა საქმე, ანდა მშობლების მიერ დარქმეულ სახელზე, სხვა ბევრი ქვეყნის მონაცემებისაგან განსხვავებით, დემოკრატიული ფორმა იყო მოძებნილი. სახელებით არ იმიჯნებოდა მაღალი და დაბალი წრე. ყოველ შემთხვევაში აკრძალული არ ყოფილა რომელიმე სახელის ვინმესთვის მიკუთვნება. „მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული (რაც ისტორიული წყაროები მოგვეპოვება) დღემდე, არა ჩანს სახელთა მიკუთვნების რაიმე მკვეთრი გამიჯვნა – მეფეებსა და თავადებს სხვა სახელები, გლეხობას სხვა – რადგან თვით სოციალური მდგომარეობა არ იყო მკვეთრად გამიჯნული. ხშირად მეფეებიც კი უნათლავდნენ შვილებს გლეხებს, რაც ქრისტიანული რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელი იყო. გლეხის შვილებსაც ისევე ხშირად ერქვათ გიორგი, დავითი, სვიმონი, ერეკლე, თეიმურაზი, თამარი, ქეთევანი, მარიამი და სხვა, როგორც მეფეებსა და მეფის ოჯახის წევრებს. პირიქით, რაც უფრო დიდებული სახელოვანი იყო მეფე, ჩანს, უფრო მეტ ხალხს აღუძრავდა სურვილს, შვილი მისი მოსახელე ჰყოლოდათ“ (გ. ხორნაული, გვ. 223-224)

ამიტომაც, რადგან შემდეგ ეს სახელები ედებოდა გვარებს საფუძვლად, ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო თავადიც და გლეხიც.

საქართველოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ბევრ ქვეყანასთან და ხალხებთან ჰქონია ურთიერთობა, ამიტომაც ქართულ ანთროპონიმიკაში გარდა ქართული სახელებისა, გვხვდება ებრაული, ბერძნული, სპარსული, რომაული, თურქული, სომხური, კავკასიური და სხვა სახელები, რომელნიც შემდეგ გვარებს ედებოდათ საფუძვლად, ამიტომ ენების მცოდნე ადამიანი, მეცნიერი, მით უმეტეს, იპოვის მისთვის საინტერესო ხალხის თუ ენის ლექსიკურ მონაცემებს ქართულ ანთროპონომიკაში.

რ. თოფჩიშვილი, რომელიც არაერთგზის შეხებია ამ პრობლემას, წერს: „მრავალ ქართულ გვარს წოდება-თანამდებობისა და პროფესია-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს საფუძვლად. ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინები არაქართული იყო, აღმოსავლელ მეზობელთაგან ჩვენში შე-

მოსულ-დამკვიდრებული... ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ გვართა ფუძეების ტერმინებია შემოსული. გვარსახელები კი უშუალოდ ჩვენს ქართულ სინამდვილეშია წარმოქმნილი... ავიღოთ მხოლოდ რამდენიმე: *ჩოდრიშვილი, ჩუბინიძე (ჩუბინიშვილი), ნალბანდიშვილი, დაბღიშვილი, შათირიშვილი, სადუნაშვილი, სარაჯიშვილი, ყაუხჩიშვილი, ქილარჯიშვილი* და მრავალი სხვა. *„ჩოდრი“* პირუტყვით მოვაჭრეა, *„ჩუბინი“* ნიშანში მსროლელს ნიშნავს, *„ნალბანდი“* ხარ-ცხენის მჭედავია, *„დაბღი“* - ტყავის დამამზადებელია, *„შათირი“* - შიკრიკი ანუ მალემსრბოლია, *„სადუნი“* - სხვადასხვა ენის მცოდნე კაცია, *„სარაჯი“* - უნაგირის მკეთებელია, „ყაუხჩი“ - მექუდეა, „ქილარჯი“ - მეკუჭნავეა (რ. თოფჩიშვილი, 2003, გვ. 5-6).

ამ ტიპის ქართული გვარსახელებიც ბევრია: *მეკოკიშვილი, მენალარიშვილი, მეყანწიშვილი* და სხვა (რ. თოფჩიშვილი, 2003, გვ. 6)

ეს, როდესაც საქმე ეხება წოდება-თანამდებობასა თუ პროფესია-მოსაქმეობის აღმნიშვნელ ტერმინებს, მაგრამ ცალკე შემოსული ლექსიკური ერთეულები ან უცხოური საკუთარი სახელები კიდევ უფრო მეტია, რომელნიც ჯერ საკუთარ სახელად იქცა და შემდეგ – გვარად.

ქართული სახელი და გვარი მუდამ მჭიდრო ურთიერთკავშირში იყო. ანთროპონიმების ოფიციალური და არაოფიციალური მოხმარება განსხვავებულ ფორმებს გვაძ-ლევდა. ვთქვათ *ეკატერინე ბერიძე* უეჭველად ერთად ითქმებოდა და იწერებოდა, ხოლო მხოლოდ სახელი შეიძლება ყოფილიყო *ეკა*, ოღონდ გვარის გარეშე. დღეს განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა. არის ტენდენცია, რომ გვარიც მოიცილონ და დაირქვან ეკა, მაკა, ვაკა და ა.შ. ხშირად შეხვდებით ასეთ ფორმებს თანამედროვე ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრებისას და ოფიციალური მისაღები ოთახის კარის ფირნიშზედაც. ეს არის უკუ პროცესი. ის რაც რუსეთმა გვიან შუა საუკუნეების დროს გაიარა, როდესაც დაბალ ფენას ეკრძალებოდა გვარის და თუნდაც სახელის გარკვეული ფორმის გარეშე ხმარება. საერთოდ კნინობით-დამამცირებელი ფორმები, რომლითაც მდიდარია თანამედროვე ქართული ანთროპო-

ნი-მიკა იფართოებს მოხმარების სფეროს. ეს ხშირად აისახებოდა ისტორიულადაც გვარებში, დღეს ეს, ვფიქრობ, დროებითი მოვლენაა და გარედან არის თავს მოხვეული.

დღევანდელი ვითარება არის გასათვალისწინებელი, რადგან ადამიანის გვარ-სახელთა სისტემა ისტორიულად ქვესისტემებად და სტრუქტურებად იყოფა, რაც განპირობებული იყო მაშინდელი ადმინისტრაციული და გარეშე ფაქტორებით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გვარის სამკომპონენტიანი სისტემიდან გადავედით ორკომპონენტიანზე – გვარზე და სახელზე. ამოვიღეთ მამის სახელი. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დღეისათვის ხშირად გვარსაც უკეთებენ იგნორირებას. ეს კარგად ჩანს ზოგიერთი ხელოვანის მხოლოდ სახელით მოხსენიებაში. ზოგნი კი საერთოდ უარყოფენ გვარს და ფსევდონიმით მოიხსენიებიან. არა მარტო გვარი, ხშირად საკუთარი სახელიც დაიკარგა თავისი აკადემიური ფორმით. ასეთი მდგომარეობა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სახით იჩენდა ხოლმე თავს. მაშინ, როდესაც გვარი მხოლოდ პიროვნების გვარიშვილობას კი არ ასახავდა, არამედ თანამდებობას, წოდებას, მემამულეობას, პატრონობას, ბუნებრივია, განსაკუთრებული აქცენტი სწორედ ასეთ გვარებზე იყო გადატანილი. რადგან მემკვიდრეობით გადაეცემოდა მამიდან შვილზე ქონება, მამის სახელობა და გვარი აუცილებელიც იყო და სასურველიც. „გვარი საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. აქ საუბარია როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა სფეროში“ (რ. თოფჩიშვილი, 2005 გვ. 275).

მაინც რა არის სახელი და გვარი? ადამიანის საკუთარი სახელი, ანთროპონიმი, სხვა არაფერია თუ არა ლექსიკოლოგიის ერთი ნაწილი. „გრამატიკულად, სტრუქტურითა და წინადადებაში მოხმარებით, იგი არსებითი სახელია, ოღონდ ისეთი სახელი, რომელსაც ამ თანრიგის სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით არ ძალუძს მრავლობითი რიცხვის წარმოება“

(ალ. ღლონტი, 1986, გვ. 7) სახელები კი იყოფა ორ ჯგუფად საკუთარ და საზოგადო სახელებად (ა. მინაძე)

მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. მაგ. სემანტიკურად შეიძლება იყვნენ ისინი ქართული – *გელა, მზია, ნათელა* და ა.შ. და სხვა ენოვანი: *ქავთარ, გიორგი, მურთაზ, მურად*. ისევე, როგორც არ შეიძლება ქართული ენიდან მოიკვეთოს შემოსული სიტყვები: ფანჯარა, უნივერსიტეტი, ლომი და სხვა, შეუძლებელია არ განვიხილოთ ქართულ ანთროპონიმიაში შემოსული საკუთარი სახელები. ისინი ქმნიან ქართული ენის ლექსიკურ ფონდს.

ადამიანს საკუთარი სახელი ერქმევა იმისათვის, რომ ის როგორც ინდივიდი დაფიქსირდეს საზოგადოებაში და იყოს ამ საზოგადოების იურიდიული და სოციალური ღირებულების მქონე პირი.

საკუთარ სახელთა დარქმევა ადრეც და დღესაც განსაზღვრული იყო ტრადიციით (საეკლესიო ან წარმართული) და გემოვნებით.

საკუთარი სახელი არჩევითია, ოღონდ ირჩევენ მშობლები ან ბავშვებთან დაახლოებული სხვა ადამიანები, გვარი არჩევითი არ არის.

ადამიანის საკუთარი სახელი ძირითადად უპირისპირდება საზოგადოს იმით, რომ არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი. ანთროპონიმი ამ შეზღუდვიდანაც თავისუფალია. ორკომპონენტიანი სახელი არის სახელი და გვარის მიხედვით მითითება ადამიანზე. სახელი და გვარი ერთად გადადის საკუთარი სახელის რიგში და მას მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია. გვარი ცალკე იმდენად არის ანთროპონიმი, რამდენადაც საზოგადო სახელი, ხოლო საკუთარი სახელი და გვარი ერთად ანთროპონიმია.

ქართული გვარები თავისი სტრუქტურის მიხედვით არაფრით განსხვავდება ლექსიკის დონისაგან. ცნობილია მაწარმოებლებიც (-ძე, შვილი, -ია, ავა, იან – ყვა, სკირი, -ელ, ან, სულ 13 (პ. ცხადაია)

ვთქვათ, არ ჰქონოდა ქართულ ენას ის საშუალებანი, რომელიც აფიქსებით არის შესაძლებელი. რა მოხდებოდა, გვექნებოდა თუ არა გვარი? რა თქმა უნდა, გვექნებოდა,

რადგან შეუძლებელია, სხვაგვარად ადამიანი იურიდიული და სოციალური ღირებულებების ობიექტად აქციო. ასევე იქნებოდა შთამომავლობითი მიმართებების გარკვეული ფორმით გამოხატვა. ვთქვათ, ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე სახელი, მამის სახელი, წარმოშობის ადგილი და ა.შ. არ დაიკარგებოდა ის გენეტიური კავშირები, რომელიც არსებობს ადამიანებს შორის. მასაც მოეძებნებოდა საშუალებანი, რადგან ქართულ ენას აქვს დიდი შესაძლებლობანი აფიქსების საშუალებით შექმნას საკუთარი სახელი, ამიტომაც ბევრი რამ ქართულ ანთროპონომიაში იქცა სადაოდ. გვართა უაფიქსო წარმოებას თავისი ახსნა აქვს, თუმცა ისიც არ სცილდება ენათმეცნიერების სფეროს.

ენათმეცნიერთა შორის დამდგარა საკითხი, არის თუ არა ესა თუ ის ფორმა გვარი, ვთქვათ, ფორმა *ბერის ძე* ასახავს გარკვეულ საფეხურს, როდესაც შენარჩუნებულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სრულად, ამიტომ ფიქრობენ, რომ ის არ არის გვარი, ხოლო *ბერიძე*, სადაც დაკარგულია ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი, უკვე გვარია.

მაგალითად: *ბერისძე დაუთა* – „მოწმე ფარსადან ჯავახიშვილის მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა 1607 წ. ცხოვრობდა მე-17 საუკუნის დდასაწყისში და რადგან ბრუნვის ნიშნისეული –ს შენარჩუნებულია, უგვაროა, მამისახელობით მოიხსენება და *ბერიძე დემეტრე* – „მოწმე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა“ (1484-1510 წწ.) (პირთა ანოტირებული ლექსი-კონი, გვ. 525) მე-16 საუკუნის დასაწყისში გვარით მოიხსე-ნიება?

რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე სტატუსით იხმარება ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები. ისინი გვარებია. მით უმეტეს, რომ სანიანი ფორმა მთელი საუკუნის შემდეგ იხმარება ვიდრე სანდავარგული.

რ. თოფჩიშვილის მიხედვით გვარის გვარობის უპირველესი ნიშანი არის *ეგზოგამია* მთელი არსებობის მანძილზე გვარი თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურებს გადის. „ეგზოგამიურობის შენარჩუნება იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში მოხდა ტრადიციული გადას-ვლა გვაროვნული

გვარისა (род) გვიანდელ გვარში (поздний род) და გვიანდელი გვარისა – გვარსახელში“ (რ. თოფჩი-შვილი, 2005, გვ. 274).

ეგზოგამიურობის თვალსაზრისით, ქართულ გვარს ერთგვარი ზერელიგიური ფუნქცია აქვს. კერძოდ, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის ქორწინება ბარიერის გარეშე ხდება თუ რომელიმე მათგანი მიიღებს მეწყვილის რელიგიას. ამის ფაქტები დღესაც და ისტორიულადაც ცნობილია, მაგრამ ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელს შორის ქორწინება გამორიცხულია რწმენის შეცვლის შემთხვევაშიც კი.

ანომალიები და ზოგიერთი გვარის შეგნით არსებული დაშვებები ცალკე ასახსნელია და ზოგად სურათს ვერ ცვლის.

გვარმა გაიფართოვა არეალი, იგი მხოლოდ სანათესაო, საოჯახო მემკვიდრეობითი სახელწოდება როდია. შეიძლე-ბა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოუკიდებლად შეიქმნას ესა თუ ის გვარი. მაგალითად: 24 797 ბერიძე აღრიცხული *ა. სილაგაძისა* და *ა. თოთაძის* წიგნში („გვარსახელები საქართველოში“, გვ. 42), რაც მიუთითებს იმაზე, რომ სხვადასხვა კუთხეში დამოუკიდებლად შეიძლება შექმნილიყო ეს გვარი და მხოლოდ ერთი ძირიდან არ მომდინარეობდეს. ასე არ ფიქრობს გვარზე ორიენტირებული და გვარის წმინდათაწმინდა, ხელშეუხებელ ძირებზე დაფიქრებული ხალხის ფსიქოლოგია. 1939 წელს ი. მაისურაძე მივლინებით იყო სამცხე-ჯავახეთის სოფლებში. გვარებს, ტოპონიმებს და ეთნოგრაფიულ მასალას იწერდა. იგი სოფელ *ერკოტის* შესახებ ამბობს, რომ ცხოვრობენ შემდეგი გვარები: *ბერიძე, ხატიძე, ტივაძე, ხმალაძე, ცალქალამანიძე, ინასარიძე.* მათთან ერთად 5 კომლი მაჰმადიანიც ცხოვრობს, მაგრამ მათ თავიანთი ქართული გვარები არ იციან. ინფორმატორისაგან ი. მაისურაძე გე-ბულობს, რომ ბერიძე ამ სოფელში (ეს სოფელი დღეს ნასოფლარად არის შემორჩენილი) ყველაზე ძველი გვარია, არც ერთი გვარის ისტორიას ან გადმოცემას არ ჰყვებიან. ბერიძეთა შესახებ კი იტყვიან, რომ ისინი მოსულები არიან ზარზმიდან.

„რაღაც ჭირს უამიანობას ხალხი გაუწყვეტია და მერე ზარზმის ბერებისათვის დაუვალებიათ, რო თქვენი ბერობა აღარ შეიძლება, უნდა მომრავლდეთო. სამი ძმა ყოფილა, ერთი აქ მოსულა, ერთი გურიაში წასულაო და ერთიც აჭარაში“. (ი. მაისურაძე, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 100, გვ. 145).

ასე მომრავლებულან ზარზმიდან მთელ საქართველოში ბერიძეები, რომლებიც მუსლიმებიც საკმაოდ იყვნენ სამცხე-ჯავახეთში.

მაჰმადიანი ბერიძეები ცხოვრობდნენ *შალოშეთში, ფერსაში, კალეში, უდეში, მუგარეთში* და სხვაგან. ამ უკანასკნელ სოფელს ბერიძეთა ოჯახი, რომელმაც გვარი არ შეიცვალა დიდი ზეწოლის მიუხედავად, დაუბრუნდა და დღესაც ცხოვრობს.

რ. თოფჩიშვილის მიხედვით „გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაო-ბის განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას“ (რ. თოფჩიშვილი, 2005, გვ. 275).

ზემოთ მოცემული ბერიძეთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ მართლაც მემკვიდრეობითობა აუცილებელი და უპირობო ნიშანია გვარისა, მაგრამ გარკვეული კითხვის ნიშანი ჩნდება. მემკვიდრეობითობა ანუ ნათესაური კავშირი მხოლოდ გვარით არ გამოიხატება. არსებობს სანათესაო ხსოვნა, რომელიც გადასწვდება თაობებს. სამს და შეიძლება მეტსაც. ამის კარგი მაგალითია გვარის ხაზი ერთი მხრივ და ქალის ხაზი მეორე მხრივ, რომელიც მართალია, გვარის გამგრძელებელი არ არის, მაგრამ ნათესაობას აგრძელებს, ამიტომ გარკვეული შეზღუდვები მასაც აქვს. თუ შვიდ თაობას არა ცოტა ნაკლებს ისიც სწვდება. ამიტომაც არის, რომ დეიდაშვილობა, მამიდაშვილობა ბიძაშვილობის პარალელური ხაზია და თანაბარი ძალისა არის ნათესაობის მხრივ.

ვთქვათ, იყო *გრიგორიანთა* სანათესაო, რომელმაც შეიცვალა გვარი და *გრიგორაშვილები* გახდნენ. მთელმა სანათესაომ შეიცვალა გვარი, ე.ი. სისხლით ნათესაობა, რომელიც სხვაენობრივი სტრუქტურით შეიცვალა, დარჩა, მაგრამ ამ შემთხვევაში რომ ვთქვათ, ვიდრე სამი თაობა არ გავა *გრი-*

*გორაშვილი* გვარი არ არისო, შეიძლება არ იყოს სწორი, რადგან მაშინ რა არის თუ არა გვარი ახლად მიღებული გვარსახელი?

ასევე შეიძლება დაისვას კითხვა, სამთაობაგადასული გვარსახელი პირველი თაობისათვის რა იყო თუ არა გვარი თუ ასრულებდა ის თავის სოციალურ და იურიდიულ ფუნქციას?

დაახლოებით ამავე კითხვას სვამს *პ. ცხადაია,* როდესაც ფსევდონიმ ენგურელზე წერს, ოღონდ ამ შემთხვევაში ერთ თაობაშივე შეწყდა ფსევდონიმის გვარობა, რადგან გამგრძელებელი ვაჟის ხაზით არ აღმოჩნდა. პ. ცხადაიას აზრით „უნდა ჩაითვალოს" გვარსახელად ეს შემთხვევა.

გვარსახელი პირობითობისაგან არ იყო დაზღვეული, ახასიათებდა დიდი სიჭრელე ფეოდალურ საზოგადოებაში. „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" გამომცემლებმა ზღვა მასალა დაამიშავეს წლების განმავლობაში, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისტორიული მონაცემები გვარსახელის ხანგრძლივობის გასაზღვრისას. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ისტორიული გვარსახელის სიცოცხლის ხანგრძლივობა იზომება ხშირად ერთი თაობით. ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს პატრონიმული მოდელის გვარ-სახელებში. მრავალი მაგალითი მოიპოვება იმის საილუსტრაციოდ, რომ მამა და შვილი სხვადასხვა გვარსახელით აღინიშნება (მაგ.: რომელიმე *გაბრიელა ბეთიშვილის* შვილის *გაბონას,* გვარსახელია *გაბრიელაშვილი*). პატრონიმული გვარსახელის არასტაბილურობა, საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალური ეპოქისათვის" (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, გვ. 7).

მართალია, მოხმობილი აზრი და ადგილი შემდეგში სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა (გ. ხორნელი, 2003, გვ. 247) მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ფეოდალური ეპოქის დროს გვარსახელის მოხმარების სიხშირის ნაკლებობის გამო იყო მისი არასტაბილურობაც გამოწვეული, ნებისმიერი დაფიქსირების დროს მამის სახელი იყო თუ წარმომავლობის სახელი ან სხვა რომელიმე მოდელი, ასრულებდა გვარის

ფუნქციას. ხდებოდა ადამიანის იურიდიული და სოციალური დახასიათება.

მაჰმადიანთა გვარები აგრძელებს ქართული გვარის ტრადიციას, რომლის მიხედვით ძირითად გვარს გამოეყოფა განაყოფი, რომელიც გააგრძელებს იმავე გვარს ან განაყოფის დიდი მამის სახელის მიხედვით ხდება ახალი გვარის შექმნა.

1897 წელს ასეთი სურათია სოფ. ვალეში: „ცხოვრობს 140 მოსახლე; არიან მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანი მესხები; სულ 1500 სულამდის იქნებიან. აქვთ თლილი ქვითკირის ეკლესიები და ჯამე (საკრებულო); ხალხი მეტად გამრჯე, მუშა, ხელგამავალი არის, ზამთარ-ზაფხულ, კაცით-ქალამდის, მშვიდობიანი, კაცთმოყვარე და კარგი ყოფაქცევისა. იშვიათად მოხდება ამათში ავკაცობა; გარეშე ავაზაკი აქ ვერ ნავარდობს ვერასოდეს, მიტომ რომ გარშემო ვრცელი ვაკეები აქვს, ერთმანეთიც ძმურათ უჭირავთ, რადგან ერთი ტომი, ერთი ხორც-სისხლი არიან; *მაჰმადიანები მთლათ მართლმადიდებლების და უმრავლესნი კათოლიკეების განაყოფები არიან*“ (ს.ჯ.ი.მ. სტამბოლის ფონდი, „კრებული“ გვ. 6).

განაყოფები ერთად ცხოვრობენ, ამიტომ მათ ერთნაირი გვარებიც აქვთ. სამწუხაროდ სტატიის ავტორი ცალკე არ გამოჰყოფს მაჰმადიანთა გვარებს, მხოლოდ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა გვარებით შემოიფარგლება, თუმცა იქვე, ერთ შემთხვევაში მიუთითებს, რომ ისევე იწოდებიან მაჰმადიანები, როგორც ქრისტიანები:

მართლმადიდებელთა გვარები: *„ბებნაძეები, გიორგაძეები, ჩიტაძეები, როსტიათობა, ნადირაძეები, გეგიძეები (ჩოტუათი);* ესენი *ჩორდუნელების* მოგვარე ყოფილან; ამათი განაყოფი მაჰმადიანებიც არიან *შედუმაანთ* წოდებულნი. კათოლიკეები არიან: *გოზალათი (კოჭიბროლოშვილები), მელანაშვილები, ჩიტოშვილები, ხითარიშვილები, კაკაჩიშვილები, ჯანაშვილები, ნასყიდაშვილები, თელიაშვილები, ათუნაშვილები, კოპაძეები, გიგოლაშვილები, აღლემაშვილები, არსენიშვილები, ფეიქრიშვილები* და სხვა (ს.ჯ.ი.მ. სტამბოლის ფონდი „კრებული“ გვ. 6).

თითოეულ ჩამოთვლილ გვართაგანი შეიძლება ჰქონდეთ მაჰმადიანებს და მართლაც სხვა სოფლებში დასტურდება ამ გვარის მაჰმადიანი მოსახლეობა. რაც შეეხება *გეგიძეებს,* რომელთაც აქვთ განაყოფთა გვარი *ჩოტუათი,* ე.ი. გეგიძეები ზოგადად ჩოტუათებად იწოდებიან, ხოლო მათი შემდეგი განაყარი, „მოგვარე“ არის *ჩორდუნელი* ქრისტიანებში, ხოლო მაჰმადიანებში შედუმაანი ან *შედუმათები.* სქემატურად ეს პროცესი შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

*შედუმაანი (შედუმათი) გეგიძეა,* ოღონდ მისი შთამომავალი შეიძლება გახდეს *შედუმაშვილი* ან *შედუმაძე* არა იმიტომ, რომ მათ მაჰმადიანობა მიიღეს, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ჩვეულებრივი ქართული გვარის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიქმნას ახალი გვარიც და შეიძლება გაგრძელდეს ძველი, ადმინისტრაციული ჩარევით უფრო მოსალოდნელია მისი *შედუმოღლად* ქცევა, ხოლო საგვარეულო სახელი *შედუმათი* იქცევა *შედუმაგილად.*

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში საინტერესო სურათია სოფ. ტობაში. აქ ორი ქართული გვარია: *სუდაძე და ასპანიძე,* ხოლო „თათრებსაც აქვთ ქართული ორი გვარი: *ვარსკნელიძე და თამარაძე.* ეს თათრები აქ ამ ორი გვარისაგან მოშენებულან“ (ვ. სუდაძე, ს.ჯ.ი.მ. ხელნაწერი № 104, გვ. 11). ქართული გვარები დაუკარგავთ ‘მოშენებულ“ მაჰმადიანებს (22 კომლი მაჰმადიანი და 23 კომლი მართლმადიდებელი ცხოვრობდა ამ სოფელში), მიულიათ მამის სახელისაგან ისეთი გვარები, რომლებიც – ოღლი დაბოლოებით არის გაფორმებული.

ვ. სუდაძე საუბრობს ვაზის შესახებ, რომელსაც ახარე-ბენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც, ოღონდ ვენახი აღარა აქვთ, მხოლოდ მაღლარი შემორჩენიათ: „სოფელშიც აქვთ ვაზის ძირები: *კოლა სუდაძეს, მათე სუდაძეს, ბაშათ თეიფურ ოგლს, ისკანდერ ჰამიდ ოგლს, ფეზო მაჰმუდ ოგლს.* ამ ხალხს ბაღებში აქვთ ორიდან ხუთ ძირამდის, ხეებზე შემოხვეული“ (ვ. სუდაძე, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი № 104, გვ. 10).

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ქართველთა ისტორიული გვარის შენარჩუნებას მაჰმადიანებში. ეს არის ძველი, მეფის რუსეთის დროინ-დელი

მიდგომა საკითხისა. სარწმუნოება არა გაქვს მართლმადიდებლური, არა ხარ ქართველი. ყველამ კარგად იცოდა, რომ, თუ გვარს არ შეუცვლიდნენ მაჰმადიანებს, მათი „თათრობა“ შეუძლებელი თუ არა, საეჭვო მაინც იქნებოდა. ბევრმა ოჯახმა კი თავიანთი ქართული გვარი კარგად იცოდა, მაგრამ მას ოფიციალურად ვერ მოიხმარდა.

მაჰმადიან მესხთა ანთროპონიმია და იმ სოფელთა ტოპონიმია, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ქართულია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ სოფელთა და გვართა შესახებ მონაცემებს, რომლებიც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, ან მოპოვებულია ინფორმატორთაგან ჩვენ მიერ.

## აბასთუმანი

*აბასთუმანი* ორია დღეს – სოფელი და დაბა, რომელსაც ქალაქს უწოდებენ ზოგჯერ. ისტორიულად დაბა აბასთუმანი მართლაც ქალაქი ყოფილა და მას საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა დროს ერქვა *ოძრხე* და *ოცხე*. ეს ორი სახელი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული (ს. ჯიქია, 1958, გვ. 163). მისი ქალაქობის მიმნიშნებელია ციხე შესასვლელში და ოცხის ციხის რაბათი, რომელიც ისტორიუ-ლად ამ ციხის გარშემო დასახლებას ერქვა (ს. ჯიქია, 1958, გვ.104).

აბასთუმანი ცნობილი კურორტია და სახელიც შედარებით გვიან არის შერქმეული. „სამცხის თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ“ ოცხეს „სამკურნალო თვისებების მქონე წყლის არსებობასთან დაკავშირებით დაარსებულ იქნა კურორტი. კურორტის აღმომჩენებმა ამ ადგილს დაარქვეს მახლობლად მდებარე სოფელ „აბასთუმნის“ სახელი (ს. ჯიქია, 1958, გვ. 167), *უბნის* დამახინჯებული ფორმაა – *უმანი,* რის შედეგადაც მივიღეთ აბასთუმანი. სოფლისა და დაბის სიახლოვე, აგრეთვე ორი ნაციხარის სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ოცხის უბანი უნდა ყოფილიყო *აბასთუმანი* (←აბასაანთ უბანი), ისევე, როგორც

იყო *კურდღელაანთ უბანი* (→კურდღელათუბანი) (ს. ჯიქია, 1958, გვ. 166).

მე-19 – მე-20 საუკუნეებში, რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგვეჩვენოს, გაძლიერდა თურქული ლექსიკა სოფელ აბას-თუმნის ტოპონიმიაში და ქართული – უბან სიტყვა შეცვალა ბევრგან თურქულმა სიტყვამ – მაილა (mahale)

ასე მივიღეთ სოფ. აბასთუმნის უბნები: ყურაძემაილა, რომელსაც პარალელურ ფორმად ჰქონდა *ყურამაილა.* თუმცა, პარალელურად იხმარებოდა *ყურაანთ უბანი* ისევე, როგორც, იყო *დიდებულიძიანთ უბანი, ყიფოშაილა, ყიფოონთ უბანი,* სადაც *ყიფოძეები* ცხოვრობდნენ; *კახიმაილა, კახიანთ უბანი* კახიძეებისა იყო. ამ უბნებში ერთი გვარის ხალხი ანუ *განაყოფები* ცხოვრობდნენ.

როდესაც ადგილის გამოხატვა უნდოდათ ქართულ უბანს ან თურქულ მაილას უმატებდნენ, მაგრამ, როდესაც ამ უბანში მცხოვრები მოსახლეობის მითითება სურდათ, მაშინ ითქმოდა წარმოქმნილი საგვარეულო ქართული სახელის მაწარმოებელი – იანი, ან თურქული – *გილ,* რაც თურქულად ნიშნავს „მოდგმას.“ უბანში მცხოვრები მოსახლეობის აღმნიშვნელი ასეთი ტერმინით წარმოება პირდაპირ კალკი იყო ქართულისა. კერძოდ, მაგალითად, *ყურა* იყო საკუთარი სახელი, რომელიც საფუძვლად დაედო გვარს – *ყურაძე* ან *ყურაშვილი.* ყურაძეების წარმომადგენელი იყო *ყურა-გილ,* ხოლო უბანში მცხოვრები ყურაძეები იქცნენ ყურა-გილლარად, რაც პირდაპირ ნიშნავს: ყურაანები (ყურა-ან-ნ-ი ძველი ფორმით).

დაბა აბასთუმნამდე არის სოფელი აბასთუმანი. სოფელსა და დაბას შორის არის სოფელი *სალრძე,* რომელსაც ერთი ხევი ჰყოფს სოფ. აბასთუმნისაგან.

სოფელ აბასთუმნის ძველი სახელები, რომლებიც დაკარგული იყო დღევანდელი მოსახლეობისათვის, აღვადგინეთ *ოსმან ყურაშვილის* საშუალებით.

ქართულის გარდა უკვე თარგნმილია ზოგიერთი სახელი თურქულად.

სოფლის აღმოსავლეთით მთებს *გურგანა* ჰქვია, იქვეა ყანა, ხევი *ნაურდე//ნაურდი. ხონეკი* (ხევი, ყანები), საღრძის

მხარეს – *ჭიბელი* (უბანი), *ბარათბევი, ფიცარა,* ყანა სოფლის წინ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, *კუხმელი* (ყანა), იქვე, *ბრეკი* (ყანა), სოფ. ნაქურდევის საზღვართან, რომელიც „*ფოტორა*“ არისო, განმარტა ინფორმატორმა, არის *არგანა* (ტყე), სოფლის დასავლეთით.

შერეული ქართულ თურქული სახელია *პატარა ქვი* (პატარა სოფელი), ნასოფლარი. *მთის თავი* ქცეულა *ყია ბაშად* (შდრ. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ „თავი შეშათაც“). დაბა აბასთუმნის შესასვლელთან ყოფილა *სარკეს ბაბჩა.*

სოფლის პირდაპირ ციხეს *ყალა* ეწოდა უკვე *ციხის* ნაცვლად. ქ. აბასთუმანსა და სალრძეს შორის გამოქვაბულს *მალარა* ჰქვია და ა.შ.

სოფ. აბასთუმანში მე-19 – მე-20 საუკუნეებში კლარა ბარათაშვილს დადასტურებული აქვს შემდეგი გვარები: *ლორთქიფანიძე, ჭალიძე, დედობილაშვილი, კაბაშვილი, კათალაშვილი, კვერცხიჭამიაშვილი, კრუხიაშვილი, ულარჯიშვილი, მესხიძე, დიდებული, აბულაძე, აბდიძე, ყურაძე, ქოქროშვილი* (კ. ბარათაშვილი, 1997, გვ. 23), რომელთაც ჩვენ დავუმატეთ სოფ. აბასთუმანში 1919 წელს დაბადებული, დღეს დაბრუნებული ყურაძე – მეჰრიევი ოსმან მეჰრიასძის მიერ მოწოდებული სხვა გვარებიც: *ფუშოძე,* რომელიც გვხვდება *ფუშოგილლარ* განაყოფთა აღმნიშვნელი ტერმინით. კ. ბარათაშვილის მიერ დამოწმებული *დიდებული* უნდა იყოს *დიდებულიძე.* როგორც ინფორმატორმა გვითხრა, აქაური იყო ცნობილი იუსუფ *დიდებულიძე-სარვაროვი. ყიფოძე* (ყიფოგილ). მანვე დაგვიდასტურა *კოკროგილ* (კოკროძე), რომელიც კ. ბარათაშვილის მიერ მითითებული *ქოქროშვილი* უნდა იყოს. *კაბაშვილის* პარალელურად დავადასტურეთ *კახიძე* (კახიგილარ). *კატალიძე* (კატალიგილარ). *სომხიძეები* ან *სომხიშვილი.* არის განაყოფები, რომელთა ქართული გვარები აღარ ახსოვთ: *მინალალა-გილარ, ყალაალაგილარ* და სხვა. ალბათ მომავალში მოიძებნება მათი ქართული ძირებიც.

მე-16 საუკუნეში უკვე შემოსულია თურქული სიტყვები მესხურ დიალექტში, ამიტომ ხშირად მოდაში შემოსულ არა-

ქრისტიანულ სახელებსაც არქმევენ შვილებს. მაგალითად *დოვლათა* დაურქმევია ისეთი ქართული სახელის მქონე მამას, როგორიცაა, *მამისა,* ან *ზურაბს* დაურქმევია შვილისათვის *სულთანი, კაკას* ჰყავს შვილი *სალუყაზან.*

დასახელებულთა გარდა ჩამოვთვალი იმ ოჯახის უფროსებს, რომლებიც მე-16 საუკუნეში ცხოვრობდნენ სოფელ აბასთუმანში და რომლებიც ოსმალო მოხელემ აღწერა: *იასონ ასვატურის ძე, გარსევან, მახარებელ ყურაბელის ძე, მაზანა, ზესელა, მატარა, ყუზან, ბადუჩას შვილიშვილი, ილალა, ნავსაძარ, მახარებელ, ნიკოლოზ ივანეს ძე, მარგველ მერაბის ძე, გოგიჩა* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 123)

იმ დროს გლეხებში ჩამოყალიბებული არ იყო გვარის ის სტრუქტურა, რომელიც შემდეგ შეიქმნა, ან ოსმალოსთვის გაუგებარი იყო ქართული ფორმა გვარის წარმოებისა და კომლის მეთაურის მინიშნების თავისებურ ხერხებს იყენებს.

ბოლოს უნდა აღინიშნის, რომ დღეს სოფ. აბასთუმანში დაბრუნებულ ორ გვარს *ყურაძესა* და *ლორთქიფანიძეს* მოგვარეები მთელ საქართველოში ჰყავთ.

ადამიანის საკუთარი სახელიდან ყურ-ა ბევრი ქართული გვარია მიღებული: *ყურავა, ყურაული, ყურაშვილი, ყურაძე, ყურუა* და სხვ. ეს გვარები გავრცელებულია მთელ საქართველოში. სოფ. აბასთუმანში გავრცელებული გვარი ყურაძე, რომელმაც მოგვცა განაყოფთა სახელი *ყურათ-ალა-გილარ* მიღებულია შემდეგნაირად: *ყურაანთ ალა → ყურათ ალა → ყურათ ალა გილ.* ეს წარმოება მთლიანად იმეორებს მესხეთში გავრცელებულ საგვარეულო სახელთა ფორმას. მათი საბჭოთა გვარი მეხრიევი მოდის პაპის *მეჰრის* სახელისაგან.

1967 წელს არის დაბადებული (ყურაძე) მეხრიევი ალი ოსმანის ძე. მისი მამა *აბასთუმნიდან* გაასახლეს *ფერგანაში,* შემდეგ *ტაშკენტში.* ცხოვრობდნენ აგრეთვე აზერბაიჯანში საათლის რაიონის სოფ. *ადიგენში.*

საქართველოში ჩამოვიდნენ გალის რაიონში 1969-70 წლებში, საიდანაც კვლავ აზერბაიჯანში დაბრუნდნენ, შემდეგ ყირგიზეთში. 1985 წელს ოზურგეთის რაიონის სოფ. *ნარუჯაში* ჩავიდნენ. იქიდანვე წავიდა ჯარში 1985 წელს. 1992 წელს იბრძოდა აფხაზეთში, ჩავარდა ტყვედ. 1992 წელს

წავიდა რუსეთში, სადაც ცხოვრობდა 2000 წლამდე. 2000 წლიდან ცხოვრობს სოფ. აბასთუმანში.

რაც შეეხება *ლორთქიფანიძეს.* ეს გვარი გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ საქართველოში ხელვაჩაურში, ბათუმში და თბილისში (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1977, გვ. 126). ლორთქიფანიძის საბჭოთა გვარი სოფ. აბასთუმანში არის *ბასატოვი,* რომელიც 1930-იან წლებში მისცეს მათ ოჯახს. ბასატოვ იუსუფ ბასატის ძეს დედა *ყოფიანი* ჰყავდა. ასევე ერთ-ერთი გავრცელებული გვარი მთელ საქართველოში. იუსუფ ბასატოვი ასევე ბასატის ძეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი საბჭოთა გვარი მამას არ სცილდება და სათავეს მამისგან იღებს.

## ბოგა

მესხეთის ბევრი სოფლის ხალხური ისტორია იწყება მოსახლეობის მოსვლით. შიდამოძრაობები ბუნებრივია ფეოდალურ ეპოქაში. ახალი დასახლების გაჩენა ან ნასოფლარის აღდგენა სხვადასხვა მოვლენასთან იყო დაკავშირებული. ეს იქნებოდა ომები, მაგალითად, ახალციხის აღების შემდეგ (1828 წ.) რაბათიდან მოსახლეობა გაფანტულა სოფლებში. ასევე ხშირი იყო შიდა კონფლიქტები. ვთქვათ, შემოაკვდებოდათ ვინმე, ან ბატონთან მოუხდებოდათ უთანხმოება, სტოვებდნენ საცხოვრებელს და გადაიხვეწებოდნენ ახალ ადგილებში. მიწის სიმცირეს და სიმწირესაც ჰქონდა მნიშვნელობა. მოსახლეობა ეძებდა უკეთეს მიწას და წყლიან ადგილებს, რაც აგრეთვე იწვევდა შიდა გადასახლებებს. ამის კარგი მაგალითია სოფ. *ბოგის* შესახებ ჩაწერილი მასალა 1940 წელს.

„ჩვენი სოფელი უწინ ყოფილა ტყე. აქ მოსულან ერთ დროს მონადირენი, უნახიათ წყარო და ვაკე ადგილი, მოსწონე-ბიათ.... ეს მონადირენი ყოფილან სოფ. *დოვლეთის* მცხოვრებნი (*დოვლეთის* ნასოფლარი ეხლაც არსებობს *ჭუმის ეკლესიის* მახლობლად)... ესენი, როგორც გამიგონია, *სარალიძეები* ყოფილან.... ამათ გარდა აქ დასახლებულან სოფ. *ხომიდანაც.* ეხლა სოფ. *ხომი* აღარ არსებობს. ესენი

გადმოსულან შიშისა და თავდასხმის გამო. *ხომიდან* მოსულები იყვნენ *ზაუტაძეები...* გარდა ამისა მოსული არიან ახალციხის რაბათიდან. ეს ყოფილა რუსების მიერ ახალციხის აღების შემდეგ. ესენი ყოფილან *მეწყარიძეები.* ეს კაცი, როგორც ვიცით, ყოფილა ხელოსანი, წყლის მიღების გამყვანი *ჭვინტის ტყიდან რაბათში...*

ამ სოფელში სხვა არავინ არ გადმოსახლებულან, ხოლო ნიკოლოზის დროს 50-60 წლის წინ, აქედან ოსმალეთში გადასახლდა 4 კომლი“ (ი. პაპისიმედოვი, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1082, გვ. 27-30)

ზემოთ ჩამოთვლილ სამ გვარს დაემატება მეოთხე – *ცეკვიაშვილი (ცეკვიაგილ),* რომელიც არის ინფორმატორის შაქირ საფარ-ოღლის გვარი.

ყველაზე მძიმე იყო გადასახლებანი სხვა ქვეყნის ტერიტო-რიაზე. თუ შიდა გადასახლებანი არ ცვლიდა ადამიანის ეროვნულ სახეს და მხოლოდ გვარს შეიძლება შეხებოდა, ტოპონიმიდან მომდინარე გვარი შეიძლება შექმნილიყო (*ასპინძელაშვილი, მურჯიკნელი...*). სხვა ქვეყანაში გასახლება ხშირად ეროვნების დაკარგვით მთავრდებოდა. „მასობრივი მეოტობა, როგორც ცნობილია, საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიული სამთავროს დიდი მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) ტერიტორიიდან ხდებოდა. მიგრაციის პროცესი დაიწყო XVI საუკუნეში, როდესაც ეს მხარე თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს“ (ი. მაისურაძე, 1979, გვ.31).

ალბათ ამ გადასახლების შესახებ წერეს *ალ. ფრონელი:* როდესაც ბორჯომის სადგურზე შეხვდება თურქეთისაკენ აბარგებულებს მე-20 საუკუნის დასაწყისში: „სადგური სავსე იყო ქართველი მაჰმადიანებით, ღამის პირველი საათი იქნებოდა, ბავშვები და დედაკაცნი ჭერეხებივით ეყარნენ ცივ იატაკზე. მამაკაცთ არ ეძინათ, ხოლო ორიოდე დედაკაცი აქაიქ წამოყუნტულიყო და ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ, თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჩადრებს იფარებდნენ, რომ უცხოთა თვალთაგან დაემალათ პირსახე. კარგა ხანს ვუყურე ამ სევდისა და დარდის ამშლელ სურათს“ (ა. ფრონელი, 1991, გვ. 53).

სოფ. *ბოგის* მოსახლეობა მხოლოდ ქართულად მეტყველებს. ამასთანავე ისინი არიან კარგი ინფორმატორები. მშვენიერი ლეგენდებისა და გადმოცემების მცოდნენი. ერთი მათგანი, მაგალითად, *ყოჩი სულეიმან-ოღლი ზაუტაძე* 120 წლისაა, რომელიც 1940 წელს ამ მშვენიერ ლეგენდას მოგვითხრობს: „ამ სოფელში წინეთ ტყე ყოფილა, მოსულა მონადირე, მოუკლავს ირემი *ხომის* რაიონში და იქ წყალი ვერ უშოვია, ამოსულა აქ წყაროსთან, მოსწონებია. ამას უთქვამს, მოდი აქ *ბოგას გაეკრავ* და დავსახლდებიო. ამის შემდეგ ამ სოფელს დარქმევია *ბოგა*“ (ი. პაპისიმედოვი, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1082, გვ. 39).

იმავე პერიოდში მოგზაურობს ი. მაისურაძე სამცხეში და *ბოგის* შესახებ წერს: მდებარეობს ქ. ახალციხიდან ჩრდილოეთით 8 კმ-ის მანძილზე. სოფ. *სვირიდან* მოშორებულია 2 კმ-ით (აღმოსავლეთით). აქ ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 96 კომლი, შენახული აქვთ ქართული ენა. გვარები: *ზაუტაძე. სარალიძე, ჩიბლაძე, ჩომაყიძე, ლოლაძე, ცეკვაძე, კოჭოგილი* (ქართ. *კიჭოძე //კიჭვაძე) მეწყარიძე*“. (ი. მაისურაძე, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. ხელნაწერი №100, გვ. 64).

1944 წელს *გ. კირვალიძე* სოფ. ბოგაში მიუთითებს შემდეგ გვარებს: *„სარალიძე, ზაუტაძე, ჩომახიძე, მეცხვარიძე, ჩიბლაძე, ცეკვაძე, ლოლაძე, კოჭოშვილი, ტორულაძე“* (გ. კირვალიძე, 1982, გვ. 57).

ამგვარად, *ი. პაპისიმედოვი* მიუთითებს ოთხ გვარს: *სარალიძე, ზაუტაძე, მეწყარიძე* და *ცეკვიაშვილი.*

*ი. მაისურაძე* ზუსტად იმეორებს სამს: *სარალიძე, ზაუტაძე, მეწყარიძე,* ხოლო მეოთხეს – *ცეკვიაშვილს ცეკვაძედ* მოიხსენიებს. ძირი ერთია და როგორც მესხეთში ხშირად ხდება ხოლმე, გვართა ორივე დაბოლოება იხმარება. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომელი უფრო მოხერხებულად მიაჩნდა გვარის მატარებელს ფიქსირების ან გაოფიციალურების დროს. *ი. მაისურაძესთან* გვაქვს ისეთი გვარები, რომელნიც არ გვხვდება *ი. პაპისიმედოვთან: ჩიბლაძე, ჩომაყიძე, ლოლაძე,* ხოლო კოჭოგილის შესახებ ცოტა ქვემოთ.

*გ. კირვალიძესთან* ახალი გვარია *ტორულაძე.* დანარჩენები ემთხვევა წინამორბედთა ჩამონათვალს. მართალია ი. მაი-

სურაძე *კოჭოგილს* (კოჭოძე ან კოჭოშვილი) წერს, მაგრამ იქვე ფრჩხილებში მიუთითებს ქართულ ვარიანტებს: *კიჭოძე//კიჭვაძე*, ასე რომ, კოჭოგილი შეცდომაა და უნდა იყოს კიჭოგილი, რაც მისივე მითითება და *გ. კირვალიძის* დამოწმებული *კიჭოშვილიც* უჭერს მხარს. რაც შეეხება *მეცხვარიძეს*, ის ან განსხვავებული გვარია და შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდა, ან *მეწყარიძის* დამახინჯებული ვარიანტია, როგორც *ი. ჯაჰისიმედოვი* მიუთითებს *მეწყარიძე*, მეწყალიძიდან, ე.ი. წყლის გამყვანის ხელობიდან უნდა მოდიოდეს, რომელსაც თიხის მილებით ჭვინტის ტყიდან ახალციხის რაბათში ჩამოუყვანია წყალი. რაბათის წყლით მომარაგება ყოველთვის პრობლემური იყო. ცნობილია, რომ მოსახლეობა ძირითადად *მდ. ფოცხოვის წყალს* ხმარობდა. თუმცა უნდა არსებულიყო წყალსადენიც. ამაზე მიუთითებს აღმოჩენილი თიხის მილები, ძველი აბანოების ნაშთები და სხვა“ (დ. კოჟორიძე, 1969, გვ. 60).

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამხელა ქალაქის ფოცხოვის წყლის იმედზე ყოფნა, რადგან იქ არსებული სამეორნეო, ადმინი-სტრაციული დაწესებულებები ბევრ წყალს მოითხოვდა. ეს წყალი კი მოდიოდა აჭარა-იმერეთის მთების ფერდობებიდან. ამ სისტემის მოშლამ შეაფერხა და მოშალა რაბათის საქალაქო ცხოვრება.

წყლით მომარაგების ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელმაც დატოვა ახალციხე ომის შემდეგ და წავიდა *ბოგაში* სათავეს უდებს ახალ გვარს – *მეწყარიძეს*. შ. ტაბიძე ბოგაში მიუთითებს *ჩუხულიენთ* („ჩუხულიენი ასრათი წოხტევიდან მოსულა“) *ზაუტაშვილზე* ამბობს – *ზაუტიენიო* და *სარალიძეებს* უწოდებს სარალიენთ. (შ. ტაბიძე, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. ხელნაწერი №1082, გვ.11.)

ამგვარად შეგვიძლია აღვადგინოთ სოფ. ბოგის გვარების სურათი მე-20 საუკუნის 40-იანი წლებისათვის. ესენია: *სარალიძე, ზაუტაძე, მეწყარიძე, ცეკვიაშვილი//ცეკვაძე, ჩიხლაზე, ჩომაყიძე//ჩომახიძე, ლოლაძე, კიჭოძე//კიჭვაძე //კიჭოშვილი, მეცხვარიძე, ტორულაძე, ჩუხულიშვილი* ან *ჩუხულიძე*. თუმცა ეს არ არის საბოლოო სია და დარწმუნე-

ბული ვარ, კიდევ ბევრი გვარი აღმოჩნდება სხვა წყაროებისა თუ დოკუმენტების მოძიებისას.

ქართველი კაცი ადგილებსაც ქართულ სახელებს არქმევდა. 1939 წელს ი. მაისურაძემ ჩაიწერა სოფლის მიკროტოპონიმია. მოვიყვანთ მას ჩამონათვალის სახით, რომ ვაჩვენოთ სახელთა წარმომავლობა. დაინტერესებულ პირს შეუძლია მათი ადგილის ზუსტი მითითება და თუ რის სახელია, დააზუსტოს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ი. მაისურაძის ფონდში №100 ხელნაწერი. აი, ეს სახელები: *სანგლიათი, სანებათი, ჩითლუქი, გორაული, მარტიას საწოლი, საყდარი, ხომა, აკოფავრი, აგარა, ნადარბაზები, ნაცხვარეთი, ბრმაღელე, შაქრისერი, პანტიგვერდი, ჩიქილისერი, მელისორუები, ნატბეურები, კურტანა, ბერკნილი, ყაიადიბი, ჭანათბევი.*

ორი სახელი – ჩითლუქი და ყაიადიბი თურქული წარმომავლობისაა, ოსმალეთის ბატონობას, მართალია თავისი კვალი დაუჩენია, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა სახელებისა ქართულია. თურქული სახელიც ქართველი კაცია დარქმეულია, რადგან დიალექტშია შემოსული თურქული ლექსიკა, რომელსაც იყენებენ შემდეგ სახელდებისას.

ეს ყველაფერი ეხება მაჰმადიან მესხთა მესხეთში ცხოვრების ბოლო წლებს. შეიძლება ცოტა შორსაც გადავიხედოთ.

მე-16 საუკუნეში ბოგა პატარა სოფელია და სულ 6 კომლს უცხოვრია. რა თქმა, უნდა, ისინი ქართველები არიან. აი, მაშინდელი ოჯახის უფროსი მამაკაცებისა და მათი მამების სახელები: *შოშია, წამალა, ივანე, გიორგი, მანასე, მამისა, აზარია, ნასარა, ზასელა, გუბელა* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 27).

1886 წლის აღწერის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1893 წ. (Сводъ Статистических данныхъ О населений Закавказского края, Тифлис, 1893 г.) ბოგაში 22 ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის 95 მამაკაცი და 91 ქალი. ისინი ქართველები არიან მიუხედავად მაჰმადიანური სარწმუნოებისა.

ამგვარად, სოფ. ბოგის მოსახლეობის გამუსლიმანება ადრე მოხდა, მაგრამ მათი „გათათრება“ ხდება მეოცე საუკუნეში.

1944 წლის ნოემბერში ბოგაში ჩამოასახლეს მოსახლეობა დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ *ბარაგაულის* რაიონის სოფლებიდან: *ჭარტალიდან, მოლითიდან, წიფიდან, ნებოძირიდან.* მათ შეემატნენ შემდეგ სხვა რეგიონებიდანაც და დღეს სოფელში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: *ლაფაჩი, ყიფიანი, ავალიშვილი, ფცქიალაძე, ცუცქირიძე, მჭედლიძე, უჩიძე, გოგოლაძე, მოჟაძე, კვერნაძე, ქურდაძე, ლომსაძე, გაჩეჩილაძე, ლაცაბიძე, ცნობილაძე, კვირიკაშვილი, ფოცხვერაშვილი, ალხაზიშვილი, გობიანი, კვიჟინაური, გორგაძე, კობახიძე, ქალიაშვილი, ცერცვაძე, გრიგოლაშვილი, მჭედლიშვილი, ხალაძე.*

## ორფოლა

*ახალციხიდან* მიმავალ გზაზე, როდესაც გავცდებით *ჭაჭარაქს, მინაძის ხიდზე* გადავალთ თუ არა, იქ, სადაც ურავლის ხეობა მთავრდება და *ურაველა* უერთდება მტკვარს, გზის პირას შეგხვდებათ ტრაფარეტი „პოლიგონი ორფოლო“ აშკარაა, რომ ტერიტორია, რომელზეც სამხედრო ვარჯიშობანი და წვრთნები იმართება, უნდა იყოს ვრცელი, რელიეფური და ა. შ. მართლაც ორფოლო ასეთია. ნასოფლარი დღეს აღარც კი ემჩნევა, ხოლო იმ მიწებზე, რომელიც ამ სოფელს ეკუთვნოდა თავის დროზე, გაიმართა პოლიგონი. ადრე მას *ორფოლა* ერქვა. ასეა დაფიქსირებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ორფოლა მე-19 საუკუნეშიც დასტურდება, რაც შეეხება ორფოლოს, ის სულ ახალი გაჩენილი ტერმინია კომპო-ზიტური სახელის შიგნით ორი ო რომ გვხვდება, მათი ბრალია, ბოლოკიდური ა-ც ასიმილაციის გზით ო-დ რომ აქციეს.

მე-16 საუკუნეში ცხოვრობდნენ ორფოლაში: *ილარიონი, ივანე, გიორგი, ვარძელი, მახარა, გოგიჩა, პაველა, მაზა, ცხადია, ელია, ბატატა, სტეფანე, ოქონა* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 91.

იმ დროის ოჯახის უფროსთა სახელები: *ივანესძე ვარძელისძე, პაველასძე, ცხადიასძე, სტეფანესძე,* განსხვავებულად ჟღერს შემდეგ საუკუნეებში, კერძოდ: *ივანიძე* ან *ივანიშვილი, ვარძელაძე* ან *ვარძელაშვილი, პაველიაძე* ან *პაველიაშვილი, ცხადაძე* ან *ცხადიაშვილი, სტეფანიძე* ან *სტეფანიშვილი.*

სოფელი განაყოფებით იყო დასახლებული მაგალითად, ოსმალო მოხელე მათ ნათესაურ კავშირებს ასე მიუთითებს: ოჯახის უფროსი იყო *გიორგი ვარძელის ძე,* ხოლო *მაზარა* — „ძმა მისი", იგულისხმება, რომ ისიც ვარძელის ძეა, ანდა — *მაზა ცხადიასძე* და *„ელია ძმა მისი". ბატატა სტეფანეს ძე* და *ოქონა* ძმა მისი. გვარები შემდეგ განაყოფების მიხედვით გრძელდებოდა და იქმნებოდა ახალი გვარები. კერძოდ, შეიძლება განაყოფთაგან *მაზარა ვარძლის ძის* შთამომავალი *მაზარაძე* ან *მაზარაშვილი* გამხდარიყო. *ელია ცხადიას ძის* შთამომავალი — *ელიაშვილი* ან *ელიაძე* და ა. შ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ასეთი გვარის ხალხი ბევრი გვხვდებოდა მესხეთში როგორც ქრისტიანები, ისე — მაჰმადიანები.

მე-19 საუკუნეში, კერძოდ, 1886 წლის აღწერის მიხედვით ორფოლაში 14 კომლი ცხოვრობს, მათ შორის 86 კაცი, 98 ქა-ლი. რა თქმა უნდა ისინი მაჰმადიანები არიან და ქართველები.

1944 წელს ორფოლაში ცხოვრობდნენ გ. კირვალიძის მიხედვით: *ფერაძე, ჟუჟუნაძე, ბაყაყაძე, მუთიაშვილი, კონიაშვილი, ფუტკარაძე* (გ. კირვალიძე, გვ. 56).

ორფოლის გვართა შესახებ ცალკე უკლევია კ. ბარათაშვილს, რომლის მიხედვით დღევანდელი მაჰმადიანი მესხები, რომლებიც ორფოლელები არიან უთითებენ გვარებს: *ბუთიაშვილი, ფანალიძე, ბექაძე* (ბაკო-გილ), *ჩანთო-გილ (ჭანტურია).*

ბევრი გვარი ჯერ კიდევ მისაკვლევია. ჩვენ დაგვიდასტურეს სოფ. *იანეთში,* რომ ორფოლაში ჩამოთვლილთა გარდა ცხოვრობდნენ აგრეთვე *ბარბაქაძეები.*

კ. ბარათაშვილს მოცემული აქვს — ოღლი დაბოლოებიანი გვარები მე-19 საუკუნეში სოფ ორფოლიდან. თითქოს ეს ეჭვქვეშ აყენებს ქართული გვარების არსებობას, მაგრამ ეს

მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან თურქული ან აზერბაიჯანული დაბოლოების მიხედვით შექმნილი გვარები თაობიდან თაობას არ გადაეცემოდა. მაგალითად: თუ იყო ვინმე ალი მამედ-ოღლი, რომლის მიხედვით ალი სახელია, ხოლო მამედ-ოღლი მამის სახელი და აქედან არის მიღებული გვარად. მამედის შვილი-შვილი მუჰამედი იქნებოდა მუჰამედ ალიოღლი და არა მამედ-ოღლი.

1839 წელს ცხოვრობდა ორფოლაში ვინმე ნუთონოღლი, რომლის შთამომავალი თუ ნათესავი 1850 წელს არის მეთან-ოღლი, 1863 წელს — მეთი-ოღლი, 1944 წელს მუთიაშვილები, ეს არის ქართული გვარის ტრადიცია და სტრუქტურა, რომლის კალკირება მოხდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და შვილი შეიცვალა ოღლით. გვარი გაგრძელდა ქართული ტრადიციით და არა მამისშვილობით ყოველი თაობის ცვლის პირობებში. ასევეა გვარი *ჟუჟუნაძე*, რომელიც მე-19 საუკუნეში *ჟიჟონ-ოღლად* არის დაფიქსირებული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩვენ ვიფიქროთ, რომ მე-19 — მე-20 საუკუნეებში სოფ. ორფოლაში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარის ადამიანები: *ფერაძე, ჟუჟუნაძე‖ ჟიჟონაძე, ბაყაყაძე, მუთიშვილი‖ მეთიშვილი ‖ მუთანიშვილი‖მუთიაშვილი, კონიაშვილი‖კანიშვილი, კაბიშვილი, ფუტურიძე, ფანალიძე, ბექაძე//ბაკოიძე. ჩანთოძე‖ჭანტურია, ბარბაქაძე. ჩეჩელაშვილი, მარდელაშვილი, თავშავაძე, ჩაროძე‖ჩაროშვილი, იბოშვილი, ბაგინაშვილი, კაბიძე‖ კაბიშვილი.*

პარალელური ფორმები ძირითადად ფონეტიკური ვარიანტების ნიადაგზეა მიღებული.

თითოეული გვარის წარმომადგენელმა თავად უკეთესად იცის თუ რა გვარისა იყო, თუმცა ბოლო პერიოდში ეს მახსოვრობა მინიმუმამდე დავიდა.

მაგალითად: *შაჰმურად ბექაძეს*, რომლის წინაპრებიც ორფულიდან იყვნენ, შეუდგენია თავისი გვარის გენეალოგია. *ბექას*, რომელმაც დაუდო სათავე ბექაძეების გვარს უცხოვრია მე-19 საუკუნეში. ის დაბადებულა დაახლოებით 1820 წელს. ბექა, რომელიც არის მესხეთში ისტორიულად გავრ-

ცელებული სახელი ჯაყელებისა, შთამომავლად ძირითადად ჰყავდა თურქულ სახელიანი ადამიანები ალი, იშიგ, მაჰმედ, სულეიმან, ემან და სხვ. აქა-იქ ქართული სახელიც გვხვდება, მაგ.: კოტე, სოფო.

მათი საბჭოთა გვარი იყო *სულეიმანოვი*. სულეიმანოვებად იქცნენ ისინი მე-20 საუკუნის 40-იან წლებში. ამ გვარით გასახლდნენ 1944 წელს ანდრიჟანში, შუა აზიაში, შემდეგ გადავიდნენ *აზერბაიჯანში, საბირაბადში,* საიდანაც 1983 წ. ჩამოვიდნენ საქართველოში ნასაკირალში, სადაც გარდაიცვალნენ მისი მშობლები. აქ აღიდგინეს გვარი *ბექაძე* – 1989 წ.

შაჰმურადის დედა იყო საყუნეთელი, რომელსაც ჰქონდა საბჭოთა გვარი *ფეისულოვა*, ხოლო მისი ქართული გვარი იყო *არყიშვილი*.

გვარები სულეიმანოვი და ფეისულოვა მიღებული აქვთ მშობლების სახელებისაგან.

შაჰმურად ბექაძის მეუღლის საბჭოთა გვარია *მამედოვა*, ხოლო ქართული გვარი – *მამისაშვილი*, მისი წინაპრები იყვნენ სოფ. ჩურჩუტოდან.

## შურდო

მე-16 საუკუნეში შურდო პატარა სამკომლიანი სოფელია, სადაც მხოლოდ ნათესავები ცხოვრობენ. გიორგი ზარასფას ძეს ჰყოლია შვილი დავითა, რომელიც ცალკე ოჯახია და ძმა – *გოგიჩა*, ისიც ცალკე კომლად აღურიცხავთ. (ს. ჯიქია, 1941, გვ. 35).

1870 წელს შურდოში 14 კომლი ცხოვრობს (ს. ჯიქია, 1958, გვ. 58) 1886 წლის აღწერის მიხედვით სოფ. შურდოში ცხოვრო-ბენ ქართველები, რომლებიც არიან მუსლიმები, ოღონდ სუნი-ტები არ არიან, ამიტომ ისინი მოხვედრილან გრაფაში (Проч. вероиспов), ე. ი. ისინი ბოლომდე „გათათრებულები“ არ არიან, სოფელში 23 კომლი ქართველი ცხოვრობს, 85 მამაკაცი და 86 ქალი.

1939 წელს *ი. მაისურაძე* წერს: „ს. *შურდო* ს. *ბოგიდან* აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანნი: *ჭარელიენი, გორიენი, ცაცალიენი, კატანიენი, (კატუნიენი, კატუნაშვილი), გუჯალიენი* (=გუჯარელი), *იშილიენი,* (იშილ=სინათლე), *მოსიენი, მუთიენი*". (ი. მაისურაძე, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №100, გვ. 71).

მე-20 საუკუნის 40-იანი წლებისათვის შურდოელები უკვე თავიანთ თავს თათრებს უწოდებენ, თუმცა რუსების მიერ აღ-წერიდან 50-წელზე მეტია გასული მხოლოდ. კარგად ლაპარა-კობენ ქართულად და შენარჩუნებული აქვთ ქართული გვარები. „ჩვენი სოფელი უძველესი დროიდან არსებობს. წინათ აქ ცხოვრობდნენ ომარიენი (ომარაშვილი). პირველი კაცი ომარაშვილი მოსულა ამ სოფელში" (ი. პაპისიმედოვი, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №182, გვ. 1.). ინფორმატორი მოსულების თეორიას ავითარებს და მოგვი-თხრობს: „რუსების შემოსვლის დროს ქ. ახალციხიდან მოსუ-ლან კატუნაშვილები, შემდეგ – მუთიაშვილი, რომელიც კატუნას მამიდაშვილი ყოფილა. დროთა განმავლობაში ამ სამი გვარიდან გაშენდა სოფელი და დღეს 70-75 კომლი ცხოვრობს.

ამჟამად ცხოვრობენ: *ომარაშვილები, კატუნაშვილები, გორიაშვილები, მოთიაშვილები, მუსაშვილები, ჭარელაშვილები, გუჯალიენი*" (ი. პაპისიმედოვი, გვ. 2.) არის კიდევ ერთი გვარი, რომელიც შეიძლება წავიკითხოთ *იშილაშვილად.*

ამავე *პერიოდში ამ სოფლის გვარები დაფიქსირებული აქვს გ. კირვალიძეს: შუბლაძე, კატუნაძე, მუთიაშვილი, გორიაშვილი, ხმალაძე, გუჯელაშვილი, ქარუმიძე* (გ. კირვალიძე, გვ. 57).

*კატუნაშვილად* და *კატუნიძედ* დასახელება სხვადასხვა წყაროს მიერ ჩვეულებრივი ამბავია მესხეთის მცხოვრებთათვის იმ პერიოდში.

საინტერესოა მეორე გვარი – *გუჯელაშვილი,* რომელსაც *ი. პაპისიმედოვი გუჯალიენთ* უწოდებს. ამოსავალი ორივე შემთხვევაში არის ელგუჯას კნინობითი ფორმა *გუჯა,* რომელიც გაფორმებულია ორი, ერთი და იმავე მნიშვნელობის

კნინობითითობის სუფიქსით –ალ და –ელ, საიდანაც მიღებულია მეტგვარი – *გუჯალიენთი* და *გუჯელაშვილი.*

ი. მაისურაძეს *გუჯალიენი* მიაჩნია *გუჯარელიდან* მიღებულად, რაც, თავისთავად უკავშირდება გუჯარეთს, ე.ი. გუჯარეთიდან მოსულს, მაგრამ ეს საეჭვო ჩანს, რადგან მაშინ გაუგებარი იქნება გუჯელაშვილის –ელ სუფიქსის ფუნქცია, თანაც თუ გუჯარეთი იქნება ამოსავალი, მაშინ უნდა მიგველო *გუჯარიელნი* და არა *გუჯალიენი* ან *გუჯელაშვილი.*

შურდოელები კარგი ქართულით მეტყველებენ *მავლულ ალი-ოღლი* მოგვითხრობს 1940 წელს: „სულ პირველად ამ სოფელში 12 კვამლს მოვესწარი. ჩვენი პაპიებიდან გამიგონია, რუსეთი რომ შემოსულა, ჩვენები აყრილან და ოსმალეთში წასულან. მერე ზოგი უკან დაბრუნებულა. მთავრობას უთქვამს, იყავით თქვენთვის, თქვენ ვილა გერჩითო. ზოგი ოსმალეთში დარჩენილა. იმათ ადგილას სომხები დასახლებულან. სულ პირველად ამ სოფელში *ომარიენი* მოსულან, მერე მოსულან *გორიენი,* შემდეგ *კატუნიენი (კატუნაშვილები)* ახალციხიდან. *მუსიენი* არ ვიცი საიდან მოსულა, ისიც ყო-ჩაღი კაცი ყოფილა. კიდევ *ჯენჯვიენი – ჭარელიენი* დაწერე. *გუჯალიენი* კლდიდან მოსულან, *დიდგორელები – გორიდან. ხომიდან* წამოსულან *ხმალაძეები.* დანარჩენები ხომი აკლების შემდეგ – *ზაუტაძეები. (ზაუტაშვილები)* და *ტარანაშვილები ბოგაში* წასულან“. (შ. ტაბიძე, ექსპედიციის ანგარიში, ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1082, გვ. 3).

*ი. მაისურაძე* მხოლოდ საგვარეულო სახელებით, მეტგვარებით მოიხსენიებს შურდოელებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მეტგვარებს გვარის ფუნქციაც ჰქონდათ. მეტგვარი მაჰმადიანებში ძირითადად კეთდება გვარებიდან და არა მხოლოდ ბოლო განაყოფებისაგან, ამიტომაცაა, რომ *გ. კირვალიძე* მათ დაიმოწმებს მეტგვართა მაწარმოებლების გარეშე და ჩვეულებრივ –ძე ან –შვილი დაბოლოებით, ამიტომ ი. მაისურაძის მიერ დაფიქსირებული ფორმები –შვილი ან –ძე დაბოლოებით გვექნება გაფორმებული და საბოლოოდ შეგვიძლია, ამ სოფლის გვართა ერთი ნაწილი წარმოვადგინოთ: *ჭარელაშვილი//ჭარელიშვილი, გორიაშვილი, ცაცალაშვილი, კატუნაშვილი, გუჯელაშვილი//გუჯალიშვილი, იშილაშვილი,*

*მოსიაშვილი, მოთიაშვილი, მუთიაშვილი, ომარაშვილი, მუსაშვილი, შუბლაძე, ხმალაძე, ქარუმიძე.*

1940 წელს სოფლის რამდენიმე ტოპონიმიც არის დაფიქსირებული: „სოფელს ჩამოუდის 1/2 კილომეტრში წყალი – *ხომა*, ტყიდან ჩამოდის პატარა წყალი – *კინჩხურა*. ჩრდილოეთით სოფელს ახლავს მთა *ამაღლება.... ხომის წყალზე*, სოფლის მახლობლად მოიმართება ხეობა *აბანოხევი*“ (ი. პაპისიმედოვი, გვ. 4).

ასევე ი. მაისურაძეს აქვს დაფიქსირებული სოფელ შურდოს შემდეგი ტოპონიმები: *ეკლესიკარი, ადიენთი გორა, გორათი, სალამკურო, წინწილაური, კატრისერი, ნაკარევი* (ი. მაისურაძე, ხელნაწერი №100, გვ. 71).

გვარები, ადგილის სახელები, სოფლის მოსახლეობის ფსი-ქოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოების გამო მათ „თათრებს“ უწოდებენ, მეტყველებს მხოლოდ ერთზე, უდიდესი ზეწოლის მიუხედავად, ისინი არ კარგავენ თავიანთ ისტორიულ წარმომავლობას.

სოფელ შურდოში მაჰმადიანთა გასახლების შემდეგ საქარ-თველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულები ცხოვრობდნენ მე-20 საუკუნის ოთხმოციან წლებამდე.

## ᲧᲐᲮᲐᲜᲝ

*სოფ. წაბნიდან* იყვნენ წარმოშობით *მამუკა ბუციშვილის* მამა-პაპანი.

მამუკას მამას და დედას ორივეს ჰქონდათ ქართული გვარები, მაგრამ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მისცეს საბჭოთა გვარი –ოვ დაბოლოებით. მისი მამა დაიბადა 1941 წელს და მის დაბადების მოწმობაში მამის სახელი აღარ ჩა-წერეს, რადგან მამის სახელი მისცეს გვარად და გახდა იგი *სულეიმანოვი*. ე.ი. მამუკას გვარად შერჩა პაპის სახელი – სულეიმანი. ასევე იყო დედა, რომლის პაპა მანამდე ატარებდა *მაკარიძის* გვარს და მის შვილს კი მისცეს მამის სახელის მიხედვით *ბალილოვი*.

მიუხედავად იმისა, რომ გვარად ხუციშვილებს დაუწესეს სულეიმანოვი, მათ იცნობდნენ როგორც *ხუციენთ* ანუ *ხუციგილ.* – gil თურქული სუფიქსი ცვლის –აან//–იენთ ქართულ დაბოლოებას. *წაბნიდან* იყო მამუკას დედაც, რომლის წინაპარიც 1828 წელს ახალციხის ალების შემდეგ გადავიდა ქალაქიდან სოფელში. ქალაქის მოსახლეობა უფრო რელიგიური იყო, ვიდრე სოფლისა, ამიტომ მათ მეტგვარად *მოლალიგილ* უწოდეს, მოლაანი, მოლაშვილები.

მაკარიძე იყო დედის მამა *ბალილი.* მის შვილს ასევე არ ჩაუწერეს მამის სახელი, რადგან იქცა იგი *ბალილოვად.*

არ ახსოვთ ბებიის ქართული გვარი, სოლო მისი საბჭოთა გვარია *ბილალოვი,* გათხოვილი იყო სოფ. ელიაწმინდიდან.

1944 წელს ხუციშვილები გადაასახლეს სამარყანდის ოლქის *ავდარიის* რაიონში, საიდანაც 50-იანი წლების ბოლოს გადავიდნენ რაიონულ ცენტრში. 1989 წლის ფერგანის ამბების შემდეგ გადავიდნენ რუსეთში, *ტვერის* ოლქის დაბა *სონკო-ვოში.* 1991 წელს გადასახლდნენ ყაბარდო-ბალყარეთში *პრობლადნის* რაიონის სტანიცა *პრიბლეჟნაიაში,* ხოლო თავად მამუკა 1995 წელს დასახლდა *ჩეჩნეთში* სტანიცა *იშორსკაიაში.* მამუკა *სულეიმანოვი* 1997 წელს დაბრუნდა მესხეთში, ქალაქ ახალციხეში ცოლ-შვილთან ერთად, სადაც დღესაც ცხოვრობს.

ხუციშვილების გვარის წარმომადგენლებს აქვთ განსაკუთრებული დამოკიდებულება თანაგვარელების მიმართ. ისინი არ არჩევენ ერთმანეთში სარწმუნოების მიხედვით ადამიანს. მამუკა ხუციშვილის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნათესაურ კავშირებს, რომელსაც ჯერჯერობით არ ვლინდება არც მაჰმადიანებში და არც ქრისტიანებში. ეს კავშირები არის და განსაკუთრებული როლი ეკისრება გვარს ამ შემთხვევაში.

ხუციშვილები ცხოვრობენ სამცხეშიც და ჯავახეთშიც. ყველაზე მეტი ხუციშვილი თბილისში ცხოვრობს, სულ კი მათი რიცხვი 11062 სულია (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე).

მ. ხუციშვილს შეუგროვებია თანასოფლელთა ქართული გვარები, რომელთაც დღესაც ატარებენ ისინი: *აბულაძე, ჭი-*

*ჭინაძე (ჭიჭინგილ), მიშინაძე (მიშიანგილ), სარაჯიშვილი (სარაჯალიგილლარ), ჭანჭურაძე (ჭანჭურგილ), ჭავჭავაძე (ჩაუშგილ), სადიხაძე (სადიხგილ).*

*ალი ჭავჭავაძე* ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობს. მის მამას ერქვა მამადი, რომელსაც ცოლი გარდაეცვალა, 88 წლისამ მოიყვანა ცოლი და გოგო შეეძინა.

*აბულაძეების* ერთი ძმა ქართული გვარით არის, მეორე – ოვ დაბოლოებიანი საბჭოთა გვარით. ასევე უფროსი ძმა არის *მიშინაძე*, ხოლო უმცროსი – *აბმედოვი*.

აბულაძეების მეტგვარი უკვე თურქული სახელიდან არის მიღებული და მათ *აბდურახმან გილს* უწოდებენ, რადგან პაპას ერქვა ეს სახელი.

კლარა ბარათაშვილს დადასტურებული აქვს სოფ. წახნის გვარები მესხებში, რომელთა ნაწილი ემთხვევა მ. ხუციშვილის მიერ მოწოდებულ გვარებს, ნაწილი არ ემთხვევა: *ხუციშვილი, კიკინაძე, ჭანჭურიძე, მეშინაძე, მაკარიძე, ჭუჭუნაძე, ემინაძე, ამფაგილ, მოკლე გილ, აჭულაგილ, ფუშუკგილი* (კ. ბარათაშვილი, გვ. 44).

საინტერესოა, რომ 1886 წელს ხუციშვილები იწერებოდნენ ხუციევად, ხოლო 1932 წელს – ხუციშვილებად. როგორც ზემოთ ითქვა, 1941 წელს ხუციშვილები სულეიმანოვები ხდებიან (კ. ბარათაშვილი, იქვე).

1839, 1842 წლებში კ. ბარათაშვილს დამოწმებული აქვს *ჭანჭუროღლი, მეთიოღლი, აბოღლი*. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მესხების გვარებს ჩამოაცილეს ქართული დაბოლოება, რის შესახებაც ავტორი წერს: „რამდენადაც თურქებს არ გააჩნდათ გვარის ინსტიტუტი, ისინი ვინაობას აფიქსირებდნენ საკუთარი ან მამის სახელის მიხედვით. მაგალითად, მამედ ჰასან ოღლი, ოსმან რაჯაბ ოღლი და ა.შ.

აღწერებში კი მესხები ძირითადად იწერებოდნენ არა მამის სახელის, არამედ თავისი მოდგმის სახელის მიხედვით, რომელიც უწინ მის გვარს წარმოადგენდა. ჩამოაცლიდნენ „შვილსა“ და „ძეს“ და მიუმატებდნენ იგივე შინაარსის მატარებელ თურქულ „ოღლის“. ვღებულობდით: *იბო-ოღლი, ტორო-ოღლი, სარაჯ-ოღლი, რესო-ოღლი, ლომი-ოღლი, მუ-*

*თო-ოღლი, რევაზ-ოღლი, პავლე-ოღლი* და ა.შ.“ (კ. ბარათაშვილი, გვ. 11).

გ. ბოჭორიძის ცნობით წახანში 1932 წელს ცხოვრობს 30 კომლი *სარალიძე*, დანარჩენ გვართა რაოდენობას არ მიუთითებს, მხოლოდ ჩამოთვლის: *ციციშვილი, ფეიზიშვილი, ნაფაშვილი, ბუციშვილი, ჭიჭინაძე*, რომელთაგან ცოტამ თუ იცის ქართული, მაგრამ გვარი ქართული კი აქვთ (გ. ბოჭორიძე, გვ. 123).

იქვე, 1908 წელს დაუნგრევიათ ეკლესია და მის ადგილზე აუშენებიათ ჯამე.

წახნის ეკლესიას ჰქონდა ქართული წარწერაც, რომელიც წაიკითხა მ. ბროსემ (ს. ჯიქია, 1958, გვ. 169).

1595 წელს დიდი სოფელია წახანი, რომელიც ოსმალებმა აღწერეს. აი, მაშინდელი ოჯახის უფროსები: *ივანე, ბასილი ელიაზარის ძე, ივანე ქოჩარას ძე, გიორგი პაპუტას ძე, ვარძელ, იასონ დანიელის ძე, ბასილა ზარებას ძე, სოზა, ჯირა, მიქაელი, ლაზარა ზაქარას ძე, ვარაზა გიორგის ძე, ლომინა, ელისა, ღვინია, ალდგომელ გოგიჩას ძე, მახარებელ, პაპუა, მანველ მახარებლის ძე, ქოჩია მანასეს ძე, გოგიჩა შალვას ძე* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 122).

* * *

ცალკე გამოვყოფ გვარებს, რომლებიც ან დაიბრუნეს, ან ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ მესხეთსა და იმერეთში ჩამოსახლებულ მესხებს.

*ეიუბოვი მახადინ*, დაბადებული 1957 წელს, მეუღლე *ეიუბოვა გულსინა*, დაბადებული 1955 წელს. ისინი წარმოშობით არიან ადიგენის რაიონიდან. მახადინი სოფ. *ქიქინეთიდან*, ხოლო გულსინა – *ყურათუბნიდან*.

ეიუბოვთა მეორე ოჯახი არის *იახია ეიუბოვის* ოჯახი. ი. ეიუბოვი დაბადებულია 1965 წელს, ხოლო მეუღლე *ეიუბოვა ნაზილე* დაბადებულია 1968 წელს, იახიას დედა *სონია* დაბადებულია 1938 წელს და ისიც არის სოფ. *ქიქინეთიდან*.

ამავე გვარის განაყოფია *აიუბოვ ზაქარია*. როგორც ინფორმატორი ამბობს, ორივე გვარი ერთი ძირიდან მოდის და გვარები მათ „დაწერის“ მიხედვით აქვთ. ერთნი არიან *აიუ-*

*ბოვები*, მეორენი *ეოუბოვები*. ოჯახს კარგად ახსოვს, რომ ორივე განაყოფის გვარი იყო *აბაშიძე*.

ასე რომ, *აბაშიძის* გვარიდან სამი ოჯახი სახლობს იანეთში.

*ისა აბიბოვი* დაბადებულია 1958 წელს. მისი ქართული გვარი არის *აბულაძე*. მისი წინაპრები იყვნენ სოფ. პატარა *სმაღიდან*, ხოლო მეუღლის – *აბიბოვა ჯამილას* წინაპრები იყვნენ სოფ. *თუთაჯვრიდან*. მისი განაყოფთა სახელია *ჩახტიანგილი*. არქივისათვის მიუკითხავს ისას, უთქვამთ *თურმანიძე* უნდა ყოფილიყო თქვენი გვარიო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი დარწმუნებულია ქართულ წარმომავლობაში, დარწმუნებული არ არიან *აბულაძე* თუ ნამდვილად არის მათი წინაპრების გვარი. ისა აბიბოვის პაპის ნათქვამი: „ჩვენ ვიყავით ადგილობრივები ყოველთვის, ვიყავით იერლი, „გილ"-ამდე მამის ან პაპის სახელობით იხსენიებდნენ. თურქობა რუსებმა მოიგონეს. ჩვენმა წინაპრებმა თურქული საერთოდ არ იცოდნენ. თურქული ენა სომხები რომ ჩამოასახლეს მესხეთში, იმათ მოიტანეს და ამან დააჩქარა თურქულის გავრცელება. პირველი რწმენა იყო ქრისტიანობა, მერე მივიღეთ გადასახადების გამო მუსულმანობა, შუა აზიაში კავკასიელებს გვეძახდნენ. იერლი მხოლოდ ქართველს ნიშნავდა. ჩვენ ქართველებს ან მუსულმანებს გვიწოდებდნენ". ისა აბიბოვის მამა იყო *ხაბიბოვი*, რადგან პაპას ერქვა ხაბიბი, მაგრამ უზბეკებმა ხ ჩამოაცილეს (საერთოდ განუკითხაობა იყო გვარის დაწერის საკითხში). საბოლოოდ მამა *ხაბიბოვი* იყო, შვილი – აბიბოვი. ისას ერთი და ყაზახეთში ცხოვრობს, მეორე – ამერიკაში; ძმა ერთი – ვოლგოგრადში, მეორე – ბაქოში.

ჩახტიანგილთან დაკავშირებით გ. მამულიას უთქვამს ისასთვის, რომ ძველი ქართული სიტყვაა და მორბენალსა და მსროლელს, მონადირეს ნიშნავდაო. *აბულაძე* გავრცელებული გვარი იყო მაჰმადიან მესხებში. ასევე იყვნენ *თურმანიძეებიც*, მესხები, როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანები.

*აბდულა ბაგბანოვი* დაიბადა 1955 წელს უზბეკეთში, ანდიჟანის ოლქის სოფ. ხაგიგატში 1960 წელს გადაასახლეს *აზერბაიჯანში*. 1972 წელს გადავიდნენ *ყაბარდო-ბალყარეთში*

— *ნალჩიკში*, საიდანაც 1982 წელს ჩასახლდნენ სოფ. *იანეთში*.

1944 წლამდე ცხოვრობდნენ ადიგენის რაიონის სოფ. *ვარხანში* ისე, რომ საბჭოთა თურქულ-აზერბაიჯანული გვარი არ მიუღიათ და *ბახტაძეები* იყვნენ. მისი დედაც ვარხნელი იყო გვარად *შაჰმურადოვა*. მასაც ჰქონია წინაპართა ქართული გვარი, მაგრამ შთამომავალთა ხსოვნას არ შემორჩა.

*აბდულას* პაპას ერქვა *შახანი*, რომელსაც ჰქონდა მეტსახელი *ბალბანი* — ბაღის მომვლელი. ამ მეტსახელმა დაუდო სათავე ახალ საბჭოთა გვარს, რომელმაც შეცვალა ქართული *ბახტაძე*.

აბდულას მეუღლე *კამილა ბაგბანოვას* ქართული გვარი იყო *მახარაშვილი*, რომლის დედა და მამა იყვნენ ადიგენის რ-ნის სოფ. *თუთაყვარიდან*. ისინი შეუღლდნენ ნალჩიკში. მისი საბჭოთა გვარი იყო *სალახოვა*. იგი დაიბადა აზერბაიჯანში.

აბდულა ბაგბანოვის მონათხრობი: „1944 წელს, როდესაც გაასახლეს მაჰმადიანები მესხეთიდან, მამა ომში იყო წასული *ბახტაძის* გვარით. 6 წელს იმსახურა. დაბრუნებულმა ნახა, რომ მისი ოჯახის წევრები აღარ იყვნენ სოფ. *ვარხანში*. აიღე ეს გვარი — *ბაგბანოვი* და ეძებე შენი ნათესავები შუა აზიაში — უთხრეს მას. ასე დატოვა აბდულას მამამ გვარი *ბახტაძე* და მიიღო ბაგბანოვი. აბდულას მამას ერქვა *ყარა*.

*ბაგბანოვები* დღეს გარდა იანეთისა, ცხოვრობენ აზერბაიჯანში *საათლის* რაიონის სოფ. *ვარხანში*, *კრასნოდარში* სოფ. *დოლგამესავში* და *ნალჩიკში*. ისინი ყველანი არიან ბიძაშვილები და მათი წინაპრების გვარი იყო *ბახტაძე*.

*ბერიძე ანზორ (აზიზ) ბილალის ძე*. დაბადებულია 1910 წელს, მას მალე 100 წელი შეუსრულდება. ცოცხალი მატიანეა მე-20 საუკუნისა და მესხთა ცხოვრებისა. იგი დაიბადა სოფ. *მუგარეთში*. მისი მეუღლე იყო *დიასამიძე ალექსანდრა ევგენის ას*, დაბადებული 1924 წელს სოფ. *ვალეში*. ალექსანდრა მოვიდა ქართულის მასწავლებლად მუგარეთში,

იყო მართლმადიდებალი, ვარძიაში მონათლული, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ გაჰყოლოდა მუსლიმ აზიზს.

აზიზს (ანზორს) ჰყავდა ბებია *ევა ბერიძე*, ისიც მუგარელი იყო, გათხოვილი *ტატანისელ* კაცზე, რომლის გვარიც შთამომავლებს და აზიზს არ ახსოვთ, რადგან, როგორც ჩასიძებულმა, მიიღო ბებიის გვარი ბერიძე და ამ გვარით ცხოვრობდნენ ისინი.

აზიზს (ანზორს) ჰყავდა ძმები მუსტაფა, ყარამანი (საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტეტი იყო) და ჰუსეინი, რომელიც სამამულო ომში დაიკარგა. თვითონ აზიზი (ანზორი) ომში იბრძოდა. თავმჯდომარე იყო სოფ. მუგარეთში ომში წასვლამდე, 1941 წლის 22 ივნისამდე და დაბრუნების შემდეგაც 1943 წლამდე.

მათი საგვარეულო სახელი იყო *ბერავგილლარ//ბერავგილები//ბერაველები//ბერავლიები*. ზედსიძე პაპის შთამომავლებს *მეფურნეებსაც* ეძახდნენ *(//მეფურნეგილ-ლარ)*, რადგან პაპა ფურნის სპეციალისტი ყოფილა.

სოფ. მუგარეთში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: *თამარაშვილები//თამარაძეები, მამუკაშვილები//მამუკაძეები, კოტაძეები, სვანიძეები, ტატაშაშვილები, გენჯოძე//გენჯოშვილი, ბესოშვილები, ქოჩორაძეები //ქოჩორაშვილები, თოსოძეები, თურქამაძეები, ქალაქულაძეები* (მოსულები იყვნენ ქალაქიდან), *რასოძე*.

ეს გვარები ანზორ (აზიზ) ბერიძის თქმით უბნებად ცხოვ-რობდნენ.

მოვიყვან ადგილის სახელთა ჩამონათვალს, რომელიც ჩაიწერე 1910 წელს დაბადებული ა. ბერიძისაგან: *ბევის წყალი, ბეგიყანები, ლრმალელე//ლაშიალელე//ლაშიღელე, ოგოზები, წყლისპირა, ღელეთი, ღარდა, უღელდაკარგულა, ნიფხავათი, ფერსელები//ფერსელების კიდე//ფერსელაური// ფერსელავრი, მორგვათი, ქვიანყანები, მინდორი, ჭორიები, კევთი, ხმელჭალა, ფიქალსათალი, ქედისპირები, ვიზირიღელე, ჩაჩაგზა, ყურუციხე//ყრუციხე, საბძელა, გვალჭალა, გვალჭალიწყალი//თიების წყალი, ნარუჯის წყალი// ნარუჯიწყალი, რავაზანახნავები, ყანიყოშლა, წყალწითელა// წყალგაყრილა, მოდრეკილა* და სხვ.

1944 წელს გაასახლეს *უზბეკეთში, ნამანგანში, უჩკურგანის* რაიონში. 1957 წელს ჩამოვიდნენ მახარაძეში, ლაითურის ჩაის მეურნეობაში. მათი დაბრუნებით უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა, ანგარიში გაუწიეს ძმის დეპუტატობას. 1970 წელს გადავიდნენ განჯაში (აზერბაიჯანი), საიდანაც 1984 წელს ჩამოვიდნენ ახალციხის რაიონის სოფ. მუგარეთში. ბერიძეებს გვარი არ შეუცვლიათ.

წარმოშობით იყვნენ სოფ. ადიგენიდან. *თუიღუნაშვილი ფერეიდინ (ფრიდონ) ბინალის ძე.* თავიდან ჩავიდნენ ნამანგანში, ბოლოს ცხოვრობდნენ ტაშკენტში. ოჯახი გაასახლეს *თუიღუნაშვილის* გვარით. შუა აზიაში ჩასვლისთანავე შეუცვალეს გვარი და მისცეს *ბინალიევი,* მამის სახელის მიხედვით. დაუტოვეს მამის სახელიც – *ბინალიევ ფერეიდინ ბინალიევიჩ.* მისი მეუღლეა *ნურიდინოვა როზა ურაინის ასული.* როზა წარმოშობით არის სოფ. წინუბნიდან მისი ქართული გვარია *გოჩაძე.* საბჭოთა გვარი მისცეს შუა აზიაში. როზას დედა გაიზარდა ბავშვთა სახლში. ცხრა წლის დაობლდა. ნათესავებმა გაარკვიეს, რომ მისი დედის გვარი იყო *გოჩაგილარ (გოჩაძე ან გოჩაშვილი).* საარქივო მონაცემების მიხედვით *გოჩაძეა* და არა გოჩაშვილი. მამის გვარი იყო *დადაგილარ* (დადა-პაპა). *პაპიძე* თუ *პაპაშვილი,* მაგრამ შთამომავლობამ აიღო დედის გვარი.

*თუიღუნაშვილის* დედის საბჭოთა გვარი იყო საბიტოვა. მათი მეტგვარი იყო *თურქმანგილარ.* ვინც საზღვარს იქითა საქართველოდან მოვიდოდა ყველას თურქმანგილარად მოიხსენიებდნენ. მაგ. სოფ. *ფოცხოვიდან წაბანში* ჩამოსული კაციც თურქმანგილარია. ბევრი იყო ისეთი, ვინც წავიდოდა თურქეთში, ვერ დამკვიდრებდებოდა იქ, დაბრუნდებოდა და მასაც ასევე მოიხსენიებდნენ მეტგვარით. პასკევიჩის ომის შემდეგ ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობა გაიფანტა. ზოგი მათგანი ბარში ჩამოვიდა და მათ *ჯავახეთგილარად* მოიხსენიებენ.

საურთიერთობო ენა თურქული იყო, ამიტომაც ახალი შტო-გვარების შექმნაში ძირითადად თურქული ლექსიკა მონაწილეობდა. ადგილობრივებში სჭარბობდა ქართული ლექსიკა მეტსახელებში და შესაბამისად მეტგვარებში.

განაყოფთა სახელები და გვარები ხშირად ერთი და იგივე იყო. ქალბატონი *როზა გოჩაძე* გვაწვდის სოფ. წინუბნის განაყოფთა სახელებს, რომლებიც გვარებიდან გამომდინარე უნდა იყოს:

გოჩაგილ – *გოჩაძე*, მულლაგილ – *მოლაძე*, თორაგილ *თორაძე*, თოთორაგილ – *თოთორაძე*, თოფილგილ – *თოფილიშვილი*, ბექიგილ – *ბექიძე*, ჩოლოხგილ – ჩოლოხიგილ, კუკუვაგილ - *კუკუვაძე*, ზელოგილ – *ზელოძე*, ხასანგილ – *ასანიძე*. (გაზეთი „ფესვები“, აგვისტო, 2005 წ. №8, გვ. 5). როზა გოჩაძე დღეს ახალციხეში ცხოვრობს.

*ერისთავი* სამოხელეო ტერმინია. *ივ. ჯავახიშვილის* აზრით ერისთავი იყო მმართველი ადმინისტრაციული ერთეულის, საერისთავოს გამგებელი. ერისთავს, გარდა აღმასრულე-ბელი ფუნქციისა, გააჩნდა სასამართლო და ფისკალური ფუნქციებიც. რაც მთავარია, ერისთავი სარდლობდა საერისთა-ვოდან გამოსულ ჯარს. ერისთავის დანიშვნა და გადაყენება მთლიანად მეფის პრეროგატივა იყო. ერისთავს ემორჩილებოდა მოხელეთა მთელი აპარატი. გამგებელი (ერისთავის მოადგილე), მწიგნობართუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მამასახლისი და სხვა. ერისთავობის ინსტიტუტი შემოიღო ფარნავაზმა ძვ. წელთაღ-რიცხვის III საუკუნეში და არსებობდა XV საუკუნის ბოლომდე, როგორც სამოხელეო თანამდებობა. ერისთავი პირველ რიგში საერისთავოს გამგე იყო, მასვე ევალებოდა თვალყურის დევნება სახელმწიფო გადასახადების აკრეფაზე. ერისთავს ექვემდება-რებოდნენ აზნაურები, გლეხები და ეკლესიებიც კი იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო მთავრობასთან ჰქონდათ დამოკიდებუ-ლება (ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002, გვ. 299)

*ლეონტი მროველის* მიხედვით ფარნავაზმა რვა საერისთავოდ დაყო საქართველო. რვიდან სამი იყო მესხეთში.

„მეხუთე გაგზავნა *წუნდის ერისთავად*, და მისცა ფანვარითგან, ვიდრე თავადმდე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი.

მეექვსე გაგზავნა *ოძრჴის ერისთავად,* და მისცა ტაშისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტეს თავითგან ზღუადმდის, რომელ არს *სამცხე* და *აჭარა.*

მეშვიდე გაგზავნა *კლარჯეთის* ერისთავად, და მისცა არსანითგან ზღუამდე"... (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 24)

ერისთავობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ცენტრად მესხეთი ჩანს, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ მხრივ ერთ-ერთი დაწინაუ-რებული მხარეც ის იქნებოდა. რადგან ერისთავობა, როგორც ინსტიტუტი, როგორც სამოხელეო თანამდებობა, არსებობდა მე-16 საუკუნემდე, სწორედ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი გვარად ქცევაც.

სოფ. ადიგენში 1886 წლის აღწერის მიხედვით ცხოვრობდა *ერისთავი* (კ. ბარათაშვილი, გვ. 25).

ადიგენელმა ერისთავებმა 2004 წლამდე მოაღწიეს. კერძოდ, ქალბატონი *სახმან ერისთავი* ცხოვრობდა ადიგენში. იგი გათხოვილი იყო თბილისში *ნავრუზოვზე,* ამიტომ არ გაასახლეს. ეს ქალბატონი ღრმად მოხუციც კი ზაფხულობით ჩამოდიოდა აბასთუმანში.

ახალციხის მკვიდრის, რ. ანდღულაძის ინფორმაციით წარბასთუბნის ტყე ყოფილა ერისთავებისა. ერისთავთა ერთერთ ძმას არ გაუყიდია ეს ტყე და არც გაუჩეხია, სწორედ მისი წყალობით შემორჩა ტყე დღევანდლამდე.

სწორედ ადიგენელი ერისთავების შესახებ წერს გ. ბოჭორიძე 1932-1933 წლებში სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას: *„ადიგენი.* აქ არიან გადმოსახლებული *კეკელიძე, მაკარიძე, ჩოკაძე, ლორთქიფანიძე, ერისთავი-ჩიჯავაძე სულეიმან ბეგ.*

ადიგენის მცხოვრებ *სულეიმან ერისთავმა* შემოსწირა 4 ბარათი" (გ. ბოჭორიძე, გვ. 81) მოყვანილი ციტატის მიხედვით აშკარაა, რომ ბეგი აქ წოდებაა და არა სახელის (სულეიმანბეგ) ნაწილი.

ერისთავები ცხოვრობდნენ *აბასთუმნის* გარდა სოფ. *მარელში.* მე-19 საუკუნის ბოლოს სოფ. მარელში ოთხი ძმა ცხოვრობდა, რომელთაც ბეგებად მოიხსენიებდნენ და, რომლებიც იყვნენ ერისთავები (*რ. ანდღულაძე).*

მარელელებს საზაფხულო საძოვრები ჰქონდათ გოდერძის მთებში. მარელელები თავიანთი გარეგნობითა და ვაჟკაცობით იყვნენ ცნობილი. „მარლის ეილების ძირზე არის დიდი ნასოფ-ლარი. აქ არის ერთი ფიქალი ზომით 2,5X1,3X0,22, რომელიც ხუთ ძმას გაუდვია სახლის თავზე. სახლი ახლა დანგრეულია“ (გ. ბოჭორიძე, გვ. 149).

*ადიგენში* 1886 წელს 85 ოჯახი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. 300 მამაკაცი და 273 ქალი.

*მარელი* იმავე პერიოდში ორი პატარა სოფლით არის წარმოდგენილი, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობდნენ და ერთი ნაწილისთვის უკვე „თათარი“ უწოდებიათ.

1970 წელს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ს. ხოსიტა-შვილის მიერ შედგენილი დოკუმენტის მიხედვით *ერისთავები* ცხოვრობდნენ აგრეთვე ადიგენის რაიონის სოფლებში – *ჭეჭლასა და ლორთუბანში*

ადიგენელი ერისთავები პირდაპირი შთამომავლები არიან *თორნიკე ერისთავის*. მესხეთის მთავარი დავით დიდი კურაპალატი იმდენად გაძლიერდა, რომ 979 წ. მას დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორმა *ბასილმა,* რომელსაც თავისი სარდალი *ბარდა სკლიაროსი* აუჯანყდა. დავითმა კეისრის დასახმარებლად 12000 მესხი ცხენოსანი გაგზავნა „რომელსაც სათავეში ედგა უკვე მოხუცი, მაგრამ ბრძოლებში გამოცდილი სარდალი თორნიკე ერისთავი. საინტერესოა, რომ თორნიკე ერისთავის პირდაპირი და გამაჰმადიანებული შთამომავალნი ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ სამცხის სოფ. ადიგენში და ამავე გვარს ატარებდნენ“ (შ. ლომსაძე, 2000., გვ. 7).

ერისთავები რუსეთის შემოსვლის შემდეგაც კი იყვნენ ქვაბლიანის სანჯაყ-ბეგები (შ. ლომსაძე, 2000, გვ. 51).

მე-16 საუკუნის ბოლოს ს. ჯიქიას მიხედვით იყო *ქვემო მარელი.* და *ზემო მარელი.* ქვემო მარელში 22 კომლია, ხოლო ზემოში – 12 კომლი, 1831 წელს ქვემო მარელში 5 კომ-ლია, ზემოში – 3. 1870 წელს ცნობილი იყო ერთი მარელი (ს. ჯიქია, 1958, გვ. 91).

მე-16 საუკუნეში ქართული მოსახლეობაა ორივე მარელში და მათ ქართული სახელები აქვთ, მაგალითად: *ბადურა, გარსევან, ხიზანა, ელია, შაქარა, ვარძელ, იოსებ, მახნია, მახარა, იორდანე, კაკალა, მჭედელი, გრიგოლ* და სხვა, თუმცა ორი ძმისთვის უკვე მოდაში შემოსული ოსმა-ლური სახელებიც დაურქმევიათ: *ჯანაზიზი* და *ფირაზიზი* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 61).

მარელელი ერისთავების შთამომავალია სოფ. იანეთში მცხოვრები *ტელმან ერისთავი*, რომლის საბჭოთა გვარი იყო *სულთანოვი*.

ოჯახური ტრადიციის მიხედვით ისინი იყვნენ *ქვემო მარელის* მცხოვრებნი და ჰქონდათ *ალას* წოდება.

იგი გადასახლებიდან დაბრუნდა 1985 წელს ჯერ სოფ. ბანძაში, შემდეგ ხონის რაიონის სოფ. ახალშენში და 1991 წლიდან სოფ. იანეთში. მისი მეუღლე არის საბჭოთა გვარით *იბრაგიმოვა* და ძველი ქართული გვარით *ჩხეიძე*. მისი დედა იყო *პიპინაშვილი*, ასევე სოფ. მარელიდან, მისი საბჭოთა გვარი გადაკეთდა არა მამისსახელობის მიხედვით, არამედ ქართული გვარის რუსული დაბოლოებით, ამიტომ იგი იწოდებოდა *პიპინოვად* ან *ფიფინოვად*.

საინტერესოა ერთი დეტალი, რომ პიპინაშვილებს მათი შთამომავალი ტ. ერისთავი *ბეგებად* მოიხსენიებს. ეს იყო ოჯახური ტრადიცია. დედ-მამის მხარე ორივე მაღალი წოდებისა იყო.

ერისთავები დღეს მესხეთში აღარ ცხოვრობენ, რადგან მესხი ერისთავები მუსლიმები იყვნენ. საქართველოში დღეისა-თვის 854 ადამიანია ერისთავი, მათ შორის თბილისში 399, ქუთაისში – 128, ვანში 103 (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვ. 81). რაც შეეხება ერისთავის დედის გვარს, პიპინაშვილი მხოლოდ 48 ადამიანის გვარია, რომელთა უმრავლესობა თბილისში ცხოვ-რობს (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვ. 163).

ახალციხეში ცხოვრობს თავის შვილიშვილებთან ერთად ჰაიდა იუსუპოვა, რომელიც დაბადებულია 1930 წელს ადიგენის რაიონის სოფ. *ფლატეში*.

გადასახლების დროს იყო მე-7 კლასში, ამიტომ კარგად ახსოვს იმდროინდელი *ფლატე*, როდესაც გვერდიგვერდ

ცხოვ-რობდნენ, მისი თქმით, მართლმადიდებლები და მაჰმადი-ანები: *ბოლქვაძე//ბულქვაძე, ჭიჭინაძე, ხოდოძე, სალარიძე.*

მასვე ახსოვს ფლატის ტოპონიმები: *ჯვარი* (ყანა); *მამისა* (ყანა); *ლიჩხეთი//ლიწყითი* (მინდორი); *ფლატისმანი* – (ბაღები, არზნეს მხარეს); *წყარო* (ფლატისმანში); *გადო* (მთები აფიეთის მხარეს. ხომ არ არის ღადო?); *ჭანჭურები//ჭანჭურების გზა* – (გზა, ბაღები, არზნეს მხარეს); *შავწყალი* (წყარო); *ჯაზიგელ//ჯაზის ტბა* (ტბა, კუდიანის ტბა. სოფლიდან შორს იყო მთებში).

ჰაიდას ქართული გვარი იყო *ზაზაძე.* ზაზაძეები ძირითადად ცხოვრობდნენ ფლატეში.

*ზაზაძე* გავრცელებული გვარი იყო მესხეთში. მართლმადიდებელი ზაზაძეები ცხოვრობდნენ *ვარძიის* თავზე სოფ. *აგარაში,* რომლებიც ჩამოსახლდნენ ქვემოთ და დღეს სოფ. *თმოგვში* ცხოვრობენ, ხოლო კათოლიკენი სახლობდნენ სოფ. *უღეში.*

ზაზაძე არის ჰაიდეს მეუღლის ისლამის გვარი, რომელსაც საბჭოთა გვარი იუსუპოვი მისცეს *უზბეკეთში,* რადგან ისლამის მამას ერქვა იუსუპი. ისლამის დედა იყო სოვ. *წახნიდან,* გვარად *ხუციშვილი.*

ჰაიდას ქალიშვილობის გვარი იყო *სალარიძე* და მისი მამაც სოფ. ფლატეს მკვიდრი იყო.

ადიგენის რაიონის სოფ. *ზემო ენთელში* არის 1927 წელს დაბადებული *სალიმ შაქირის ძე ხამდიევი (ჰამდიევი),* ხოლო 1930 წელს დაბადებული ფატიმა რუსტამის ასული იყო სოფ. *ლორთუბნიდან.*

სალიმ ხამდიევის ქართული გვარი იყო *თავაძე,* ხამდიევი მისცეს გვარად *უზბეკეთში,* როდესაც ჩაასახლეს *ქ. ფერგანაში.* შემდეგ მათი ოჯახი გადავიდა *აზერბაიჯანში* 1989 წელს, ხოლო 2003 წელს ჩამოვიდნენ ახალციხეში.

ხამდი||ჰამდი ერქვა სალიმის პაპას. სალიმის ბებია იყო სოფ. *შოლავერიდან.* მისი ქართული გვარი არ ახსოვთ.

თავაძეები ბევრნი ყოფილან, ამიტომ მათ განაყოფს ერქვა *გოლაშაქირგილ.*

დღეს ახალციხეში დედასთან ერთად ცხოვრობს *რამიზ იბრაგიმოვი.* რამიზის მამას ერქვა ათამი, რომელსაც ჰქონდა

გვარი *თოფჩიშვილი.* ასევე თოფჩიშვილები იყვნენ მისი ძმები: *ლატიფშაჰ, გველიშაჰ* და *ხულიშანი.* ისინი ყველანი თოფჩიშვილები იყვნენ და ცხოვრობდნენ ადიგენის რაიონის *სოფ. ჩორჩანში.* ლატიფშაჰი დაილუპა სამამულო ომში. დანარჩენებიც იბრძოდნენ ფრონტზე. დაბრუნდნენ ომიდან ჯერ ადიგენში, შემდეგ წავიდნენ ტაშკენტში, სადაც მისცეს მას მამის სახელობის მიხედვით *იბრაგიმოვი* გვარად. რამიზის დედა *ნერხანი* ეცადა გვარის აღდგენას, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

მიუხედავად დიდი ზეწოლისა ბევრმა მაჰმადიანმა ბოლომდე შეინარჩუნა ქართული გვარი,.

სოფ. აბასთუმანში ცხოვრობდნენ *მაკარიძეები. ალადინ მაკარიძე* და მისი ოჯახი დღეს ცხოვრობს ახალციხეში. მისი წინაპრები იყვნენ სოფ. *ადიგეიდან.* თვითონ ალადინი უზბეკეთში დაიბადა. მისი მეუღლის *სალფირას* საბჭოთა გვარი არის *მამედოვა,* რადგან მამედი ერქვა მის პაპას. ისინი იყვნენ წარმოშობით სოფ. *ჭეჭლიდან,* ხოლო ქართული გვარი ჰქონდათ *პიპინაშვილი.*

*მაკარიძეთა* ოჯახი შუა აზიიდან ჩასახლდა აზერბაიჯანში, საიდანაც 1989 წელს გადმოვიდნენ ახალციხეში.

სოფ. ადიგენის ერთ-ერთი უბანი ყოფილა *ოსეთი,* სადაც უცხოვრიათ *მაკარიძეებს.* ჭეჭლაში ნახევარზე მეტი პიპინაძეები იყვნენ.

მაკარიძეების განაყოფთა თურქული წარმოება ინარჩუნებს ძე დაბოლოებას, ხოლო პიპინაშვილისა – არა. შესაბამისად გვექნება: *მაკარიძე-გილ* და *პიპინა-გილ.*

ადიგენის რაიონის სოფ. ჩურჩუტოდან არის წასული *ნუსრედინ მამისაშვილის* ოჯახი. მათ საქართველოში ქართული გვარი ჰქონდათ. როდესაც ტაშკენტში ჩავიდა ნუსრედინის მამა *მუსტაფა,* შეუცვალეს ქართული გვარი და მისცეს *მამედოვი.* გავრცელებული ტრადიციის მიხედვით მამის ან პაპის სახელი უნდა დადებოდა საფუძვლად გვარს. მიუხედავად იმისა, რომ ნუსრედინის პაპის სახელი იყო *თეიფური,* მუსტაფას რატომღაც გვარად *მამედოვი* მისცეს. ნუსრედინი დაიბადა სამარყანდში ბულუნგურის რაიონში 1952 წელს.

1957 წელს გადავიდნენ სირდარიის ოლქში (უზბეკეთში), საიდანაც 1983 წელს მისი მამა ჩამოვიდა იანეთში.

ადიგენის რაიონის სოფ. *ჩურჩუტოდან* იყო *მურადინ მუსტაფაევი*, ხოლო მისი მეუღლე მუსტაფაევა ფიქრია წარმოშობით იყო ადიგენის რაიონის სოფ. *კორტობიდან*. ინფორმატორი, ქალბატონი ფიქრია, ჩურჩუტოს პარალელურ ფორმად ხმარობს მის ფონეტიკურ ვარიანტს – *ჭურჭუტოსაც*. მუსტაფაევების ქართული გვარი იყო *მამისაშვილი*. ფიქრიას ქალიშვილობის გვარია – *შადმანოვა*, ხოლო ქართული გვარი – *ჩაქმაძე*, ასე უთხრა დაბეჯითებით მისმა მამამ, რომელიც დაბადებული და გაზრდილი იყო სოფ. *კორტობში*.

ფიქრია მუსტაფაევას მაგალითი სხვა მხრივაც არის საინტერესო. რაოდენ დიდი იყო საკუთარი ფესვების სიყვარული ოჯახში, რომ ფიქრიას მამამ გადასახლებაში მყოფმა, სადაც ყველაფერი ქართული იკრძალებოდა, თუ ვინმეს ჰქონდა ქართული გვარი, უცვლიდნენ და შვილს კი ქართული სახელი *ფიქრია* დაარქვა.

ფიქრიას შვილი *ფაბარი* უკვე ცალკე ოჯახია, მან აღიდგინა ქართული გვარი და *მამისაშვილია*. მისი ცოლი არის ფატიმა ბაგბანოვა. ისინი დაოჯახდნენ იანეთში.

ადიგენის რაიონის სოფელ *ვარხნიდან* არიან *ქამალოვი* ომარ, დაბადებული 1932 წელს და ქამალოვა მახშალი დაბად. 1936 წელს. ომარმა თავისი ქართული გვარი არ იცის, მის მამას ერქვა *ქამო*, პაპას – *შაჰა*. ომარის დედაც ახმედოვა ხაია სოფ. ვარხნიდან იყო. მისი გვარი მოდიოდა მამის, ახმედის სახელისაგან.

თავდაპირველად ისინი ჩაიყვანეს ფერგანის დაბლობზე სოფ. ხავასტში, რომელიც მთაგორიანი ადგილი იყო, ხალხი ცოტა სახლობდა, შიმშილობა და გაჭირვება სუფევდა.

1952 წელს ოჯახი გადავიდა *აზერბაიჯანში*. ვარხნელებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა. ვარხანთან ახლოს იყო სოფ. *ბარჯამი*, საიდანაც ასევე გაასახლეს მოსახლეობა.

ვარხნელები და ბარჯამელები თავიდანვე აქტიურობდნენ სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი გაიხსენა ომარმა: 1956 თუ 57 წლებში უფროსი თაობის ადამიანები მივიდნენ საქართველოს ცეკაში, სადაც გამოყვეს

მანქანები, წადით, სადაც გინდათ, რომელ ადგილსაც აირჩევთ, იქ დაგასახლებთო. *ვარხნელებს* და *ბარჯამელებს* უნდოდათ თავიანთ სოფელში, ხოლო ხელისუფლება საქართველოს სხვა ადგილებს სთავაზობდა, რადგან სასაზღვრო ზონა იყო ადიგენის რაიონი. სხვა ადგილზე დაბრუნებას არ თანხმდებოდნენ ჩამოსულები და უკან გაბრუნდნენ.

ამ დროს ერთ საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი. თბილისში ჩამოსულები შადრევნის გარშემო ისხდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოიყვანეს ახალგაზრდები მოხუცთა საცემად, ეტყობა პროვოკაციის მიზნით. მოხუცებმა რომ დაიწყეს ქართულად ლაპარაკი და უთხრეს: ჩვენ მოვედით მშობლიურ მიწაზე სამშობლოში და არა საგინებლად, საჩხუბრადო, ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ სხვაგვარი ინფორმცია ჰქონდათ ზემოდან მიღებული, ამიტომ შეურაცხოფა შეწყვიტეს და წავიდნენ. ქართული ენა სოფელში ყველამ იცოდა, ხსოვნა იმისა, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ არსებობდა, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების ორმაგმა თამაშმა და თავისი ქვეყნის მტრობამ, არაეროვნულმა პოლიტიკამ ყველაფერი გააფუჭა მათი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე.

ომარ ქამალოვის გვარი ახალია და მამის სახელიდან მოდის. მართალია იგი ბრძანებს, რომ მამას ერქვა სახელო *ქამო*, მაგრამ ეს არის *ქამალის* კნინობით-მოფერებითი ვარიანტი. აშკარაა ქართული გარემოს კვალი. თურქული ენის საფეძველძე *ქამალიდან ქამოს* მიღების ახსნა გაჭირდება, ქართულში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

დღეს ჭირს ზუსტად ქამალოვთა ქართული გვარის დასახ-ელება, თუმცა შეიძლება ყოფილიყო ვარხნელიძე, როგორც ტოროშელიძე (←ტოლოშელიძე), ვარსკნელიძე და სხვა.

ახალციხის რაიონის სოფ. *ანიდან* არის წარმოშობით *ბაირამ იზატოვი*, დაბადებული 1967 წელს, რომლის ქართული გვარი იყო *შაქრაძე* სოფ. ბენარიდან არის. 1942 წელს დაბა-დებული მისი დედა *ზეინაბ ტაიროვა*, მისი ქართული გვარი იყო *ორბიძე*. სოფ. *ანში* ცხოვრობდა ბაირამის მამა *ბალაბეკი*.

უზბეკეთში ცხოვრობდნენ ისინი გადასახლების შემდეგ, საიდანაც 1964-1965 წლებში გადავიდნენ აზერბაიჯანში, *საბირამდში*. აზერბაიჯანიდან 1982 წელს ჩავიდნენ *იანეთში*. ოჯახმა ზუსტად იცის თავისი ქართული გვარი *შაქრაძე* და დედის გვარი.

ადიგენის რაიონის სოფ. *ქიქინეთიდან* არის წარმოშობით მუსტაფა *იბრაგიმოვი*, რომლის ქართული გვარი იყო *ჩხეიძე*. ჩხეიძის გვარით ცხოვრობდა მისი პაპა. მუსტაფას დედის საბჭოთა გვარი არის *ბილალოვა*. მისი ქართული გვარი არ ახსოვთ, ის კი იციან, რომ დედა სოფ. ყურათუბნიდან იყო. ისინი გადაასახლეს 1944 წელს სირდარიის ოლქში, საიდანაც 1983 წელს ჩამოსახლდნენ იანეთში. იბრაგიმოვთა გვარის ყველა ნათესავი არის ჩხეიძე, ისინი ცხოვრობენ *რუსეთში* –კრასნო-დარის მხარეში, *აზერბაიჯანში* – ხაჩმაზში. *იანეთში* ცხოვრობს ორი ძმა, რომელთაც აღიდგინეს ქართული გვარი და ჩხეიძეები არიან: მუსტაფას გარდა იანეთში ცხოვრობს მისი ძმა ალიხანი.

ადიგენის რაიონის სოფ. *ბოლაჯურიდან* არის წამო-სული *იზნოთა* გვარი. საინტერესოა იზნოთა გვარის წარმომავლობა. *იზნო* რქმევია ტოფიკის მამას, როდესაც გვარი ჰკითხეს, მან ტრადიციულად მამის სახელი დაასახელა და ჩაუწერეს გვარად. მეუღლის გვარია *ტაქსიროვა*.

დღეს ოთხი ოჯახია იანეთში ამ გვარით. გარდა ტოფიკ იზნოსი, ცალკე ოჯახები აქვთ მის შვილებს: *შაფიკს, ნურის, რუსტამს*.

მათი საბჭოთა გვარი უნდა ყოფილიყო *სეიფიევი*, ხოლო დედის გვარი – *იბრაგიმოვა*. ოჯახს კარგად ახსოვს წინაპრების ქართული გვარი *ჭინჭარაძე*. არ ახსოვთ დედის ქართული გვარი. ბებიას *ფამზა* ერქვა.

1976 წელს სამცხე-ჯავახეთის მაშინდელი მუზეუმის დირექტორის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სერგო ხოსიტაშვილის მიერ შედგენილი დოკუმენტის მიხედვით გარდა *ჭინჭარაძეებისა* სოფ. ბოლაჯურში ცხოვრობდნენ *სარაშვილები* და *ბალდოშვილები*.

დღევანდელ მესხეთში, ბოლო ორი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ, ხოლო *ჭინჭარაძეები*, როგორც ჩანს,

მხოლოდ მაჰმადიანები იყვნენ. გვარი მიღებულია ადამიანის საკუთარი სახელისაგან – *ჭინჭარა*. ჭინჭარაძე გავრცელებული გვარია საქართველოში. სახლობენ ისინი თბილისში, ქუთაისსა და ჩოხატაურში. ამავე საკუთარი სახელიდან მოდის სხვა ქართული გვარები: *ჭინჭარაშვილი* და *ჭინჭარაული*.

ჭინჭარი, საიდანაც მიღებულია საკუთარი სახელი ჭინჭარა და მერე ჭინჭარაძე, მსუსხავი ბალახია. მას ძველ ქართულში *ჯინჭარი* ერქვა, ამიტომ ამ ძირისგანაც გვაქვს ქართული გვარი *ჯინჭარაძე*, ასევე გავრცელებული საქართველოში.

*ტოფიკი* 7 წლისა იყო, როდესაც გაასახლეს. ახსოვს ზოგიერთი ადგილის სახელი, მაგალითად *რიყიანი // როყიანი, ციხის ძირი*. მთა ანუ დაბლა სოფ. *სმადასთან* და *ვარ-ხანთან* ერთად გვერდი-გვერდ ჰქონდათ.

გადასახლების შემდეგ, 1983 წლამდე ცხოვრობდნენ შუა აზიაში, *სირდარიის* რაიონში, საიდანაც ჩამოვიდნენ სოფ. *იანეთში*.

ტოფიკი წასული იყო 10 წლის განმავლობაში რუსეთში და ბოლოს ისევ ჩამოვიდა იანეთში.

გვარი იზნო, რომელიც მამის სახელი იყო ტოფიკისა, საინტე-რესოა თავისი ფორმით. ის, ისევე, როგორც ქამალიდან მივიღეთ ქამო (იხ. ომარ ქამალოვის მამის სახელი) *იზმაილიდან* ან *ისმაილიდან* მივიღეთ კნინობით-მოფერებითი ფორმა *იზნო*.

შემთხვევითი არ არის, რომ, ტოფიკის სამივე ძმას სხვადასხვა გვარი აქვს: *ისვადიევი, სეიფიევი, მურადოვი*. ისინი ყველანი წარმოშობით არიან *ჭინჭარაძეები*.

ტოფიკმა და მისმა შვილებმა რამდენჯერმე დაწერეს განცხადება გვარის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ბიუროკრატიულმა აპარატმა ამის უფლება არ მისცა. დღეისათვის ტოფიკის ძმები ამერიკაში არიან და დაბრუნების შემდეგ იბრძოლებენ გვარის აღსადგენად.

ცოტა რამ უნდა ითქვას თვით სოფელ *ბოლაჯურის* შესახებ, საიდანაც არის წამოსული ჭინჭარაძეთა გვარი, რომელიც შემდეგ იქცა *იზნოდ*.

მე-16 საუკუნეში ბოლაჯურში 24 კომლი ცხოვრობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინდელ ოჯახში რამდენიმე ძმის ნაშიერი ცხოვრობდა და თითოეულში ოცდაათი-ორმოცი სული სახლობდა, შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ მის სიდიდეზე. სოფელი მთლიანად ქართულია. აქა-იქ თურქულ-ალმოსავლური სახელები გაჩენილა, მოდაში შემოსულა. მაგალითად: ერთ-ერთი ოჯახის უფროსი არის *შაპველი.* რატომ ვამბობთ, რომ ის ქართველია, რომ მოდაში შემოსული სახელი დაურქმევიათ მისთვის? შაპველის მამას ერქვა *ვარძელი,* ე. ი. ეს კაცი იყო შაპველ ვარძელის ძე. ვარძელი კი მხოლოდ ქართველებში გავრცელებული სახელია და ვარძიიდან წამოსულ კაცს შეიძლება რქმეოდა. ასევე შეიძლება ვიფიქროთ *ქიმაროსის, მაზანას, ქამაზას, ღულაბის* შესახებ. დანარჩენი, ძირითადად ტრადიციული ქრისტიანული სახელებია: *ბასილა, იორდანე, ნიკოლოზ, გიორგი, ბარნაბა, ზაქარა, ქრისტესა, თევდორე.* ძველი ქართული სახელები, რომელთაგან შემდეგში ბევრი ქართული გვარია მიღებული მრავლად აქვთ ბოლაჯურელებს: *გოგიჩა, ბატატა, ბექა, ბესელა, მატია, ოტია, წამალა, ძამანა, ნათენა.*

ამ ხალხის შთამომავლები მოვიდნენ მე-19 საუკუნემდე და მიიღეს შემდეგ ისლამის სარწმუნოება. 1914 წელს ალ. ფრონელი წერს, რომ ბოლაჯურში ბინადრობს 58 სული, რო-მელთა უმრავლესობა ქართველი მაჰმადიანია (ალ. ფრონელი, გვ. 44). ბოლაჯურში ორი რელიგიის კვალი კარგად აქვს დაფიქსირებული 1932 წელს *გიორგი ბოჭორიძეს.* „სოფლის ბოლოს არის დიდი ეკლესიის ნანგრევი, შენახულია მხოლოდ კედლები... იგი სულ თლილი ქვისგან ყოფილა ნაშენი. დღეს ქვა მცირედ ჰყრია ადგილობრივ, დანარჩენი წაულიათ ჯამესათვის მასალად და საძირკველში ჩაუყრიათ“ (გ. ბოჭორიძე, გვ. 90). იქვეა ქვა ძველი ქართული წარწერით. ამავე სოფელში იყო მეორე, შედარებით მცირე ზომის ეკლესია. უკვე უმოქმედო.

სოფელში მდგარა მისგითი, თლილი ქვისგან და კირისაგან ნაგები. „შიგნით აქვს ჭერი და აივანი შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით. ისინი და კედლები საუცხოოდ არიან მოხატული *ხეროს* მისგითისაებრ“ (გ. ბოჭორიძე, გვ. 91).

„მისგითი აუგიათ 40 წლის წინათ... მასალა ახალი მასგი-თისათვის ადგილობრივი დიდი ეკლესიიდან მოუტანიათ... კარი მისგითს ძველი აქვს შენახული. მას ქართული ეკლესიის კა-რი აქვს სავსებით“ (გ. ბოჭორიძე, გვ. 91). დაანგრიეს XIII საუკუნის ქართული ეკლესია (ვ. ბერიძე, 1970, გვ. 59) და ააშენეს ახალი მაჰმადიანური სალოცავი იმავე ქართველებისათვის.

მეცნიერის მიერ დახატულ გარემოს ორი სარწმუნოების ჭიდილის კვალიც ეტყობა და კულტურათა ურთიერთგავლენაც. მშენებლები ადგილობრივები ჩანან, რომლებიც, მართალია, ძველი, თავიანთივე წინაპრების ეკლესიის ქვით აშენებენ მიზგითს, მაგრამ გავლენას ვერ გაურბიან და შესასვლელ კარს ქართული ეკლესიის შესასვლელის მსგავსს აკეთებენ.

როგორც ს. ჯიქიამ გაარკვია, სოფ. *ბენარის* სახელი მოდის *ბალნარიდან* (ბალნარი → ბელნარი → ბენნარი → ბენარა) (ს. ჯიქია, 1958, გვ. 159)

მე-16 საუკუნეში ეს სოფელი ქართველებით იყო დასახლე-ბული, შემორჩენილია მაშინდელ მოსახლეთა სახელე-ბიც: *ზურაბ, ზაქარა, ელია, მამისარ, ენუქა, ვარძელ, ვარაზ-გულ, ბეჟან, დალბარა, დავით, ფირან, ჯანია, ლაშქარა, გო-გიჩა, გულა, ბუდაბა, ზაველა* (ს. ჯიქია, 1941, გვ. 117).

ბენარა გზისპირა სოფელი იყო, ამიტომ შედარებით ადრე მიიღეს იქ მაჰმადიანობა, შესაბამისად ადრე მოხდა ქართულ გვართა შეცვლაც. მე-19 საუკუნის ბოლოს სულ 12 კომლი ცხოვრობს ამ სოფელში, ხოლო მე-20 საუკუნეში, გასახლე-ბამდე მხოლოდ ერთი ქართული გვარია შემონახული, ეს არის *მღებრიშვილი.* ამიტომ, ბუნებრივია, რომ იანეთში მცხოვრებ *ტაიროვებს* არ ახსოვთ საკუთარი ქართული გვა-რი.

იანეთში ცხოვრობენ აგრეთვე *ლაზიშვილები* (იუსუ-პოვი) და *ცაცანიძეები* (ბაქიროვი). ლაზიშვილიცა და ცაცანიძეც გავრცელებული, ცნობილი გვარები იყო მაჰმადიან მესხებში.

ამგვარად, შეძლებისდაგვარად ვეცადე, მესხთა ერთ ნა-წილს, რომელიც დაუბრუნდა სამშობლოს, დავხმარებოდი საკუთარი წარსულის, წინაპართა წარმომავლობის გარკვევა-ში. ეს რთული საქმეა, რადგან დიდი იმპერიები ცდილობდნენ

ამ ერთი მუჭა ადამიანებისათვის აებნიათ თავგზა, დაეცილებინათ საკუთარი ძირებისათვის.

თუ რიგორ გამომივიდა, თავად მესხებისათვის მიმინდვია ამის განსჯა

*2006 წ.*

გამოყენებული ლიტერატურა:


1. კ. ბარათაშვილი, მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები, 1997
2. მარინე ბერიძე, რეპორტაჟები წარსულიდან, 2005
3. გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, 1992
4. ი. ვარსკნელიძე, ჩვენი ფესვები მესხეთის გულშია, 2000
5. რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, 2003
6. რ. თოფჩიშვილი, ეთნო-ისტორიული ეტიუდები, I, 2005
7. გ. კირვალიძე, ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა გვარები, ჟურანლი საბჭოთა სამართალი №7, 1989
8. დ. კოჟორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი, 1969
9. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975
10. შ. ლომსაძე, მესხები და მესხეთი, 2000
11. ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, 1979
12. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, 1991
13. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, 1997
14. Свод статистических данных о населении Закавказского края, 1893
15. ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1991
16. ტ. ფუტკარაძე, მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა, 2005

17. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურები, 1993
18. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 2003
19. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, 1941
20. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958

# რამდენიმე ქართული ანთროპონიმისა და ტოპონიმის ეტიმოლოგიის საკითხი

ორბელთა (ორბელიანთა) ფეოდალური საგვარეულო XII-XIII საუკუნეების საქართველოში ფლობდა ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი [ივანე... 2002: 508]. ორბეთი გამჭირვალე სახელია, ორბების ადგილს დაერქმეოდა ხოლმე. მასში -ეთ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩამოსცილდება ტოპონიმს, თუ მას დაერთვის წარმომავლობის სუფიქსი -ელ-ი. ვთქვათ: კახეთი და კახელი, იმერეთი და იმერელი, ბანძა (სოფელი) და აქედან გვარი ბანძელაძე. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, თვით დიდი სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანი, წერს ამის შესახებ: ,,განუტეხელი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო ჴელითა ქართლოჲსისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა და ადგილად სიმაგრისად... დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ციხისა მისგან მრავლით ჟამითგან ეწოდნეს ორბელიანნი, ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილისათა სახელისდებად მთავართა, ვითარცა მთეულთა მთეულნი, მრაჭველთა - მრაჭველნი და ჰერელთა - ჰეროსთონი, და ჯავახთა ჯავახნი, და კახთა კახნი და ლიხელთა - ლიხელნი და სხვანი მრავალნი [სტეფანოს... 1978: 28-29].

ტოპონიმთა დამახინჯება სამწუხარო ტენდენციაა[1]. ტენდენციურობა შეიძლება განაპირობოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გადაჭარბებულმა შეფასებამაც და მეზობელი ხალხების, ქვეყნების წარსულისა და დღევანდელობის შეუფასებლობამაც. ტოპონიმთა ეტიმოლოგიის არასწორი ინტერპრეტაცია ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ზოგიერთ მეცნიერს. მინდა მივუთითო ფაქტზე, როგორ ცდილობს ორი მეცნიერი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელი, თავიანთი ქვეყნების ენობრივ-კულტურულ არეალში მოაქციოს ქართული სოფლის სახელი, აწყური. აზერბაიჯანელი მეცნიერი წერს: ,,Также с гурами связаны названия сел Азгур (по-груз. Ацкури) в

Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г.Телави. Именно в этом регионе в IV-VI вв. действовали и проживали упомнившиеся сабиры [А. Юнусов, 1999].

ამ მეცნიერისათვის მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის ფუძეს, მაწარმოებლებს, საერთოდ, ლინგვისტურ მორფემებს. სიტყვის ნებისმიერ ნაწილში, თუ დაინახავს ბგერათა მისთვის მისაღებ თავყრილობას, იმ წუთში მისთვის სასურველ ეტიმოლოგიაზე იწყებს მსჯელობას. ა. იუნუსოვი არ მიუთითებს, საიდან აიღო ფორმა Азгури (არ არის გამორიცხული, რომ თავადვე შექმნა), რომელშიც გამოყოფს гур-ს და მას უკავშირებს თურქული მოდგმის ტომებს, საბირებს, რომლებიც, თურმე, სწორედ აწყურში ცხოვრობდნენ IV-VI საუკუნეებში. მათ დაარქვეს აწყურს სახელი. гур-ს კი გამოყოფს, მაგრამ, რადგან მისთვის სასურველ ფორმას ყოფს 2 ნაწილად, აღარაფერს ამბობს аз- ნაწილზე. ეტყობა, მასში გულისხმობს Азербаиджан-ს, რომლის ცნობილ შემოკლებასაც წარმოადგენს аз- ელემენტი.

მისი აზრით, Азгур-ის ქართული ვარიანტი არის Ацкури. ოღონდ არაფერს ამბობს, რატომ დასჭირდათ ქართველებს Азгури-ის Ацкур-ად ქცევა. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა (განსხვავებით აზერბაიჯანულისგან, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს აწყურის წარმოთქმას), წარმოთქვას აზგურიც და აცკურიც, მაგრამ არ სჭირდება ამის გაკეთება, რადგან ეს ფორმები მეორადია, ერთი მოგონილია, ხოლო მეორე (აცკური) რუსული ტრანსკრიფციის შედეგია და მას ქართულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სომეხი მეცნიერი მიიჩნევს: „Топоним Ацкур, несомненно, армянского происхождения. Как мы полагаем, это сложное словосостояшее из корней Ац и Кур" [Саносян, 2006: 35]. იქვე მიუთითებს პატივცემული მეცნიერი, რომ არსებობს, თურმე, Ацкур-ის გაქართულებული ფორმა Аскурет(и) თუ Сокурет(и) და ეს ფორმები ქართულ საისტორიო წყაროებში არის თითქოს დადასტურებული. ეს არის რეალური

ფაქტების დამახინჯება, რადგან ქართულ სინამდვილეში აწყურს აქვს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი თავისი არსებობის განმავლობაში: აწყური, აწყვერი, აწყუერი.

ა. სანოსიანის აზრით, მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ აწყურში და მათვე დაარქვეს სახელი ამ ადგილს. ამ ორი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მცდარი ეტიმოლოგიები ამახინჯებს ისტორიას და ქართველებისათვის ადგილს აღარ ტოვებს. ორივესთვის მთავარი ფონეტიკური პრობლემა არის ყ ბგერა, რომელიც ამ ტოპონიმის ფუძეში უმნიშვნელო როლს არ ასრულებს. ეს ბგერა არც სომხურს, არც აზერბაიჯანულს, არც სხვა თურქულენოვან ენებს ფონემის სახით არ გააჩნიათ. ამიტომაც მათი ეტიმოლოგიის მთავარი შეცდომა არის ის, რომ кур არასოდეს ყოფილა აწყურის ფუძეში. არც კლავდიოს პტოლემეოსს შეეძლო აწყურად დაეწერა ეს სახელი თავის რუკაზე, რადგან არც მას ჰქონდა თავის ენაში ყ ბგერა, ამიტომ წერს იგი Аскur-ს. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას ჰქონდა საშუალება Аскur-ი გადმოეტანა ასკურად.

სამწუხაროა, რომ ამ გეოგრაფიულ სახელს ბევრი თავისებურად „კითხულობს" და აკეთებს შესაბამის „დასკვნებს", რომ სახელი დაურქმევიათ თურქებს ან სომხებს. თურქებთან დაკავშირებით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ აწყურში თურქებს არასოდეს უცხოვრიათ. რუსულ აღწერის დავთრებში (1907) მოხსენიებულ აქაურ თურქებში იგულისხმებიან გამაჰმადიანებული ქართველები. ისინი მე-19 საუკუნეში ქართველებად იწოდებოდნენ. მათი „თურქობა" მხოლოდ ოსმალურ-რუსული პოლიტიკის შედეგია.

Ацкур, Аскur, Азгур ფორმები მეორადია, ყველა მიღებულია ქართული აწყურიდან, რომელიც, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის ცნობილი [ბერიძე, 2008; ბერიძე, 2010].

აწყური დაიშლება ასე: ა-წყურ-ი, რომელშიც ა არის პრეფიქსი [Марр, 1935: 163], ხოლო წყურ ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია წყ – ძირი. ეს ძირი გვხვდება წყალთან დაკავშირებულ ისეთ ქართველურ სიტყვებში, როგორებიცაა: წყალი, წყარო, წყარ-, წყუ-, წყორ-

[ფერნიხი, სარჯველაძე, 2000: 657; შენგელია, 2006: 147]. იგივე წყ ძირი გვაქვს სიტყვებში: ნე-რ-წყ-ვ-ი, რ-წყ-ევ-ა [მ. ჩუხუა, 2003: 370].

აწყური ნიშნავს წყლიან ადგილს, წყლის ადგილს. ორი აწყურია საქართველოში და ორივე მდინარის პირას მდებარეობს. სამცხის აწყური, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, დღეს მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ასე იყო ოდითგანვე, როგორც ეს ბოლო დროის არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა და არა „на правом берегу р. Куры", როგორც ეს ა. სანოსიანს ჰგონია. ასევე მდინარე ბერხევის ორივე ნაპირზეა გაშენებული მეორე აწყური, რომელიც ახმეტის რაიონში მდებარეობს.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანში, არც თურქეთში მსგავსი სახელის ტოპონიმი (თუნდაც მათთვის სასურველი სახელის ვარიანტით) არ მოიძებნება. არც ის არის შემთხვევით, რომ, როგორც ეს ა. სანოსიანისა და ა. იუნუსოვის წერილებიდან ჩანს, თავიანთ საისტორიო წყაროებში ვერავითარი ინფორმაცია აწყურის შესახებ ვერ მოიძიეს, რადგან იქ ასეთი ინფორმაცია არ არის. ერთადერთი ფაქტი, რომელიც დასტურდება, ეხება სომეხ ოვანეს აწყურელს, რომელიც წარმოშობით აწყურიდან იყო და მე-15 საუკუნეში მოღვაწეობდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით სომეხი მეცნიერი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „И город, и крепость Ацкур всегда были заселены армянами. В дальнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки" [Саносян, 2006: 36].

ამ „ფაქტთან" დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ. ისინი, მტრების მიერ დარბეულნი, სამშობლოდან გამოქცეულნი, ხშირად შემოგვეკედლებოდნენ ხოლმე. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი განსაკუთრებით აქტიურად სახლდებოდნენ ქალაქ ადგილებში, სადაც ებრაელებთან ერთად მისდევდნენ ვაჭრობას. დღეს რომ აწყურში სომხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ, ამას თავისი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აწყურის მოსახლეობა დაიცალა ქართველთა დიდი

ნაწილისაგან. ზოგი ომში დაიღუპა, ზოგიც საზღვარგარეთ წავიდა. „1830 წელს აწყურში დასახლდა არზრუმელი სომხების 166 ოჯახი"... მათ დახვდათ 461 კომლი ქართველი მაჰმადიანი და 31 კომლი ებრაელი [ლომსაძე, 1975:487]. „ახლად დასახლებული კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას არ შერევიან. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდა, ხოლო ახალჩამოსახლებულები - მტკვრის მარცხენა მხარეს" [ლომსაძე, 1975: 487].

„სომხები და ებრაელები ეწეოდნენ მხოლოდ ვაჭრობას, ისინი მეურნეობის არც ერთ დარგს არ მისდევდნენ. არ ჰყავდათ არც საქონელი, გარდა ცხენებისა და სახედრებისა, რასაც თავიანთ სავაჭრო საქმიანობაში იყენებდნენ... 1840-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხის საფაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა და გაუქმდა სანჯაყები, აწყვერი აბასთუმნის უბანს დაემორჩილა და მისი ბურჟუაზიულ ქალაქად გადაქცევის პერსპექტივებიც შეწყდა. აწყვერში ჩასახლებული სომეხი ვაჭარ-ხელოსნები 40-იან წლებში აიყარნენ და ახალციხეში გადასახლდნენ. აწყვერიდან ახალციხეში გადავიდნენ ებრაელი ვაჭრებიც. ამის შემდეგ აწყვერი სამცხის ტიპურ სოფლად გადაიქცა" [ლომსაძე, 1975: 488].

სამწუხაროდ, არც ერთი ზემოთ მოხმობილი აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერი არ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ აწყური არ იყო მხოლოდ ციხე და ეკლესია, იგი იყო საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სასულიერო ცენტრი. აწყურის საეპისკოპოსო საქართველოს ეპარქიათა შორის ერთ-ერთი უძველესია. აწყურის ეპისკოპოსი იწოდებოდა მაწყვერელად. პირველი ეპისკოპოსი, ვისმა სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის იოსები, რომელიც მოღვაწეობდა მე-6 საუკუნის დასაწყისში [Православная 2002:221]. ბოლო ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ვიცით, იყო გედეონი, რომელმაც უკვე სულთნისგან მიიღო აწყურის კათედრა [Православная 2002:222].

ეპისკოპოსთა შორის გამორჩეულია ეფრემ დიდი მაწყვერელი (იგი კათედრას უძღვებოდა 855-895 წლებში),

გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს; „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქყუეყანა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათოლიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა“ [მერჩულე, 1949:97]. ა. იუნუსოვის მიხედვით, როდესაც გურებმა აზგური დააარსეს, საბირები ცხოვრობდნენ მთელ მესხეთში და, რა თქმა უნდა, აწყურშიც. საინტერესოა, საეპისკოპოსო ცენტრში რა სარწმუნოებისანი იყვნენ საბირები ან რა ენაზე საუბრობდნენ? აწყურის საეპისკოპოსოში, ბუნებრივია, მრევლიც ქართველი ქრისტიანი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი საბირებისა და გურების კვალდაკვალ ქართველების ადგილს აღარ ტოვებს ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე. ისინი ცდილობენ უგულვებელყონ, რომ ოსმალების ან რუსების მიერ აღწერილია არა მარტო საქართველოს ესა თუ ის კუთხე, არამედ იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობაც. სამწუხაროა, რომ ბატონი ა. სანოსიანი ქართველ მეცნიერზე, აკადემიკოს ს. ჯიქიაზე, ასე წერს: „В 1595 г. здесь была произведена перепись населения исоставлен налоговый реестр семей. В реестре приводится имена представителей семей, в большинстве своем армянские. "Большой давтар (реестр) Гюрджистанского вилайета" перевел с турецкого на грузинский и издал в 1941 г. С. Джикия. Сейученый муж не пожалел сил и стараний, дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими, а если не удавалось - непонятными" [Саносян, 2006: 36].

ამ საკითხში ზოგიერთი სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მეცნიერი მეტად ტენდენციურია. ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ოსმალებმა კარგად იცოდნენ, ვინ ცხოვრობდა საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ იქ მცხოვრები სომხები მიგრანტები იყვნენ. მიგრანტთა შთამომავლები არიან დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის მოსახლე სომხებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეშ

შეიკედლა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და გადაარჩინა ცნობილ გენოციდს.

ოსმალები, როდესაც აღწერდნენ გურჯისტანის ველაიეთს, დიაკრეტიულ ნიშნებს იყენებდნენ მათთვის გაუგებარი ქართული ბგერების აღსანიშნავად, რამაც საშუალება მისცა ს. ჯიქიას, სწორად წაეკითხა და გადმოეცა სახელები.

ა. სანოსიანი აცხადებს: „Как я уже сказал, большинство имен и топонимов армянские: (1. Купра? 2. Манвел, его брат. 3. Вардзел. 4. Мазман. 5. Егия. 6. Геворк и др.) [Саносян, 2006: 37]. ჩამოთვლილი სახელებიდან (კუპრა, მანველი, ვარძელი, მაზმანი, ეგია, გევორქი) გამოსაყოფია გევორქი, რომელიც, მართლაც, ჰქვია სომხებს, მაგრამ 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს აწყურის რაიონი ახალციხის ლივაში, ამ სახელის ადამიანი აწყურში არ ცხოვრობდა [გურჯისტანის...1941:89-90]. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით აწყურში სომხური ეთნოსის წარმომადგენელი ჩანს ერთი ოჯახი, რომლის უფროსის სახელიც ამოუკითხავია, მამით კი არის ტერ-აკოფას ძე, დასახელებული არის, აგრეთვე, ტერსიმონი, რომელიც სომხური წარმომავლობისა უნდა იყოს.

რატომღაც ა. სანოსიანმა კითხვის ნიშანი დაუსვა კუპრას. ამ სახელის მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია. „კუპრა" ქართული ანთროპონიმია, ცნობილი სახელია. მისგან გვაქვს ცნობილი ქართული გვარები: კუპრავა, კუპრაძე, კუპრაშვილი,კუპრეიშვილი და სხვა. მე-9 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერქვა კუპრა, რის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშედედოფლისა და მის შენდობისა თხოვა" [მერჩულე, 1949: 108].

მე-13 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კუპრას ძე. „დავით ნარინის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტერს (1260-1270 წწ.) [პირთა...1999:540]. შემდეგ საუკუნეებში გვხვდებიან კუპრაძე ბერა, კუპრაძე დათუნა, კუპრაძე ნასყიდა, კუპრაძე პაატა და

სხვანი. მე-17 საუკუნეში მოხსენიებულნი არიან:კუპრაშვილი გიორგი - „მოწმე მთაწმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულობუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა"; კუპრაშვილი გოგია - „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს" [პირთა...1999:540] შემდეგ საუკუნეებში გვხვდებიან კუპრაძე ბერა, კუპრაძე დათუნა, კუპრაძე ნასყიდა, კუპრაძე პაატა და სხვანი. მე-17 საუკუნეში მოხსენიებულნი არიან: კუპრაშვილი გიორგი „მოწმე მთაწმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულობუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა"; კუპრაშვილი გოგია - „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს" [პირთა...1999:540] და სხვ. ასე რომ, „კუპრა" ნამდვილად არ არის სომხური სახელი. „კუპრაში" -ა არის სუფიქსი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. „კუპრა" „კუპრიდან" მომდინარეობს. კუპრა შეერქმეოდა ხოლმე ადამიანს შავი ფერის გამო ისევე, როგორც შავ-ა (შავაძე, შავიშვილი, შავიანიძე, შავიძე...)[2]. ა. სანოსიანი არც იმ ფაქტს აქცევს ყურადღებას, რომ კუპრა კაკას ძეა. ცხადია, კაკაც გაუგებარი სახელი იქნება მისთვის. შორს წაგვიყვანს იმ ქართველთა ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა დროს და ერქვათ კაკა ან იყვნენ კაკაშვილები, კაკაურიძეები და სხვა. ამ სახელისაგან ნაწარმოები ბევრი ტოპონიმია საქართველოში, მათ შორის დავასახელებ საქართველოში კარგად ცნობილ კაკას ხიდს, რომელიც მესხეთიდან იმერეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასევე გამორჩენია პატივცემულ მეცნიერს კაკას ერთ-ერთი შვილის სახელი, ყვავილა. კუპრა რომ სომეხი ყოფილიყო, თავის შვილს ყვავილას კი არ დაარქმევდა არამედ წალიკას, როგორც ჰქვია და ერქვა ბევრ სომეხს.

ა. სანოსიანი სომხურ სახელად მიიჩნევს კუპრას მეორე შვილის სახელს, მანველს. მანველი არის ფონეტიკური ვარიანტი ძველებრაული ემანუელ/ ემანუილისა. მისაგან არის

წარმოქმნილი ქართული გვარები: მანველაშვილი, მანველიშვილი, მანელიშვილი, მანველიძე, მანელიძე [ჭუმბურიძე, 2003: 151-152].

ასევე სომხურ სახელად აცხადებს ა. სანოსიანი ისეთ ქართულ სახელს, როგორიცაა ვარძელი. „ვარძიას“ ჰქონდა ფონეტიკური ვარიანტი „ვარძა“ („ვარძია“ ერთადერთი სახელი არ არის მესხეთში). „ვარძელი“ ნიშნავს ვარძიიდან წამოსულს და მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი ვარძელაშვილი ისევე, როგორც კახეთიდან წამოსული არის კახელი და მისგან გვარი - კახელიშვილი, იმერეთიდან წამოსული იმერელი და მისგან ნაწარმოები იმერლიშვილი და სხვა მრავალი.

„მაზმანი“ აღმოსავლური სიტყვაა, შემოსულია ქართულში როგორც ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ მაზმანი არის „ბალნის მრთველი”. ბალნის თოკის მგრეხელად განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი. მაზმანი არის მესაბლე. ამგვარად „გურჯისტანის დიდ დავთარში” დადასტურებული მაზმანი არ უნდა იყოს სახელი, ის აღნიშნავს ხელობას. ოსმალო მოხელე წერს, რომ აწყურში ცხოვრობდა მაზმანი გიორგი, ე.ი. მესაბლე გიორგი, ბალნის თოკის მგრეხელი გიორგი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაზმანი არ შეიძლება ქცეულიყო სახელად. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები დაერქმეოდა ადამიანებს სახელებად ან მეტსახელებად და შემდეგ ვიღებდით მისგან გვარებს. ასე გვაქვს მიღებული გვარი მაზმანიშვილი. როგორც, ვთქვათ, მენაღარე და მენაღარიშვილი. ზ. ჭუმბურიძე წერს: „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, მენაბდე, მეტივეიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიშილი, მებაღიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, საბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი (საბელი - „თოკი”, მესაბლე „თოკის მგრეხელი”), მაზანაშვილი (მაზმანაშვილი). მაზმანი საბას განმარტებით „ბალანის მრთველი”... [ჭუმბურიძე, 2003:87]. ხელობის აღმნიშვნელი გვარებიდან ზოგი ქარ-

თული იყო, ზოგიც ხელობასთან ერთად შემოსული ტერმინი და მისგან მიღებული გვარები. ასეთი ტერმინები შედიოდა სომხურშიც და ვიღებდით ერთნაირფუძიან გვარებს. მაგ.: ხარატიშვილი და ხარატიანი, მაზმანიშვილი და მაზმანიანი, დალაქიშვილი და დალაქიანი და ა.შ.

ქართულ გვარებში არანაკლებ პროდუქტიულია –იან სუფიქსი, ამიტომ ხშირად არა მხოლოდ ფუძეთა დამთხვევა ხდება, არამედ მთლიანად გვარისაც. მაგ.: დავითიანი შეიძლება იყოს სომეხიც და ქართველიც, ამ შემთხვევაში ოჯახმა და გვარმა ძალიან კარგად იცის, ვინ ვინ არის, სომეხია თუ ქართველი.

აწყურის მცხოვრებლებში დადასტურებულ კიდევ ერთ სახელზე მიუთითებს ა. სანოსიანი. ეს არის ეგია. შეიძლება, ავტორმა ვერ ამოიკითხა სახელი ელია და საქმე გვაქვს არასწორ დაწერილობასთან, რადგან ასეთი სახელის კაცს მე-16 საუკუნის ბოლოს აწყურში არ უცხოვრია.

„დავთარში" სხვა ქართული სახელებიც გვხვდება. მაგ., იგი გვამცნობს, რომ ვენახი დედისიმედისა და მაწყვერელი ბერისა გადავიდა მაჰმადიან დიდგვაროვანთა ხელში [გურჯისტანის...1941: 90]. დედისიმედი მესხეთში გავრცელებული სახელია.მაწყვერელი აწყურის მკვიდრის, სასულიერო პირის წოდებაა, რაც, რა თქმა უნდა, გვიჩვენებს, რომ სასულიერო და საერო ფენების წარმომადგენლები ქართველები არიან.

ამგვარად, ზოგიერთ სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერს აერთიანებს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის არცოდნა, რის გამოც უადვილებათ სასურველი დასკვნების გამოტანა. აწყური, მისი ისტორია, ეტიმოლოგია, ქართული ენისაგან, საქართველოს ისტორიისაგან განუყოფელია.

[1] ასეთი რამ არც თუ იშვიათად გვხვდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ა. სანოსიანის სტატიების კრებული [Саносян, 2006], რომელშიც დამახინჯებულია ქართულ-სომხური ურთიერთობები.

[2] შდრ. ქერისფერი>ქერა, ღვინისფერი>ღვინა (ღვინაძე, ღვინიაშვილი...), შვინდისფერი>შვინდა, სვილისფერი>სვილა და მრავალი სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


პირთა... პირთა ანოტირებული ლექსიკონი. თბილისი. 1999

ბერიძე მ. აწყურის ეტიმოლოგიისათვის. ქართული მემკვიდრეობა. XII. ქუთაისი. 2008

ბერიძე მ. ტაძრები და სახელები. თბილისი, 2010

ჩუხუა მ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი.თბილისი. 2003

ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ. თბილისი. 2003

ფერნიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. 2000

გურჯისტანის... გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. თბილისი. 1941

ივანე... ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი 2002

ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი. თბილისი. 1976

მერჩულე გიორგი ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. თბილისი. 1949

შენგელია ვ. ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისი. 2006

სტეფანოს... სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი. 1978

Марр Н. Избранные работы. том V Vjcrdf-Ktybyuihfl. 1935

Православная... Православная энциклопедия. том IV. Москва. 2002

Саносян А. Еще и белый геноцид. Ереван. 2006

Юнусов А. Ахыскинские (месхетинские) турки: Дважды депортированный народ /Центральная Азия и Кавказ. №1(2) 1999. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

# წიგნი მესხების შესახებ

ევროკავშირის მხარდაჭერით გამოვიდა წიგნი „მესხები: გზა შინისაკენ...", რომლის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება "უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრ – კავკასიას". მასში წარმოდგენილი პოზიცია, მართალია, არ განიხილება ევროკავშირის პოზიციად, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ თავისსავე მხარდაჭერილ წიგნს ყველაზე მეტად დააფასებს ევროკავშირი. წიგნი კვლევითი ხასიათისაა. კვლევასთან ერთად ჩაუტარებიათ მის ავტორებს მოსამზადებელი სამუშაოები პროგრამის – „1940-იან წლებში საქართველოდან დეპორტირებულ პირთა და მათი შთამომავლების რეპატრიაციის ხელშეწყობა", ფარგლებში. დამფინანსებელია ევროკავშირი. გამმხორციებელი არიან ორგანიზაციები: "მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ" და „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი – კავკასია".

წიგნი სახელმძღვანელო ხასიათისაა, მას აქვს წყაროს პრეტენზია, როგორც ამას აღნიშნავს წინასიტყვაობაში ეუთო-ს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებაეკი: „მჯერა, რომ ეს (იგულისხმება მითითებული წიგნი – მ. ბ.) იქნება ინფორმაციის ძალიან ძვირფასი წყარო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორებისათვის, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ მესხების საკითხებზე". წიგნი გამოვიდა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე. მისი მიზანია „საქართველის მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ამჟამად მიმდინარე დებატებისა და ინიციატივების" ხელშეწყობა. იგი შედგება შესავლისა, 3 თავისა და დასკვნითი შენიშვნებისაგან. ახლავს წინასიტყვაობა, სამადლობელი წერილი, ინფორმაციული ჩანართები, ცხრილები, რუქები, სურათები და სერიოზული გამოცემისათვის საჭირო სხვა ატრიბუტიკა. სიმბოლურია წიგნის გარეკანი. მასზე გამოსახულია თანამედროვე ჩემოდნები და ადამიანთა ჩრდილები, რაც მესხთა დღევანდელ ყოფასა და მათ გაბუნდოვანებულ ისტორიას გამოხატავს.

ავტორები არიან: ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი და ფორესტ კილიმნიკი. ავტორების შესახებ თანდართული საინფორმაციო ნაწილიდან ვგებულობთ, რომ ისინი ამ საქმეში გამოცდილი სპეციალისტები არიან. წიგნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა მსჯელობა მისი ავკარგის შესახებ.

1. ავტორების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ გადადგეს ნაბიჯი სიმართლისაკენ და ჩამოაცილეს მესხებს მე-20 საუკუნის ბოლოს ხელოვნურად შექმნილი ტერმინი თურქი მესხი. ასევე უარი თქვეს სხვა ტერმინებზე — მაჰმადიანი მესხები, ახალციხელი თურქები, თურქები, კავკასიელი თურქები და სხვა. ეს არის ნაბიჯი ისტორიული ჭეშმარიტებისაკენ. როგორც ჩანს, ეს არ იყო ადვილი, რადგან ტერმინი თურქი მესხი მათსავე კვლევებში გვხვდებოდა (გვ. 221) და ბოლოდროინდელმა მუშაობამ მიიყვანა ისინი ამ შედეგამდე. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნში გამოყენებული ტერმინი „მესხი“ არანაირად არ გამოხატავს ჩვენს თანაგრძნობას რომელიმე ეთნო-ეროვნული ორიენტაციის ან წარმომავლობის თეორიის მიმართ. ამ წიგნის ავტორები სრულიად მიუკერძოებლები რჩებიან ეთნიკური იდენტობისა და ორიენტაციის საკითხებისადმი. ამასთან, მესხების წარმომავლობა არ წარმოადგენს ამ წიგნის განხილვის საგანს (ხაზგასმა ჩემია — მ. ბ.) (გვ. 5)“. ცოტა უცნაურად ჟღერს ეს უკანასკნელი განცხადება, რადგან ორი გვერდის წინ იმავე შესავალში ავტორები წერენ: „პირველ თავში მოცემულია მესხების მოკლე ისტორია და განხილულია მათ წარმომავლობასა და იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები (გვ. 3)“.

რა თქმა უნდა, ავტორები სწავლობდნენ და იკვლევდნენ ისეთ მტკივნეულ პრობლემას, რომ მესხების ისტორიას გვედრდს ვერ აუვლიდნენ. ერთი შეხედვით ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად (ასახელებენ ზოგადად ქართველი და თურქი მეცნიერების პოზიციებს), კვლევის ელემენტები მაინც არის, როდესაც პირველი თავის მე-3 პარაგრაფში მოყვანილია 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის

აღწერის შედეგები (გვ. 10). კარგი იქნებოდა, მოეყვანათ ავტორებს სხვადასხვა აღწერის დინამიკა და ეჩვენებინათ, რომ აღწერების დროს თანდათან ხდებოდა ქართველი მაჰმადიანების ჯერ "თათრებად", ხოლო შემდეგ "თურქებად" ქცევა. მაგალითად, 1986 წლის აღწერის მასალები გამოვიდა 1993 წელს, რომლის მიხედვითაც ადიგენის რაიონის შემდეგი სოფლების მოსახლეობა, რომლებიც იქცნენ შემდეგ "თათრებად" და "თურქებად", სარწმუნოების მიუხედავად ჯერ კიდევ ქართველებად არის აღწერილი:

ადიგენის რაიონი: აფიეთი, არძნე, ბოლაჟური, ღაღვი, გოდერძი, გორთუბანი, გუგუნაური, დერცელი, ზანავი, ზარზმა, ზედუბანი, კეხოვანი, მლაშე, მოხე, ნამნიაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უტყუსუბანი, ციხისუბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი.

ახალციხის რაიონი: ვალე, კოპაძე, ორფოლა, საკირე, საყუნეთი, თისელი, ტაძრისი, ტყემლანა, წინუბანი, წოხტევი, წრიოხი, ბოგა, გიორგიწმინდა, ზეუბანი, კლდე, მიქელწმინდა, მუგარეთი, ფერსა, სვირი, წნისი, ჩოხტა, შურდო, აბი, ზიკილია.

ასპინძის რაიონი: ზემო ოშორა, ქვემო ოშორა, ხერთვისი, შვიდრევანტა.

წიგნის, "მესხები, გზა შინისაკენ. ავტორები კი რატომღაც ამ პრობლემას არ სწავლობენ, თორემ კარგად გამოჩნდებოდა რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა, დღიდან მისი საქართველოში გამოჩენისა, ნათელი შეიქმნებოდა, რომ მესხების ტრაგედია იყო საქართველოს ტრაგედია მთლიანად და არა მხოლოდ მაჰმადიანი მესხებისა.

ამავე წიგნის ფარგლებში თავისუფლად შეიძლებოდა საუბარი თვით ოსმალეთის მიერ აღწერილი მესხეთისა და მესხების შესახებ 1595 წელს. ასევე შეიძლებოდა განმარტებულიყო, რომ მაშინდელ მესხეთს თვით ოსმალებმავე უწოდეს გურჯისტანის ვილაიეთი, რაც მესხების ყოველგვარ არაქართულ წარმომავლობას აქარწყლებს. მაშინდელი მოსახლეობა მესხეთისა ქართულია.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს წიგნის ავტორები ერიდებიან ქართული სინამდვილის გაშუქებას, თითქოს

